ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

# სარკე

ფასი: 1 ლარი

№21

22-28.V 2013

## ანი:
„ამბობენ, რომ ქმარს უნდა ვაპატიო. ეს საპატიებელი არ არის!“

## მედეა:
„ნინამ დათო კარგად უნდა აწრუწუნოს!“

## რატომ ვერ თანხმდებიან ანი ტყებუჩავა და მედეა ლორთქიფანიძე

გვ.22

## რატომ ჩააგდო უხერხულობაში გიორგი ვარდოსანიძე მაია ასათიანმა

გვ.24

„ვცდილობ, „ნაღებ საზოგადოებას“ გავერიდო“

გვ.6

## ირინა იმერლიშვილმა დედამთილს სახლი გაუყიდა

გვ.26

## ლუბა ელიაშვილს დის მაჭანკლობა არ გამოუვიდა

გვ.35

## მაშო მელქაძეს ქმარი სამშობიარო ბლოკიდან გაექცა

გვ.40

## სალომე გოგიაშვილი მოკლე ქაბებს აღარ იცმევს

გვ.33

## მამუკა ღლონტი: „ერთი პერიოდი მთელი ჩვენი ოჯახი ჩემი გოგონას 200 ლარიანი ხელფასით ვცხოვრობდით“

ISSN 1987-9369

## „დედა და მამა რწმენის გამო ჩხუბობენ“

გვ.29

სარკე + „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“
მე-2 ტომი
ჰომეროსის „ილიადა“
წიგნი 2
ფასი ჟურნალთან ერთად 10 ლარი

# 29 მაისიდან!

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 3.

## ბრაზილიური ზღაპრები

ჟურნალ სარკესთან ერთად

რატომ არ ეძებტებოდა მარიკა კვალიაშვილს კონკურსისთვის ნუკა გვალია

რეალურია თუ მოჩვენებითი დათო ფორჩხიძის და სტეფანეს ჩხუბი

ნოდიკო ტატიშვილი: „ვხვდებოდი, რომ რაღაც პროცესები მიდიოდა, მაგრამ კონკრეტულად რა, გაურკვეველი დარჩა ჩემთვის“

ქართული დუეტი ევროვიზიაზე მოტყუებული დარჩა

რა შეკითხვებს უმზადებს ოთარ ტატიშვილი დალი ლამას




ზურაბ მანაგაძე სცენაზე ბუკას დაბრუნებას აპირებს

დათუნა მგელაძე რუსულ შოუბიზნესში მიდის

# ნომერში


**მთავრობის სახე**

ირინა იმერლიშვილმა დედამთილს სახლი გაუყიდა 6

**მთავარი კითხვა**

რამ აიძულა მოძღვრები ჯვრით ხელში ერის დასაცავად გამოსულიყვნენ 8

**საკონკურსო ვნებები**

ქართული დუეტი ევროვიზიაზე მოტყუებული დარჩა 10

**გულახდილი საუბრები** 12-13

**პრაქტიკული ეკონომიკა**

თბილისური სეილების უცნაურობანი 14

**პოლიტიკა**

- კახა კუკავა: „17 მაისის გეიაღლუმი წყალგამყოფია ივანიშვილისთვის!“ 16
- მანანა კობახიძე: „ხალხის უფლებაა, არ მოსწონდეს ჰომოსექსუალები“ 18
- კახა კოყორიძე: „სექსუალური უმცირესობის მიმართ თავად პოლიციელთა ნაწილიც აგრესიას გამოხატავდა“ 20

**სერიალის გმირები**

რატომ ვერ თანხმდებიან ანი ტყებუჩავა და მედეა ლორთქიფანიძე 22

**ეტაპი**

- რატომ ჩააგდო უნერწულობაში გიორგი ყარდოსანიძე მაია ასათიანმა 24
- დათუნა მგელაძე რუსულ შოუბიზნესში მიდის 25

**დედამიწვილები**

ლუბა ელიაშვილს დის მაჭანკლობა არ გამოუვიდა 26

**ჭორ-მართალი**

**მოზარდები** 28-29

**რინგი**

რეალურია თუ მოჩვენებითი დათო ფორჩხიძის და სტეფანეს ჩხუბი 30

**შთამომავლობა**

რატომ არ ემეტებოდა მარიკა კვალიაშვილს კონკურსისთვის ნუკა გვალია 32

**მამა-შვილი**

მამუკა ღლონტი და მისი ცოლი შვილებისგან მალულად რომანტიკულ დღეებს იწყობენ 33

**ოჯახური სიხარული**

მაშო მელქაძეს ქმარი სამშობიარო ბლოკიდან გაექცა 35

**კონონოსტალგია**

„ჯუკარაჩა“ — ქართველი ვარსკვლავების ტკბილ-მწარე მოგონებები 36

**სარკის წინ**

ირმა ცქიტიშვილი: „როცა სიყვარული გაქვს ყველას მიმართ, ასაკი თითქოს ათი წლით გაკლდება“ 38

**სამოსი**

სალომე გოგიაშვილს ქმარი მოკლე კაბას არ აცმევს 40

**ცხოვრება ჩემოდნებზე**

რა შეკითხვებს უმზადებს ოთარ ტატიშვილი დალაი ლამას 43

**მეგზური**

დუბროვნიკი — ადრიატიკის ლამაზმანი 44

**მხოლოდ ქალებისთვის** 48

**დედიკოების სკოლა** 49

**ნაცნობი სახე**

ზურაბ მანაგაძე სცენაზე ბუკას დაბრუნებას აპირებს 50

**სპორტის მიღმა** 51

**ადამიანის ინსტიტუტი** 52

**ცოტ-ცოტა ყველაფერზე** 53


## ლუკა კურტანიძის ყოფილ სახლში ღამღამობით იდუმალი ამბები ხდება

თბილისში, ლოტკინის უბანში, უცნაური ხმა გავრცელდა — ერთ-ერთ სახლში წლების წინ მოკლული გოგონას სული ბინადრობს, ის ღამღამობით ჩნდება და თუ რომელიმე ოთახში სინათლე დაინახა, ყველაფერს ლეწავს. უზარმაზარ შენობაში ახლა არავინ ცხოვრობს. მაღალ გალავანში ჩასმულ სახლს სპეციალური დაცვის სამსახური დარაჯობს. უბანში მცხოვრები ბავშვები ამ ადგილს სირბილით ჩაუვლიან ხოლმე. სულის არსებობის შესახებ ჭორ-მართალი მთელ თბილისში ელვის სისწრაფით გავრცელდა, უფრო მეტიც, თურმე ამ სახლის სანახავად რაიონებიდანაც კი ჩამოდის ხალხი...

გვ.10


**შეშლილი. შეშლილი. შეშლილი მსოფლიო** 54-55

**სახალისო** 56-57

**იყავით ჯანმრთელი**

- მუცელი — საცოცხლის ცენტრი 58
- გვპასუხობს ექიმი 59

**ქალური მოთხრობები**

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-20) 66
- ლელა ცუცქირიძე — „მანიაკი“ 68

**წმინდანები**

თუ სხვები მიენდნენ სამყაროს შემოქმედს და სძლიეს ამქვეყნიურ ბორიტებას, მაშინ ჩვენც ძალგვიძს 72

**კითხვები მოძღვარს**

„მამათმავალი ღუპავს როგორც სულს, ისე სხეულს“ 73

**ხელსაქმე** 78



№21(786) 22 — 28 მაისი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 20.05.2013, 21.00 სთ-ზე.

■ ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი

## ივანიშვილმა ღარიბაშვილს მადლობა გადაუხადა

პოლიციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას პრემიერი ივანიშვილი 17 მაისის აქციაზე შსს-ს მოქმედებებს შეეხო და შს მინისტრს მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, ირაკლი ღარიბაშვილმა მოკლე დროში დაამტკიცა, რომ რთული სტრუქტურის ღირსეულად მართვა შეუძლია.

— ამ ყველაფერს ძალიან სწორად უწევდა კოორდინირებას თქვენი მინისტრი. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის დავალება ძალიან საპასუხისმგებლოა. წესრიგის დამცველი, პირველ რიგში, თავად უნდა იყოს მოწესრიგებული და რაც უფრო მეტი ჩინი აქვს მას, მით უფრო უნდა გააჩნდეს ამის ვალდებულება. ასეთი მინისტრი გყავთ თქვენ — ირაკლი ღარიბაშვილი. მინდა, მას მადლობა გადავუხადო, რამეთუ ამ მოკლე დროში დაამტკიცა, რომ ამ რთული სტრუქტურის ღირსეულად მართვა შეუძლია. თქვენ გაქვთ ბედნიერება, ასეთი ადამიანი იყოს თქვენი ხელმძღვანელი. ეს არის ძალიან წესიერი კაცი, ძალიან მოწესრიგებული და ძალიან საიმედო. თქვენ გყავთ ხელმძღვანელი, რომელიც არასოდეს გიღალატებთ და არასოდეს მიგატოვებთ გასაჭირში. ამავდროულად, ის სპორტსმენია, ხელჩართული ჩხუბი თუ დასჭირდება, იქაც არ დაიხევს უკან და მოგეშველებათ, — განაცხადა პრემიერმა.

## „გეიაღლუმი ნაცმოძრაობის და ივანიშვილის ორგანიზებული იყო“

■ შალვა ნათელაშვილი

ევიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი 17 მაისს რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს ნაცმოძრაობასთან ერთად პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის პროვოცირებულსა და ორგანიზებულს უწოდებს.

— აქცია აწყობდა როგორც ნაცმოძრაობას, ისე ხელისუფლებას. პრემიერმა ივანიშვილმა პირდაპირ მოუწოდა, მოდით, ჩაატარეთ, ერთსქესიანთა ქორწინებისთვის ვემზადებითო. უსუფაშვილმა კი ლამის ცრემლები აღვრევინა ხალხს სექსუალური უმცირესობის დაცვაზე საუბრით, რაც დააგვირგვინა პრეზიდენტობის კანდიდატმა მარგველაშვილმა, როცა თქვა, რომ ეს ჯდება მსოფლიო სამართლებრივი და ცივილიზებული კულტურის მოთხოვნების ფარგლებში. სანამ სექსუალური უმცირესობების პრობლემებს მოაგვარებდა, ევროპამ უზარმაზარი სოციალური გზა გაიარა თანასწორობის და სამართლიანობისკენ. ამათ ერთსეზონიანი გავლაც არ უნდათ, რომ ჯიბეებს არ დააკლდეთ, — აცხადებს ნათელაშვილი.

მისი თქმით, აქციაში ნაციონალური მოძრაობის ინტერესი ის იყო, რომ უნდოდათ, ივანიშვილის ხელისუფლების დისკრედიტაცია მოეხდინათ დასავლეთის თვალში. ივანიშვილის ხელისუფლებას კი შეუსრულებელი დაპირებებიდან ყურადღების სხვა თემაზე გადატანა სურდა, რაც ძალადობით დამთავრდა.

— ყველანაირ ძალადობას ვგმობთ და ვემიჯნებით. გეიაღლუმები საქართველოში არ უნდა ტარდებოდეს, მაგრამ არც ძალადობას უნდა ჰქონდეს ადგილი, — აცხადებს ნათელაშვილი.

## ევროკავშირმა 17 მაისის გამო საქართველოს მთავრობა გააკრიტიკა

17 მაისს რუსთაველზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა განცხადებას ავრცელებს და საქართველოს ხელისუფლებას ევროპული სტანდარტების დაცვისკენ მოუწოდებს.

— საქართველოში ევროკავშირის სახელმწიფოთა წარმომადგენლობების ხელმძღვანელები და ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში აღშფოთებულნი არიან 17 მაისს ზოგიერთი დემონსტრანტის მიერ გამოვლენილი სასტიკი შეუწყნარებლობისა და ძალადობის სამარცხვინო სცენებით, რომელთა მიზანი იყო სხვა დემონსტრანტებისათვის საკუთარი თავის მშვიდობიანად გამოხატვისათვის ხელისშეშლა. ევროკავშირი მიიჩნევს, რომ ყოველი ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც ეს არაერთხელ იქნა ჩვენ მიერ გაცხადებული. ევროკავშირს სწამს, რომ აუცილებელია ნებისმიერ, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის, ნიადაგზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და შემწყნარებლობის, როგორც დემოკრატიული და მშვიდობიანი საზოგადოების საფუძვლის, წახალისება. ევროკავშირი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, დაიცვას მის მიერ ნაკისრი ღირსებისა და უფლებების თანასწორობისა და თავისუფლების საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები, — ნათქვამია განცხადებაში.

## ვანუატუ აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს

ვანუატუმ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების გადაწყვეტილება გააუქმა. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვანუატუს პრემიერ მოანა კარკასეს კალოსილს ამ გადაწყვეტილებისთვის მადლობა გადაუხადა. სააკაშვილის თქმით, ეს არის პატარა ქვეყნის დიდი წარმატება რუსეთის წინააღმდეგ.

— ჩვენ გაურკვევლობიდან და არამკაფიო სიტუაციიდან გამოვედით. ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანი ჟესტი იყო, რადგან ჩვენც არ ვართ დიდი ქვეყანა და ჩვენთვის საერთაშორისო ლეგიტიმურობის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. აფხაზეთი ნაურუმ და ტუვალუმ აღიარეს, მაგრამ ვანუატუს ნაბიჯი ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო, რადგან აქ ნამდვილი დემოკრატია, ფუნქციონალური ქვეყანაა. ამიტომ ჩვენ ძალიან ვნერვიულობდით, მაგრამ ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა — ვანუატუ გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობის გადაწყვეტილება შეცვალა. მე მინდა, გულით გადაგიხადოთ დიდი მადლობა, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ვანუატუს პრემიერთან შეხვედრაზე.

მოანა კარკასეს კალოსილმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის აღიარების საკითხი თავის დროზე უთანხმოების მიზეზი გახდა.

— მე ფინანსთა მინისტრი ვიყავი, როცა საბჭოში აფხაზეთის საკითხი დადგა. ჩვენ უთანხმოება მოგვივიდა. მე ავხსენი, რატომ არ უნდა გვეღიარებინა აფხაზეთი. მაშინ არ დამიჯერეს. სწორედ ამიტომ ხელახლა მოვითხოვე საბჭოს შეკრება, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო არაღიარების შესახებ. საბოლოოდ საკითხის გასარკვევად მინდა, საჯაროდ ტელეკამერების წინ განვაცხადო: ჩვენ ვაღიარებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ ვაღიარებთ აფხაზეთს! — აღნიშნა ვანუატუს პრემიერმა შეხვედრაზე.


**სარკე** ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კეკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფიზიო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჯღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარეკლამო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი – იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.




Cyan Magenta Yellow Black

ნინო ბურჯანაძე

## ნინო ბურჯანაძე საპრეზიდენტო კანდიდატურაა

„სახალხო კრება“ სასურველ საპრეზიდენტო კანდიდატად ნინო ბურჯანაძეს ასახელებს და საქართველოს მოსახლეობასაც მისი მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

— ქვეყანას გამოცდილი პოლიტიკოსი, პრინციპული და საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე პრეზიდენტი სჭირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის; სამოქალაქო მშვიდობის დამყარებისათვის; ხელისუფლების დაბალანსებისათვის; ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებისა და საერთაშორისო რეპუტაციის დაცვისათვის. ქალბატონი ნინო ყველა ამ თვისების მქონე პოლიტიკოსი გახლავთ. ჩვენ, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო მივმართავთ არასაპარლამენტო ოპოზიციას, საზოგადოებას, სრულიად საქართველოს, რომ ნინო ბურჯანაძის საქართველოს პრეზიდენტად არჩევას მხარი დაუჭიროს, — განაცხადა ბრიფინგზე ნონა გაფრინდაშვილმა და დასძინა, რომ სამართლიანი არჩევნების იმედი აქვს.

— საქართველოს ბევრი მიმართულებით ძალიან ენერგიული პოლიტიკის გატარება სჭირდება, რაც მთავრობას ყველანაირად შეუწყობს ხელს, გადაწყვიტოს პრობლემები, გამოწვევები, რაც როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკურ ასპარეზზეა. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვჭირდება არა სიმბოლური, წარმომადგენლობითი პრეზიდენტი, არამედ ძლიერი საპრეზიდენტო, პოლიტიკური ფიგურა, კვალიფიციური, მაღალი კლასის პოლიტიკოსი, გამოწვრთნილი და ასეთია სწორედ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, — დასძენს „სახალხო კრების“ ერთ-ერთი წევრი ირაკლი ბათიაშვილი.

## საქართველოს პრეზიდენტი ივანიშვილის ელჩს არ ენდობა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ში ვიზიტის დროს საქართველოს ელჩს აშშ-ში, არჩილ გეგეშიძეს, შეხვედრებში მონაწილეობაზე უარი უთხრა.

— პრეზიდენტს ჰქონდა შეხვედრა საქართველოს საელჩოში. ჩვენმა ელჩმა არჩილ გეგეშიძემ შესთავაზა, რომ მონაწილეობას მიიღებდა ყველა შეხვედრაში, რომელსაც პრეზიდენტი გამართავდა, მაგრამ უარი მიიღო. პრეზიდენტმა გეგეშიძეს უთხრა, რომ მისი მონაწილეობა შეხვედრებში არ სჭირდებოდა, — განმარტა ზალკალიანმა.

## საქართველოში ახალი სამოქალაქო მოძრაობა დაფუძნდა

19 მაისს სპორტის სასახლეში ახალი სამოქალაქო მოძრაობა დაფუძნდა ლოზუნგით — „სამართლიანობა უნდა აღდგეს, რეჟიმი უნდა გასამართლდეს“. „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელ ნანა კაკაბაძის განცხადებით, ეს მოძრაობა ხელისუფლებას აჩვენებს, რომ მთავარი ძალა ხალხია.

— უნდა შევქმნათ ძალიან ძლიერი სამოქალაქო მოძრაობა, რომელიც ხელისუფლებას დაანახვებს, რომ ძალა არის ხალხის ხელში. ხელისუფლებას ავიწყდება, რომ ხალხია მთავარი ძალა, — განაცხადა ყრილობაზე კაკაბაძემ და განმარტა, რომ პარალელურად შეიქმნა საზოგადოებრივი კომისია, რომელიც, ერთი მხრივ, ითანამშრომლებს პარლამენტთან და მას სამართლებრივ შეფასებაში დაეხმარება, მეორე მხრივ კი, რეკომენდაციებს მოამზადებს აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის.

## ირაკლი ოქრუაშვილი ტყუპი გოგოს მამა გახდა

ირაკლი ოქრუაშვილი

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი უკვე 4 შვილის მამაა. 6 მაისს ტყუპი გოგო გაუჩნდა. ბავშვები საფრანგეთში დაიბადნენ, მაგრამ მშობლებმა სახელები ქართული შეურჩიეს — ნინო და ანა.

ირაკლი ბოლო თვეების განმავლობაში საფრანგეთში იყო მეუღლის გვერდით, მარტის ბოლოს კი შვილები ჰყავდა ჩამოყვანილი საქართველოში. მისი უფროსი ქალიშვილი, მია, უკვე 11 წლისაა, 4 ენაზე საუბრობს და ძალიან უყვარს საქართველო. 5 წლის ანდრია საფრანგეთშია დაბადებული, მაგრამ ქართულად თავისუფლად ლაპარაკობს, იცის ინგლისურიც. როგორც ირაკლის უახლოესი მეგობარი, თეო ტლაშაძე ამბობს, ყოფილ მინისტრს ერთი სული აქვს, ოჯახთან ერთად საქართველოში დაბრუნდეს.

## „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილი შეფი გამოძიებასთან ითანამშრომლებს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა საბიუჯეტო თანხების მითვისების ბრალდებით „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილი მაღალჩინოსნები და ვაგონშემკეთებელი კომპანიის ხელმძღვანელები დააკავა.

დავით ეზუგბაია

ფინანსთა სამინსიტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, შპს „საქართველოს რკინიგზამ“ ვაგონების შეკეთებაზე ხელშეკრულება ვაგონშემკეთებელ კომპანიასთან გააფორმა. დოკუმენტების თანახმად, ერთი ვაგონის შეკეთება 29.000 დოლარად უნდა მომხდარიყო, გამოძიებამ კი დაადგინა, რომ ვაგონების შეკეთების საბაზრო ღირებულება 31.000 ლარს შეადგენდა. გამოძიების ინფორმაციით, ბიუჯეტისთვის მიყენებულმა ზარალმა 65 მილიონი ლარი შეადგინა.

მოგვიანებით სასამართლომ დაკავებულები გირაოთი გაათავისუფლა, „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილ გენერალურ დირექტორ ირაკლი ეზუგბაიას კი წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მისი დაკავება მარტივი მიზეზის გამო ვერ მოხერხდა — საქართველოში არ არის. როგორც ირკვევა, სასწავლო პროგრამით ინგლისში წასული ეზუგბაია მზადაა, საქართველოში ჩამოვიდეს და გამოძიებასთან ითანამშრომლოს.

— თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, 2012 წლის ნოემბერში, ირაკლი სასწავლო პროგრამით ინგლისში გაემგზავრა, სადაც მანამდეც სწავლობდა და დღესაც სწავლობს. რა თქმა უნდა, ის თანახმაა, ჩამოვიდეს საქართველოში, გამოძიებასთან ითანამშრომლოს, ჩვენება მისცეს და თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს. სავარაუდოდ, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ, მაგრამ ჯერ უნდა ვნახოთ ის საფუძვლები, რასაც გადაწყვეტილება ემყარება, — აცხადებს ეზუგბაიას ადვოკატი.

## რას ფიქრობს ცოტნე გამსახურდია გეების აქციაზე

საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი, ცოტნე გამსახურდია, რუსთაველის გამზირზე მომხდარი აქციის დარბევის ფაქტს „ფეისბუქის“ საკუთარი გვერდით გამოეხმაურა.

— მთელი დღეა ვუყურებ, ვაკვირდები მოვლენებს... ჩემი მეგობრები და სრულიად „ფბ“ საზოგადოება ძირითადად ორ ნაწილადაა გაყოფილი: რადიკალ-კონსერვატორებად და ულტრა-ლიბერალებად. ყველა — არა, მაგრამ ეს ორი პოზიცია მაინც დომინანტურია... ვფიქრობდი, გამეკეთებინა თუ არა კომენტარი საერთოდ. არც ერთ პოზიციას ვემხრობი და საკმაოდ არაპოპულარული იქნება ჩემი აზრი. არ ვარ საჯარო პოლიტიკოსი და რომც ვიყო, არ დავმალავდი მას, მაგრად მკიდია, ვისაც არ მოეწონება! მაგრად მეკიდა მეინსტრიმი, როცა 2006-07 წლებში არ ვიზიარებდი სვეკების ნაცების აღფრთოვანებას! როცა არ მომწონდა და არ მომწონს მამაჩემის დოგმატური რიტორიკა ეროვნულ-რელიგიურ თემებზე! როცა პირველი პატიმარი ვიყავი, ვინც ამხილა ახალაიას შექმნილი წამების სისტემა (წმინდა მამები მაშინ ახალაიას და მის ოჯახს ლოცავდნენ!)... არ მომწონს და არ მიმაჩნია სწორად, საქართველოს მსგავს ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმის რეკლამა და გეიპარადები, მაგრამ არც მათთვის სიცოცხლის და გამოჩენის აკრძალვას ვიზიარებ! არ მომწონს არასამთავრობოები და მინისტრები, რომლებიც მხოლოდ ამ პოპულარულ და სარფიან თემაზე „აკომენტებენ“ და არ ახსოვთ ათასობით დაჩაგრული ადამიანი, ვინც სამართლიანობის აღდგენას ელოდება; მაგრამ არც ის ავადმყოფი, ბნელი სუფრისტები მომწონს, ვისთვისაც „არასამთავრობო“ და „კუდიანი“ სინონიმებია...

და კიდევ: როდესაც რამდენიმე ასეული გონებადაბნელებული ყ.., რომელსაც საკუთარი პოზიციის ახსნაც არ შეუძლია, მისდევს ერთ საცოდავ ლგბტ-ს ბნელი ინსტინქტებით შეპყრობილი (მაგრამ ნაკურთხი), ჩემს თანაგრძნობას დევნილი ადამიანი იმსახურებს! — წერს ცოტნე გამსახურდია.



Cyan Magenta Yellow Black

# ირინა იმერლიშვილმა დედამთილს სახლი გაუყიდა

## „ოპოზიციაში ვარ თუ ხელისუფლებაში, ჩემი ქმრისთვის სულ შარი ვარ“

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ირინა იმერლიშვილი ქმართან, ორ შვილთან და დედამთილ-მამამთილთან ერთად მცხეთაში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ძმისშვილის ყოფილ სახლში ცხოვრობს. მათი სარკმლებიდან კარგად მოჩანს სვეტიცხოველი და მცხეთის ჯვარი. თავად დეპუტატი ამ ყველაფრით ძალიან კმაყოფილია. აი, მისი დედამთილი კი დღემდე წუხს, რომ რძალმა თბილისში მისი კუთვნილი ბინა გაუყიდა და დედაქალაქს მოაშორა.

ირინა იმერლიშვილი პარლამენტში „ქართული ოცნების“ სიით მოხვდა. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ნაციონალების რეჟიმის დამარცხებას ვერავინ შეძლებდაო, ამბობს. არადა თავის დროზე სწორედ ამ რეჟიმის შემქმნელების მეგობარი და თანამშრომელი გახლდათ.

დეპუტატი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ცოტა ხნის წინ მოექცა, როცა პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახურის გასაიდუმლოებული მასალები გამოაქვეყნა. ამ დოკუმენტებს მანამდე „გრიფით საიდუმლო“ ედო. ძვირადღირებული სამაჯური მარიამ საჯაიასთვის, პრეზიდენტის ვაჟის, ედუარდ საკაშვილის სწავლის საფასურის გადასახადები, დეპუტატების საახალწლო ტური დუბაიში, ივანა მელაის ოქროს სამკაულები, სოფო ნიჟარაძის თვითმფრინავით მგზავრობის ხარჯები და ა.შ. ამ მასალების გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათში ნაციონალებმა ირინა იმერლიშვილის მაკომპრომეტებელ საქმეებზე დაიწყეს საუბარი — მის ქმარს, შალვა ბებოშვილის კომპანიას ჯარის კვების ტენდერში გაამარჯვებინესო.

დეპუტატ ქალთან ინტერვიუ ამ თემით დავიწყეთ.

**— ქალბატონო ირინა, თქვენი ქმრის ბიზნესი, რომელზეც სკანდალი ატყდა, როდის დაიწყო და რითი?**

— ნაციონალები ჩემს მეუღლეს კარგად იცნობენ, როგორი თანამშრომელი და მენეჯერია. ჯერ ერთი, ის კომპანია, რომელზეც საუბარია, მისი არ არის და რომც იყოს, დანაშაული არ იქნებოდა. ჩემს ქმარს მას შემდეგ არ დაუწყია მუშაობა, რაც მე პარლამენტის წევრი გავხდი. როცა სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა, შალვას იმ დღესვე წაიყვანა დედაქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსად. კიდევ უფრო ადრე, შევარდნაძის დროს, როცა მიხეილ მაჭავარიანი გახდა შემოსავლების მინისტრი, საგანგებო რეგიონის აქციზური სამსახურის უფროსად დანიშნეს. ასე რომ, ჩემი ქმარი ციდან არ ჩამოვარდნილა.

ბიზნესს მას შემდეგ მოჰკიდა ხელი, რაც ჩვენ სახელმწიფო სამსახურში აღარ ვართ. ეს იყო 2004 თუ 2005 წელი. მანამდე მიხეილ სააკაშვილის მოადგილე ვიყავი, როცა ის იუსტიციის მინისტრი იყო. რაც ისინი ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, ერთი დღეც აღარ მიმუშავია. ჩემი მეუღლე მაშინვე წამოვიდა თბილისის კეთილმოწყობის სამსახურიდან. სააკაშვილის გუნდს კარგად ვიცნობდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ მათთან ერთად მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა. იყო პერიოდი, როცა ვმეგობრობდით კიდეც. პარლამენტის აპარატში სტუდენტობის პერიოდიდან ვმუშაობდი და როცა მიშა მინისტრი გახდა, მე და კოტე კუბლაშვილი წავედით მასთან. მიშა ამით ამაყობდა. წიგნი „უკანასკნელი ბრძოლა საქართველოსთვის“ რომ გამოუშვა, იქ არის ფოტო, სადაც ჩვენ ყველანი ერთად ვდგავართ და თავზე შარავანდედივით გვაწერია — „იუსტიციის სამინისტროს ვარსკვლავები“...

**„ნინო ბურჯანაძემ დამირეკა, სააკაშვილი სანამ ოპოზიციაში იყო, მის გვერდით იდექი, ახლა, როცა ხელისუფლებაში მოდის, რა მოხდაო. ვუპასუხე, ამ გუნდთან ერთად ვერ ვიმუშავებ-მეთქი და მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი, რადგან მიშა სააკაშვილსაც კარგად იცნობდა და მეც. თუ არ მჯერა ვინმესი, ვერ ვმუშაობ მასთან, არ გამომდის. ეს პოლიტიკოსისთვის ალბათ ცუდი თვისებაა, მაგრამ იურისტი ვარ და ეს ალბათ იმიტომ მახასიათებს. თუ ზუსტად არ ვიცი, რომ იმ საქმეში მართალი ვარ, არ გავაკეთებ. უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ სწორად მოვიქეცი, როცა ნაციონალებთან არ დავრჩი.**

**„უცბათ დავინახეთ და გადავიჩიეთ ეთმანეთზე-მეთქი, ჰომ ვთქვა, ასე ეს ოფიცი. ეს უთიეთობამ მოიტანა. აღარც ჰატარები ვიყავით, თუმცა სიყვარულმა ასაკი ეს იცის და ჩვენც დიდმა სიყვარულმა დაგვაქოჩინა. სხვანაირად ვერც ნახომიდგენია ოჯახის მექმნა“.**

ირინას ქმარი, შალვა ბებოშვილი

მე და ჩემმა ქმარმა სამსახურები რომ მივატოვეთ, ორი პატარა შვილი გვყავდა და ბინა, ბანკიდან ავიღეთ კრედიტი. ეს 6-7 წლის წინ იყო. საგარეჯოს რაიონში პირველად კიტრის და პომიდვრის სათბური მოაწყო, განვითარდა ეს სათბურები, შემდეგ გააკეთა კვების პროდუქტების პატარა ქარხანა თბილისში, სადაც 50-58 კაცი ჰყავს დასაქმებული და სხვადასხვა მაღაზიათა ქსელს ამარაგებს. სალათებს, დაფასოებულ ბოსტნეულს, გამომცხვარ პროდუქტებს და ა.შ. აწვდის. ამ საქმეში მარტო არ არის. 4-5 მოწილე ჰყავს.

ყველაფერი, რაც კი გაგვაჩნია, ბანკში გვაქვს ჩადებული იმის იმედად, რომ ის საწარმო გადაიხდიდა ამ ვალებს. გადაცემა „ბიზნესკურიერი“ ჩემს მეუღლეს ბოლო 4-5 წლის განმავლობაში საკმაოდ ხშირად იწვევდა, როგორც ერთ-ერთ წარმატებულ მეწარმეს და ამ საქმის ექსპერტს. როცა მე ნაციონალების კომპრომატები დავდე, ეს ყველაფერი დაავიწყდათ და ისე წარმოაჩინეს, ვითომ ახლა გამოჩნდა ასეთი ადამიანი.

**— რა კომპანიაა, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა და სადაც თქვენი მეუღლე მენეჯერია?**

— ერთ-ერთი კომპანია აირჩიეს ებრაელმა ინვესტორებმა და მივიდნენ ერთ-ერთ საუკეთესო ნოტარიუსთან, სადაც დაიდო ხელშეკრულება, რომ მისი ყიდვა უნდოდათ მხოლოდ იმისთვის, რომ ამ ტენდერში გასულიყვნენ. თუ ტენდერში გაიმარჯვებენ, მხოლოდ მაშინ ჩადებენ თანხას. ჩემი მეუღლე მათ იქირავეს აღმასრულებელ დირექტორად, რადგან შეხედეს, როგორც ჰქონდა საქმე აწყობილი. ამ საწარმოს ფინანსური დირექტორი სხვაა. ათასობით ტენდერია გამოცხადებული სახელმწიფოს მიერ. კვებასთან დაკავშირებით 72 ტენდერია და ამ ებრაელების კომპანიას მხოლოდ ორზე ჰქონდა შეტანილი მოთხოვნა. ეს ტენდერი ჯერ დამთავრებული არ არის. დისკვალიფიკაცია გაუკეთეს, ამათ გაასაჩივრეს და კვლავ ცდილობენ, რაღაცას მიაღწიონ.

თუ ეს კომპანია არ გაიმარჯვებს, ებრაელი ინვესტორები მფლობელს უკან დაუბრუნებენ და აღარც ჩემი მეუღლე იქნება აღმასრულებელი დირექტორი. დღეს ბიზნესსექტორი ყველაზე კარგად ხვდება, რომ მარწუხებიდან გათავისუფლებულია. არავინ ეუბნება, ტენდერში სხვა უნდა გავიყვანო და შენ არ გაბედო მონაწილეობაო... პრემიერმინისტრმა თქვა, რომ უფრო შემზარავი ფაქტებიც არსებობს, ვიდრე ჩემ მიერ გასაჯაროებული დეტალები.

**— როგორ ჩაგიყარდათ ხელში ის დოკუმენტები, რომლებსაც თაყის დროზე გრიფი „სა-**



Cyan Magenta Yellow Black

■ შვილებთან ერთად

**იდუმლო“ ედო?**

— მე ვარ ინიციატორი დაცვის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებებისა. დაცვის სამსახური ახლა, ნაცვლად პრეზიდენტისა, საქართველოს მთავრობას ექვემდებარება. პრეზიდენტს იმიტომ ექვემდებარებოდა, რომ კონსტიტუციის ჩანაწერის მიხედვით, ის იყო საქართველოს მთავრობის მეთაური. ახლა ეს ჩანაწერი აღარ არის კონსტიტუციაში და კანონი უნდა გასწორდეს.

გახსოვთ, როგორი არაადეკვატური რეაქცია მოჰყვა ამას მიშასგან — დაცვას მართმევენო და ელექტრომობილით სიარული დაიწყო. როცა პრეზიდენტის ადმინისტრაციას შევთავაზეთ თვეში ერთი მილიონი ლარი და 350 კაცი დაცვაში, იმდენად ეცოტავათ, გვითხრეს, სულ არ გვინდა, რას გვაშაყირებთო. ამ საოცარი რეაქციის გამო დავინტერესდი, თუ როგორ შეიძლებოდა ეს თანხა ცოტა ყოფილიყო. გამოვითხოვეთ ხარჯები, რომლებსაც გრიფი „საიდუმლო“ ედო. მე მაქვს საიდუმლო ინფორმაციასთან წვდომის საშუალება, მაგრამ მივმართე პროკურატურას და ვითხოვე, მოეხსნათ გრიფი „საიდუმლო“, რადგან სხვანაირად ვერ გავასაჯაროებდი. ამ პროცედურებს დიდი ხანი დასჭირდა. როგორც კი ინფორმაცია მივიღე, მაშინვე საჯარო გავხადე.

ყველაზე უწყინარი ხარჯი — პრეზიდენტის შვილის სწავლის საფასურის გადახდა დაცვის სამსახურიდან, სრულიად გაუგებარია. არ მახსენდება, რომელ ქვეყანაში, მაგრამ, როცა პრემიერმინისტრს გაუგეს, რომ მთავრობის ბენზინის ტალონით ჩაასხა საკუთარ მანქანაში საწვავი, კომენტარიც არ გაუკეთებია, ისე გადადგა. ჩვენმა პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ეს ხარჯები ნამდვილია, მაგრამ კომენტარები იყო საოცარი — თქვენც გაიღეთ მსგავსი ხარჯები, თქვენც გაუკეთეთ საჩუქრები სხვებს და პოპულარიზაცია გაუკეთეთ საქართველოსო! მაგრამ რა ხარჯებით?!

**— თქვენი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა როგორია, მაგალითად, როგორი სახლი გაქვთ?**

— მე და ჩემი ქმარი თბილისში დაბადებულ-გაზრდილები ვართ. მე ვერაზე დავიბადე. ჩემი კლასელები არიან ნათია ფანჯიკიძე, სოსო ფხაკაძე, ლევან თარხნიშვილი... მე და ჩემმა ქმარმა თბილისში სახლები გავყიდეთ და მცხეთაში გადავედით საცხოვრებლად. კარგ ადგილას ვცხოვრობ — ჩვენი სარკმლები სვეტიცხოველს და ჯვრის მონასტერს უყურებს. როცა პატრიარქის ძმისშვილი, მეუფე დიმიტრის ძმა გარდაიცვალა, მისმა ქვრივმა სახლი გაყიდა მცხეთაში და ჩვენ ვიყიდეთ. მივაშენ-მოვაშენეთ, გავადიდეთ და იქ ვცხოვრობთ შვილებთან ერთად. იქიდან შვილები თბილისში სკოლაში დაგვყავს. ხალხის გარკვეულ კატეგორიას კარგა ხანს არ ესმოდა ჩვენი. სოფლიდან თბილისში ჩამოდის ხალხი, თქვენ აქ რატომ ყიდით ყველაფერს და რაიონში რატომ გადადიხართ საცხოვრებლადო.

**— მართლაც რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?**

— რწმენის, კარგი ხედის და სხვა ყველაფრის გამო. როგორი დაღლილი და გაღიზიანებულიც უნდა ვიყო, როგორც კი გადავუხვევ მცხეთისკენ, ვწყნარდები. იქ სულ სხვა აურაა. სანამ ჩემს მეუღლეს გავიცნობდი, 2 წელი მონასტერში ცხოვრობდა. კარგად იცნობდა მეუფე დიმიტრის დედას, რომელიც მონაზონი გახლდათ. არ მიყვარს, როცა ასეთი თემებით სპეკულირებენ, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ სახლის შესასვლელში გვიკიდია ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ამ ქალმა ჩემს მეუღლეს აჩუქა. ეს ხატი ლამაზ ხის სახლში გვაქვს ჩასმული და მის დიდ მფარველობას ვგრძნობთ.

**— და ეს სახლია ბანკში ჩადებული?**

— დიახ, მაგრამ გადავიხდით, არ დაგვეკარგება. მე კარგი ხელფასი მაქვს. არც ჩემი მეუღლე დაიკარგება. ამ ტენდერს მოიგებენ თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს. იმ ებრაელების კომპანიაში წილი რომ ჰქონდეს, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ, თუ ტენდერს მოიგებენ, კარგი ხელფასი ექნება. 10 წლიანი კრედიტია და ნელ-ნელა გადავიხდით.

**— მონასტერში საცხოვრებლად მაშინ მიდიან, როცა აქაურ ყოფას ვეღარ ეგუებიან. თქვენი ქმრის ეს ნაბიჯი თავის დროზე რამ განაპირობა?**

— მეგობრებთან ერთად წავიდა და ვინც მასთან ერთად მაშინ იმ მონასტერში ცხოვრობდა, ისინი ახლა ბერები არიან. ჩემი ქმარი კი საერო ცხოვრებას დაუბრუნდა.

**— თქვენი საყვარულის ისტორია როგორია?**

— პარლამენტში გავიცანით ერთმანეთი. რაღაც საქმეებზე მოდიოდა ხოლმე. დათო ტყეშელაშვილთან მეგობრობდა და მას აკითხავდა. დათო შემდეგ შალვას მეჯვარე გახდა. თანატოლები ვართ. 29 წლისანი ვიყავით, რომ დავქორწინდით. მანამდე არც მე ვყოფილვარ გათხოვილი და არც მას ჰყოლია ოჯახი. უცბათ დავინახეთ და გადავირიეთ ერთმანეთზე-მეთქი, რომ ვთქვა, ასე არ ყოფილა. ეს ურთიერთობამ მოიტანა. აღარც პატარები ვიყავით, თუმცა სიყვარულმა ასაკი არ იცის და ჩვენც დიდმა სიყვარულმა დაგვაქორწინა. სხვანაირად ვერც წარმომიდგენია ოჯახის შექმნა.

**„უფრო საჭოტოჯოლო ტანსაცმელი მაქვს, ვიდრე ფრიალა ხალაცები... ისც იმხელა გახდეხობი მაქვს, რომ ყოველდღე სხვადასხვა ტანსაცმლით ვიარო“.**

გაცნობიდან დაახლოებით ერთი წლის მერე ვიქორწინეთ. ყველაფერი ტრადიციის დაცვით მოხდა — მოვიდა, ჩემი ხელი სთხოვა ჩემებს, ნიშნობის ბეჭედი მოიტანა. დედა, მამა, ძმა, რძალი — ყველა მოიყვანა. დიდი ქორწილი გადავიხადეთ. ჩვენს ქორწილში ბევრი ჩვენი ახლანდელი ოპოზიციონერი იყო და მათ შორის — მიშა სააკაშვილიც... ოპოზიციაში ვარ თუ ხელისუფლებაში, ჩემი ქმრისთვის სულ შარი ვარ.

**— შარი ხარო, თავად გეუბნებათ?**

— არა, ამას მე ვამბობ. არ გვაქვს ისეთი ურთიერთობა, რომ ამის გამო ერთმანეთს ვუსაყვედუროთ. ესმის, რა და რატომ ხდება. ვიცი, რომ მართალი ვარ, მაგრამ ადამიანურად არ არის სასიამოვნო.

**— რამხელა შეილები გყავთ?**

— ბიჭი 12 წლის გახდა და გოგო — 11-ის. მივაყოლე ერთმანეთს. ლამის იუსტიციის სამინისტროში გავაჩინე ორივე. ახლა ძალიან სჭირდებათ დედა, მაგრამ არასოდეს ჰყავთ სახლში.

**— როცა სახლში ყოფნას ანერგებთ, როგორი დიასახლისი ხართ?**

— კარგი და ყველა აღნიშნავს, რომ ჩემი ნახელავი მოსწონთ. მიუხედავად იმისა, რომ დედამთილი იმერელი მყავს, ხაჭაპურის გამოცხობა დღემდე არ ვიცი, მაგრამ რომ იციან ხოლმე თქმა, კარგი ხელი აქვსო, ასეთი ვარ მეც. პატარაც არ ვიყავი, როცა ოჯახს მოვეკიდე და ბევრი რამ ვიცოდი. კარგ კერძებს და ნამცხვრებს ვაკეთებ.

**— ალბათ გურმანიც ხართ.**

— არა, ჩემი წონის მიუხედავად, გურმანი არ ვარ. ეს უფრო არასისტემური და ურეჟიმო კვების ბრალია. მეტყობა კიდეც, რომ დიეტას ვერ ვიცავ. დილით ვერ ვსაუზმობ, ბავშვობიდან ასე ვარ. ჩემი შვილებიც ასე არიან. მთელი დღე სამსახურში ვარ და საღამოს რომ მივდივარ სახლში, კარგად ვვახშმობ, ვიძინებ და შესაბამისი შედეგიც მაქვს.

**— როგორც ქალი, როგორ უყლით თავს, როგორი სამოსი, აქსესუარები და ნივთები მოგწონთ?**

— ვფიქრობ, ქალი მეტნაკლებად მოწესრიგებული უნდა იყოს. იმ ქალების კატეგორიას არ მივეკუთვნები, ყოველდღე რომ სალონებში სხედან, თუმცა ცოტათი მშურს მათი. მით უმეტეს, როცა პარლამენტში ხარ, მოწესრიგებული უნდა იყო. ჩემს გარდერობში უფრო მეტი პიჯაკია. უფრო საპროტოკოლო ტანსაცმელი მაქვს, ვიდრე ფრიალა რაღაცეები.

**— ქმარი როდის გეუბნებათ კომპლიმენტებს?**

— ჩემს ქმარს არ უყვარს, როცა გაშლილ თმაში მხედავს. ამას წინათ ერთ-ერთ შოუში ვიყავი. თმა გაშლილი მქონდა. მითხრა, არ გიხდება, შეკრულ თმაში გაცილებით ნორმალურად გამოიყურებიო. ამ საკითხს ოჯახში მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ. არც იმხელა გარდერობი მაქვს, რომ ყოველდღე სხვადასხვა ტანსაცმლით ვიარო და დღეში ორჯერ გამოვიცვალო. არიან ადამიანები, ვინც ამას განსაკუთრებით აქცევენ ყურადღებას, მე — არა.

**— როცა მცხეთაში გადასვლა გადაწყვიტეთ, საკუთარი მანქანა უსათუოდ დაგჭირდებოდათ.**

— მე და ჩემს მამამთილს საერთო მანქანა გვყავს. ახლა პარლამენტის ავტომობილი მემსახურება და თან სულ ქუთაისში ვარ. ჩემს მამამთილს კი იმ მანქანით ბავშვები დაჰყავს სკოლაში. დედამთილი და მამამთილი რომ არ მყავდეს, არ ვიცი, რა მეშველებოდა. ჩემი მძღოლიც ადამიანია და შაბათ-კვირას, როცა ქუთაისიდან ჩამოვდივარ, თბილისში თავად დავდივარ მანქანით, მას ვასვენებ.

**— თქვენს დედამთილ-მამამთილსაც უნდოდათ მცხეთაში გადასვლა თუ რძლის სურვილს დაჰყვნენ?**

— არ უნდოდათ მცხეთაში და დღემდე აპროტესტებენ. მათ ვაკეში ჰქონდათ დიდი სახლი, სადაც ჩემი ქმარი დაიბადა და გაიზარდა. იმ ადგილას ახლა დიდი ორმოა — კორპუსი უნდა აშენებულიყო და ვერ აშენდა. მე და ჩემს დედამთილს პეკინზე, ახალაშენებულ სახლში გვქონდა ფართი და გავყიდე. მარტო არ ვყოფილვარ ამ საქმეში, ჩემს ქმარსაც ასე უნდოდა და მხოლოდ მე არ დამაბრალოთ!.. (იცინის). ჩემი ამბები მათ, ვინც ჩემს ოჯახზე ათას რამეს ამბობენ, ყველაზე კარგად იციან, რადგან ბევრჯერ არიან ჩვენთან ნამყოფი.

მე ვერაზე დავიბადე. სახლი პირველ სართულზე გვქონდა და გავყიდეთ — კომერციულ ფართად იყიდეს. ახლა იქ მაღაზია აქვთ და რომ ვუყურებ, გული მისკდება!

✓ **რუსუდან ადვაძე**



Cyan Magenta Yellow Black

# რამ აიძულა მოძღვრები, ჯვრით ხელში ერის დასაცავად გამოსულიყვნენ

## რა ფულით ფინანსდება ჰომოსექსუალების აქციები

**„კაცმა ქალობა დაიწყო, კოხტაობს, სიტყვა ნაზია, ფერსა და უმარილს ისომს, მაშ არ მომივა ბრაზია?!“**

ლექსის ეს სტრიქონები დიდ ქართველ მგოსანს, ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის. რამაც ვაჟა-ფშაველა დაახლოებით ორი საუკუნის წინ გააბრაზა, ის დღესაც რომ ბევრს აღიზიანებს, 17 მაისს რუსთაველზე მომხდარმა ამბებმა დაგვანახვა. სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებმა, ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებთან ერთად აქციის ჩატარება სცადეს. ამბობენ, რომ ეს მხოლოდ თავიანთი უფლებების დასაცავად გააკეთეს, რამაც ქართველებს ისეთი ბრაზი მოჰგვარა, ერიან-ბერიანად მუშტებისა და ქვების სროლაზე გადავიდნენ. მრევლს წინ სასულიერო პირები წარუძღვნენ და ე.წ. ლგბტ პირებს, რომ იტყვიან, კუდით ქვა ასროლინეს.

დაახლოებით ორი თვის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ რუსთაველის გამზირზე ჰომოფობიის დღის აღსანიშნავი აქცია დააანონსა. სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს თავიანთი პროტესტი უნდა გამოეთქვათ, რომ მათ ერში ინტეგრაცია უჭირთ. ანონსი ხალხმა გეიაღლუმის ჩატარებად აღიქვა, რასაც საქართველოს უახლეს ისტორიაში ჯერარნახული პროტესტი მოჰყვა სასულიერო პირებისგან.

ხელჩაკიდებული მოძღვრები წინ წარუძღვნენ თავიანთ სულიერ შვილებს და იმ ადგილას იმაზე ადრე მივიდნენ, ვიდრე იქ ჰომოსექსუალები და მათი მხარდამჭერები გამოჩნდებოდნენ. „გარყვნილების აღლუმი“, „ეროვნულობის და ტრადიციების შეურაცხყოფა“, „გრანტიჭამიების ამორალური ქმედება“ — ასეთი იყო სამღვდელოების გვერდით მდგომთა შეფასებები აქციაზე, რომლის მონაწილეთა რაოდენობა 10.000-ს აჭარბებდა. ჰომოსექსუალები და მათი მხარდამჭერები კი დაახლოებით 250 კაცამდე იყვნენ.

მალე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ქვების სროლით ათეულობით მოქალაქე დაშავდა. საზოგადოების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ 17 მაისს პროვოკაცია უშიშროების საბჭოს მდივანმა, გიგა ბოკერიამ და მისმა ცოლმა, თამარ ჩერგოლეიშვილმა მოაწყვეს. სოციალურ ქსელებში ბოკერიას გადადგომის მოთხოვნაც გაჩნდა. თავად გიგა ბოკერია კი იმ სასულიერო პირების დასჯას ითხოვს, ვინც კონფლიქტში მონაწილეობდა. „სასულიერო პირობა რა, ლიცენზიაა დაუსჯელი ძალადობისკენ?!“ — კითხულობს გიგა ბოკერია.

■

სასულიერო პირების მხრიდან გამოვლენილ მძაფრ რეაქციას და ფიზიკურ აქტიურობას, რაც საქართველოში ძალზე იშვიათ შემთხვევაში მომხდარა, ევროპულ-ლიბერალურ შეხედულებათა მქონე მოქალაქეთა მხრიდან აღშფოთება მოჰყვა, რასაც ტელევიზიითა თუ სოციალურ ქსელებით გამოხატავდნენ. ეკლესიის ღანძღვა-გინების ნაკადი წამოვიდა, თითქოს ამ მომენტს ელოდნენო. მაშინვე გაჩნდა აზრი, რაც შემდგომი მოვლენებით გამყარდა, რომ გეების აქცია და პროვოკაციების მოწყობა სწორედ ყველაზე მაღალი ნდობისა და რეიტინგის მქონე ინსტიტუტის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

„ნაშუადღევს ტრანსპორტით ვმგზავრობდი. მძღოლი იძულებული გახდა, სანაპიროთი წასულიყო. სანამ გადაკეტილი გზების გამო ბარათაშვილის ხიდს გადავიდოდით, იუსტიციის სახლის პირდაპირ „მარშუტკაში“ ამოცვივდნენ ჰომოსექსუალები და მათთან ერთად ჟურნალისტი გოგონები... ერთი-ორ ფერად ბიჭუნას ოდნავ ჰქონდა შელამაზებული სიფათი. გოგონებს არაფერი სჭირდათ. უნდა გენახათ, რა წივილ-კივილში იყვნენ ბედნიერებისგან. სიხარულს ვერ მალავდნენ. პირველად ვნახე გახარებული ნაცები ადამიანი. ამბობდნენ, აწი ნახე, გრანტები და ფინანსები რამდენი წამოვიდეს, მაგარი საქმე გაგვიკეთეს, აწი ევროპა უფრო დაგვაფინანსებს, ვიდრე ამერიკაო... ერთი ამბობდა, მე ცოტა მომხვდა, სისხლი არ წამომსვლიაო. ყველაზე „დაზარალებული“ რომელიც იყო, ამბობდა, ახლო კადრებით გადამიღე ფოტო და დროზე ატვირთეთო... დამწუხრებული სახეები მიიღეს და ფოტოები გადაიღეს... განსაკუთრებით გახარებულები იმით იყვნენ, კადრები ვერ წაგვართვესო. აგინებდნენ ეკლესიას, ღმერთს, სასულიერო პირებს, ივანიშვილს, პოლიციას და საქართველოს...“ — წერდა „ფეისბუქის“ ერთ-ერთი მომხმარებელი.

■

— მე იქ ვიყავი, როგორც ერთი ჩვეულებრივი ქართველი, მაგრამ არ გამომივიდა, რადგან ეპისკოპოსის ჯვარი სხვა რამეა. მე მხოლოდ იმისთვის მივედი, ვინც მიცნობს, ის მხარე მაინც რომ გამეჩერებინა. ასევე იყვნენ მამები, რომ ვისაც იცნობდნენ, ისინი გაეჩერებინათ და მადლობა ღმერთს, ხელისუფლებამაც იყოჩაღა. მათ ის ადამიანები გაარიდეს და პოლიცია და მამები ერთად ეხმარებოდნენ გასვლაში. მოხდა სამწუხარო შემთხვევებიც. როდესაც ამდენი ადამიანია, იქ ძნელია მარტო ქრისტიანობასა და მორალზე საუბარი. ბევრმა თავის ადამიანურ ბუნებას ვერ გადააბიჯა და ვიღაცას მტრად შეხედა, შეაგინა ან ხელი მოუქნია. როგორც მითხრეს, სასულიერო პირებიც იყვნენ მათ რიგებში. მე მათ ვერც გავამტყუნებ და ვერც გავამართლებ. ისინიც ადამიანები არიან და შესაძლოა ნერვებმა უმტყუნათ... როდესაც გეუბნებიან, დაძაბული სიტუაციაა და გადადი სხვაგანო, კეთილი უნდა ინებო და გადახვიდე. თუ ქვეყანა გიყვარს, გადახვალ, როცა ქვეყანა არ გიყვარს და ფული გიყვარს, არ გადახვალ, — იქადაგა მეორე დღეს მეუფე იაკობმა სვეტიცხოვლის ტაძარში.

**ახჩიე ბაქრაძე: „ჰომოსექსუალიზმი ქსევითი გადახრაა. 30 ნელია ამ სფეროში ვარ და არც ერთ ასეთი ქსევის ადამიანს არ უთქვამს, მინდა, ჩემი შვილი ასეთი გამოვიდესო. ასე რომ, აშკარად ნეგატიურთან გვაქვს საქმე. ეს არ არის ნორმა“.**

■

რამ გამოიყვანა ჯვრებით ხელში სასულიერო პირები რუსთაველის გამზირზე, ვინ მოაწყო პროვოკაცია, ვინ არიან და საიდან ფინანსდებიან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას ეწევიან, რა მოვლენაა ჰომოსექსუალიზმი... — ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად „სარკემ“ იმ პიროვნებებს მიმართა, ვისაც საზოგადოებაში ჭკუა მოეკითხება და ვისგანაც გონივრულ განმარტებებს ველოდით. რა თქმა უნდა, ვესაუბრეთ მათაც, →74



Cyan Magenta Yellow Black

# ქართული ელიტარული ალკოჰოლის მწარმოებელი კომპანია „ასკანელი ძმები“ რუსულ ბაზარზე შედის

## „ჩვენი კონიაკი ევროპამ და 15-მა ქვეყანამ აღიარა“

რუსულ ბაზარზე ქართული ღვინო და სხვა ალკოჰოლური სასმელები ბრუნდება. ამ პროცესს თან ბევრი შრომა და ხშირ შემთხვევაში არასასიამოვნო გაუგებრობაც ახლავს. ალკოჰოლის მწარმოებელმა კომპანიამ „ასკანელი ძმები“ ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა სურვილი, ყველა ის შემოწმება გაევლო, რაც რუსულ ბაზარზე შესვლისათვის იყო საჭირო. კომპანია თავისი პროდუქციის ხარისხში ყოველთვის დარწმუნებულია და ხარისხის ყველანაირი შემოწმებისათვის ღიაა. ამჯერადაც რუსული მხარის მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილა. 15 წლიანი კომპანია აქცენტს მხოლოდ მაღალ ხარისხზე აკეთებს. ამის დასტურია ისიც, რომ „ასკანელი ძმების“ ღვინოსა და კონიაკს საერთაშორისო ხარისხის უამრავი ჯილდო და ოქროს მედალი აქვს მიღებული.

რუსულ ბაზარზე დაბრუნების პროცესი რომ სიურპრიზებით არის სავსე, ეს არაერთმა ქართულმა კომპანიამ იწვნია საკუთარ თავზე. გამონაკლისი არც „ასკანელი ძმები“ აღმოჩნდა. რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „როსპოტრებნადზორმა“ და მისმა ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ „ასკანელი ძმების“ კონიაკის ხარისხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ამ ყველაფერს აშკარად პროვოკაციის ელფერი აქვს და ქართული მხარე ამ ინფორმაციას გაუგებრობას უფრო უწოდებს, რადგან რუსეთის მთავარი სანიტარისგან არანაირი სახის დოკუმენტი არ მიუღიათ იმასთან დაკავშირებით, რომ მათ პროდუქციას იწუნებდნენ. „ასკანელი ძმების“ ხელმძღვანელობა თავს იკავებს ამ პროცესების არაჯანსაღი კონკურენციის ბინძურ კამპანიად შეფასებისგან. კომპანია დარწმუნებულია თავისი წარმოებული პროდუქციის ხარისხში. ის 15 ქვეყანაშია წარმოდგენილი, მათ შორის — ევროკავშირის ქვეყნებშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ პროდუქციას ყველაზე ავტორიტეტული ევროპული ლაბორატორიები ამოწმებენ.

„როსპოტრებნადზორის“ სპეციალისტები კომპანიას „ასკანელი ძმები“ გაზაფხულზე სტუმრობდნენ, ადგილზე გაეცნენ წარმოების პროცესს და პროდუქციის ნიმუშები წაიღეს. უკვე დადასტურებულია, რომ ასკანელების ღვინო რუსულ ბაზარზე უპრობლემოდ შევა. გაუგებრობის მოსაგვარებლად ქართული კომპანია მზადაა, დამატებითი შემოწმება გაიაროს და უკვე შემდგარი მოლაპარაკებების შედეგად, კონიაკის ნიმუშებს მოსკოვში თავიდან გააგზავნიან.

როგორც „ასკანელი ძმების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელმა აღნიშნა, რუსეთის მთავარ სანიტარულ ექიმს გენადი ონიშჩენკოს კომპანიამ განცხადებით მიმართა და ამ დღეებში „ასკანელი ძმების“ კონიაკის ხარისხის შესახებ მედიაში გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით განმარტებები მოითხოვა.

**ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელი:**

— გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს გენადი ონიშჩენკომ „ასკანელი ძმების“ კონიაკის ხარისხი ეჭვქვეშ დააყენა. აშკარაა, რომ ადგილი აქვს გაუგებრობას. „ასკანელი ძმები“ ვამაყობთ ჩვენი კონიაკის ხარისხით, რომელიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ 15 ქვეყანაში იყიდება, გააჩნია სახელმწიფო რეგისტრაცია და მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით მიღებული გვაქვს ოქროს და ვერცხლის მედლები, ამიტომ დაუყოვნებლივ მივსწერეთ ოფიციალური წერილი გენადი ონიშჩენკოს, განმარტებები მოვითხოვეთ და ახლა პასუხს ველოდებით. ჩვენი წარმომადგენელი უკვე მოსკოვშია, სადაც მოლაპარაკებები გაიმართა და პროდუქციის ნიმუშები, სავარაუდოდ, უმოკლეს ვადებში გაიგზავნება ხელახალი სერტიფიცირებისათვის.

კომპანია „ასკანელი ძმების“ გენერალური დირექტორის ირაკლი ბექაურის განცხადებით, „როსპოტრებნადზორში“ წარდგენილმა პროდუქციამ ხარისხის კონტროლის სამი საფეხური გაიარა: უშუალოდ წარმოებაში, ქარხნის ლაბორატორიასა და დამოუკიდებელ ლაბორატორიაში „ღვინის ლაბორატორია“.

**ირაკლი ბექაური:**

— პროდუქციამ ღვინის ნაციონალური სააგენტოს დადებითი შეფასებაც მიიღო. პროდუქციის ნიმუშები იმ პარტიებიდან ამოიღეს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნება, მათ შორის — ევროკავშირის. კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით აქამდე არასდროს მიგვიღია შენიშვნა ოფიციალური სტრუქტურების ან მომხმარებლების მხრიდან. ამის მიუხედავად, მზად ვართ, ხელმეორედ გავიაროთ შემოწმება და ამის შესახებ გენადი ონიშჩენკოსაც მივსწერეთ. მზად ვართ დამატებითი შემოწმებისათვის, რადგან ჩვენი პროდუქციის ხარისხში 100 პროცენტით ვართ დარწმუნებულები.

**გრიგოლ კუნჭულია, საქართველოს ხარისხის ასოციაციის პრეზიდენტი:**

— კომპანია „ასკანელი ძმების“ პროდუქცია ყოველთვის გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რაც უამრავი საერთაშორისო ჯილდოთია დადასტურებული. კომპანიამ ხარისხის მენეჯმენტისა და მზა პროდუქციის შეფასების საკმაოდ რთული და ყოვლისმომცველი პროცედურა წარმატებით გაიარა და უახლოეს მომავალში კომპანიის კონიაკსა და სხვა პროდუქციას „ხარისხის ნიშნის“ მარკირების უფლება მიენიჭება. ცოტა ხნის წინ ევროპული ხარისხის ექსპერტების დელეგაცია გვყავდა და მათ სწორედ „ასკანელი ძმების“ პროდუქციით ვუმასპინძლეთ. ამიტომაც ცოტა უხერხულია ხარისხზე შენიშვნები. ვფიქრობ, ეს გაუგებრობაა, რომელიც მალე მოგვარდება.

რაც შეეხება უახლოეს გეგმებს, როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბექაურმა აღნიშნა, „ასკანელი ძმების“ ქარხანაში მოეწყობა მედიატური, სადაც ჟურნალისტებს და ნებისმიერ ექსპერტს საშუალება ექნებათ, დეტალურად გაეცნონ წარმოების მთელ ციკლს და მოახდინონ სხვადასხვა წლოვანების ქართული ბრენდის დეგუსტაცია.

„ასკანელი ძმები“ 15 წლის წინ დაარსდა და დღეს ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ქართული ელიტური ალკოჰოლის მწარმოებელ კომპანიებს შორის. კომპანია აწარმოებს 8 სახეობის კონიაკს, 32 დასახელების ღვინოს, 4 დასახელების ჭაჭას. „ასკანელი ძმების“ პროდუქცია საუკეთესოდაა აღიარებული და 100-ზე მეტი ჯილდო აქვს მიღებული სხვადასხვა გამოფენასა და დეგუსტაციაზე. „ასკანელი ძმების“ მიერ წარმოებული სასმელები გადის ექსპორტზე აშშ-ში, უკრაინაში, ჩინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, აზერბაიჯანსა და ბელარუსში. ეს კი დამატებითი დასტურია იმასა, რომ კომპანია მაღალ სტანდარტებს იცავს და სხვადასხვა ბაზრის მოთხოვნებსა და პარამეტრებს აკმაყოფილებს.



Cyan Magenta Yellow Black

# ქართული დუეტი ევროვიზიაზე მოტყუებული დარჩა

## ევროპულმა არჩევანმა ევროპაც კი გააკვირვა

ევროვიზია ქართველებისთვის იმედგაცრუების კონკურსია. ჩვენს დიდ მოლოდინებს და იმედებს ყოველთვის ევროპულად შეფუთული ცივი უარი მოჰყვება ხოლმე. 2005 წლიდან დაწყებული, მას შემდეგ, რაც საქართველო ევროვიზიაზე პირველად გავიდა, მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევია. ყველაზე კარგი შედეგი სოფო ხალვაშის მე-9 ადგილი იყო, ყველაზე ცუდი კი — გასულ წელს ბაქოში ანრი ჯოხაძის ჩავარდნა, როცა ქართველმა მომღერალმა ნახევარფინალს ვერ გააღწია.

■ სოფო და ნოდიკო

ბევრს დაობენ იმის შესახებ, თუ რას უსმენს ევროპა. სკეპტიკოსები ყოველთვის აღნიშნავენ, რომ ჩვენ შორს ვართ ევროპული მუსიკალური გემოვნებისაგან, თუმცა საქართველომ მუსიკალური კუთხით ევროვიზიაზე მრავალფეროვნება და ლამაზი ხმები გამოაჩინა. გვქონდა ლირიკული სიმღერაც, როკვერსიაც, პროვოკაციაც და ჰარმონიული დუეტიც, მაგრამ ევროპას ჩვენი ნამღერი მაინც არ მოსწონს.

წელს შვედეთისთვის ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი საგანგებოდ მოამზადეს (თუმცა არც მათი წინამორბედებისთვის დაუკლია მშობელ ქვეყანას რამე). ევროპული აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით, ამჯერად კომპოზიტორიც ევროპელი იყო, კერძოდ, შვედი. შარშან სწორედ მისმა სიმღერამ „ეიფორია“ შვედ მომღერალ ლორენს გამარჯვება მოუტანა, მაგრამ წელს ქართულ დუეტს — მე-15 ადგილი. რა თქმა უნდა, არ ვიჩემებთ, რომ აუცილებლად ევროვიზიის ნომერი პირველი გამარჯვებული უნდა გავმხდარიყავით, მაგრამ წელს ქართული დუეტი ბევრად უკეთეს პოზიციებს იმსახურებდა. ფინალში წარმოდგენილმა 26-მა ქვეყანამ არცთუ საინტერესო და მრავალფეროვანი რეპერტუარი შემოგვთავაზა. ყველანაირი გემოვნებისა თუ უგემოვნობის გათვალისწინებით, ქართველი მომღერლები ათეულში უნდა მოხვედრილიყვნენ, მით უმეტეს, ფინალამდე ქართულ დუეტს აშკარად ფავორიტებად მოიხსენიებდნენ. მოკლედ, ევროპამ ამ კონკურსზე თავისი ორი სახე გვაჩვენა (ისე, როგორც პოლიტიკაში), ჯერ დაგვაიმედა, ფავორიტობის შეგრძნება გაგვიჩინა და შემდეგ ცივი უარი გვტკიცა.

ამბობენ, რომ ევროვიზიაზე ყველაფერი გეოპოლიტიკურ ჭრილში განიხილება. თუ ეს მოცემულობა არ შეიცვლება, მაშინ რა აზრი აქვს ყოველ წელს საქართველოს მონაწილეობას და ამაში სერიოზული თანხების დახარჯვას იმისთვის, რომ ბოლოს დიდი იმედგაცრუება ვიწვნიოთ?

თუ რა ხდებოდა ევროვიზიის სცენის მიღმა, კულისებში, „სარკეს“ კონკურსის უშუალო მონაწილეები, ევროვიზია-საქართველოს პროდიუსერი ნათია უზნაძე და მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი უყვებიან.

**ნათია უზნაძე:**

— წლებია ევროვიზიაზე დავდივართ, მაგრამ წელს აბსოლუტურად განსხვავებული ატმოსფერო იყო. როგორც კი ჩავედით, აეროპორტშივე ბევრი ჟურნალისტი დაგვხვდა. ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სოფი და ნოდი წლევანდელი ევროვიზიის ფავორიტები იყვნენ. ფინალის დღეს ყველა ჩვენ გარშემო ტრიალებდა. გარდა იმისა, რომ პრესის წარმომადგენლების პრიზი გადმოგვცეს, მოხიბლულები დარჩნენ ავთო ცქვიტინიძის კაბით, რომელიც სოფის ეცვა. ჩაცმის კატეგორიაშიც გამარჯვება მოვიპოვეთ. რაც კი იმ პერიოდში გამოკითხვები და პროგნოზები კეთდებოდა, ყველგან ათეულში შევდიოდით. მეორე ნახევარფინალის შემდეგ ფინალში რომ მოვხვდით, უკვე საუკეთესო ხუთეულში ვიყავით. ჟურნალისტები იმასაც კი გვეკითხებოდნენ, რამდენად არის საქართველო მზად, რომ მომავალ წელს ევროვიზიას უმასპინძლოსო. ნოდიკოს და სოფის დღეში რამდენიმე ტელეარხი იწვევდა და მათი გაპიარება მიდიოდა. ყველა იწყებდა იმით, რომ ისინი ნამდვილი ფავორიტები იყვნენ. როდესაც ევროკლუბში წავედით, სადაც ფანებთან იყო შეხვედრა, ქართული დუეტი 5 საათის განმავლობაში დატოვეს იქ, როდესაც სხვა ქვეყნის წარმომადგენლები 15-20 წუთში ამთავრებდნენ შეხვედრას.

ქუჩაში გვაჩერებდნენ, გვეუბნებოდნენ, დროშა მოგვეცით, რომ თქვენი მხარდამჭერები ვიყოთო. ეს მოლოდინი კი ფინალური კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ევროვიზიაზე აკრედიტებული 3.000 ჟურნალისტისა და 2.000 ფანის აღიარებამ დააგვირგვინა. გასულ წელს ზუსტად ეს პრიზი ევროვიზიის გამარჯვებულმა ლორენმა მიიღო. დანიამ, რომელიც წლევანდელი გამარჯვებული გახდა, ვერც ერთ გამოკითხვაში გაიმარჯვა... კონცერტზე კი აბსოლუტურად სხვა მოვლენები განვითარდა.

**ნათია უზნაძე: „ჩვენი სიმღერის ავტორი, შვედი პომპოზიტორი, საოცარი სახით პითხელობდა, ჰა ხდებაო. ახავინ იცის, ჰეაღეჩად ჰა მოხდა“.**

**— უფრო კონკრეტულად როგორ ვანყობთარდა მოვლენები, როგორ მოხდა რომ ფავორიტ დუეტს ქვეყანამ მანიმალური ქული კი არ მისცა?**

— წარმოუდგენელი იყო, როდესაც ხმის მიცემის პროცესი დაიწყო და ევროპის ქვეყნები ქულას არ გვაძლევდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოს დიასპორის სამინისტრომ საზღვარგარეთ მყოფი ქართველების მობილიზება შეძლო და კარგად ვგრძნობდით მათ მხარდაჭერას, შედეგები სრულიად გამაოგნებელი აღმოჩნდა! უბრალოდ, არც ვიცი, როგორი შეფასება გავაკეთო, ვერ ვხვდები, რა მოხდა. ვიცი ის, რომ ბოლო წუთამდე ფავორიტები ვიყავით. ბუკმეიკერები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ყველაზე სწორ პროგნოზს აკეთებენ, ამბობდნენ, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს პროგნოზირებაში შევცდითო. დანარჩენი ყველაფერი ისე გადანაწილდა, როგორც ვარაუდობდნენ. თვითონაც შოკში იყვნენ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ევროვიზია მოულოდნელობების კონკურსია. ყოველთვის ვამაყობ, როდესაც საქართველოს წარმომადგენლები ევროვიზიის სცენაზე დგებიან, მაგრამ წელს ეს სიამაყე იმდენად შთამბეჭდავი და შესამჩნევი იყო... ნამდვილად ვიმსახურებდით, რომ წამყვან პოზიციებზე ვყოფილიყავით!

**— რა ხდებოდა მას შემდეგ რაც ქულები**

→71

# ლუკა კურტანიძის ყოფილ სახლში ღამღამობით იდუმალი ამბები ხდება

## „ამ სახლში ეთმა ჯაცმა საყვარელი მოკლა და იქვე დამარხა“

თბილისში, ლოტკინის უბანში, უცნაური ხმა გავრცელდა — ერთ-ერთ სახლში წლების წინ მოკლული გოგონას სული ბინადრობს, ის ღამღამობით ჩნდება და თუ რომელიმე ოთახში სინათლე დაინახა, ყველაფერს ლეწავს. უზარმაზარ შენობაში ახლა არავინ ცხოვრობს. მაღალ გალავანში ჩასმულ სახლს სპეციალური დაცვის სამსახური დარაჯობს. უბანში მცხოვრები ბავშვები ამ ადგილს სირბილით ჩაუვლიან ხოლმე. სულის არსებობის შესახებ ჭორ-მართალი მთელ თბილისში ელვის სისწრაფით გავრცელდა, უფრო მეტიც, თურმე ამ სახლის სანახავად რაიონებიდანაც კი ჩამოდის ხალხი.

ორსართულიანი სახლი გასულ საუკუნეშია აგებული. ეროვნებით სომეხს, ვინმე თათუზას აუშენებია. ის დიდძალი ფულის პატრონი ყოფილა. მოგვიანებით სამშობლოში, სომხეთში წასულა და იქ გარდაცვლილა. ამის შემდეგ სახლი რამდენჯერმე გაიყიდა. მისი ერთ-ერთი მფლობელი ცნობილი სპორტსმენი, ამჟამად პოლიციის აკადემიის რექტორი ლუკა კურტანიძეც ყოფილა. მეზობლები ამბობენ, რომ მან ეს სახლი სწორედ იმ მიზეზით გაყიდა, რომ ღამღამობით უცნაური ხმები ესმოდა. ამის შემდეგ ეს საცხოვრებელი კიდევ რამდენჯერმე გაიყიდა. ახლა კი ბანკის საკუთრებაა. ბოლო მეპატრონეს ვალების გამო ბინა ბანკმა ჩამოართვა.

მოჩვენების არსებობის შესახებ უფრო რეალური ვერსია კი ასეთია — ვიღაცას არ სურს, ბანკმა სახლი გაყიდოს და ხმები სპეციალურად დაყარეს.

„სულის სახლში“ — ასე უწოდებენ ამ ადგილს მეზობლები — რემონტია. დაცვის თანამშრომელი,

**„დაცვის თანამშრომელს გამოეცხადა და ღამის ჭკუიდან გადაიყვანა. იმ ბიჭმა თქვა, ჰომ ნახა თეთრებში ჩაცმული გოგო, ჰომელსაც გრძელი, ყვითელი თმა ჰქონდა. მას ახ უყვარს ხალხი, ახ უყვარს მუქი...“.**

რომელმაც თავისი ვინაობა არ გაგვიმხილა, სახლის ჭიშკართან დგას. გვითხრა, რომ რემონტს ბანკი აკეთებს, რათა უფრო სარფიანად გაყიდოს. არც ბანკის სახელი დაგვიკონკრეტა. ამბობს, რომ არ იცის, ვინ დაიქირავა — კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომელი ვარ და რომელი ობიექტის დაცვასაც დამავალებენ, იქ ვმუშაობო, გვითხრა.

❖

„სარკე“ სახლის მეზობლად მცხოვრებლებს გაესაუბრა. ერთმამათგანმა, რომელიც ირწმუნება, რომ სული საკუთარი თვალით ნახა, საოცარი ამბები მოგვიყვა და გვთხოვა, მისი ვინაობა არ გაგვემხილა, თორემ მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნებოდა.

**ლოტკინის მცხოვრები:**

— ეს სახლი არ გაიყიდება!

— **რატომ?**

— თქვენ რომ იყოთ, იყიდით? სახლში სული ბინადრობს! ამ სახლის დაცვის თანამშრომლები ახლახან შეცვალეს. მანამდე ვინც იდგა, კინაღამ ჭკუიდან შეიშალა. სახლში მარმარილოს ბუხარია. უცნაური ნახეთქები აქვს. გინახავთ სადმე, მარმარილო თავისით სკდებოდეს?



Cyan Magenta Yellow Black

**— ხომ შეიძლება, ვინმეს ზედ რამე დაუვარდა ან სპეციალურად დაარტყა მძიმე საგანი?**

— გამორიცხულია! ეს ბზარები ახლახან, როცა სახლში უკვე აღარავინ ცხოვრობდა, მაშინ გაჩნდა. მალავენ, მაგრამ აქ რაც მოხდა, ყველამ იცის. 5 წელია ამ სახლის მეზობლად ვცხოვრობ. საოცრად ლამაზი და მდიდრულად გაკეთებული სახლი იყო. ეზოში საუნა და სათბურები იყო მოწყობილი. ახლა დანგრეულია.

**— ამ სახლში ლუკა კურტანიძეს უცხოურია. დღემდე კურტანიძეების სახლს ეძახიან და ჩვენც ასე მოვაგვნით. ლუკა კურტანიძემ ააშენა?**

— არა, სხვისი აშენებულია. ადრე პატარა, ალიზის სახლი მდგარა. მერე ეროვნებით სომეხ კაცს დიდი სახლი აუშენებია. მილიონერი ყოფილა. ამბობენ, რომ ამ კაცს საყვარელი ჰყავდა. ის გოგო მოუკლავს გასული საუკუნის 90-იან წლებში, განუკითხაობის დროს და იქვე, სახლში დაუმარხავს.

**— ანუ მართალია გავრცელებული ხმები, სახლში საფლავი იპოვესო?**

— არა, ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს. ერთი კედელი ისეა ამოშენებული, მგონი, სპეციალურად იმ საფლავის დასაფარად გაკეთეს, აბა, სული რატომ ტრიალებს?! ამბობენ, რომ ეს კაცი დიდად ცოდვიანი ყოფილა. მანდ რომ არ იყოს ის გოგო მოკლული, არც სული იქნებოდა.

**— რას ნიშნავს „სული ტრიალებს“, თქვენ რამე გინახავთ?**

— დაცვის თანამშრომელს გამოეცხადა და ლამის ჭკუიდან გადაიყვანა. ახლა ამბობენ, კარგად არ იქცეოდა, მოლანდებები ჰქონდა და სამსახურიდან გააგდესო. იმ ბიჭმა თქვა, რომ ნახა თეთრებში ჩაცმული გოგო, რომელსაც გრძელი, ყვითელი თმა ჰქონდა. მას არ უყვარს ხალხი, არ უყვარს შუქი... უამრავი ხალხი მოდის და ჰგონიათ, შეიძლება ეს სული დაინახონ. როცა დაღამდება და არავინ არის, მაშინ გამოდის კედლიდან.

ეს ხმები რომ გავრცელდა, იცით, რა ამბავი იყო?! ხალხი ქვებს ესროდა სახურავს. იმ ღამეს კი შიგნიდან საშინელი ხმა გამოდიოდა — ყველაფერს ლეწავდა, ანგრევდა. სინათლეს ვერ იტანს. თუ რომელიმე ოთახში სინათლე ანთია, კედლებს ფხაჭნის. ავა ხოლმე დაცვის თანამშრომელი და სინათლეს აქრობს. თან ამტკიცებს, არაფერიაო. როგორ არ არის?! იმ სომეხმა კაცმა ეს სახლი ლუკა კურტანიძეს მიჰყიდა. აქ მცხოვრებლებს ლუკასთვის ეს ამბავი უკითხავთ და დაუდასტურებია, საოცარი ხმები მესმოდა, იმიტომ გავყიდე და აქაურობას გავეცალეო. ზოგს არ სჯერა. ამბობენ, ტყუილია და სახლი რომ ვერ გაყიდონ, იმიტომ მოიგონესო. თუმცა აქ რომ გოგოს ყელი გამოჭრა იმ კაცმა, ამას ერთი მეზობელი ამბობს ხოლმე. მისთვის უთქვამს, იმ კაცს, ასე და ასე დამემართაო. რომ გაიგონ, ამ ამბებს ვყვები, ალბათ აქედან გამაგდებენ.

**„თუ მსგავსი ჰამ ხდება, ახლობლებმა ან ვინმემ გახსნის ლოცვები უნდა წაიკითხონ მისთვის, ჰომ სული ჰამემ ჰი შეაბჰყოლოს. მოძღვაჰს სთხოვონ და ნაუკითხავს. სახლი ჯი აკუთხონ და იქ მცხოვჰებლებმა იღოცონ!“.**

ლუკა კურტანიძის მერე კიდევ რამდენიმე მფლობელი გამოიცვალა. ბოლოს რომელიღაც პატრონს ვალები დაედო, ვეღარ გადაიხადა და იპოთეკარმა წაართვა. მერე კი ვიღაცამ ბანკში ჩადო და ვერ გადაიხადა. ახლა კი ბანკი ყიდის, მაგრამ ვინ იყიდის?! ხომ ხედავთ, სად და როგორ პირობებში ვცხოვრობ, მაგრამ ეგ სახლი რომც მაჩუქონ, არ მინდა! ბანკი რემონტს აკეთებს. რაც გაკეთება დაიწყეს, მას მერე ის სული ისე გააქტიურდა, რომ ხმები გარეთაც გამოდის.

■ სახლი ლოტკინის ქუჩაზე

**„მეზობლებისთვის ღუჯას დაუდასტურებია, საოცარი ხმები მესმოდა, სახლი იმიტომ გავყიდე და აქაურობას გავეცალეო“.**

ერთი ოთახის ჭერზე ანგელოზების ფრესკები ყოფილა გამოსახული. რაც ის შეღებეს, მას მერე საშინელებები ხდება.

**— დაცვა რატომ სჭირდება სახლს?**

— რომ ვინმე უსახლკარო არ შესახლდეს, თორემ იმ გოგოს კი არ ყარაულობენ. ვინც ამ სახლში ცხოვრობდა, ვერავინ გაიხარა. კურტანიძესაც უთქვამს, რაც მაგ სახლში გადავედი, სულ უკან-უკან წამივიდა საქმეო. მეც გამომეცხადა ერთხელ ის სული. ჩემთვის ვიჯექი კიბეზე. ღამე იყო. უცბათ გვერდით ჩამიქროლა.

**— დაუჯერებელია თქვენი ნაამბობი. მსგავსი რამ მხოლოდ კინოში მინახავს.**

— აქამდე მეც კინოში მქონდა ნანახი. ბიჭებმა ქვები რომ ესროლეს სახურავს, სახლში არავინ იყო, მაგრამ ისეთი ბრაგუნი გამოდიოდა შიგნიდან, გეგონებოდა, კედლებს ეროს ურტყამენო. მე მხოლოდ ერთხელ გავიგონე ხმები. ის დაცვის თანამშრომელი კი ამბობდა, ყოველ ღამე ისმისო. ეს ამბავი ისე მოედო მთელ ქვეყანას, ხაშურიდან, გორიდან, მცხეთიდან ჩამოვიდა ხალხი. ერთ მეპატრონეს მღვდელი მოუყვანია, რომ სახლი ეკურთხებინა, მაგრამ თურმე ეს რიტუალი რომ უნდა დაეწყო, გული წაუვიდა და წაიქცა. როგორც ვიცი, მერე მამა აკაკის მოყვანა უნდოდათ მეტეხის ტაძრიდან, მაგრამ ავად ყოფილა. ახლა რომ დაცვის თანამშრომელი დგას, ეზოში სძინავს, ღამით სახლში ვერ შედის.

❖

**მეზობლად მცხოვრებმა კიდევ ერთმა ქალმა შემდეგი გვიამბო:**

— ტყუილია, რასაც ამბობენ! თათუზა ჩემი ძმის ნათლია იყო. არც საყვარელი ჰყოლია და არც ვინმე მოუკლავს! თათუზას მერე ამ სახლში რელიგიური გაერთიანების, 50-იანელების ოფისიც იყო. მღეროდნენ და იყვნენ ერთ ამბავში. იმის მერე კურტანიძემ იყიდა. იმან გაყიდა, სხვა მოვიდა.

**— კურტანიძემ იმიტომ გაყიდა, რომ უცნაური ხმები ესმოდაო.**

— არა, მანდ სხვა რამე მოხდა. კურტანიძე გაქურდეს და იმიტომ გადავიდა აქედან. ახლა ვიღაცას არ აწყობს, სახლი გაიყიდოს. თან ერთი კი არ არის მფლობელი, ბევრი დაობს, რამდენიმე იპოთეკარია ამ საქმეში ჩართული. თათუზას ცოლ-შვილიც ჰყავდა, დედაც. მერე სომხეთში წავიდნენ, მაგრამ აქ ჩამოასვენეს და დაასაფლავეს. 60 წელია აქ ვცხოვრობ და მსგავსი რამ არ გამიგია. მკვლელობა რომ მომხდარიყო და სახლში სული დაბუდებულიყო, აქამდე არ გახმაურდებოდა ეს ამბავი?! ის კი მართალია, რომ მოძღვარმა სახლის კურთხევა ვერ შეძლო.

❖

ჭიშკართან მდგარი **დაცვის თანამშრომელი** ამბობს, რომ არც ხმა შეუნიშნავს და არც სულების არსებობის სჯერა.

**— ამ სახლზე, რომელსაც თქვენ იცავთ, უცნაური ხმებია გავრცელებული. თქვენ რა იცით ამის შესახებ?**

— რამეს რომ ვხედავდე და მესმოდეს, აქ გავჩერდებოდი?! პატარა შვილი მყავს. არანაირი სამსახური არ მიღირს ამის ფასად. ორი თვეა აქ ვარ და მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. მეზობლები ათას რამეს ყვებიან, მაგრამ სულელი ან რკინის კაცი კი არ ვარ, სახლში სული იყოს და მე აქ ვიდგე! ზოგი რომ მთხოვს, სული მაჩვენეო, ვპასუხობ, ბორკილები დავადე, დაბმული მყავს-მეთქი და სჯერათ.

**— თურმე მოძღვარი მოუყვანიათ და სახლი ვერ უკურთხებია.**

— რაც მე აქ ვარ, მსგავსი რამ არ მინახავს. ეგ ამბავიც მეზობლებისგან გავიგე. ამბობენ, მარმარილოს ბუხარია გახეთქილიო. ეტყობა, ილოთეს და გახეთქეს. ვიღაცის სული რა შუაშია?! ამბობენ, რომ აქ კარგი მოქეიფე კაცი ცხოვრობდა. ისიც გავიგე, წივილ-კივილი ისმისო.

**— თურმე სახლს ქვებსაც ესვრიან სულის შესაშინებლად.**

— კი, ადრე უსვრიათ ქვები, მაგრამ ახლა მსგავსი რამ აღარ ხდება, თორემ კარგ დღეს არ დავაყრი! სირცხვილი იმას, ვინც ეს ჭორი გაავრცელა! თუ არ გჯერათ, მობრძანდით მეგობრებთან ერთად, ჩავაქროთ შუქები, დავსხდეთ და ვუყაყაულოთ. შეიძლება ვიღაც ფანჯარასთან მოვიდეს და დაგიკაკუნოს, რომ სწორედ ეს ასოციაცია შექმნას. სოფელში რომ იციან, კენჭებს შეაყრიან ხოლმე სახლს შეშინების მიზნით... სახლში არაფერია, რემონტი მიდის და რა უნდა დაამტვრიოს?! ყველაფერი ტყუილი და ჭორია! მე რაც მევალება, იმას ვაკეთებ და არც ის ვიცი, რომელ ბანკშია ჩადებული და რემონტს ვინ აკეთებს. კერძო დაცვის სამსახურიდან გახლავართ და სადაც გამაგზავნიან, იმ ობიექტს ვიცავ.

❖

სახლის ფაქტობრივი მეპატრონე ახლა ბანკია. „სარკემ“ მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, ლუკა კურტანიძესთან დაკავშირება ვერაფრით შეძლო. მეტეხის ტაძრის მოძღვარმა, **მამა რაფაელმა** კი გვითხრა:

— წარმოუდგენელია, სახლის კურთხევისას მოძღვარი ცუდად გამხდარიყო. მაშინ ის მღვდელი კი არა, ურწმუნო ყოფილა.

**— რამდენად დასაშვებად მიგაჩნიათ, რომ მრავალი წლის გარდაცვლილი ადამიანის სული სახლში ბინადრობდეს?**

— ადამიანის სული ამქვეყნად მხოლოდ 40 დღის განმავლობაში რჩება. რასაც მეუბნებით, თუ მსგავსი რამ ხდება, ახლობლებმა ან ვინმემ გახსნის ლოცვები უნდა წაიკითხონ მისთვის, რომ სული რამემ არ შეაბრკოლოს. მოძღვარს სთხოვონ და წაუკითხავენ. სახლი კი აკურთხონ და იქ მცხოვრებლებმა ილოცონ!

✓ **რუსუდან ადვაძე**


**მამაკაცებისთვის!**

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

**ეჭიმი ქალბატონი მზია**

**☎ 514-246-446, 218-48-99**




Cyan Magenta Yellow Black

# „ქალი, რომელიც სიყვარულს მეფიცებოდა, სხვისი ცოლი გახდა"

თქვენს ჟურნალში ადამიანების პირად ისტორიებს ძალიან ხშირად ვკითხულობ, თუმცა უფრო მეტად ქალები აქტიურობენ. ამბობენ, როგორ ჩაგრავენ კაცები, რა ცუდია, როცა ხარ სუსტი სქესი და ა.შ. კაცები კი ნაკლებად წერენ თავიანთ ამბებს. გადავწყვიტე, ჩემი ისტორია მოგიყვეთ, თუ როგორ მომექცა ქალი, რომელიც საკუთარ თავს მერჩივნა.

ჩემს ცხოვრებაში ბევრი ქალი ყოფილა, მაგრამ მათ მიმართ სერიოზული გრძნობა არასოდეს გამჩენია. მათთან ყოველთვის გულახდილი ვიყავი, მიყვარდნენ, მაგრამ არა — თავდავიწყებით. 30 წლამდე ასე ვიყავი, ქალები პერიოდულად ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, მაგრამ გულისტკივილს არ ვგრძნობდი. ერთ დღეს კი ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც აბსოლუტურად ყველაფერი შეცვალა. დავინახე თუ არა, მაშინვე მომეწონა. იმ დღესვე გავიგე მისი ტელეფონი და მესიჯი მივწერე. ძალიან გამიხარდა, რომ მისგან პასუხი მივიღე. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელიც გიჟურ სიყვარულში გადაიზარდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრიდან ეს იყო ნაღდი გრძნობა, მას არ ვატყუებდი. ისიც მეუბნებოდა, რომ ვუყვარდი და უჩემოდ ცხოვრება არ შეეძლო. მეგონა, ისიც გულწრფელი იყო, ამიტომ ვერ წარმომედგინა, ოდესმე თუ დავკარგავდი.

მინდოდა, ცოლად მომეყვანა, ჩემი შვილების დედა გამხდარიყო. ვუთხარი კიდეც, როცა მზად იქნები ჩემი ცოლობისთვის, არც მკითხო, შემოაღე კარი და ჩემი სახლის დიასახლისი გახდი-მეთქი. ამას სრული სერიოზულობით ვეუბნებოდი. მზად ვიყავი, რომ სიცოცხლე მის გვერდით დამელია. იცით, როგორ სიტყვებს მეუბნებოდა? რომ ჩემთვის ცხოვრობდა, რომ მზის ამოსვლა იმიტომ უხაროდა, რომ იმ დღეს მე მნახავდა... მე სულელსაც მჯეროდა!

ერთი ლამაზი საღამოს მერე ჩვეულებრივად მივაცილე სახლამდე. არ ვიცი, გულმა მიგრძნო თუ რა იყო, მაგრამ ვუთხარი, ამ ერთ კვირაში უნდა გადაწყვიტო და ჩემი ცოლი გახდე-მეთქი. რაღაცნაირი თვალებით შემომხედა და მითხრა, მოვიფიქრებო. მეორე დღეს არ გამოჩენილა, ტელეფონი გათიშა, მხოლოდ ერთი მესიჯი მომწერა, ხვალ შეგხვდები, დღეს საქმეები გამომიჩნდა და ვერ გელაპარაკებიო. მისი მხრიდან ეს უცნაური საქციელი კი იყო, მაგრამ ცუდზე არ მიფიქრია.

ორი დღის შემდეგ შემხვდა. თავდახრილი მოვიდა, კოცნაზე კოცნით არ მიპასუხა. მითხრა, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გითხრაო და ისეთი ამბის მოყოლა დაიწყო, მეგონა, მაშაყირებდა. თქვა, რომ წინა დღეს დაინიშნა და სამ კვირაში ქორწილი ჰქონდა. ჩემთვის დღემდე გაუგებარი რჩება ის, რომ მიმტკიცებდა, შენ მიყვარხარ, შენსავით მას ვერ შევიყვარებო. მეგონა, ჩემზე მდიდარი იყო ან ჩემზე უკეთესი სამსახური, ან თანამდებობა ჰქონდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. ჩემზე უკეთეს კაცს ნამდვილად არ მიჰყვებოდა ცოლად. ვკითხე, თუ მე გიყვარვარ, მაშინ ცოლად მას რატომ მიჰყვები-მეთქი. ტყუილი მოიგონა, რომ თითქოს მშობლები ატანდნენ ძალას, არადა მორჩილი შვილი არასოდეს ყოფილა.

მითხარით, უცნაური არ არის, რომ ქალი, რომელიც სიყვარულს მეფიცებოდა, ცოლად სხვას გაჰყვა? ძმაკაცმა მითხრა, თქმას ვერ გიბედავდი, თორემ რამდენჯერმე ვიღაც ტიპთან ერთად ვნახე, ხელგადახვეულები მიდიოდნენო. მივხვდი, რომ ორივეს ერთდროულად გვხვდებოდა. მეც რეზერვად ვყავდი და ის კაციც. ალბათ მუშტრის თვალით გვზომავდა, ვინ უფრო კარგი ქმარი ვიქნებოდით. როგორც ჩანს, იმ ტიპმა რაღაცით მაჯობა და ამიტომაც გაჰყვა ცოლად.

რა ჰქვია ასეთი ქალის საქციელს? ამის შემდეგ როგორ უნდა მჯეროდეს ამ „სუსტი" სქესის?! ყველა ქალში ანგარებიან, მატყუარა ადამიანს ვხედავ. ამ განცდას გულიდან ვერ ვიგლეჯ. საკუთარ თავს ვერ ვპატიობ, როგორ ვერ მივხვდი, რომ მატყუებდა, რატომ ვენდობოდი. თუ ამ წერილს წაიკითხავს, მინდა, იცოდეს, რომ ბედნიერებას ნამდვილად ვერ ვუსურვებ!

**თქვენი მკითხველი**

# „დედამთილმა მზითევი კატეგორიულად მომთხოვა"

ქუთათურები რომ ძალიან საყვარელი, თბილი ხალხია, ამაში ყველა დამეთანხმება. ბებიაჩემი — მამის დედა, იქაურია, ამიტომ არდადეგები დამეწყებოდა თუ არა, მაშინვე მასთან გავრბოდი. ერთი სული მქონდა, ქუთაისს როდის ვნახავდი. ხშირად ვამბობდი, თბილისზე მეტად მიყვარს-მეთქი. შეყვარებულიც იქ მყავდა და ამ ქალაქის სიყვარულს ეს უფრო მიმძაფრებდა. ერთი სიტყვით, ჩემი საუკეთესო მოგონებები საქართველოს მეორე დედაქალაქს და ქუთათურებს უკავშირდება.

26 წლის ასაკში დიდი სიყვარული მეწვია. ჩემი შეყვარებული ქუთაისელი იყო, იქ ცხოვრობდა. მეგობრები მეუბნებოდნენ, თბილისელი გოგო იქ როგორ უნდა გათხოვდეო, მაგრამ მათთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ასე გავხდი ქუთათურების რძალი. დედამთილმა

პირველივე დღიდან დაიწყო მინიშნებები, რომ ახალ ოჯახში მზითევი უნდა მომეტანა. მაგალითად მომიყვანდა ხოლმე რომელიმე მეზობელს, მისმა რძალმა ესა და ეს მოიტანაო. დრო რომ გავიდა, მისი მინიშნებები უკვე მოთხოვნად იქცა. ეს ისეთი აუტანელი გახდა, რომ ჩემებს შევბედე თქმა, ასეთ დღეში მაგდებენ-მეთქი. დედამ მითხრა, არ ინერვიულო, მაგაზე გულს არ დაგწყვეტო. ვალი აიღეს და ჩემთვის საძინებელი იყიდეს.

თქვენ გგონიათ, დედამთილი ამით დაკმაყოფილდა? არა, დაგვიწუნა! უხეშად მითხრა, ასეთ ავეჯს სახლში არ დავდგამო. მე მაინც შევიტანე ჩემს ოთახში. მან კი ჯიბრით მეორე დღეს სხვა საძინებელი იყიდა, ჩემს ოთახში ის დადგა, ჩემი მზითევი კი რაჭაში, თავის სოფელში წაიღო. არადა მისი ნაყიდი „მოპუჭპუჭებული" საძინებელი სულაც არ მომწონდა, ჩემი ბევრად სჯობდა. დედამ თეთრეულიც მაჩუქა. ჩემმა დედამთილმა სათითაოდ გახსნა და ხარისხი შეამოწმა. რა თქმა უნდა, დაიწუნა.

იმ უბანში მხოლოდ მე არ მქონდა მსგავსი პრობლემა. ახალგაზრდა ქალების 90 პროცენტს მსგავსი რაღაცეები აქვს გამოვლილი. იშვიათია დედამთილი, რომ მზითვის მიტანა არ მოითხოვოს ან რძალს და მის ოჯახს ეს არ აგრძნობინოს. არ ვიცი, რამდენად იცავენ სხვა ტრადიციებს, მაგრამ ეს წესი კი კარგად აქვთ შემონახული, მას დედამთილები გულმოდგინედ იცავენ. ასე რომ, გოგოებო, გაითვალისწინეთ!

**„სარკის" მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**

**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ" და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

## „მოძალადე ექიმს მოსთხოვე, რომ სათანადოდ გიმკურნალოს!“

ეხმაურები ჟურნალ „სარკის“ მე-20 ნომერში გამოქვეყნებული წერილის ავტორს — „ჩემი ექიმი მოძალადე აღმოჩნდა“. მაპატიე, მაგრამ გეტყობა, რომ უსუსური ქალი ხარ და საკუთარი თავის დაცვა არ შეგიძლია. როგორც ჩანს, ის ექიმიც მიხვდა და ამიტომაც გაგიბედა, ძალა ეხმარა. შენში რომ ოდნავი სიმტკიცე დაენახა, მანქანაში გაუპატიურებას არ მოგინდომებდა. რა უბედურებაა, ქალმა საკუთარი თავი როგორ ვერ უნდა დაიცვა! ახლა კიდევ წუწუნებ, რა ვქნა, ფული მთლიანად გადავიხადე და ნახევარი პირის ღრუ გასაკეთებელი მაქვსო. მიდი და იმ მოძალადე ექიმს მოსთხოვე, რომ სათანადოდ გიმკურნალოს. რისი გერიდება? იმაზეც მადლობა თქვას, რომ პოლიციაში არ უჩივლე.

კიდევ ერთხელ გიხდი ბოდიშს, მაგრამ ბავშვობიდან ვერ ვიტან უსუსურ ქალებს. დედაჩემი იყო ასეთი — დაუცველი, საცოდავი. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა თავში ურტყამდა. მთელი ცხოვრება შესწირა ადამიანებს, რომლებიც მისი ღირსნი არ იყვნენ. სანამ მამაჩემმა არ მიატოვა, თვითონ ვერ მიხვდა, რომ მისგან უნდა წასულიყო. მერეც დიდხანს ტიროდა, რომ ოჯახი დაენგრა. იმას კი ვერ გრძნობდა, რომ გათავისუფლდა და ამით ბედნიერი უნდა ყოფილიყო, პირიქით, იტანჯებოდა. კარგახნის შემდეგ მიხვდა, რომ თვითონაც დაისვენა და მისმა შვილებმაც.

ჩემს ცხოვრებაშიც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც დაჩაგვრა მომინდომეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ისე არ გამიგოთ, რომ ჩემი უფლებების დასაცავად ხმალამოღებული ვიბრძვი, არა, უბრალოდ ჩემი ადგილიც ვიცი და სხვისიც. ადამიანს ყოველთვის ვაგრძნობინებ, სად მთავრდება ჩემი პირადი საზღვარი და სად იწყება მისი. რა თქმა უნდა, არიან ისეთი პათოლოგები, რომლებიც ქუჩაში დაგხვდებიან ან ისეთ რამეს გაგიკეთებენ, რისგანაც თავს ვერ დაიცავ, მაგრამ ის წერილი, რომელიც „სარკეში“ დაბეჭდეთ, ნამდვილად უსუსური ქალის დაწერილია. სასწრაფოდ მიდით იმ ექიმთან კბილები ჩაასმევინეთ!

„სარკის“ მკითხველი

## ფეისბუქელებმა სტატუსად დავწეროთ: „დაითვალეთ, დედას წელიწადში რამდენჯერ კოცნით!“

ალბატონო, თქვენ ჩემზე ხომ არ დაწერეთ? იქნებ ჩემს გულში ჩაიხედეთ და რაც იქ ხდებოდა, ფურცელზე გადაიტანეთ? ვგულისხმობ ქალს, რომელმაც ჟურნალ „სარკის“ მე-20 ნომერში გამოაქვეყნა წერილი — „დაითვალეთ, დედას წელიწადში რამდენჯერ კოცნით“. ამ წერილმა ჩემი ტკივილი გამახსენა. თითქოს ეს ქალი მართლა ჩემს გულში იჯდა. მეც დავობლდი, ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი სამი წლის წინ მივაბარე მიწას. მისი დაკარგვის ტკივილს ის უფრო ამძაფრებს, რომ თურმე დედისთვის რამდენი რამ დამიკლია, თურმე მეც რა ცოტა მიკოცნია.

იდეა მაქვს, ფეისბუქელებმა სტატუსად დავწეროთ: „დაითვალეთ, დედას წელიწადში რამდენჯერ კოცნით!“. იქნებ ამ სიტყვებმა მათ მაინც ასწავლოს ჭკუა, ვისაც დედასთან ყოფნის ბედნიერება აქვთ.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


# ტრიგანი-დ

## ტრიგანი-დ

**ტკივილგამაყუჩებელი საშუალება**

**შეიცავს:** პარაცეტამოლი 500 მგ
დიციკლომინის ჰიდროქლორიდი 20 მგ

**გამოიყენება ყურ-ნაწლავის, თიხემლების, თავის ტკივილის და ტკივილით მიმდინარე მენსტრუალური ციკლის სამკურნალოდ.**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ტიტანი გისურვებთ ჯანმრთელობას!**

**თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 238-28-40; 238-88-71; 231-11-32;**







Cyan Magenta Yellow Black

# თბილისური სეილების უცნაურობანი

## რჩევები, რათა ფასდაკლებების მსხვერპლი არ გახდეთ

**„მოდა თევზის გაყიდვას ჰგავს. ახალი თევზის მსგავსად, უკანასკნელი ფერების გათვალისწინებით შეკერილი ქურთუკი სწრაფად და მაღალ ფასად იყიდება. გუშინ დაჭერილი თევზი კი უნდა ჩამოფასდეს ან საერთოდ უნდა გაჩუქდეს", — ამბობს მსოფლიო მოდის სფეროს ავტორიტეტი, ამანდა ორტეგა, რომლის საკუთრებაშიაა ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორებიაა — „ზარა", „მასიმო დუტი", „ბერშკა", „სტრადივარიუსი" და სხვა.**

დღეს ტანსაცმლით ვაჭრობა მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იკავებს ეკონომიკურ პროცესებში. მოდის ინდუსტრია ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ბრენდი შექმნას, რომელთაც მყიდველი ეყოლება. სამიზნედ საშუალო და დაბალი ფენის მოსახლეობაა არჩეული. ისეთი დიზაინერებიც კი, რომელთა სახელები მთელ მსოფლიოს აზანზარებს, ცდილობენ, მასობრივი სამოსი შექმნან, ითანამშრომლონ სხვადასხვა შედარებით იაფფასიან ბრენდებთან, რათა შემოსავალი ჰქონდეთ, რომ შემდეგ მაღალი მოდის კოლექციების შექმნის საშუალება მიეცეთ, თუმცა მათ ხშირ შემთხვევაში არავინ ყიდულობს.

მოდის ინდუსტრიაში ყველაფერი ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული, სამომხმარებლო ბაზარი ფსიქოლოგიური ასპექტებით არის გაჯერებული. ყოველი სეზონის დასაწყისში მაღაზიებში ჩნდება ახალი კოლექციები და მაღალი ფასები და შემდეგ ჯადოსნური სიტყვა „სეილი", ჩვენთან, საქართველოში მას ფასდაკლებას ან ლიკვიდაციასაც უწოდებენ.

■

რამდენიმე ათეული წლის წინ საფრანგეთში ფეხსაცმლის ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონემ აღმოაჩინა, რომ საქონელს ველარ ყიდდა. დიდი ფიქრის შემდეგ ფეხსაცმელების თავიდან მოშორება და სხვა ბიზნესის გაკეთება გადაწყვიტა. ვიტრინაზე „ფასდაკლება" დააწერა და მაღაზიაც ხალხით გაივსო. რამდენიმე საათში თაროებზე საქონელი აღარ დარჩა. მყიდველი ყველაზე მეტად იმან მოხიბლა, რომ ფეხსაცმელს ეწერა ძალიან მაღალი ფასი და ის კი მას ძალიან იაფად ყიდულობდა. ამის შემდეგ ფასდაკლება ანუ სეილი ყველაზე კარგ მარკეტინგულ იარაღად იქცა.

ფასდაკლებებზე გაყიდული პროდუქციის სიაში პირველ ადგილებს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იკავებს, შემდეგ კი — საყოფაცხოვრებო ტექნიკა, კოსმეტიკა და კვების პროდუქტები. ყველაზე ნაკლები ინტერესი ავეჯის, სამკაულებისა და სათამაშოების მიმართ არსებობს.

სეილების პერიოდში სავაჭრო ქუჩები ხალხით ივსება, მომხმარებელთა საფულეები და მაღაზიის დახლები ერთდროულად ცარიელდება და, ერთი შეხედვით, ყველა მხარე კმაყოფილია. სინამდვილეში ვინ რჩება რეალურად მოგებული? რა თქმა უნდა, მაღაზიის მფლობელი.

### აფერას ფსიქოლოგია

მაღაზიებში სირბილი და რაც შეიძლება ნაკლებ ფასად სასურველი ნივთის შეძენა ჩვენი ცხოვრების ერთგვარ აზარტად იქცა. შოპინგის დროს ბევრი ფიქრობს, რომ ძალიან კარგი და მომგებიანი ნაბიჯი გადადგა, იყიდა კონკრეტული ნივთი უფრო იაფად, ვიდრე მისმა ნაცნობმა გუშინ. ამ დროს ის გამარჯვებულად გრძნობს თავს. ასეთი ტიპის ადამიანები ნელ-ნელა შოპოჰოლიკებად ყალიბდებიან. მსოფლიოს წამყვან სავაჭრო ქალაქებში ჩატარებული გამოკითხვებით გაირკვა, რომ ფასდაკლებების პერიოდში ადამიანების 70% სინამდვილეში მისთვის უსარგებლო ნივთს ყიდულობს. ნებისმიერი მსხვილი მაღაზიის დირექციაში ჰყავთ ფსიქოლოგი, რომელიც სარეკლამო განყოფილებასთან ერთად მუშაობს იმაზე, თუ როგორ მოატყუოს მყიდველი. ფსიქოლოგები ამას კლიენტის მარწუხს უწოდებენ. შედეგად, ნახევარ ფასად ნაყიდი ნივთები მეპატრონისთვის უმეტესწილად გამოუსადეგარი ხდება.

იმისათვის, რომ ფასდაკლებების მსხვერპლთა რიგებს არ შეუერთდეთ, რამდენიმე აუცილებელი რჩევა უნდა გაითვალისწინოთ. როგორც წესი, ასეთ პერიოდში მაღაზიის დახლებზე გამოდის ძველი, წუნდებული, არაგაყიდვადი პროდუქცია. კარგად დააკვირდით იმ ნივთს, რომელთაც ფასდაკლების 50-70% აწერია, შეგიძლიათ დასუნოთ კიდეც. თუ მას რაიმე სახის სპეციფიკური სუნი აქვს, იმას ნიშნავს, რომ თქვენთვის სასურველი ტანსაცმელი საწყობში, მინიმუმი, ერთი წელია დევს. ნუ ენდობით მომხიბვლელ ლოზუნგს: „სრული კოლექციის ლიკვიდაცია". ეს ჩვეულებრივი სარეკლამო ტრიუკია. ის ძვირადღირებული ჩექმა, რომლის ყიდვაც იმან გადაგაწყვეტინათ, რომ 10%-ით გაიაფდა, შესაძლოა იყოს ჩინური პატენტი, რომელიც სინამდვილეში 80%-ით ნაკლები ღირს. კოლექციის ლიკვიდაცია მეტნაკლებად გამართლებულია ამერიკული ბაზრისათვის, იქ 200 დოლარად ღირებული ფეხსაცმლის 15 დოლარად ყიდვა რეალობაა, მაგრამ არა — თბილისში.

ნუ მოიხიბლებით აქციის პირობებით — „იყიდეთ ერთი და გჩუქნით მეორეს!". უმეტესწილად საჩუქრის ღირებულება შედის თქვენ მიერ გადახდილ თანხაში ან ესა თუ ის მაღაზია ასეთ პერიოდში ყიდულობს ძალიან იაფფასიან ნივთებს და მას საჩუქრებად ფუთავს.

### ფასდაკლების წესები

ფასდაკლებები ხშირად მომხმარებელს უუფლებოს ტოვებს. მათ გამყიდველები თუ მენეჯერები ურცხვად ეუბნებიან, რომ ნაყიდი ნივთის უკან დაბრუნება ან გადაცვლა არ შეუძლიათ. ეს მხოლოდ გამყიდველებისა და იმ კონკრეტული მაღაზიების უფროსების ფანტაზიის ნაყოფია. თქვენ შეგიძლიათ ამა თუ იმ ფირმის სათაო ოფისში გადაამოწმოთ და იქ აუცილებლად გეტყვიან, რომ ასეთი აკრძალვა არ არსებობს, რომ მომხმარებელს უფლება აქვს, დადგენილ პერიოდში ნაყიდი ნივთი უკან დააბრუნოს ან გადაცვალოს. რა თქმა უნდა, ამ დროს უნდა გქონდეთ ჩეკი — ქვითარი, ასევე იარლიყი დიზაინების გარეშე და ნივთი შელახული არ უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში და საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებში ბევრი ევროპული ბრენდია შემოსული, ტანსაცმლის ბაზარზე მაინც დიდი ქაოსია. წარწერა „ფასდაკლება" ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება და უკმაყოფილო კლიენტების რაოდენობაც ძალიან დიდია. თბილისი ევროპული ფასდაკლებებისგან ჯერ კიდევ შორს არის, ამიტომაც ბოლო დროს ინტერნეტმაღაზიებით ვაჭრობამ იმატა. თბილისში წარმოდგენილი ბრენდების საქონლის ყიდვას ქართველი მომხმარებელი ინტერნეტსაიტების საშუალებით ამჯობინებს. ამის გამო ერთ-ერთი ამ ტიპის მაღაზიის მენეჯერი წუწუნებდა, ეს რა ტენდენცია წამოვიდა, შემორბიან გოგოები მაღაზიაში, იზომავენ ტანსაცმელს, გარბიან და შემდეგ ინტერნეტით ყიდულობენო. ამის მიზეზი კი მარტივია — ფასთა სხვადასხვაობა.

ქართულ ბაზარზე ამ კუთხით კვლევები იშვიათად ტარდება. ორიოდე წლის წინ მარკეტინგული კვლევებისა და კონსულტაციის კომპანია „აქტმა" მასშტაბური გამოკითხვა ჩაატარა, რომლის შედეგებითაც



Cyan Magenta Yellow Black

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**დარეჯან ქურციკიძე**, *61 წლის (მარტვილი).*

– რამდენიმე წლის წინ დამისვეს რევმატოიდული ართრიტის დიაგნოზი. მისივდებოდა ხელის მტევნები, მუხლები; მტკიოდა კისერი, მხრები; დავიწყე წამლების მიღება, რომლებმაც არანაირი შედეგი არ მომცა. თქვენი ჟურნალის მეშვეობით მოვაკვლიე „ალექსიშვილის კლინიკას“. მანანა ექიმმა ნატურალური მალამოებით დამიწყო მკურნალობა. საუცხოო შედეგი მივიღე: 2-3 დღეში ტკივილები სრულიად მომეხსნა, თავისუფლად გადავდგი ნაბიჯები, ხალისი დამიბრუნდა. ასევე, მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავისა და წნევის პრობლემაც. დიდი მადლობა მანანა ექიმს, მის თანამშრომლებს! ანი მე ცოცხალი რეკლამა ვიქნები.

**შალვა გოგბატიშვილი** *(საჩხერე).*

***დიაგნოზი:*** ოსტეოპოროზი, გონართროზი.

– 81 წლის კაცი ვარ. აქამდე წამალი არ დამჭირვებია, ავადმყოფობა რა იყო, არ ვიცოდი. ბოლო წლებში სახსრების ტკივილები დამჩემდა, უძილობა დამეწყო, ძვლებს სულ ღრჭიალი გაუდიოდა. შვილებმა აქ მომიყვანეს. მანანა ექიმმა სიცოცხლე გამიხანგრძლივა – ტკივილები მომეხსნა, ჯოხი გადავაგდე, ჩემით დავდივარ და ღამითაც კარგად მძინავს. დიდი მადლობა, დღეგრძელობას ვუსურვებ და ჯანმრთელობას!

**რეზო ნანობაშვილი**, *52 წლის (თბილისი).*

***დიაგნოზი:*** წელის მალების ოსტეოქონდროზი. L4-5, L5-S1 6 მმ და 8 მმ. პროლაფსი.

– ქალბატონ მანანასთან შვიდი წლის წინ ვმკურნალობდი. მაშინ მუხლის სახსარი მაწუხებდა და მისივდებოდა. პოდაგრული ართრიტი დამიდგინდა, მაშინაც ძალიან სწრაფი შედეგი მივიღე და ახლაც. მას მერე არ შევუწუხებივარ. წლების შემდეგ სიმძიმეების აწევა მომიწია (მშენებლობაზე ვმუშაობ). ერთ-ერთი დახრის დროს ვიგრძენი, თითქოს წელში რაღაც განყდა და ველარ გავსწორდი. სახლამდე ძლივს მმიყვანეს. კომპიუტერით გადამილეს და 2 დისკის თიაქარი დამიდგინდა. გადაწყდა ოპერაცია, რომლისაც შემეშინდა და სხვა გზების ძიება დავიწყე. გამახსენდა „ალექსიშვილის კლინიკა“ და მაშინვე წამომიყვანეს. პირველივე პროცედურამ ჩემი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესა, მერე კი, 1 კვირაში, ყველანაირი ტკივილი გაქრა. ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მკურნალობას ბოლომდე ვიტარებ. აქვე აღვნიშნავ, რომ მომიწესრიგდა წნევისა და ნევროზის პრობლემაც. უღრმესი მადლობა ჩემს ექიმს, ჩემი ოჯახის იმედს!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

---

გაირკვა, რომ თბილისის მოსახლეობის 27 პროცენტი ტანსაცმელს 3 თვეში ერთხელ ყიდულობს, ფეხსაცმლის შეძენას კი მოსახლეობის უმეტესობა წელიწადში ორჯერ ახერხებს. ამავე კვლევის შედეგებით, ზრდასრული მოსახლეობის 23 პროცენტი ტანსაცმელს მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ ყიდულობს. ამ კატეგორიაში ძირითადად 55 წელს გადაცილებული ადამიანები არიან, რომლებიც ოჯახის ახალგაზრდა წევრების გამონაცვალი ტანსაცმლით სარგებლობენ.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ტანსაცმლის ბრენდების ბუმია, ხარისხის და მისაღები ფასის პოვნა ძალიან რთულია. კვლევის თანახმად, საქართველოში გასაყიდად გამოტანილი ტანსაცმლის მეტი წილი ჩინეთში, პაკისტანსა და თურქეთშია წარმოებული. თბილისურ მაღაზიებში მორბენალი მომხმარებელი ხშირ შემთხვევაში მაინც უკმაყოფილო რჩება, შოპინგისაგან ნასიამოვნებ სახეებს ქალაქში იშვიათად შეხვდებით. მათი პრეტენზიები ძირითადად ტიპურია.

— თბილისი ჯერ კიდევ შორსაა ევროპული და ამერიკული ფასდაკლებებისგან. აღარ ვართ ჩაკეტილი ქვეყანა, რომ არ ვიცოდეთ, ესა თუ ის ბრენდი რა ღირს სხვაგან. სეილების დროს თბილისში დიდი აფერა ტრიალებს — მაღაზიებში ტანსაცმელს ჯერ ორმაგად აძვირებენ, სეილზე კი ფასს გაანახევრებენ და გვატყუებენ, რომ რეალური ფასდაკლებაა. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობილი ბრენდის ფეხსაცმელი ახალი კოლექციიდან ღირდა 200 ლარი, არავინ ყიდულობდა. შემდეგ ერთი კვირით გაავვირეს, გახდა 300 ლარი. სეილის დროს გაანახევრეს და 150 ლარად დიდი პარტია გაყიდეს. მითხარით, ახლა, ეს სეილია თუ თაღლითობა, — ამბობს 32 წლის მარი, რომელსაც თბილისურმა შოპინგმა იმედები გაუცრუა.

სეილების აფერა საკმაოდ გავრცელებულია და მას სარეკლამო კომპანიებშიც იყენებენ. მაგალითად, ცოტა ხნის წინ თბილისის ცენტრში ევროპული ტანსაცმლის ბრენდების აუთლეტი, ანუ 80%-იანი გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. თბილისელების ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ სავაჭრო ობიექტთან მთელი დღის განმავლობაში რიგი იდგა. „ჩვენ გთავაზობთ არა 80%-მდე, არამედ ნამდვილ 80%-იან ფასდაკლებას“ — ამ რეკლამით მიზიდული კლიენტების ნაწილი უკმაყოფილო ტოვებდა იქაურობას.

— ყველგან როგორ უნდა გვატყუებდნენ! 80%-იან ფასდაკლებაში არ უნდა იყოს 20-25 და 30 ლარიანი მაისურები, თანაც ამბობენ, რომ ყველაზე ძველი 2011 წლის კოლექცია შეიძლება ნახოთო. არადა ბავშვის კაბა ვნახეთ, რომელიც ჩემს შვილს 2009 წელს ეცვა. ხშირად დავდივარ ლონდონში და იქ მინახავს ნამდვილი ფასდაკლება. 200 ფუნტიანი ფეხსაცმელი 10 ფუნტადაც მიყიდია. ლონდონში ასეთ სეილებზე აქაური პეკინის ქუჩის მაღაზიების რამდენიმე მფლობელი შევნიშნე და შემდეგ მათ მაღაზიაში რომ შევედი, ნამდვილი შოკი მივიღე. ძველ კოლექციას უახლესად გვთავაზობენ და ფასებს ნუ იტყვით! — გვიამბო თბილისელმა ქალმა.

> **„მაღაზიებში ტანსაცმელს ჯერ ორმაგად აძვირებენ, სეილზე კი ფასს გაანახევრებენ და გვატყუებენ, რომ რეალური ფასდაკლებაა“.**

მიუხედავად ასეთი რეალობისა, დამაიმედებელ კომენტარს აკეთებს მოდის ექსპერტად წოდებული დალი ჩიტალაძე, რომელიც თბილისში ცნობილი ერთ-ერთი ძვირადღირებული ტანსაცმლის მაღაზიის დამფუძნებელია. ის ამბობს, რომ თბილისში შოპინგი დღეს ნამდვილად შეიძლება, ფასდაკლებაც ნელ-ნელა უტოლდება ევროპულს და ზოგადად სიტუაცია პოზიტივისკენ არის შეცვლილი.

**დალი ჩიტალაძე:** რამდენიმე წლის წინ თბილისში სერიოზულ შოპინგზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, დღეს კი ნამდვილად შეიძლება მიიღო სიამოვნება შოპინგით და სეილზე საკუთარი ბიუჯეტი დაზოგო. თბილისურ მაღაზიებში ადრე ქაოსი იყო, დღეს კი სიტუაცია უფრო დალაგებულია. შეფასება რომ მთხოვოთ ევროპულ ქალაქებთან შედარებით, თბილისს სამს პლუსით დავუწერდი.

**— ბევრი მომხმარებელი თვლის, რომ თბილისურ მაღაზიებში ფასდაკლების პროცენტი არ შეესაბამება იქ არსებულ სიტუაციას. მაგალითად, მაღაზიის ვიტრინაზე აწერია 70%-იანი სეილი, მაგრამ რეალურად იქ მხოლოდ ერთ-ორ ნივთზე დაგხვდებათ ფასდაკლება. ეს კლიენტის მოტყუებას არ ნიშნავს?**

— დღეს ბევრმა არ იცის ფასდაკლების კულტურა. მაგალითად, აქსესუარებზე, ჩანთებზე, სათვალეზე ხშირ შემთხვევაში ფასდაკლება არ ვრცელდება. მაქსიმუმი, ასეთმა ნივთებმა 20%-ით დაიკლოს. დიზაინერები ძირითადად ქმნიან ისეთ აქსესუარებს, რომლებიც აქტუალობას რამდენიმე სეზონს არ კარგავენ. ისეთ ნივთებს, რომლებიც მოდიდან არ გადის, გრანდიოზული ფასდაკლება არ ეხება. დღეს თბილისში ბევრი იმ ბრენდის ყიდვა შეიძლება, რომელიც ევროპაშია, თანაც კარგ ფასებში.

**— მაშინ რატომ დადიან ის ადამიანები, რომლებსაც ამის საშუალება აქვთ, საშოპინგოდ საზღვარგარეთ და ამბობენ, თბილისში ორმაგს ნამდვილად არ გადავიხდითო?**

— რამდენიმე წლის წინ თბილისში შეიძლებოდა კარგად მართლა ვერ ჩაგეცვა, მაგრამ დღეს საშოპინგოდ ევროპაში წასვლის აუცილებლობა ნამდვილად არ არის. ევროპაში დიდი არჩევანია, ფასებში კი დიდი სხვაობა ნამდვილად არ არის.

**— რა რჩევებს მაწყდიდით „სარკის“ საშუალებით მომხმარებლებს, რომ ფასდაკლებით მატყუებულებმა მაღაზიებში უსარგებლო შესაძენი არ გააკეთონ?**

— სანამ სეილზე საშოპინგოდ წახვალთ, კარგად დაათვალიერეთ თქვენი გარდერობი, ზუსტად უნდა მიხვდეთ, რა გჭირდებათ. სეილზე უნდა იყიდოთ მხოლოდ ის, რაც ნამდვილად გინდათ და თქვენს გარდერობს აკლია. ფასმა არ უნდა იმოქმედოს, თორემ დიდია ალბათობა, ისეთი რამ იყიდოთ, რომელსაც არასდროს ჩაიცვამთ. პირადად მე სეილების მსხვერპლი არ გავმხდარვარ, რადგან ყიდვისას ყოველთვის ძალიან ბევრს ვფიქრობ. არასოდეს ვყიდულობ იმას, რაშიც არ ვარ დარწმუნებული, რომ 100%-ით ჩემია.

✓ **ავთო ჩიტაძე**



Cyan Magenta Yellow Black

# კახა კუკავა: „17 მაისის გეიაღლუმი წყალგამყოფია ივანიშვილისთვის!“

## „დასავლეთი საქართველოსნაირ ღიბერალურ ქვეყანასთან ერთ-ერთ, საუკეთესოთან პარტნიორობს, სადაც გეიაღლუმი რომ გაბედო, ყველაფერს მოგაჭრიან“

**17** მაისს თბილისში ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქცია დაგეგმილ ადგილზე, რუსთაველის გამზირზე ჩაშალა. კონტრაქციის მონაწილეებმა, რომლებიც დილიდანვე დაანონსებულ ტერიტორიაზე იკრიბებოდნენ, გაარღვიეს პოლიციის კორდონი და სექსუალურ უმცირესობათა (ლგბტ-ის) ჯგუფის წარმომადგენლებს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

ამ ფაქტს წინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიმართვა უძღოდა. მან თბილისის მერიასა და ხელისუფლებას მოუწოდა, დაგეგმილ აქციაზე გაცემული ნებართვა გაეუქმებინათ.

— ეკლესია ასეთი მიდრეკილებების მქონე ადამიანებს განიხილავს მეტად მძიმე ცოდვაში მყოფ პიროვნებებად, რომელთაც დახმარება და გამოსწორებისათვის სულიერი თანადგომა სჭირდებათ და არა — წახალისება, მით უმეტეს, მოსახლეობისათვის მათი მდგომარეობის თავსმოხვევა... ჩვენი მოქალაქეები ამაში ხედავენ უმრავლესობის უფლებების დარღვევას, მათი ტრადიციების, სარწმუნოებისა და ზოგადად აზროვნების წესის შეურაცხყოფას, — ამბობდა საქართველოს პატრიარქი განცხადებაში.

ეს იყო ერთ-ერთი იშვიათთაგანი შემთხვევა, როცა ეკლესიამ თავისი პოზიცია შეურბილებლად, რადიკალურად გამოხატა, მაგრამ პატრიარქის გაფრთხილება არავინ ისმინა, შედეგი კი ისეთი დადგა, როგორიც დადგა — 28 დაშავებული, აგურით თავგატეხილი ჟურნალისტი, დასისხლიანებული პოლიციელები, დამტვრეული სამარშრუტო ტაქსები, ჩაქოლვას გადარჩენილი უფლებადამცველები... თუმცა არც ერთი დაზარალებული სექსუალურ უმცირესობათაგან.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა მიიჩნევს, რომ საზოგადოების რეაქცია იყო მესიჯი, რომ ის ღირსების, ტრადიციის და რელიგიის შეურაცხყოფას არავის აპატიებს, მათ შორის — ივანიშვილის მთავრობასაც. ის იმ დღეს რუსთაველზე დილიდანვე იმყოფებოდა.

**კახა კუკავა:**

— საზოგადოებაში უნდა იყოს დაცული ყველას უფლებები და ყოველთვის უნდა მოიძებნოს ბალანსი. მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს ჩამოყალიბებული ხედვები და ტრადიციები, მეორე მხრივ, როგორც ყველგან, ჩვენთანაც არსებობენ სექსუალური გადახრების მქონე პირები, თუმცა ისინი არიან ადამიანები, როგორც ქრისტიანული, ისე სამართლებრივი გაგებით. ამიტომ სახელმწიფომ უნდა მონახოს გონივრული შუალედი, ანუ ძალმომრეობისგან დაცული უნდა იყოს ყველა, მათ შორის — სექსუალური უმცირესობაც. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ფიზიკურად მათ არავინ შეეხოს. მეორე მხრივ, უნდა შეიზღუდოს უმცირესობის გამოხატვის თავისუფლება ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებს საზოგადოების უმრავლესობას. მხოლოდ მართლმადიდებლებს არ ვგულისხმობ, საქართველოში მორწმუნე საზოგადოება, მრევლი არის 98 პროცენტი. მათი შეხედულებით, ჰომოსექსუალიზმი არის მომაკვდინებელი ცოდვა. აქედან გამომდინარე, არ არის საჭირო მომაკვდინებელი სენის პროპაგანდა რუსთაველის გამზირზე. მათ ისეთი ფორმები უნდა მონახონ აზრის გამოსახატავად, რაც ადამიანის უმრავლესობას არ გააღიზიანებს — კონფერენციები, შეკრებები... და არ უნდა მოაწყონ პირდაპირ ქაშუეთის ეკლესიის წინ ასეთი მსვლელობა.

მე მართლმადიდებელი ვარ და არასოდეს მომივა აზრად, გეიკლუბში შევიდე და იქ პარაკლისი ჩავატარო. ამიტომ მათ ჩვენც უნდა გაგვიწიონ ანგარიში. მშვიდობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემას. ლგბტ საზოგადოება კი საქართველოში ნამდვილად არის აგრესიული და გამომწვევი.

**— აგრესიის უკან ბევრს პროვოკაციის სუნი ეცა. მინიშნებები ნაციონალებისკენ გაკეთდა.**

— კარგად ვიცით, რომ ამას ატარებს არა ლგბტ-ის საზოგადოება, არამედ ბიძინა ივანიშვილი. ფსონი დევს ასე, იმ ადამიანების წინაშე, ვინც საქართველოს გარედან მართავენ, ოლიგარქები არიან თუ მასონები, საკითხი შემდეგნაირად დგას — ნაცმოძრაობა ამბობს, რომ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოში ლიბერალური ფასეულობების დამკვიდრებას. ბიძინა ივანიშვილი კი არწმუნებს, არა, მე ნამდვილი ლიბერალი ვარ და მზად ვარ, გავმართო გეიაღლუმი, მივიღო ევროპული ქარტია რეგიონული ენების შესახებ, გავაგზავნო ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში, გავყიდო მიწები ინდოელებსა და პაკისტანელებზეო. ეს არის ბიძინა ივანიშვილის პოზიცია.

მე ვიცნობ უმცირესობის წარმომადგენლებს და მათი უფლებები საქართველოში არ ილახება. ამ აქციის ორგანიზატორები იყვნენ ჯანმრთელი ორიენტაციის მქონენი. ეს იყო პოლიტიკური დაკვეთა ივანიშვილისგან, რომ ამით დივიდენდები მოეპოვებინა დასავლეთის თვალში და ჩვენ ამას ვეწინააღმდეგებით, თორემ ლგბტ საზოგადოების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. შევიდნენ თავიანთ საძინებელში, თავიანთ კლუბებში და ის აკეთონ, რაც უნდათ. მათ უფლებებს არავინ ზღუდავს.

**— მათ აქციის ჩატარების და აზრის გამოხატვის უფლებას კონსტიტუცია აძლევს.**

— მიტინგის ჩატარება ყველა ქვეყანაში გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული. მაგალითად, შპრიცებით რომ გამოხვიდე, რა კარგია კაიფიო ან ომის პროპაგანდა დაიწყო, ამას უფლებას არ მოგცემენ. არ მიყვარს სააკაშვილი, მაგრამ დავიჭირო ტრანსპარანტი — „მიხეილ სააკაშვილის დედას...“, არ იქნება დაშვებული. გამოხატვის თავისუფლება ჩარჩოებში უნდა მოექცეს. დედის გინება იმიტომ მოვიტანე, რომ მართლმადიდებლებისთვის, გრიგორიანელებისთვის, მუსლიმებისთვის ეს არის იგივე დედის გინება, სოდომური, მომაკვდინებელი ცოდვა. თუ სექსუალურ უმცირესობას სურს საზოგადოებასთან ინტეგრაცია, სულ სხვანაირად უნდა

> **„ივანიშვილმა ახამახტო ქვეყნის გახეთ, ქვეყნის შიგნითაც წააგო და ქართველმა საზოგადოებამ დაინახა, რომ „ქართული ოცნება“ არის გეიაღლუმი რუსთაველის გამზირზე.**

> **„მე მართლმადიდებელი ვარ და არასოდეს მომივა აზრად, გეიკლუბში შევიდე და იქ პარაკლისი ჩავატარო. ამიტომ მათ ჩვენც უნდა გაგვინიონ ანგარიში. ღგბტ საზოგადოება საქართველოში ნამდვილად არის აგრესიული“.**

მოიქცნენ, ამათ კი დაფიცებული ჰქონდათ, რომ აქცია ჩაეტარებინათ.

საქართველოში არასოდეს ყოფილა ჰომოფობია და თვითონ გააჩინეს თავიანთი უკანალის რუსთაველზე გამოფენით. ამიტომაც ვამბობ, რომ პოლიტიკური ძალები იყენებენ მათ თავიანთი მიზნებისთვის, რათა ფარად აიფარონ. ინტეგრირება რომ სდომებოდათ, სამღვდელოებამ შესთავაზა მათ, გადაეტანათ აქცია, მაგრამ არანაირ კომპრომისზე არ წავიდნენ. არ სურთ ინტეგრირება, მათი ამოცანაა, რომ ევროპაში გარკვეულ ძალებს ჩააბარონ ანგარიში. სააკაშვილისთვისაც იყო ეს პრიორიტეტი, შევარდნიძისთვისაც და ივანიშვილიც არის მათი კურსის გამგრძელებელი.

**— მაგრამ ამით ხომ ისევ ივანიშვილმა წააგო, ნახეთ ევროპული პრესის რეაქცია.**

— ივანიშვილმა არამარტო ქვეყნის გარეთ, ქვეყნის შიგნითაც წააგო და ქართველმა საზოგადოებამ დაინახა, რომ „ქართული ოცნება“ არის გეიაღლუმი რუსთაველის გამზირზე. ვისაც მანამდე არ სჯეროდა, ეს დაინახა საკუთარი თვალებით.

**— ივანიშვილს რა შეეძლო, ვარდა პოლიციის მობილიზებისა, რაც გააკეთა კიდეც უარს ხომ არ ეტყოდა აქციის ჩატარებაზე, როცა კანონით, ამის უფლება არ ჰქონდა?**

— რომ სდომებოდათ, ეტყოდნენ. იურიდიულ საკითხებზე ნუ გადავალთ! ბოლო ორი კვირის განმავლობაში ივანიშვილის მთავრობა ყველანაირ ხელშეწყობას ჰპირდებოდა, გამოვიდა იუსტიციის მინისტრი და თბილი სიტყვები აბნია. ივანიშვილმა კი პრესკონფერენციაზე საერთოდ სკანდალური ფრაზა თქვა — ჩვენი საზოგადოება ჯერ მზად არ არის, ჩამორჩენილია, მაგრამ შეეჩვევა და ერთსქესიანთა ქორწინებასაც დააკანონებსო. ივანიშვილი თუ საფრანგეთში ჩავიდა და ფრანგული კონიაკი დალია, არ ნიშნავს, რომ სხვაზე მეტი იცის, რა განათლება აქვს, ყველა ვხედავთ, ხელისუფლებაში ყოფნა კი თავში ნუ აუვარდება!

ქართველი ერი არ არის და არც არასოდეს იქნება მზად, რომ ერთსქესიანი ქორწინებები დააკანონოს. ძალიან კარგია, რომ საზოგადოებამ დაანახა ყველას, მთავარი ის კი არ არის, რას იტყვის ევროპა, არამედ ის, რას ფიქრობს ქართველი ხალხი. მეც, კახა კუკავა და „თავისუფალი საქართველო“ ვეუბნებით ივანიშვილს: არ მაინტერესებს, რას იტყვის ევროპა და ამერიკა, რას ფიქრობს რუსეთი, რამდენჯერაც მოინდომებს ივანიშვილი გეიაღლუმის ჩატარებას, იმდენჯერ ჩავუშლით!



Cyan Magenta Yellow Black

ქართველი ხალხი უნდა დაბრუნდეს პოლიტიკაში, როგორც მთავარი პოლიტიკური სუბიექტი. რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გავუწიოთ საერთაშორისო საზოგადოების აზრს, მაგრამ ანგარიშის გაწევა ნიშნავს, რომ მათაც უნდა გაგვიწიონ ანგარიში.

**— ივანიშვილის წაგება ახსნეთ, ის კი საპირისპიროს ამტკიცებს.**

— ახლა არ მაქვს რეიტინგები, მაგრამ ვფიქრობ, რომ მალე კატასტროფული ვარდნა ექნება. მაგალითად, სააკაშვილს ქართველმა საზოგადოებამ გირგვლიანის მკვლელობაც კი აპატია, მაგრამ ეს დარჩა მეხსიერებაში და მერე სულ პატარა მიზეზი გახდა საკმარისი, რომ ყველაფერი ერთად გაეხსენებინა. არავის ეგონოს, ქართველების დაუძინებელი მტრები — რესპუბლიკელები რომ ხელისუფლებაში მოიყვანა ივანიშვილმა, ეს მოეწონა ვინმეს, მაგრამ აპატია; აპატია ისიც, რომ მხარი დაუჭირა ქართული ჯარის ავღანეთში გაგზავნას და კიდევ ბევრი რამ აპატია, მაგრამ, როცა მან ღიად დაუჭირა მხარი ერთსქესიანთა ქორწინებას, ეს გამოდგა ბოლო წვეთი და ხალხი გამოვიდა გარეთ.

არ ვფიქრობ, რომ ეს შეუქცევადია, თუ, მინიმუმი, უსუფაშვილი და წულუკიანი გადადგებიან პოსტებიდან და ხელისუფლება აღიარებს, რომ ეს იყო შეცდომა. ზუსტად მსგავს ფაქტს ჰქონდა ადგილი 2006 წელს, როცა გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ ვანო მერაბიშვილის გადადგომის მოთხოვნა დავაყენეთ. სააკაშვილს რომ ის გაეთვალისწინებინა, შეიძლებოდა დღეს წარმატებული პოლიტიკოსი ყოფილიყო. 17 მაისიც ივანიშვილისთვის არის წყალგამყოფი, ის ან გაემიჯნება და გადააყენებს მათ, ან ეს იქნება წვეთი, რომელიც ქვასაც ხვრეტს და დაამთავრებს თავის პოლიტიკურ ცხოვრებას ისე, როგორც სააკაშვილმა დაამთავრა.

**— მართალია, 17 მაისის აქციამ და მისგან გამომდინარე შედეგებმა ბოლო დღეების ყველა მოვლენა გადაფარა, მაგრამ მაინც ეს პერიოდი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ უკვე გვიკვეს პირველი დასახელებული საპრეზიდენტო კანდიდატურა მარგველაშვილის სახით. როგორი თქვენი აზრი ამ ფიგურაზე?**

— შეიძლება მარგველაშვილი კარგი ადამიანია, მაგრამ ის, ვინც მხარს უჭერს გეიაღლუმს საქართველოში, ვერ გახდება კარგი პრეზიდენტი. ჩვენ გვჭირდება ისეთი ადამიანი, როგორებიც იყვნენ ზვიად გამსახურდია, ილია ჭავჭავაძე... ვინც შეძლებს ქართულ მისწრაფებებს პოლიტიკური ფორმა მისცეს. გინდ „ქართული ოცნება“, გინდ ნაციონალები და გინდ მარგველაშვილი არ არიან ცნობიერებით ქართველები, ამიტომ ისინი მუდმივად კონფლიქტში იქნებიან ქართველ საზოგადოებასთან, რომელმაც თუნდაც ხმა მისცეს მათ.

სააკაშვილს 90-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი, მაგრამ ხალხთან მუდმივად კონფლიქტში იყო, ამიტომაც აცხადებდა, ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი ადამიანი, სინგაპურელები უნდა გავხდეთ, კახელმა არ იცის, როგორ ჩამოასხას ღვინოო... ეს პრობლემა აქვს ახალ ხელისუფლებასაც.

**— მაგრამ არის „ხარკი“, რომლის გადახდაც, როგორც ალმოჩნდა, აუცილებელია ევროინტეგრაციისათვის.**

— პორტუგალია, ესპანეთი ცუდად არიან ინტეგრირებული? თუ მათ შუაგულ ევროპაში შეძლეს თავიანთი ფასეულობების დაცვა, ჩვენ, რა, მეზობლების დასაცინი გინდათ გავხდეთ?! ისედაც არანაირი პატივისცემა არ გვაქვს და ახლა ცისფერების სახელი მივიღოთ?! რაღაცეებზე უნდა ჩამოვყალიბდეთ. ევროინტეგრაციის მინისტრი პეტრიაშვილი დებატებში ამტკიცებდა, რომ ჩვენ უნდა გავაგზავნოთ ქართველი ბიჭები ავღანეთში და ამის შემდეგ მივიღებთ ჯარის მატერიალურ დახმარებასო. ეს ცინიზმი თუ მისაღებია საზოგადოებისთვის, მაშინ ამაზეც უნდა ვიმსჯელოთ. თუ ევროპაში ინტეგრირება უდრის ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას საქართველოში, მაშინ ჩავატაროთ პლებისციტი — გვინდა თუ არა ევროპაში შესვლა და ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება ან ნატო-ში შესვლა და ავღანეთში ქართველი ბიჭების გაგზავნა.

ევროპაზე როცა ვსაუბრობდით, ასეთ რაღაცეებზე არ კეთდებოდა აქცენტი, საუბრობდნენ მხოლოდ, რომ ნატო აღადგენდა საქართველოს მთლიანობას, რომ ნატო უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას, ევროკავშირი — სამართლიან სასამართლოს... მაგრამ მერე გაირკვა, რომ პირიქით, ეს ყველაფერი ჩვენს დაკნინებას უწყობს ხელს. ამიტომ უნდა ვუთხრათ, რომ მიგვიღონ ჩვენი ტრადიციებით. დარწმუნებული ვარ, პარტნიორად აუცილებლად დავჭირდებით. დასავლეთი საქართველოსნაირ ლიბერალურ ქვეყანასთან კი არა, საუდის არაბეთთან პარტნიორობს, სადაც გეიაღლუმი რომ გაბედო, ყველაფერს მოგაჭრიან.

**„თუ ევროპაში ინტეგრირება უდრის ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას საქართველოში, მაშინ ჩავატაროთ პლებისციტი — გვინდა თუ არა ევროპაში შესვლა და ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება ან ნატო-ში შესვლა და ავღანეთში ქართველი ბიჭების გაგზავნა“.**

**— მარგველაშვილის თემას მიკუბრუნდეთ. თქვენი აზრით, პრემიერმა მასზე რატომ შეჩერა არჩევანი?**

— იმიტომ, რომ სჭირდება მარიონეტი. ის არ იქნება ქვეყნის რეალური პოლიტიკური პროცესის მონაწილე. მარგველაშვილი უკანასკნელ ადგილზე იყო რეიტინგებში. მას არათუ სალომე ზურაბიშვილი და ირაკლი ალასანია უსწრებდნენ დიდი უპირატესობით, კახი კალაძეს და ვახტანგ ხმალაძესაც კი ჩამორჩებოდა. როგორც სააკაშვილისთვის ირაკლი ოქრუაშვილი და ნინო ბურჯანაძე გახდნენ მიუღებლები, რადგან გააჩნდათ გარკვეულ პოლიტიკურ წონა, ივანიშვილსაც არ უნდა, ამ პოსტზე რეიტინგული პიროვნება იყოს. ივანიშვილი აშენებს თურქმენული ტიპის ავტოკრატიას, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლების წყარო თვითონ ივანიშვილი, ხოლო ყველა სხვა ინსტიტუტი — ბუტაფორია. ამიტომ მან სახალხო დამცველად არ დანიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძე, პრეზიდენტობის კანდიდატად არ დაასახელა ირაკლი ალასანია და ახლა ვხედავთ, რომ უკვე ინიშნება ქალაქის მერიც, რომელიც მანამდე არჩევითი იყო.

**— გამოითქვა ვარაუდები, რომ მარგველაშვილის დასახელებით ივანიშვილს სინამდვილეში სურს, პრეზიდენტის პოსტი ნაციონალების კანდიდატს ჩააბარონს, რომ შესაძლოა არსებობს რაღაც ფარული გარიგება. რამდენად რეალურად გეჩვენებათ საქმის ასე შემოტრიალება?**

— გამორიცხვით ვერ გამოვრიცხავ, მაგრამ პირდაპირი მტკიცებულებები არ მაქვს.

**— კიდევ ერთი ვარაუდით კი, ამით უნდა, მეორე ტურის შესაძლებლობა გააჩინოს.**

— არა მგონია, რადგან ივანიშვილი ყველაზე ნაირად კლავს საქართველოში დემოკრატიას. ეს კარგად გამოჩნდა ნაძალადევში არჩევნებზე, სადაც 10 ათასი ყალბი პასპორტი დაბეჭდა ირინა იმერლიშვილმა და ჩამიყარა. ასე წამართვეს მანდატი პარლამენტში. ერთი ოპოზიციონერი ვერ მოითმინა პარლამენტში და გინდათ მითხრათ, რომ ქვეყნის მეორე პირად ოპოზიციის დანიშვნა უნდა? მე, პირადად, ამისი არ მჯერა.

**— საპრეზიდენტო არჩევნებში რა შანსი აქვს ნაციონალების კანდიდატს?**

— დავით ბაქრაძე ალბათ ყველაზე რეიტინგულია.

**— მეორე ადგილზე გავა, ასე ფიქრობთ?**

— „თავისუფალი საქართველო“ ნაძალადევში მეორე ადგილზე გავიდა და გარწმუნებთ, რომ საპრეზიდენტოზეც იგივე მოხდება.

**— კანდიდატობას თქვენ აპირებთ?**

— არა, შეიძლება არ იყოს ჩვენი პარტიის წევრი, მაგრამ გვეყოლება საერთო კანდიდატი.

**— აღნიშნეთ და პოლიტოლოგებიც კარაულობენ, რომ, თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია საერთო კანდიდატზე შეკრიდებით, სერიოზული შანსი გაგაჩნდებათ. აპირებდით პარტიებთან შეხვედრასაც ამ საკითხზე. მოლაპარაკებთ?**

— ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ არიან და ალბათ კონსულტაციები გაგრძელდება.

**— მაგრამ ამის მიღწევა ცოტა რთული წარმოსადგენია, მაგალითად, შალვა ნათელაშვილი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ასეთი დროებითი გაერთიანებებისა.**

— ნათელაშვილი ასეთ რაღაცეებში არც განიხილება, რადგან ის არის კლოუნი და არა — პოლიტიკოსი. გერმანიის პარლამენტის ერთერთმა ვიცესპიკერმა თქვა, იტალიაში არჩევნები კლოუნებმა მოიგესო და, თუ იქ იგებენ, აქ რომ 3 პროცენტით იყოს წარმოდგენილი, არ არის პრობლემა.

**— ანუ ვისზე გაქვთ გათვლა — ბერეჯანაძე...**

— ვიფიქრებთ, მოვისმენთ ყველას პოზიციას. პირდაპირ გეტყვით, რომ პოლიტიკაში ყოფნა არ არის ჩემი იდეაფიქსი. არჩევნებისგან დაღლილი ვარ და უაზროდ მონაწილეობას ნამდვილად არ ვაპირებ. თუ არ დავრწმუნდები, რომ კანდიდატი არ გაყიდის ქართულ მიწას უცხოელებზე, არ ჩახოცავს ქართველ ბიჭებს ავღანეთში თავისი იმიჯისათვის, რუსთაველზე არ გამართავს გეიაღლუმს, ქართულ წარმოებას არ გაანადგურებს და კვერცხებს არ შემოტანს უკრაინიდან, ისე არ ვაპირებ სირბილს, მშვენიერი ზაფხული მოდის და მირჩევნია, უფრო შინაარსიანად გავატარო ეს პერიოდი.

**„მიხეილ სააკაშვილი უკანასკნელ ადგილზე იყო ჰეიტინგებში. ჰოგოჩა სააკაშვილისთვის ირაკლი ოქრუაშვილი და ნინო ბურჯანაძე გახდნენ მიუღებლები, ივანიშვილსაც ეს უნდა, ამ პოსტზე ჰეიტინგული პიროვნება იყოს. ივანიშვილი აშენებს თურქმენული ტიპის ავტოკრატიას“.**

**— რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენის, ლევან ყასაძის შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატობაზე რას ფიქრობთ?**

— გამორიცხულია, მარგველაშვილის ახლობელია და...

**— მხოლოდ ამის გამო იტყვის უარს?**

— რატომ — არ ვიცი, მაგრამ რომ არ აპირებს, ვიცი.

**— პროგნოზი როგორი გაქვთ?**

— პირველ ტურში მარგველაშვილს გაუჭირდება გამარჯვება, მეორე ტურში კი ოპოზიციას მართლა ექნება გამარჯვების შანსი, თუ იქნა წარმოდგენილი სერიოზული კანდიდატი. მარგველაშვილს აქვს კარგი სასტარტო მდგომარეობა, მაგრამ ქართველი საზოგადოების 80 პროცენტი მისი ტიპაჟის მიმართ არათუ ლოიალურად, მტრულადაა განწყობილი. რამდენად დაინახავს ამას ამომრჩეველი, დამოკიდებულია იმაზე, ვინ იქნება მისი ალტერნატივა.

# მანანა კობახიძე: „ხალხის უფლებაა, არ მოსწონდეს ჰომოსექსუალები“

## «პარლამენტის დატოვებაც რომ მომიწიოს, მაინც ასე ვილაპარაკებ!»

საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თბილისში ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართული აქციისადმი კონტრაქციის დაპირისპირებას ძალადობა უწოდა, დაგმო და საზოგადოებას ტოლერანტობის, ყველა მოქალაქის შეკრებისა და აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლების პატივისცემისკენ მოუწოდა.

— ჩვენ არ დავუშვებთ ძალადობას, დისკრიმინაციას და ადამიანის უფლებების შეზღუდვას. ნებისმიერი ასეთი ქმედების ჩამდენი პასუხს აგებს კანონის წინაშე, — განაცხადა პრემიერმინისტრმა.

და ვინ არის პასუხისმგებელი — „იდენტობა“, რომელმაც არ გაითვალისწინა შედეგები და მაინც მივიდა აქციის გასამართად; პროტესტის გამომხატველები, რომლებმაც გაარღვიეს ჯებირი და ფიზიკურ ანგარიშსწორებას შეეცადნენ თუ პოლიცია, რომელიც თავად დაზარალდა ამ ორი აქციის გამიჯვნისას, თუმცა სიტუაციის უმართაობაში გადაზრდის საშიშროება შეაჩერა? ან იქნებ ისინი, ვინც სექსუალური უმცირესობები წააქეზა?

საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძე თვლის, რომ პასუხისმგებლობა „იდენტობასაც“ ეკისრება, რადგან მანაც უნდა გაითვალისწინოს უმრავლესობის აზრი და ძალად არ მოახვიოს თავს საზოგადოებას თავისი პრინციპები.

**„ტაბუჰეტს“ ჰაც შეეხება, ეს ინფოჰმაცია მოვიძიე და ეს მამაო „ტაბუჰეტით“ ახავის მისდევდა. ეს „ტაბუჰეტი“ ეჭიჰა საეჩო პიჰს, მოძღვაჰმა გამოაჰთვა და სწოჰედ მაშინ გადაიღეს, ჰოცა მის საღღაც გადატანას ცდიღობდა“.**

**მანანა კობახიძე:**

— აზრის გამოხატვის თავისუფლება ქვეყანაში გარანტირებულია როგორც კონსტიტუციით, ისე კანონით, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველას აქვს უფლება, შეიკრიბოს როგორც ჭერქვეშ, ისე ღია ადგილას და თავისი აზრი გამოხატოს. გამოხატვის თავისუფლება ჰქონდა ორივე მხარეს, მაგრამ სად არის ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ადგილი? სახელმწიფო და, პირველ რიგში, პოლიცია ვალდებული იყო, გაემიჯნა ეს ორი აქცია, რომ შეტაკება არ მომხდარიყო.

ლგბტ-ის აქციაზე დაახლოებით 40 ადამიანი უნდა შეკრებილიყო და მათ დასაცავად 2.000 პოლიციელი იყო მობილიზებული. ეს გახლდათ ადეკვატური ძალა, რომ მათ აქცია ჩაეტარებინათ, მაგრამ, ეტყობა, „იდენტობის“ წარმომადგენლებმაც ვერ შეაფასეს ის რეალობა, რა საფრთხეებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ყველაფერს. რომ არა პოლიციის აქტიური მოქმედება, წარმოიდგინეთ, რა უბედურება შეიძლებოდა მომხდარიყო. ეს ადამიანები ზუსტად პოლიციის აქტიურმა მოქმედებამ დაიცვა.

**„გამოსაძიებელია, ჰქონდა თუ ახა თუნდაც „იდენტობას“ გააზჰებული ამ ყველაფჩის შედეგი, ჰადგან წინა დღეებში ვჩცელდებოდა ინფოჰმაცია, ჰომ შესაძღებელი იყო, მომხდაჰიყო ძალადობა“.**

რამდენადაც ვიცი, მერე ისინი ისევ შეიკრიბნენ პუშკინის სკვერში, რაზედაც პოლიციას ინფორმაცია არ ჰქონდა. იქ მათ ხალხის ნაწილი დაუპირისპირდა. არ იქნებოდა სწორი, ამ მომენტში პოლიციას ადამიანების დაკავება დაეწყო. ეს უფრო გამოიწვევდა დაპირისპირების ესკალაციას, რადგან იქ რამდენიმე ასეული საკმაოდ აღტკინებული ადამიანი იდგა. ამიტომ პოლიციამ გააანალიზა სიტუაცია და ის ხალხი იქიდან გაიყვანა. აიღო თუ არა ორივე მხარემ სათანადო პასუხისმგებლობა, სად იყო აქ ზღვარის დარღვევა, სად დაიწყო აგრესია და რითი გამოიხატა კანონდარღვევა ან ვინ არიან დამნაშავე პირები, რა თქმა უნდა, ეს უნდა იქნეს გამოძიებული.

ყოველგვარი აგრესია, ძალადობა, მიუღებელია. შეიძლება რაღაც არ მოგვწონდეს სხვა ადამიანში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის უნდა ჩავქოლოთ ან გავრიყოთ. ადამიანებს პირადი ცხოვრების უფლება აქვთ, ასევე აქვთ უფლება, გამოხატონ საკუთარი აზრი, მაგრამ, როცა სხვისი უფლებების შელახვა იწყება, ცხადია, იქ უკვე უნდა ამოქმედდეს კანონი.

გამოსაძიებელია, ჰქონდა თუ არა თუნდაც „იდენტობას“ გააზრებული ამ ყველაფრის შედეგი, რადგან წინა დღეებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ შესაძლებელი იყო, მომხდარიყო ძალადობა. პოლიციამ მიიღო ყველა ზომა, ანუ ჩააყენა პოლიციელები, გააკეთა დერეფანი, მაგრამ ათიათასობით ადამიანს ვერ დაუპირისპირდა. პოლიციამ რომ არ გამოიყენა ის იარაღები, რასაც ვანო მერაბიშვილი აქტიურად იყენებდა საკუთარი მოქალაქეების წინაშე — ტყვია, ცრემლსადენი გაზი, ეს არის დადებითი.

— **არასამთავრობო ორგანიზაციები მაინც პოლიციას ადანაშაულებენ იმაში, რაც მოხდა. ამბობენ, რომ პოლიციამ ოპერაციის სათანადოდ დაგეგმვა მაინც ვერ მოახერხა.**

— ვერ დავეთანხმები. სხვა რა უნდა ექნა პოლიციას? იქ რომ ჩაეყენებინა თუნდაც 10.000 პოლიციელი, 100.000 მოქალაქე მაინც დაჯაბნიდა, თუ იარაღს არ გამოიყენებდა. ამიტომ ორგანიზატორებსაც უნდა ეფიქრათ, რომ აქცია თუნდაც დროებით გადაედოთ ან სხვა ადგილას შეკრებილიყვნენ. ელემენტარულად, გლოვის დღე იყო, ამისთვის მაინც გაეწიათ ანგარიში და აქციის ჩატარება ჯიუტად არ მოეთხოვათ. ახლა კი ამაში დაადანაშაულებენ პოლიციას, ხელისუფლებას, იტყვიან, რომ ირღვევა სექსუალური უმცირესობების უფლებები, ამაში მათ ნაციონალური მოძრაობაც აუბამს მხარს და ეს ყველაფერი ვის წისქვილზე ასხამს წყალს?

სექსუალური უმცირესობების უფლებები სადმე თუ ირღვევა, დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, გვითხრან, სად ხდება ეს — ოჯახში, სამსახურში, ქუჩაში... ამაზე აბსტრაქტულად ლაპარაკი არ შეიძლება. ასეთები ბევრგან არიან, ყველგან მუშაობენ — პარლამენტში, მთავრობის აპარატში, მედიასაშუალებებში... თუ მათი უფლებები ირღვევა, დისკრიმინაცია ხდება, პასუხი მოვთხოვოთ მათ, ვინც ამას ჩადის.

ჩვენს ქვეყანაში ძალიან ხშირად უმცირესობის სახელით უმრავლესობის უფლებებია შელახული და ასე არ შეიძლება! ადამიანს უფლება აქვს, რაღაც მოსწონდეს და რაღაც — არა და თუ არ მოსწონს, ამაზე ჰქონდეს რეაქცია. ოღონდ ეს არ უნდა გავიდეს კანონის ფარგლებგარეთ.

კიდევ ვამბობ, ამ ნიშან-თვისების გამო მოწოდება მათი ჩაქოლვის, განადგურების, აბსოლუტურად მიუღებელია და დასჯადი. ეკლესიაც ამას ამბობს, არ გვაქვს უფლება ქვით ჩაქოლვის, თუნდაც ჭინჭრებით, მაგრამ იმის უფლება მაქვს, რაღაც მომწონდეს და არ მომწონდესო. ამიტომაც ვამბობ, ხომ არ იყო ეს აქცია პროვოკაციის მატარებელი და ხომ არ სურდა ვიღაცას, რომ ეს ყველაფერი ასეთ ფორმაში გადაზრდილიყო და მერე ეყვირა, აი, ასე გვდევნიანო. კონკრეტულად გვითხრან, ვის სად შეელახა უფლებები და ამისთვის არის პოლიციაც და სახალხო დამცველიც. მაგრამ რთულია, საზოგადოებას პასუხი მოსთხოვო იმის გამო, რომ არ მოსწონს ჰომოსექსუალები. არ მოსწონს და რას ქნას?! ესეც მისი უფლებაა!

— **ჭინჭრები ახსენეთ, რომელიც ბასილ მკალავაშვილის მრეკლს ჰქონდა. კადრებში კარგად ჩანდა, როგორ აქტიურობდნენ სასულიერო პირები.**

— მე რამდენადაც ვიცი, სამღვდელოება ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდებდა...

— **ერთი ამბავი ატუნილი „ტაბურეტიან“ მღვდელზე.**

— „ტაბურეტს“ რაც შეეხება, ეს ინფორმაცია მოვიძიე და ეს მამაო „ტაბურეტით“ არავის მისდევდა. ეს „ტაბურეტი“ ეჭირა



Cyan Magenta Yellow Black

საერო პირს, მოძღვარმა გამოართვა და სწორედ მაშინ გადაიღეს, როცა მის სადღაც გადატანას ცდილობდა. მთავარია, ვინმეს არ ჩაარტყას, თორემ ჯვარს დაიჭერს, ჭინჭარს, „ტაბურეტს“, ყვავილს თუ ეკლიან ვარდს, ეს მისი უფლებაა. და თუ ვინმეს ჩაარტყა, კი ბატონო, პოლიციამ გამოიძიოს ეს ფაქტი, მაგრამ მე, რიგით მოქალაქეს, ნუ მაიძულებენ, შევიყვარო ის, რაც არ მინდა! როგორც

**„სექსუალური უმცირესობების უფლებები სადმე თუ იძღვევა, დავსხდეთ და ვიღაპარაკოთ, გვითხრან, სად ხდება ეს — ოჯახში, სამსახურში, ქუჩაში... ასეთები ბევრგან არიან, ყველგან მუშაობენ — პარლამენტში, მთავრობის აპარატში, მედიასაშუალებებში...“.**

უნდათ, ისე იცხოვრონ, ვისაც უნდათ, იმას დაუკავშირონ თავიანთი ცხოვრება, მაგრამ ამის გამო ნუ შექმნიან ამხელა აჟიოტაჟს. მოდით, ამდენი გეი შევიკრიბეთ და ახლა ვინ რას გვიზამთო — ასე გამომწვევად ნუ დაგველაპარაკებიან!

თუ ვინმეს უფლებები ირღვევა, უნდა დაიცვან, მაგრამ იმის პროპაგანდა, გინდა თუ არა, ისე აღზარდე შვილი, რომ ერთ დღეს თუ მოუნდება, გახდეს ჰომოსექსუალიო... იქნებ არ მინდა, რომ ჩემი შვილი ისე გავზარდო, რომ მიდრეკილებები გავუჩინო ჰომოსექსუალიზმისკენ? ამას რატომ ვაძალებთ ჩვენს საზოგადოებას?

პარლამენტის დატოვებაც რომ მომიწიოს, მაინც ასე ვილაპარაკებ და მინდა, სწორად მიაწოდოთ ჩემი მესიჯი მკითხველს — აბსოლუტურად მიუღებელია სექსუალური უმცირესობის მიმართ რაიმე ფორმის აგრესია, მათი დისკრიმინაცია. ცხადია, ეკლესია ამას ცოდვას დაარქმევს, სხვას ვერაფერს, მაგრამ ისიც წინააღმდეგია აგრესიის და ძალადობის. საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც არ ყოფილა ინკვიზიციები და ცეცხლზე დაწვა, ის საშინელებები, რაც იყო შუა საუკუნეების ევროპაში. შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ეკლესიის და ღმერთის სახელით არასოდეს ყოფილა ძალადობა საქართველოში. ჩვენ ბევრად უფრო ჰუმანურები გამოვდექით, ვიდრე ევროპა, ამიტომ უნდა ვიყოთ შემწყნარებლები. თუ ადამიანი ისეთია, ამის გამო არ უნდა განიცდიდეს დევნას.

მაგრამ, როცა ასეთი პირები იწყებენ პროპაგანდას, თქვენი შვილებიც იყვნენ ჩვენნაირებიო, ეს უკვე არ მომწონს და უფლება მაქვს, ჩემი შეხედულება მქონდეს!

„იდენტობამაც“ დაიცვას წესრიგი და ჩაჯდეს კონსტიტუციის ფარგლებში. როცა პოლიცია მოუწოდებს, შეიძლება საფრთხე შეიქმნასო, გაჰყვნენ მათ და აქცია სხვაგან და სხვა დროს გამართონ, რომ არ მოხდეს უბედურება. როგორც ვიცი, მეორე მხარესაც მდუმარე აქცია უნდა ჰქონოდა და მერე თუ ცემა-ტყეპაზე გადავიდნენ, არ არის სწორი.

**— ითქვა, რომ სასულიერო პირებმაც უნდა აგონ პასუხი.**

— თუ დაკითხვა გახდება საჭირო, დარწმუნებული ვარ, უარს არ იტყვიან და ჩვენებებს მისცემენ. არა მგონია, ამაში რაიმე პრობლემა იყოს.

**— საუბარია, რომ უკვე ჩანს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაპირისპირების ნიშნები.**

— არა, ამას ვერ ვხედავ. ეკლესიას ჰყავს წინამძღოლი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომლის განცხადებებიც როგორც აქციის წინ, ისე აქციის შემდეგ, არის ჰუმანურობის, შემწყნარებლობის ნიმუში. დარწმუნებული ვარ, სასულიერო პირებიც დაემორჩილებიან მათი წინამძღოლის მოწოდებას. რასაც პატრიარქი ქადაგებს, ეს უნდა იყოს სახელმძღვანელო. თუ რომელიმე სასულიერო პირმა განსხვავებული პოზიცია დაიკავა ოფიციალური პოზიციისგან, ცხადია, მას თავიანთი წესის მიხედვით მოსთხოვენ პასუხს. ეს ჩვენი გადასაწყვეტი არ არის. მაგრამ თუ კანონი დაირღვა, ეს ყველას მოეთხოვება, კანონის წინაშე ყველა თანასწორია და ეს არის სამართალდამცავების კომპეტენცია. ეკლესია კი უნდა იყოს სიმშვიდის გარანტი, როგორც ადრე და კონსტიტუციური შეთანხმებაც სწორედ ამის შედეგია — სახელმწიფო აღიარებს მართლმადიდებელი ეკლესიის როლს და მის დამსახურებას ქვეყნის წინაშე, ეს ფუნქცია მას ყოველთვის ექნება. მართალია, სახელმწიფო გამიჯნულია რელიგიისგან, მაგრამ ეს კონსტიტუციური შეთანხმება რომ არსებობს, ბევრის მანიშნებელია.

**— ქალბატონო მანანა, ამ აქციამ საპარლამენტო ცხოვრება გადაფარა, სადაც არანაკლებ მნიშვნელოვანი კანონშრომელი განიხილებოდა — ოკუპირებული ტერიტორიების კანონში შესატანი ცვლილებები. უმცირესობამ შემოგთავაზათ, რომ ოდინდ საზღვრის დარღვევის გამარტივება მხოლოდ აფხაზეთს არ შეეხოს და მზად ვართ, იმავე წესის ამოქმედება მთელი ქვეყნის მასშტაბით დავუშვათო. თქვენ ამაზე რას უპასუხებთ?**

— ამაზე ბატონმა დავით უსუფაშვილმა ნათლად განაცხადა, რომ შესაძლებელია, შეიქმნას გარკვეული ჯგუფი პარლამენტის შიგნით, რომელიც იმუშავებს, უნდა შეეხოს თუ არა ეს ცვლილებები საზღვრის სხვა მონაკვეთებსაც, ანუ, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე დაარღვევს ადმინისტრაციულ საზღვარს, პირველ ჯერზე ხომ არ იყოს ადმინისტრაციული სასჯელი და მხოლოდ მეორე ჯერზე — პატიმრობა. ამაზე მსჯელობა შეიძლება, მაგრამ ნაციონალები საქმეზე საუბრის ნაცვლად დაკავებული იყვნენ პოლიტიკური განცხადებებით და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განხილვით. კი ბატონო, თუ ასე უნდათ, ვიმსჯელოთ, მაგრამ ამას სჭირდება სხვა ინიციატივა.

**— ანუ ეს ცვლილებები, რაც ახლა განიხილება, შეჩერდება?**

— არა, მაგრამ ამის პარალელურად უნდა შემოვიდეს სხვა ინიციატივა, გაერთიანება ვერ მოხდება.

**— იკანიშვილის მიერ კოსოვოსთან გაკეთებულმა პარალელმა აჟიოტაჟი გამოიწვია — ყველაფერი იქით მიდის, თბილისი აფხაზეთს აღიარებსო. თქვენ რა კომენტარს გააკეთებდით პრემიერის ამ განცხადებაზე?**

— ეს ყველაფერი არის სპეკულაცია. დიახაც, ყველა მაგალითი არის გასათვალისწინებელი, შესასწავლი, რომ ვნახოთ, ჩვენთვის რომელია საფრთხილო და საშიში. ეს არ ნიშნავს, რომ უნდა გადმოვიღოთ კოსოვოს მაგალითი. ასეთი რამ არ უთქვამს ივანიშვილს, არც ის, რომ უკან ვიხევთ და რაიმე სახით საფრთხეს ვუქმნით არაღიარების პოლიტიკას. ეს არის ყურით მოთრეული თემა, რომლითაც მანიპულირებს ნაცმოძრაობა. ევროსაბჭოს გენმდივნის მიერ გაკეთებული განცხადება მიუთითებს იმაზე, რომ ყოველ წელს, ვიდრე ეს კონფლიქტი არ მოგვარდება და დეოკუპაცია არ მოხდება, საქართველოს საკითხი ყოველწლიურად მოხვდება კონსოლიდირებულ ანგარიშში და ეს საკითხი მოადგილეების კომიტეტში დღის წესრიგიდან არ გაქრება. ვგულისხმობ მინისტერიალს.

ისიც ფაქტია, რომ სწორედ ნაციონალების მიდგომებმა და მათმა აგრესიულმა რიტორიკამ, ისტერიკულმა ტონმა წლების განმავლობაში არანაირი შედეგი არ მოიტანა. მეტი გონიერება და დაფიქრებაა საჭირო, რისი უნარიც იმ ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა და ახლა ჩვენ გვაცადონ!


**ზედა სასუნთქი გზების მკურნალობა უნიკალური, საუკუნენახევრის ისტორიის ხალხური რეცეპტით**

პრეპარატის უნიკალურობა ის გახლავთ, რომ მზადდება ბალახისგან და წარმოადგენს ძლიერ ანტისეპტიკს, რომელიც აღწევს ცხვირის უბეში, აქრობს ანთებით პროცესს, რის შედეგადაც უბეები მთლიანად იკურნება. ამავე დროს არის სრულიად უსაფრთხო.

კურნავს: ფრონტიტს, ჰაიმორიტს, სინუსიტს, ეთმოიდიტს, სფენოიტიტს, ადენოიდებს, იწოვება პოლიპები, კარგი შედეგი გვაქვს ალერგიული რინიტის და შაკიკის მკურნალობისას.

ეპობს შემდეგ ჩივილებს: თავის, ყბის ზედა ძვლის, შუბლის ტკივილებს, ცხვირში გაგუდვას, გამონადენს და ა.შ.

*მკურნალობას შეძღვება ექიმი ოტოლარინგოლოგი ოლღა ჩოგოვაძე.*

• ჩემს მეუღლეს წლების მანძილზე აწუხებდა ჰაიმორიტი. დროთა განმავლობაში, ცხვირის გაგუდვის გარდა, დაეწყო ტკივილები. სად აღარ ვიყავით, ოპერაციაც გავუკეთეთ, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ. იმედდაკარგულები მივედით ექიმ ოლღა ჩოგოვაძესთან და მოხდა სასწაული — ჩემი მეუღლე სრულიად განიკურნა! თურმე ეს დაავადება განკურნებადი ყოფილა. დიდი მადლობა ქ-ნ ოლღა ჩოგოვაძეს.

*პატივისცემით თამარ ლაბაძე*

• მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ექიმს — ოლღა ჩოგოვაძეს. ბავშვობიდან მაწუხებდა ჰაიმორიტი, ფრონტიტი და მთელი ცხოვრება ექიმებთან სიარულში გავატარე. ორი წლის წინ გავიგე ოლღა ჩოგოვაძის შესახებ და დღეს მისი წყალობით ვსუნთქავ, როგორც არასდროს. არანაირი გამონადენი არ მაწუხებს. *ხატია რუხაძე.*

☎ 593-43-96-10, 253-84-64.
მის: თეოდორე მღვდლის №9 (რკინიგზის საავადმყოფო).
მიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 10.00-16.00 სთ-მდე.




Cyan Magenta Yellow Black

# „სექსუალური უმცირესობის მიმართ თავად პოლიციელთა ნაწილიც აგრესიას გამოხატავდა“

ლგბტ აქციასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებზე გამოძიება დაიწყო. შს სამინისტროსთვის მიმართვას არასამთავრობო ორგანიზაციებიც აპირებენ მოთხოვნით, რომ მაქსიმალურად დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც კანონი დაარღვია. საქართველოს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ პრეტენზია პოლიციის მიმართაც აქვს. ორგანიზაცია აცხადებს, რომ პოლიციელთა გარკვეული ნაწილი არათუ ცდილობდა კონტრაქციის მონაწილეთა ქმედების აღკვეთას, პირიქით, სექსუალურ უმცირესობას თავადაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდა.

„სარკე“ ამ საკითხთან დაკავშირებით საია-ს თავმჯდომარე კახა კოჟორიძეს ესაუბრა.

**— ბატონი კახა, 17 მაისის აქციაზე პოლიციას რომ არ ეყოჩაღა, შედეგები გაცილებით უარესი იქნებოდა. რა ფაქტები გაქვთ, რომ პოლიციელები არასათანადოდ მოიქცნენ?**

— შსს ვალდებულია, რომ ნებისმიერ ადამიანს მისცეს თავისი უფლების რეალიზების საშუალება. რაც მოხდა, იმის პირველი მიზეზი იყო ის, რომ შსს-მ თავისი მოვალეობა სრულყოფილად ვერ შეასრულა, თუმცა პოლიციელების გარკვეული ნაწილი სწორად მოქმედებდა. ბევრად უარესი შედეგი გვექნებოდა, რომ მათ არ ევაუკაცათ, მაგრამ მე ახლა ვსაუბრობ იმაზე, რამდენად ადეკვატური იყო ის ძალა, რომელიც იქნა გამოყვანილი და ყველა პოლიციელი ცდილობდა თუ არა, დაპირისპირება არ მომხდარიყო. აქციის ადგილას ერთი ადამიანიც არ უნდა შეეშვათ.

**— იმას გულისხმობთ, რომ პოლიციამ სასულიერო პირებს ჯვარი გაუდო, რის შედეგიც სხვების შეკავება ვერ მოხერხდა?**

— დიახ. ასევე პრობლემა იყო ისიც, რომ აქციის შესახებ მედიამ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა. ეს არ ყოფილა გეიაღლუმი ან პროპაგანდა, როგორც ითქვა. 17 მაისი არის ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე და ეს ღონისძიება ბევრ ქვეყანაში აღინიშნება. მათი მესიჯი იყო, რომ სექსუალური უმცირესობის მიმართ ძალადობა არ შეიძლება. ეს კითხვის ნიშნის ქვეშ არც უნდა იდგეს, მაგრამ 17 მაისის ფაქტმა სულ სხვა რამ გვაჩვენა.

**— მიდით, მედიას ნუ დაადანაშაულებთ ყველაფერში. თუ ინფორმაცია სწორად არ იყო გადაცემული, „იდენტობას“ შეეძლო განმარტება, მაგრამ ეს არ გააკეთა.**

— მედიას ყველაფერს არ ვაბრალებ, უბრალოდ ვისურვებდი, რომ სათანადოდ გაშუქებულიყო. „იდენტობამ“ თქვა, მაგრამ სათანადოდ არ გაშუქდა. ასევე ადამიანებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია ასეთი პირების შესახებ. არსებობს სამედიცინო დასკვნა, რომ ადამიანი იბადება ასეთად, ვერ გადაკეთდება და ეს არ არის გადამდები სენი. ეს დასკვნა გაზიარებულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ.

**— მაგრამ არა — ყველა არსებობს შეძენილიც**

— შეძენილია თუ არა, კანონი მათ ერთნაირად ეპყრობა. თუ ქვეყანას სურს ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ერთ-ერთი კრიტერიუმი, რითაც ქვეყანა ფასდება, სწორედ ისაა, უმცირესობის უფლებები რამდენადაა დაცული და მათ მიმართ ხომ არ ხდება ძალადობა. ამ თვალსაზრისით, 17 მაისი იყო ძალიან ცუდი დღე. მეორე მხარესაც ჰქონდა შეკრების და გამოხატვის უფლება, მაგრამ ასეთ დაპირისპირებაში არ უნდა გადაზრდილიყო.

**— მაგრამ რაც მოხდა, მისალიდსწერი იყო, რადგან ამაზე კეთდებოდა მანიშნებები. ეს რატომ არ გამოვალისწინა „იდენტობამ“?**

— „იდენტობამ“ შს სამინისტროდან მიიღო გარანტია, რომ მათ დასაცავად ყველაფერს გააკეთებდნენ. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ პოლიციელთა რაოდენობა ადეკვატური არ იყო. გარკვეული ნაწილი თავადაც აგრესიას გამოხატავდა. აქ კიდევ სახიფათო არის ის, რომ სახელმწიფომ ამით თქვა — თუ ადამიანთა დიდი რაოდენობა რაღაცას გადაწყვეტს, შეიძლება არ მქონდეს რესურსი, რომ ამ ძალადობას შევეწინააღმდეგოო.

**— ინციდენტს ოფიციალურად რა შეგასებას მისცემთ?**

— არასამთავრობო ორგანიზაციები ვაპირებთ, მივმართოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ იმ კონკრეტულმა პირებმა, ვინც კანონი დაარღვიეს, პასუხი აგონ, განურჩევლად იმისა, ვინ იყვნენ. აქ იკვეთება პოლიციის მიმართ დაუმორჩილებლობა, ხულიგნობა, სხეულის დაზიანება. ეს დანაშაულობები თავისუფლების აღკვეთასაც ითვალისწინებს.

**— სასულიერო პირებსაც გულისხმობთ?**

— ჩვენი კანონმდებლობა ერთნაირად ეხება სასულიერო პირებსაც და სხვებსაც.

**— ეს უფრო არ დაძაბავს სიტუაციას?**

— ჩვენ არ ვართ შუასაუკუნეებში, არ გვაქვს თეოკრატიული სახელმწიფო, სადაც ეკლესიას მეტი ძალა აქვს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია

> **ჯახა ჯოჯოხიძე: „ჩვენ ახ ვახთ შუასაუკუნეებში, ახ გვაქვს თეოკრატიული სახელმწიფო, სადაც ეკლესიას მეტი ძალა აქვს... ახა მგონია, ჩვენი ხელიგია ძალადობას ამართლებდეს. ჩემი აზრით, ამ ფაქტით თუ ვინმე დაზარალდა, დაზარალდა ეკლესიის ავტორიტეტი".**

ჰქონდეს რწმენა, პირადად მე ვარ მართლმადიდებელი და ვცდილობ, მისი წესები დავიცვა, მაგრამ არა მგონია, ჩვენი რელიგია ძალადობას ამართლებდეს. ჩემი აზრით, ამ ფაქტით თუ ვინმე დაზარალდა, დაზარალდა ეკლესიის ავტორიტეტი.

**— მანც გაუგებარია, რატომ წაუდა „იდენტობა“ ამ გამოწვევაზე**

— თუ ვინმეს უნდა, კონსტიტუციის ფარგლებში იმოქმედოს, არ უნდა ვთქვათ, რომ ის ადამიანი ცუდად მოიქცა. ეკლესიას რომ სიმშვიდისკენ მოეწოდებინა და არ ჩარეულიყო, ამით ყველა იხეირებდა. ახლა კი მივიღეთ რა — ეკლესიის, სასულიერო პირების და სახელმწიფოს კრიტიკა. თუ დღეს სახელმწიფომ არ გასცა სათანადო პასუხი ამას, ცუდ შედეგს მივიღებთ — ძალადობა წახალისებული იქნება. ვიმედოვნებ, რომ შსს სიმტკიცეს გამოიჩენს.

**— ყოფილმა დეპუტატმა უფლებადამცველმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ ტელეკომპანიაში ვანაცხადა, რომ არც მასთან და არც სასალონი დამცველისთან სექსუალური უმცირესობის რიცხვიდან წარმომადგენელს ვანცხადებთ, რომ იბგრძა და დასმარების თხოვნით არასოდეს მოუმართავს. თქვენ მგონიათ მსგავსი საჩივარი?**

— კი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ხშირად. „იდენტობას“ აქვს ასეთი კვლევა და იყო ფაქტები. ამ თემაზე ლაპარაკს ერიდებიან და ამიტომაც არ მოგვმართავენ.

**— მანდა ვასარგებლი შემთხვევით და გკითხოთ, როგორ მიიღეთ პრემიერისგან კრიტიკა ეკლესიასთან პრესკონფერენციაზე სათქვამ ფრაზას, სადაც ვადაჭარბა თავის უფლებამოსილებასო, თქვა არ ვანუმარტავს კონკრეტულად რაზე საუბს გულისხმობდა.**

— არასამთავრობო ორგანიზაციები სხვა უფლებებით სარგებლობს. მე კანონი არ მიდგენს, როგორ ვიმოქმედო, ანუ რაც არ მეკრძალება, ყველაფრის გაკეთების უფლება მაქვს. როცა პასუხისმგებელი პირი ასეთ განცხადებას აკეთებს, უკეთესია, განმარტოს კიდეც, რომელ ინციდენტს გულისხმობს. არა მგონია, მას სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ამბავი ეგულისხმა, იმიტომ, რომ უბრალოდ პატიმრებს შეეხვდით და რაც მათ გვითხრეს, ის საზოგადოებას გავაცანით. ალბათ ბათუმის ინციდენტზე იყო მინიშნება.

რაც შეეხება ბათუმის ინციდენტს (საია-ს მძღოლსა და აჭარის პოლიციის უფროსს შორის შელაპარაკება. ავტ.), მის შესახებ საია არც აპირებდა საჯარო განცხადების გაკეთებას. გვინდოდა, მიგვემართა საჩივრით, რათა ამ ფაქტზე რეაგირება მოეხდინათ, მაგრამ პირველი განცხადება თავად შსს-მ გაკეთა შინაარსით, რომ ინციდენტში მხოლოდ საია-ს მძღოლი იყო დამნაშავე და მან გამოიწვია პროვოკაცია. ამის შემდეგ მაინც ვცდილობდით, არ გვეპასუხა, მაგრამ როცა ცხადი გახდა, რომ მტკიცებულებები ნადგურდებოდა, სათანადო რეაგირება მოვახდინეთ. არ მესმის, თავდაცვა რატომ იყო ინტერესთა კონფლიქტი. რა გააკეთა საია-მ? რა უკანონობაც ვნახეთ, საზოგადოებას პრესით და ტელევიზიით ვამცნეთ. ეს არის უფლებამოსილების გადამეტება? იგივე მოვისმინეთ პარლამენტის წევრებისგანაც.

**— ალბათ თინა ხიდაშელს გულისხმობთ.**

— მათ შორის — მასაც.

**— არადა ხიდაშელს საია-ადმი სულ სხვა დამოკიდებულება აქვს, თავად იყო მისი თავმჯდომარე.**

— რამდენიმე წელი იყო საია-ს თავმჯდომარე და, მინდა გითხრათ, რომ ყველაზე წარმატებულიც. რაც შეეხება დეპუტატების მიერ გაკეთებულ განცხადებას, მათ ბევრი ისაუბრეს, რომ საია იყო მიკერძოებული. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ კი უარყოფითი შეფასება არც ერთმა დეპუტატმა გააკეთა. თუ გავითვალისწინებთ, რომ პარლამენტს აკისრია კონტროლის ფუნქცია ხელისუფლებაზე, ჩემთვის გაუგებარია, არასამთავრობო ორგანიზაციის კრიტიკის ფუნქცია რატომ იკისრეს და არ გაარკვიეს, სწორად მოქმედებდა თუ არა შს სამინისტრო. თუ ვინმეს მტკიცებულებების განადგურება სწორ ქცევად მიაჩნია და იმ ამბავში მთავარი ის იყო, რომ საია-მ „გადააჭარბა“ უფლებამოსილებას, მე შემიძლია პირდაპირ ვთქვა, რომ ამ მიდგომით პარლამენტი თავის ფუნქციას — გააკონტროლოს მთავრობა, ვერ შეასრულებს.

**— რიგორ მიმდინარეობს ამ საქმის გამოძიება?**

— პროკურატურიდან მოვიდა ინფორმაცია, რომ ამ ამბავში დანაშაულის ნიშნები ვერ დაინახა, თუმცა ჩვენ აქცენტს ვაკეთებდით მტკიცებულების განადგურებაზე. ჩვენთვის წარმოუდგენელია, რომ ეს შემთხვევით მომხდარიყო, თუნდაც იმიტომ, რომ წაშლას რამდენიმე მოქმედების შესრულება სჭირდება. დავუშვათ, შემთხვევით მოუვიდა, მისი აღდგენა არ არის პრობლემა. უბრალოდ იქ კარგად იყო ასახული, რაც მოხდა, მაგრამ რადგან ერთხელ თქვეს, არაფერი მოხდაო, აღარ უარყვეს. ხოლო მას, ვისაც შემთხვევით „წაეშალა“, დისციპლინარული სასჯელი დაეკისრა.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**

# „ნატახტარის“ რეკორდული საპრიზო ფონდი ლუდის მოყვარულებისათვის

# ლუდის ბოთლში მოქცეული იღბალი

თორნიკე ნიკოლაიშვილი

ზაფხულის მოახლოებასთან ერთად კომპანია „ნატახტარმა“ ლუდის მოყვარულებს ტრადიციად ქცეული წამახალისებელი გათამაშება შესთავაზა. ის, ვინც „ნატახტარის“ ლუდს აირჩევს, ავტომატურად ხდება გათამაშების მონაწილე და თუ იღბალმაც გაუმართლა, პირდაპირ ლუდის ბოთლის თავსახურში აღმოაჩენს ფულს. წლევანდელმა გათამაშებამ მასშტაბური სახე მიიღო. 15 მაისიდან დაწყებული, აქცია 15 ივლისამდე გრძელდება. ყველა ზომის „ნატახტარის“ პეტის, ანუ პლასტმასის ბოთლის თავსახურში მოთავსებულ კაფსულაში შეიძლება აღმოაჩინოთ 10, 20, 50, 100 ან 200 ლარიანი კუპიურა. გათამაშების ეს ინოვაციური მეთოდი ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს „ნატახტარის“ მოყვარულებს შორის. გასულ წლებში საყვარელ სასმელში ფულადი ჯილდოც უხვად აღმოუჩენიათ. თანაც, ამ შემთხვევაში თქვენ არ გჭირდებათ მოგებული ფულადი ჯილდოსათვის სადმე წასვლა. თუ იღბლიანებს შორის აღმოჩნდით, მაშინ ფულის კუპიურა იმ ბოთლშია, რომელიც ხელში გიჭირავთ.

წლევანდელ წამახალისებელ გათამაშებას სუპერპრიზიც ახლავს თან. „ნატახტარის“ ყველა ზომის შეფუთვის, გარდა თუნუქის ქილისა (0,5 შუშის ბოთლში, 1 ლიტრიან, 2 ლიტრიან და 2,5 ლიტრიან პლასტმასის ბოთლები), თავსახურავზე შეიძლება აღმოაჩინოთ ლაზერით ამოტვიფრული 50 000, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ 50 ათასი ლარის მფლობელი ხართ. გარდა ამისა, აქციის პერიოდში შეიძლება ლუდის ბოთლების თავსახურზე აღმოაჩინოთ ლაზერით ამოტვიფრული ბოთლის გამოსახულება, რაც იმას ნიშნავს, რომ 300 ათასი უფასო 0,5 ლიტრიანი შუშის „ნატახტარის“ ბოთლიდან ერთ-ერთი თქვენც მოიგეთ.

**თორნიკე ნიკოლაიშვილი — კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:**

— „ნატახტარის“ მოყვარულები უკვე მიჩვეულები არიან ჩვენგან სიახლეებს. მათ იმედებს არც ამჯერად გავუცრუებთ. უკვე მეხუთედ დაიწყო „ნატახტარის“ წამახალისებელი გათამაშება. წლიდან წლამდე საპრიზო ფონდი და შესაბამისად მოგების შანსი იზრდება, რაც უფრო და უფრო ინოვაციურს ხდის გათამაშებას. იმისათვის, რომ ჩვენი მომხმარებელი უკეთ ჩაერთოს გათამაშებაში, „ნატახტარის“ ეტიკეტზე სპეციალური ნიშანი დავსით, რომელიც მომხმარებელს აძლევს გარანტიას, რომ ის გათამაშების მონაწილეა. გათამაშების მთავარი ინოვაცია იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის მოგების ყველაზე მყისიერი საშუალება, რაც კი შეიძლებდა არსებობდეს. მომხმარებელს შეუძლია ყოველგვარი ბარიერის გადალახვის გარეშე მიიღოს მოგებული თანხა, ისე, რომ რაიმე სახის ოფისში ან ბანკში მისვლა არ დასჭირდეს. სერიოზული ფულადი მოგებების გარდა, გათამაშებაშია 300 ათასი ბოთლი ლუდი „ნატახტარი“, რაც ლუდის მოყვარულების მოგების შანსს მნიშანელოვნად ზრდის. ამ აქციის პერიოდში ჩვენს ერთგულ მომხმარებლებში ძალიან ბევრი იღბლიანი აღმოჩნდება. რაც შეეხება 50 ათას ლარს, რადგანაც ეს თანხა კაფსულასა და თავსახურში ვერ ჩაეტეოდა, ამიტომ „ნატახტარის“ ლუდის თავსახურზე ლაზერით იქნება ამოტვიფრული „50 000“. წინასწარ არავინ იცის, სუპერპრიზიანი თავსახურიანი ბოთლი რომელ რეგიონში მოხვდება. „ნატახტარი“ ხომ საქართველოს ყველა რეგიონში ლიდერის პოზიციაზეა წარმოდგენილი. მაგალითად, შარშან 50 ათასი ლარი რუსთავში გათამაშდა. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მივანიჭოთ მოგების ბედნიერება. „ნატახტარის“ ყველა მოყვარულს ვუსურვებ მოგებას.

• • •

„ნატახტარის“ გათამაშებასთან დაკავშირებით ნებისმიერ კითხვაზე შეგიძლიათ დარეკოთ ცხელ ხაზზე: 2 550 700 ან მიაკითხოთ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის 87 ა, სს „ლომისის“ თბილისის ოფისი.



Cyan Magenta Yellow Black

# რატომ ვერ თანხმდებიან ანი ტყებუჩავა და მედეა ლორთქიფანიძე

## მედეა: „ნინამ დათო კარგად უნდა აწრუწუნოს!“

## ანი: „მანანასნაირ დედამთილს კარსაც კი არ გავუღებ!“

საქართველოში რძალდედამთილიანი რომ მარადიული თემაა, მსახიობებთან, მედეა ლორთქიფანიძესა და ანი ტყებუჩავასთან ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ჩვენი მკითხველი თავად დარწმუნდება. ორი სხვადასხვა თაობის ქალს ოჯახურ ურთიერთობებზე აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებები აქვს. ისინი ჩვენთან საუბრისას ისევე კამათობდნენ, როგორც მათი ეკრანული წყვილი — რძალ-დედამთილი მანანა და ნინა სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“.

ანი გასათხოვარია, ქალბატონ მედეას კი ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს. დარწმუნებულია, ვაჟი რომ ჰყოლოდა, რძლისთვის კარგი დედამთილი იქნებოდა. მსახიობი თავის პერსონაჟს თავგამოდებით იცავდა და რამდენჯერმე ისე შეიჭრა როლში, ნინას ნაცვლად ანის უსაყვედურა, დედამთილს უსამართლოდ ექცევიო. თავისი გმირის გასამართლებლად ანისაც ჰქონდა მყარი არგუმენტები. ერთი სიტყვით, ინტერვიუმ დიდ კამათში ჩაიარა.

**მედეა**: რძალ-დედამთილის კონფლიქტის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ყველა დედას შვილი ეგოისტურად უყვარს და უნდა, მას გვერდით უკეთესი ქალი ჰყავდეს. ვფიქრობ, ეს სწორი მიდგომა არ არის. მე რომ დედამთილი ვიყო, აუცილებლად ვიტყოდი, ვინც ჩემს შვილს უყვარს, ის მოიყვანოს-მეთქი.

**ანი**: არ მესმის, სხვადასხვა თაობის ქალებმა რატომ უნდა იჩხუბონ. არ არის საჭირო, რძალ-დედამთილს ერთმანეთი უყვარდეთ, პატივისცემაც საკმარისია. დედას თუ შვილი უყვარს, როგორ შეიძლება მის სიყვარულს პატივი არ სცეს?! მე მაინც ვფიქრობ, რომ საჭიროა ცალ-ცალკე ცხოვრება. ორი ქალი სამზარეულოში — ეს უკვე კონფლიქტის მიზეზი ხდება. მე და დედაჩემი ვკამათობთ რაღაცეებზე და, რა გასაკვირია, რომ დედამთილთან მქონდეს კონფლიქტი? ამიტომ ჯობს, წყვილი ქორწინების პირველ თვეებში მაინც ცალკე ცხოვრობდეს.

**— ქალბატონო მედეა, ეთანხმებით ანის, რომ ცოლ-ქმარმა ცალკე უნდა იცხოვრონ?**

**მედეა**: წყვილმა მანამ უნდა იცხოვროს ცალკე, სანამ ბავშვი არ გაჩნდება. როცა ცოლ-ქმარი მუშაობენ, პატარა ცოდოა. ყველას ხომ არ აქვს ძიძის აყვანის საშუალება. დედა სამსახურს თუ თავს დაანებებს, კარიერას გაიფუჭებს. დედამთილი რომ სახლში გეყოლება, დაგეხმარება.

**— ოჯახში ვინ უნდა დათმოს, რომ კონფლიქტი არ წარმოიქმნას?**

**მედეა**: დედამთილს უნდა ესმოდეს, რომ რძალი უცხო ოჯახიდანაა მოსული, სხვა ყაიდაზეა გაზრდილი. შეიძლება შენ უკეთესი ოჯახი გქონდეს, ვიდრე რძალს, მაგრამ ამაზე თვალი უნდა დახუჭო. გამოდის, რომ დედამთილმა უნდა დათმოს. ჩემმა ბიცოლამ რძალი შეჭამა! დედამთილი ავს რომ ეუბნებოდა, რძალი ეფერებოდა და პასუხობდა, ისე გავაკეთებ, როგორც გინდათო. ბოლოს ბიცოლაჩემი მიხვდა, რომ ოჯახში ღვთისნიერი ქალი ჰყავდა. ყველამ თავისი წილი უნდა დათმოს. რძალ-დედამთილის დაუსრულებელმა ჩხუბმა შეიძლება ოჯახი დანგრიოს. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია კაცის პოზიცია.

**ანი**: გეთანხმებით, ოჯახში მთავარი კაცია და მან უნდა შექმნას ისეთი სიტუაცია, სადაც ყველას თავისი ადგილი ექნება. თუ რძალიც და დედამთილიც ოდნავ მაინც განათლებული არიან, თავიანთი საქმე აქვთ, კამათის თავი არც ექნებათ. სხვების პირად ცხოვრებაში უსაქმურები იქექებიან. როდესაც სახლში ღამის პირველ საათზე მიდიხარ და კიდევ იმის თავი გაქვს, იკინკლაო, აშკარად რაღაც პრობლემა გაწუხებს.

**„მედეა: „ჩემად ბეტყვით: ამბობენ, ხომ ანი მაღე გათხოვდება!“.**

**— ქალბატონო მედეა, თავის დროზე, როცა თქვენ გათხოვდით და ქმრის ოჯახში შეხვედით, როგორ დაარეგულირეთ ურთიერთობები?**

**მედეა**: ქმარმა მითხრა, შენ ჩემი ცოლი ხარ, ეს დედაა, ორივე მიყვარხართ, ამიტომ თუ იჩხუბებთ, სახლიდან წავალო. გადასარევი დედამთილი მყავდა, ორი ზედმეტი სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის, მე უფრო ვქოთქოთებდი. სახლში რომ შედიხარ და იქ ყველა კუთხე-კუნჭული დედამთილის დალაგებული გხვდება, შენ კი ურევ — „ეს აქ არ მინდა“, „იქ იმის ადგილი არ არის“, რა თქმა უნდა, დედამთილს ეწყინება.

**ანი**: კი, მაგრამ რძალმა რა ქნას? ყველას გვინდა, ჩვენი სამყარო შევიქმნათ. ჩემი ოთახი შეიძლება ჩემთვის დალაგებული იყოს, მაგრამ ვიღაცისთვის — არეული. მესმის დედამთილის, რომ მთელი ცხოვრება ოჯახს აშენებს, მერე შემოდის რძალი და, დავუშვათ, არ მოსწონს თაროებზე ჩამწკრივებული „ვაზები“, რა უნდა გააკეთოს?

**ანი: „მანანა ხომ ყველაფერში ცხვირს ჰყოფს, მედეა ასე ახ ახის. ისე, ცოტათი ჯი ჰგავს თავის გმირს. ჩვენთან ხშირად მოაქვს მუჰაბები და საღათები“.**

**მედეა**: გაგიჟდებით, რა, ჩემმა შვილმა ყველა „ვაზა“ შემანახვინა!

**ანი**: ბუნებრივია, დრო გადის და გემოვნება იხვეწება.

**მედეა**: მაგრამ მე ჩეხოსლოვაკიიდან რომ ვათრიე ის „ვაზები“, არაფერია?!

**ანი**: გასაგებია, მაგრამ მთელი ცხოვრება ისეთ სახლში ხომ ვერ ვიცხოვრებ, როგორიც თქვენი გემოვნებითაა გაკეთებული? მეც ხომ მინდა, ისეთი იყოს, როგორიც მომწონს! უნდა ველოდო, დედამთილი როდის წავა ამქვეყნიდან, რომ ჩემი სამყარო შევიქმნა? გამოდის, რომ ერთად ცხოვრებით ვერც ერთი ხარობს.

**მედეა**: ამ შემთხვევაში დედამთილმა უნდა დათმოს, უცხო ოჯახიდან შემოსულ რძალს შენი წესები არ უნდა მოახვიო თავს. რატომ არ ვარ დედამთილი! ოღონდაც ვინმემ რამე გამიკეთოს და ხმას არ ამოვიღებ!

**— როგორ ფიქრობთ, ბავშვის დაბადებას შეუძლია ამ რთული ურთიერთობის შეცვლა?**

**ანი**: ბავშვი ძალიან კარგი საშუალებაა, რომ რძალ-დედამთილმა ერთმანეთს სამაგიერო გადაუხადონ. ბებია-ბაბუა ხშირად იმის გაკეთების უფლებას აძლევენ შვილიშვილს, რასაც მშობლები უკრძალავენ. ძირითადად სულ ამაზეა კამათი. მშობლებმა ისე უნდა გაზარდონ შვილი, როგორც თვითონ უნდათ, დედამთილ-მამამთილის ჩაურევლად.

**მედეა**: მაგრამ ისე ვერ გაზრდიან შვილებს, რადგან პრაქტიკა არ აქვთ. ბავშვს ცოტა თავისუფლება უნდა მისცე, ოღონდ არა ისეთი, რომ მერე თავზე გადაგახტეს.

**ანი**: მაშ, თქვენ როგორ გაზარდეთ შვილი? მაშინ ყველა ბავშვი ბებიებმა გაზარდონ! არაჯანსაღი აზროვნება უნდა ამოვიგდოთ თავიდან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენიშვნები არ მივიღოთ. ზოგ ბებია-ბაბუას შვილიშვილი მხოლოდ მოსაფერებლად უნდათ და არა იმისთვის, რომ, მე თუ სამსახურში წავალ, დაიტოვონ.

**— ანი, თქვენი ეკრანული დედამთილი სწორედ ისეთია, როგორზეც ახლა საუბრობდით. რეალურ ცხოვრებაში რომ შეგხვდეთ მანანასნაირი დედამთილი, რა „პოლიტიკა“ გექნებოდათ მასთან?**

**ანი**: მედიკოს გმირი არ არის ის ადამიანი, რომელიც შეიძლება შეცვალო. რომ გავთხოვილიყავი და მანანასნაირი დედამთილი შემხვედროდა, ალბათ მისი მოსამსახურე გავხდებოდი. თუმცა რაღაც შემთხვევებში უფრო მკაცრი პოზიცია მექნებოდა. ნინა კი თან ეუბნება და თან — არა. ისე, რა უნდა მექნა? რამდენჯერმე შეიძლებოდა, კარი არ გამეღო.

გასაგებია, რომ შვილებს წვნიანი უნდა აჭამო და არა — სულ ერბოკვერცხი, მაგრამ ყველას ჩვენ-ჩვენი ცხოვრება გვაქვს. სხვების გამო ვერაფერს შევცვლით. ცოლ-ქმარმა კარგად იციან ერთმანეთის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ამას შეგუებული არიან. დედამთილის ჩარევა არასწორია. არ ვფიქრობ, რომ ისე უნდა ვიცხოვრო, როგორც მას უნდა.

**მედეა**: მანანა ნინას ყველაფერს პირში ეუბნება, მეზობლებში არ ლანძღავს, ეს კარგი ჩვევა აქვს.

**ანი**: როგორ არა? ყველასთან „ჩემი რძალი“, „ჩემი რძალი“ აკერია პირზე.

**მედეა**: რას ლაპარაკობ! მანანა, იცი, როგორ უვლის შენს შვილებს! სულ ბაზარში დადის და უნდა რაღაცით გასიამოვნოს. დედამთილი რომ გეტყვის, ღომი გავაკეთეო და შენ ეტყვი, არა, კაფეში უნდა წავიდეო, ეწყინება, აბა, არ ეწყინება?! მაგრამ მანანა მაინც არაფერს ამბობს.

**ანი**: ამ ყველაფერს კი ჯობს, ბავშვები



Cyan Magenta Yellow Black

თვითონ დაიტოვოს და ნინა სამუშაოდ გაუშვას. დედამთილი იმ კუთხით უნდა დაეხმაროს შვილს და რძალს, რაც თავად სჭირდებათ. ჩემი მეგობრის დედამთილი კარის გაღებისთანავე თავის რძალზე ჭორაობას იწყებს. უტაქტობაა, როდესაც რძალს მისივე დაქალთან ჭორავ. სხვა თუ არაფერი, უხერხულია შენი საკუთარი რაღაცეების გარეთ გატანა. ბევრი დედამთილი ვიცი, რადგან რძალს ვერ შეეგუა, მომხრეა, შვილმა ოჯახი დაანგრიოს.

**— ქალბატონო მედეა, ნინა ოჯახზეა გადაყოლილი, გადამკვდარია ქმარსა და შვილებზე. არ მუშაობს, რადგან მეუღლეს არ უნდა. ასეთ შემთხვევაში რა პრეტენზია შეიძლება გქონდათ მისნაირ რძალთან?**

**მედეა**: ნინას მიმართ მანანას არანაირი პრეტენზია არ აქვს, გარდა იმისა, რომ ის უცებ ისეთ რაღაცას ეტყვის, აწყენინებს. რძალი მანანას „შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე“-თი რომ ელაპარაკოს, დამერწმუნეთ, შეიძლება ჩაერიოს მათ ცხოვრებაში, მაგრამ სხვებთან მაინც აღარ იჭორავებს. შვილის და რძლის განშორება მანანასთვის ნამდვილი ტრაგედიაა. ნინა კარგი დედაა, კარგ შვილებს ზრდის, ქმარი ჩაცმულ-დახურული დაჰყავს, სახლში ყველაფერი გაკრიალებული აქვს.

**ანი**: იმიტომაც უღალატეს!

**მედეა**: ეს იმიტომ, კაცები 40 წელს რომ გადასცილდებიან, მერე რაღაც მოსდით. იმ გოგომ გაუცინა, დათომაც ახალი ხილი დაინახა. ნინაც კარგი ცოლია, სწორედ ამიტომ მისი ქმარი ახლა კუდამოძუებული დადის.

**ანი**: ყველამ თავისი თავის კონტროლი უნდა იცოდეს.

**მედეა**: ჰო, მაგრამ ნინა რომ ეუბნება ქმარს, ჩექმები იყიდე ჩემთვისო, თანაც იმ დროს, როდესაც ქმარს საჭმლის ფული არ აქვს, სწორია?

**ანი**: აბა, ქმარმა ცოლს ჩექმა არ უნდა უყიდოს?!

**მედლეა**: მაშინ, როცა საჭმლის ფული არ აქვს?! ეს როგორ შეიძლება!

**— რაც შეეხება ცოლქმრულ ღალატს, რას ფიქრობთ, ამ დროს დედამთილმა როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს?**

**ანი**: ცოლ-ქმრის ურთიერთობაში მხოლოდ დედამთილი კი არა, არავინ უნდა ჩაერიოს, მათ შორის — არც მეგობრები. როცა ქმარს მთელი ცხოვრება თვალდახუჭული ენდობი და არ აკონტროლებ, უცებ კი აღმოჩნდება, რომ დიდ სისულელეს ჩადიოდი, რადგან ის ადამიანი თურმე სულ სხვა რაღაცით იყო დაკავებული, ძალიან მტკივნეულია.

**მედეა**: რას ამბობ, ანი, აბა, მანანა არ უნდა ჩაერიოს?! შავი დღე უნდა აყაროს შვილს!

**ანი**: შვილს რაც უნდა, ის უქნას, მაგრამ ურთიერთობის მოგვარებას არ უნდა ეცადოს. ჩემთვის თუ რჩევა ვინმეს უკითხავს, მითქვამს ის, რაც მისთვის იქნებოდა კარგი, თუმცა ასეთ დროს ძალიან ძნელია, ადამიანს რჩევები მისცე.

**მედეა**: ვფიქრობ, რომ ასეთ დროს დედამთილი უნდა ჩაერიოს. შეიძლება რძალს უთხრა, აპატიე, რა მოხდა, ხდება ხოლმეო. მსოფლიოში ხუთი კაცი მაინც მითხარით, ვისაც ცოლისთვის არ უღალატია. ასეთი არ არსებობს! კაცი ცხოვრებაში ცოლს ერთხელ მაინც ღალატობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას ოჯახი არ უყვარს. დათოს, რა, არ უყვარს ცოლ-შვილი? მაგრამ იმ ქალთან სითბო ნახა, იმ ქალმაც იაქტიურა. მას უნდა ეთქვა, ცოლშვილიან კაცთან არ დავდივარო და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა, მან კი ბინის ქირაობა მოსთხოვა. ქალს უფრო მეტი დაკვირვება და წინდახედულობა სჭირდება. კაცი ოხერია, ამიტომ ყველაზე მეტად ნათიას გმირს ვამტყუნებ.

**— ნინა რომ ქმარს არ ურიგდება, ამაზე რას ფიქრობთ?**

**მედეა**: მე მინდა, რომ ჯერჯერობით არ შეურიგდეს, კარგად უნდა აწრუწუნოს და იმ ქალთან გაარკვიოს ურთიერთობა. თუ აღმოჩნდება, რომ კაცს ორივე ქალი უნდა, რა თქმა უნდა, ცოლმა აღარ უნდა გაიკაროს. როცა ნინა დარწმუნდება, რომ ქმარი საყვარელს დაშორდა და მასთან საერთო არაფერი აქვს, აუცილებლად უნდა შეურიგდეს, თუნდაც შვილების გამო.

**მედეა: „გადასახევი დედამთილი მყავდა, ოჰი ზედმეტი სიტყვა ახ უთქვამს ჩემთვის, მე უფრო ვქოთქოთებდი“.**

■ მედეა ლორთქიფანიძე და ანი ტყებუჩავა

მანანას ადგილას რომ ვიყო, ვეცდებოდი, შემერიგებინა. როცა გულს გტკენს ადამიანი, რომელსაც აღმერთებ, თვალებში შესციცინებ და ყველაფერს უსრულებ, მისგან ასეთი ტკივილი ძნელად მოსაშუშებელია. ჩემი გმირი ძალიან ცუდ დღეშია, შვილი ძალიან უყვარს, შეიძლება რძალზე ასე არ გიყდება, მაგრამ ოჯახის დანგრევა მისთვის ტრაგედიაა.

**ანი**: არიან ადამიანები, რომლებიც დედამამასთან სხვანაირები არიან და ცოლთან — სხვანაირები. ცოლ-ქმარი კარს რომ მიიკეტავენ და ოთახში შევლენ, იქ რა ხდება, სხვების საქმე არაა. მეგობრებთან თუ რაღაცას იტყვი, მხოლოდ იმიტომ, რომ გინდა, დაიცალო.

**— ანი, ნინას მდგომარეობაში რომ აღმოჩენილიყავით, თქვენ შეურიგდებოდით ქმარს?**

**ანი**: როცა ოჯახი არ გაქვს და ამაზე მსჯელობ, ცოტა სასაცილოა, ამიტომ ჩემი მხრიდან კომენტარის გაკეთება აღბათ ზედმეტია. ძნელია კაცს ღალატი აპატიო. ნინას ყველაფერს უკრძალავდა და საბოლოოდ ისეთი ქალი მოეწონა, რომელიც სწორედ ისეთ რაღაცეებს აკეთებდა, რასაც ცოლს უკრძალავდა. ეს სხვანაირი გულისტკენაა. არ მინდა, ვიცოდე, ამ დროს ქალები რას განიცდიან და ღმერთმა ნუ განმაცდევინოს! ყველაზე კარგია სიყვარული, პატივისცემა და მოთმინება.

**ანი: „ამბობენ, ჰომ ქმაჰს უნდა ვაპატიო. დავიჯეჰო, თავად აპატიებდნენ? ეს საპატიებელი აჰ ახიჰ. ასე ადვილად ვეჰასოდეს ვაპატიებ!“.**

**— ანი, მაყურებლები რას გეუბნებიან? ფაქტია, რომ ყველა უთანაგრძნობს თქვენს გმირს.**

**ანი**: ამბობენ, რომ ქმარს უნდა ვაპატიო. დავიჯერო, თავად აპატიებდნენ? როგორც მსახიობს, ასეთ შემთხვევაში ჩემი შეხედულებები მაქვს და სცენარი რამდენადაც მაძლევს საშუალებას, ჩემს განწყობას ვდებ შიგნით. ეს საპატიებელი არ არის. ასე ადვილად ვერასოდეს ვაპატიებ! ყოველ შემთხვევაში, ჩემმა გმირმა ამ ეტაპზე არ უნდა აპატიოს.

**— მეორე წელია, რაც გადასაღებ მოედანზე ერთად მუშაობთ, ალბათ უკვე კარგად იცნობთ ერთმანეთს. ქალბატონო მედეა, რაიმე საერთოს ხედავთ ანისა და ნინას შორის?**

**მედეა**: ანი ისეთი დაკავებულია, არ ვიცი, ეს გოგო საერთოდ გათხოვდება თუ არა. ისე, ჩუმად გეტყვით: ამბობენ, მალე გათხოვდებაო. ისეთი კაცი უნდა შეხვდეს, რომელიც გაუგებს. ხომ იცით, ქართველი კაცები რა აზიატები არიან, ამიტომ ისეთს უნდა გაჰყვეს, რომელიც მისივე საქმეში იქნება ჩართული — ან კინოოპერატორს, ან კინორეჟისორს, ვისაც არ გაუკვირდება მსახიობი ცოლის შუაღამეზე დაბრუნება სახლში. თუ მსახიობობა მიატოვა, სახლში დაჯდა და ქმარს შარვლები და წინდები ურეცხა, აბა, რისთვის ისწავლა?! მით უმეტეს, რომ ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარე გოგოა. ამ სერიალისთვის თავდადებულია, სულ ცეკვავს, მღერის, კარგ ხასიათზეა, თითქოს არაფერი აწუხებს. ყოველთვის ისეთ სიტუაციას გვიქმნის, რომ ჩვენც კარგ ხასიათზე დავდგეთ. მე უფრო მეტს ვწუწუნებ, ვიდრე ანი. ხან ის მტკივა, ხან — ეს. განა ანის რამე არ სტკივა?! უბრალოდ არასდროს გვაგრძნობინებს. ბედნიერია ის, ვინც მას ცოლად მოიყვანს! ისე, უნდა ვთქვა, რომ ვერც ერთი დედამთილი შეეგუება, რაღალი ღამის პირველ საათზე დაბრუნდეს სახლში.

**ანი**: მედეა მანანასნაირი ქოთქოთა არ არის, მაგრამ ძალიან ენერგიული ქალია. რაღაც მომენტებში ესეც ქოთქოთებს ხოლმე. ბევრი ინფორმაციის მატარებელია. მანანა რომ ყველაფერში ცხვირს ჰყოფს, მედეა ასე არ არის. ისე, ცოტათი კი ჰგავს თავის გმირს. ჩვენთან ხშირად მოაქვს მურაბები, სალათები და გვასინჯებს.

✓ ქეთი დინოშვილი


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მტიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოუკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის ადგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 599-90-54-78, 247-58-83.





Cyan Magenta Yellow Black

# რატომ ჩააგდო უხერხულობაში გიორგი ვარდოსანიძე მაია ასათიანმა

## „ვცდილობ, „ნაღებ საზოგადოებას“ გავერიდო“

მსახიობ გიორგი ვარდოსანიძეს ოცნება აუხდა, მუსიკისა და დრამის თეატრში დორიან გრეის როლს შეასრულებს. თვლის, რომ ამ რთული პერსონაჟის სათამაშოდ მზად არის. როლზე მუშაობას აგვისტოდან დაიწყებს, მანამდე კი აპირებს, კარგად დაისვენოს, მთელი საქართველო კარვით მოიაროს. გრძნობს, რომ გარემოს გამოცვლა, ახალი ენერგიით დამუხტვა სჭირდება. თუ გავითვალისწინებთ ახლო წარსულში მოვლენებით დატვირთულ პერიოდს მის შემოქმედებით თუ პირად ცხოვრებაში — პროექტში „ცეკავეეენ ვარსკვლავები“ სამთვიანი მონაწილეობა, ფინალში გასვლა, შეყვარებულთან დაშორება, ჭორები... — დასვენება ნამდვილად სჭირდება. მერე კი გიორგი ეკრანზეც აქტიურად გამოჩნდება. ამ ყველაფერზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვიამბობს.

**„სრულიად ჰეტეროსექსუალი ვიყო, ჯიბეში ფული არ მქონდეს და ამისთვისაც მზად ვარ“.**

**— გიორგი, გვითხარით, ამჟამად რა ამბები ხდება თქვენს ცხოვრებაში, რითი ხართ დაკავებული.**

— თეატრალური სეზონი დამთავრდა. აგვისტოს ველოდები, რადგან ამ პერიოდში ვიწყებ მუშაობას ჩემს საოცნებო დორიან გრეის როლზე. რადიოში ვმუშაობ. მალე „კომედი არხზე“ დაიწყება სერიალი, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს შევასრულებ. ასევე, მალე „რუსთავი 2“-ის ეთერში გავა გადაცემა, რომლის წამყვანიც ვიქნები.

**— იმ შუალედში, რაც ეკრანზე აღარ ჩანდით, დაფიქრების, მომხდარის შეფასების დრო დაგიდგათ?**

— არაფერი შეცვლილა და ამიტომ რაიმეს შეფასება-გადაფასება არ დამჭირვებია. ამ პერიოდში ვისვენებდი. წონაში ცოტა მოვიმატე, რადგან ერთ-ერთი როლისთვის დამჭირდა. ფიზიკურადაც დაღლილი ვიყავი და ემოციურადაც, ამიტომ ეს პერიოდი დასასვენებლად მჭირდებოდა.

**— აღიდგინეთ ძალები?**

— ვერ ვიტყვი, რომ კარგად დავისვენე, გარემოს გამოცვლა კიდევ მჭირდება, თუმცა ენერგია მოვიკრიბე და მზად ვარ კარგი საქმეების გასაკეთებლად.

**— ზაფხულის გატარებას სად გეგმავთ?**

— მინდა, მეგობრებთან ერთად საქართველო მოვიაროთ კარვით. მალე მანქანით სტამბულში ვაპირებთ წასვლას და ასევე, ოდნავ მოგვიანებით ერთი კვირით ზღვაზე უნდა წავიდე. ქვეყნის საზღვრებსაც უნდა გავცდე. ასე რომ, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი კარგად არის. ეკრანზე ყოფნა-არყოფნა არაფერს განსაზღვრავს. ჩემთვის მთავარი თეატრია.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენი საოცნებო როლისთვის ფსიქოლოგიურად მზად ხართ?**

— კი, ზუსტად იმ ასაკში ვარ, როცა დორიან გრეი უნდა ვითამაშო, რადგან 25 წლამდე ამ როლის თამაში ადრეა, უფრო დიდ ასაკში — გვიანი. ვფიქრობ, რომ ძალიან მაგარი პერსონაჟია.

**— თეატრის სცენის მტკვრა გირჩევნიათ კინოკამერებს?**

— თეატრი უფრო ჩემია. მიყვარს კამერასთან მუშაობა, მაგრამ იმ სიამოვნებას, რასაც სცენაზე ვგრძნობ, კამერა ვერ მანიჭებს.

**— ეკრანზე როგორ აფასებთ თქვენს ნამუშევარს, უფრო არ მოგწონთ, ვიდრე მოგწონთ?**

— დიდად არ ვგიჟდები ჩანაწერების ყურებაზე, მაგრამ მაინც აუცილებლად ვნახულობ, რომ ვიცოდე, შეცდომა სად დავუშვი. საკუთარი თავით არასდროს ვარ კმაყოფილი.

**— როცა რთული პერიოდი გიდგებათ, ამ დროს რას ეუბნებით საკუთარ თავს?**

— ცხოვრებაში რთული პერიოდი ყოველთვის დგება — შემოქმედებითად, ფინანსურად... მაგრამ ყოველთვის მჯერა, რომ მეორე დღე უკეთესი იქნება. ასე ვცხოვრობ, ასე გამზარდეს. სრულიად რეალურია ხვალ ნული ვიყო, ჯიბეში ფული არ მქონდეს და ამისთვისაც მზად ვარ. ეს კიდევ ერთი სტიმული იქნება, რომ არ გავჩერდე. აქამდე ისე მოვედი, რომ შრომა ყოველთვის მიფასდებოდა. მთავარია ფარ-ხმალი არ დაყარო.

**— რა არის თქვენთვის სულიერი სიმშვიდის გარანტი?**

— უკეთესი დღის იმედს მაძლევს ოჯახი და მეგობრები. ეს ყველაზე ძვირფასია, რაც გამაჩნია. თუ ეს ადამიანები ჯანმრთელად არიან, მაშინ მშვიდად ვარ.

**— თქვენ მეგობრებს შორის არის თქვენივე კოლეგა თორნიკე გოგრიჭიანი, რომელიც ასევე პოპულარობით და ქალთა სქესის სიმპათიებით სარგებლობს. გულახდილად რომ გვითხრათ, ასეთ შემთხვევაში მეგობრებს შორის კონკურენცია მაინც არსებობს?**

— ჯანსაღი კონკურენცია არსებობს. ყველა მეგობარი, ვინც ჩემ გვერდით დგას სცენაზე, ერთგვარი სტიმულია. როცა ვხედავ, რომ თორნიკე გოგრიჭიანი, კახა კინწურაშვილი თუ სხვები მიდგანან გვერდით, ვცდილობ, მეც კარგი ვიყო, საქმე არ გავაფუჭო. შენ რომ ამას ცდილობ, ისიც ზრუნავს, რომ კარგი იყოს. ამით ერთმანეთს ვზრდით. გამიმართლა, ისეთ თეატრში ვარ, სადაც ძალიან ნიჭიერი თაობაა.

**„არ ვიცი, როგორი გოგონა უნდა იდგეს ჩემ გვერდით. აღბათ ის, ვინც გამიგებს, ის ღირებულებები უნდა ჰქონდეს, რაც მე მაქვს“.**

**— ყოფილა თქვენს ცხოვრებაში მომენტი, როცა პოპულარობამ თავბრუ დაგახვიათ თუნდაც რამდენიმე წუთით და თავი სხვებზე აღმატებულად იგრძენით?**

— არა. საქართველოში თავში რაღაცის ავარდნა სასაცილოა ისევე, როგორც ღიმილისმომგვრელია, როცა ვინმეს აქ ვარსკვლავს უწოდებენ. მაშინ ვარსკვლავური ცხოვრებაც უნდა გქონდეს. უფრო კარგად ჟღერს — ცნობილი სახე. განგების მადლიერი ვარ ყველაფრისთვის. არ დავმალავ — ვგრძნობ ხალხის სიყვარულს.

**„საქართველოში თავში ჰაღაცის ავარდნა სასაცილოა ისევე, როგორც ღიმილისმომგვრელია, როცა ვინმეს აქ ვარსკვლავს უწოდებენ. უფრო კარგად ჟღერს — ცნობილი სახე“.**

**— როგორ ფიქრობთ, პოპულარობა შეიძლება ხელისშემშლელიც იყოს გარკვეულ შემთხვევებში?**

— საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ვცდილობ, თავი ვაკონტროლო და ეს ბუნებრივია. არ მინდა, ვინმემ გათხლეშილი მთვრალი მნახოს, ბუჩქებში ჩავარდნილი. სხვა მხრივ, არანაირად ვიზღუდები, როგორიც ვიყავი, ისეთი ვარ, უბრალოდ მეტი პასუხისმგებლობა მაკისრია.

**— ისეთი შეცდომა თუ დაგიშვიათ, რომელსაც ძალიან განიცდით და თავისთვის ვერ გაპატიებიათ?**

— რა თქმა უნდა, შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არის. ზოგჯერ გინდა, რომ ვინმეს არ აწყენინო და პირიქით გამოგდის ან ფიქრობ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ასე არ უნდა მოქცეულიყავი, მაგრამ მასშტაბურად რომ შევხედოთ ამ ყველაფერს, არაფერს ვნანობ და ცხოვრების თავიდან დაწყების შანსი რომ მქონდეს, იმავეს გავაკეთებდი. შეიძლება არ ვამაყობ, რაც გამიკეთებია, მაგრამ არც მრცხვენია. არავის ცხოვრებას არ ვადარებ ჩემსას, იმიტომ, რომ მე ჩემი ფასეულობები გამაჩნია.

**— იქნებ ჩვენც გაგაცნოთ თქვენი ფასეულობები.**

— ფასეულობაა გარემოსადმი დამოკიდებულება. არ მიყვარს მატერიალისტები, მეწვრილმანეები, „მეშჩანები“... არ მიყვარს, ვინმე ზემოდან თუ შემომხედავს, საშინელებებს გავუკეთებ საპასუხოდ. მეც არ დავხედავ ვინმეს ზემოდან. მეზიზღება სიტყვა „სვეტი“. მაია ასათიანმა ერთ-ერთ გადაცემაში გამოაცხადა, რომ თბილისის „სვეტი“ ბიჭები ჰყავდა სტუმრად. წინასწარ რომ მცოდნოდა, ასე იტყოდა, მონაწილეობას არ მივიღებდი. მაყურებელი შეამჩნევდა, როგორი თავდახრილი შევედი. მაიამ იხუმრა და დარწმუნებული ვარ, ცუდი გაგებით არ უთქვამს.

მეზიზღება ხალხის დაყოფა გოიმებად და „სვეტებად“, ქალაქელებად და სოფლელებად. შეიძლება აგრესიული გავხდე ამის გამო ვინმეს მიმართ და ვიღაცას არც ვუყვარდე. არ დავდივარ ისეთ ადგილებში, სადაც ჰგონიათ, რომ, წესით, უნდა ვიყო და მეც მათთან ერთად ვიხარშებოდე. ხშირად



Cyan Magenta Yellow Black

საზოგადოება, რომელსაც ნაღებს უწოდებენ, ჩემთვის ნარწყევი საზოგადოებაა. ვცდილობ, მათ გავერიდო. შეიძლება ამბიციურად ჟღერს, რასაც ვამბობ, მაგრამ მე ჩემი სამყარო მაქვს.

**— ხასიათით ლიდერი ხართ?**

— ყოველთვის ვცდილობ, რასაც ვაკეთებ, კარგი იყოს. ვზრუნავ, სადავეები ჩემს ხელში იყოს. შეიძლება სურვილები გამაჩნია, რომლებიც ხანდახან არ ემთხვევა ჩემს შესაძლებლობებს, მაგრამ ასეთ დროს საკუთარ თავზე ვმუშაობ და საბოლოოდ მიზანს ვაღწევ.

**— გიფიქრიათ იმაზე, დღეს უფრო ძლიერად რომ გეგრძნოთ თავი, წარსულში რა უნდა გაგეკეთებინათ?**

— კარგი იქნებოდა, ბავშვობაში მეტი დრო დამეთმო სწავლისთვის, რადგან შემდეგ ღამეების თენება არ მომიწევდა. წარსულში რომ დავბრუნდე, ალბათ მეტ დროს დავუთმობდი თვითგანვითარებას.

არაჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა. ყველაზე მეტად, იცით, რას განვიცდი? რომ მყავდა ძალიან მაგარი ბებია-ბაბუა, რომლებიც დღეს, საწუხაროდ, ცოცხლები აღარ არიან. წარსულის შეცვლა რომ შემეძლოს, ალბათ მათ მეტად მოვიკითხავდი. მამა სულ მეუბნებოდა, დარეკე, მოიკითხეო, მაგრამ პატარა ასაკში ამის აუცილებლობას ვერ ვხედავდი. როცა ფაქტის წინაშე დავდექი, საკუთარ თავს ვეღარ ვპატიობ, რომ შემეძლო მათ მიმართ მეტი ყურადღება გამომეჩინა და ეს არ გავაკეთე.

**— ინტერვიუს ჩაწერის წინ მთხოვეთ, თქვენს პირად ცხოვრებას არ შეეხებოდით და ეს თხოვნა გავითვალისწინეთ კიდეც, ამიტომ ზოგადად გკითხავთ — როგორი გოგონა წარმოგიდგენიათ თქვენ გვერდით?**

— სტერეოტიპები ბავშვობაში დავტოვე. რამდენი შეყვარებულიც მყოლია, ყველა განსხვავდებოდა იმ სტერეოტიპებისგან, რაც ადრე მქონდა. მართლა არ ვიცი, როგორი გოგონა უნდა იდგეს ჩემ გვერდით. ალბათ ის, ვინც გამიგებს, ის ღირებულებები უნდა ჰქონდეს, რაც მე მაქვს.

**— თქვენი ერთი ჩვეულებრივი საღამო აღწერეთ.**

— მეგობრები ვფიქრობთ, მაჯაზე ტატუდ დავიწეროთ სიტყვები: „რა ვქნათ?“ სამეგობრო თითქმის ყოველ საღამოს ვიკრიბებით, ვსხედვართ რომელიმეს მანქანაში და ვკითხულობთ: „რა ვქნათ?“ კარგი, წავალთ ქალაქგარეთ. კიდევ იბადება კითხვა: „ახლა რა ვქნათ?“ მივდივართ რომელიმე ჯაზბენდის მოსასმენად. იმ დროსაც ვსვამთ კითხვას: „რა ვქნათ?“ რაც უნდა კარგად ვიყოთ — ზღვაზე ან სადმე ვერთობოდეთ, ვიღაც მაინც დაიძახებს: „რა ვქნათ?“

**— სად და რა სტატუსით წარმოგიდგენიათ თავი 50 წლის ასაკში?**

— მინდა, რომ ცხოვრებას მაქსიმუმი გამოვწურო. ვოცნებობ, რომ თეატრს მთელი ცხოვრება ვემსახურო. ყველა მსახიობის სურვილია, დიდი არტისტი გახდეს და მასზე თაობებმა ილაპარაკონ. რა თქმა უნდა, ეს მეც მინდა.

✓ მანანა ნოდია

**„მეზიზღება სიტყვა „სვეტი“. მაია ასათიანმა ეით-ეით გადაცემაში გამოაცხადა, ჰომ თბილისის „სვეტი“ ბიჭები ჰყავდა სტუმრად. ნინასნარ ჰომ მცოდნოდა, ასე იტყოდა, მონანილეობას არ მივიღებდი“.**

# დათუნა მგელაძე რუსულ შოუბიზნესში მიდის

ომღერალი დათუნა მგელაძე მოსკოვში მიემგზავრება. მისი მიზანი ერთ-ერთ მუსიკალურ კონკურსს უკავშირდება, რომლის სახელსაც არ ახმაურებს. ამბობს, რომ საქართველოში თავის საქმეს ველარ აკეთებს და უნდა, უცხო ქვეყანაში სცადოს ბედი. როგორც ჩანს, მისი მოსკოვური გეგმები კონკურსის ფარგლებს სცდება და უფრო ბევრ რამეს მოიცავს. დათუნამ გვითხრა, რომ მოსკოვში მისი ერთ-ერთი მასპინძელი მომღერალი თამუნა ამონაშვილი იქნება, რომელიც წლებია რუსეთში ქმართან, რეჟისორ რეზიკო არჩვაძესთან ერთად ცხოვრობს.

— ბილეთი უკვე ავიღე და რამდენიმე დღეში მოსკოვში მივემგზავრები. კონკურსში უნდა მივიღო მონაწილეობა, მაგრამ მის სახელწოდებას ვერ დაგისახელებთ. ვერც იმ პიროვნების ვინაობას გაგიმხელთ, ვისგანაც ეს წინადადება მივიღე, რადგან მას არ სურს. ამ შემოთავაზებას იმიტომ დავთანხმდი, რომ აქ არაფერი ხდება. სანამ რამე გამოჩნდება, ისე ხომ არ ვიქნები? აქამდე სხვა ქვეყანაში წასვლაზე არასოდეს მიფიქრია, რადგან ქართულ შოუბიზნესში ვიკიდებდი ფეხს. ახლა იქ მინდა, ჩემი საქმე ავაწყო. აქედან ოპტიმისტური განწყობით მივდივარ. მოსკოვში დროებით ჩემს მეგობართან დავბინავდები. იქ თამუნა ამონაშვილი მელოდება. 26 წლის ასაკში ფაქტობრივად ახალ ცხოვრებას ვიწყებ. მოსკოვში დიდი მუსიკალური ბაზარია, დიდი ფული ტრიალებს და იმედი მაქვს, წარმატებას მივაღწევ, — გვითხრა დათუნამ.

რამდენიმე ხნის წინ მან ნინი ქარსელაძესთან ერთად დუეტი ჩაწერა. კლიპის სატელევიზიო ჩვენებამ ჭორი ააგორა, რომ მათ შორის რომანი იყო. დათუნა ირწმუნება, რომ მის პირად ცხოვრებაში ახალი არაფერი ხდება და ისევ სიყვარულის მოლოდინშია.

— ამ კლიპის მიზანი არ იყო, ჩემსა და ნინიზე ჭორები აგორებულიყო, ჩვენ მეგობრები ვართ. ტოქ შოუში ჩვენი კომენტარები ისე დაჭრეს, რომ ხალხს ეგონა, ჩვენ შორის რაღაც ხდებოდა, მთელი თბილისი მირეკავდა და მეკითხებოდა, მართლა გვიყვარდა თუ არა ერთმანეთი. შეყვარებული არ ვარ. ჩემს ცხოვრებაში სიყვარული იგვიანებს, მე კი მოუთმენლად ველოდები. მე თუ მკითხავთ, დიდი საცოდაობაა, რომ აქამდე არავინ მყვარებია. ერთი კი ვიცი, რომ „ის“ მთელი არსებით შემიყვარდება. ისე, მაგარი წუნია კი ვარ. მანდილოსანს გამადიდებელი შუშით ვაკვირდები, — გაგვიმხილა მომღერალმა.

ქართველ მსმენელებს თავი რომ არ დაავიწყოს, დათუნა მათ სამ ახალ სიმღერას უტოვებს. „სარკე“ ახალგაზრდა მომღერალს წარმატებებს უსურვებს.

✓ ლანა კეკნაძე


ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58




Cyan Magenta Yellow Black

# ლუბა ელიაშვილს დის მაჭანკლობა არ გამოუვიდა

## მანანა ელიაშვილი: „დღეს რომ ცოცხალი ვარ, ჩემი და–ძმის დამსახურებაა“

■ დები — ლუბა და მანანა

საქართველოში შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ დებს, ლუბა და მანანა ელიაშვილებს, საშუალება მისცათ, თავიანთი ცხოვრების საქმეს, ჟურნალისტიკას დაბრუნებოდნენ. უფროსი და, ლუბა, ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ხელმძღვანელია, 5 წლით უმცროსი მანანა კი — საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ის დირექტორი. მათ სიმკაცრეზე ჟურნალისტურ წრეებში ლამის ლეგენდები დადის. ამას არც თავად უარყოფენ და ამბობენ, რომ სხვაგვარად ჟურნალისტების მართვა რთულია. იყო პერიოდი, როცა მანანა ლუბას ხელქვეითი იყო და თავს მოიკლავდა, ოღონდ დის დავალება შეესრულებინა. ახლა ლუბას, როგორც თავად ამბობს, „მანანადეფიციტი“ აქვს, ანუ სწორედ დისნაირი თანამშრომლები აკლია.

კარიერის მიღმაც დების ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, ბევრი საინტერესო ხდება — ოჯახური შეკრებები, მხიარული სუფრები, ურთიერთდახმარება და განსაცდელიც, რომელიც ახლო წარსულში ერთად დაძლიეს.

**— ასაკობრივი განსხვავება დედამიშვილებს შორის პატარაობისას უფრო იგრძნობა ხოლმე. ქალბატონო მანანა, ლუბას როგორი დამოკიდებულება ჰქონდა თქვენდამი, გუფროსებოდათ?**

**მანანა**: ნამდვილად არ მეუფროსებოდა, მაგრამ ცდილობდა, რჩევები მოეცა. რა წიგნსაც ლუბა წაიკითხავდა, მას მეც უნდა გავცნობოდი. ლუბა იყო საზომი ჩემთვის. ვიცოდი, რომ უნდა ვყოფილიყავი ისეთი ყოჩაღი, როგორიც ის იყო და უნდა წამეკითხა იმდენი წიგნი, რამდენსაც ლუბა კითხულობდა.

**ლუბა**: სამი დედამიშვილი ვართ, მე უფროსი ვარ, შემდეგ მანანა მოდის, ნაბოლარა კი ჩვენი ძმა გიაა. ორივეს დაბადება მახსოვს. მანანა სამშობიაროდან სახლში მწვანე შალის პლედში გახვეული მოიყვანეს. ჩვენი უმცროსი ძმა ზაფხულში დაიბადა, მაშინ ხაშურში ვისვენებდით და მის სახლში მოსვლას ვერ შევესწარი, თუმცა ქაღალდის ნავი გავაკეთე, ზედ წერილი დავწერე და არხს გამოვატანე, მეგონა, დედასთან მიცურდებოდა. ბავშვები ძალიან მიყვარდა, ჩემს და-ძმას ხშირად ვუდგამდი სპექტაკლებს, მათთვის თოჯინებს ვაკეთებდი. მადლიერი ვარ უფლის, რომ ასეთი და-ძმა მარგუნა. მშობლებმა ერთმანეთის სიყვარულში აღგვზარდეს, შრომის ფასი გვასწავლეს. საქმის კეთებისგან დღემდე დიდ სიამოვნებას ვიღებთ.

ჩვენი მშობლები ინჟინრები იყვნენ, მუშაობდნენ. და-ძმა ერთმანეთს ყველაფერში ვუგებდით და ვეხმარებოდით. პირველი მანქანა რომ ვიყიდე, ხშირად მიფუჭდებოდა. ამ დროს სადაც უნდა ვყოფილიყავი, გიას დავურეკავდი, მოვიდოდა, გამიკეთებდა. ჩემი მეუღლე მანქანას კარგად ატარებს, მაგრამ მისი გაკეთება არ შეუძლია. ასე რომ, ძმის იმედზე ვიყავი ყოველთვის. არაჩვეულებრივი რძალი შეგვხვდა, რომელიც დიდი სითბოთი ჩაეწერა ჩვენს ოჯახში.

გვყავს 85 წლის დედა, რომელიც

**მანანა: „ოცა ღუბას თაყვანისმცემლები უჰეკავდნენ, ყველას ვატყუებდი, ღუბა შინ არ არის-მეთქი, მაგრამ შალვა შავგულიძე არასოდეს მომიტყუებია. ის დანახვის დღიდან მომწონდა“.**

საოცრად მეხმარება. ის ყველას პატრონია დღემდე. ჩემს შვილებს ის უვლის. ახალი წელი რომ მოდის, ტაციაობა გვაქვს, ვინ წაიყვანს სახლში და ვის გაუკეთებს საცივს.

**მანანა**: დედა ძალიან აქტიური ადამიანია.

**— თაყვანისმცემლების პერიოდი, ოჯახის შექმნა... როგორ ხვდებოდით ერთმანეთის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებს?**

**მანანა**: თაყვანისმცემლების თემა ყველაზე მტკივნეული იყო ჩემთვის. როცა ლუბას ტელეფონზე ურეკავდნენ, ყველას ვატყუებდი, ლუბა შინ არ არის-მეთქი, მაგრამ შალვა შავგულიძე არასოდეს მომიტყუებია. ის დანახვის დღიდან მომწონდა, ვგულშემატკივრობდი და მაშინვე ვაღიარე სიძედ. შალვა არის ის პიროვნება, ვინც ჩემი დის გვერდით უნდა იყოს.

**ლუბა**: ჩემმა დამ ოჯახი არ შექმნა. ჩემს შვილებზე დიდი ამაგი აქვს, ისინი მანანას შვილებიც არიან.

**მანანა**: შვილი არ მყავს. ვერ წარმომიდგენია, ჩემს დისშვილებსა და ძმისშვილებზე მეტად ვინმე მიყვარდეს.

**— ქალბატონო ლუბა, როგორც უფროსი და, არ აქტიურობდით უმცროსი დის გათხოვების საკითხში?**

**ლუბა**: ჩემს დას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ ყველას იწუნებდა. ჩვენს სამსახურში უცოლო კაცი რომ მოვიდოდა სამუშაოდ, ვცდილობდი, მისთვის დამეახლოვებინა. ყოველთვის მეუბნებოდა, დაანებე ჩემს გათხოვებაზე ფიქრს თავი, საკუთარ თავს თვითონ მივხედავო.

**მანანა**: ამ ცხოვრებაში ყველა თავის არჩევანს აკეთებს, მთავარია ბედნიერი იყო, ეს სიტყვა კი მრავალმხრივია. დღეს რომ ცოცხალი ვარ, ჩემი და-ძმის დამსახურებაა. ჩემი ცხოვრების უმძიმეს პერიოდში ლუბა და გია დამეხმარნენ.

**ლუბა**: მანანას ჯანმრთელობის ძალიან სერიოზული პრობლემა ჰქონდა, მაგრამ ყველა ერთად მოვერიეთ. რომ გვეგონა ხოლმე, წამალი ბოლო ფულით ვიყიდეთ, უცებ საიდანღაც ისევ მოგვცემდა უფალი. ოჯახის და მეგობრების დახმარებით ძალიან დიდი განსაცდელი დავძლიეთ, დღეს ყველაფერი უკეთაა. როგორც კი ჩემი დის დიაგნოზი გავიგე, მანანას პირველივე წამიდან ვუთხარი, არ იქნებოდა სწორი, რომ მისთვის დამემალა. ღირსეულად გაუმკლავდა. ძალიან რთული სამედიცინო პროცედურების შემდეგ სამსახურში მიდიოდა და მუშაობდა. უფრო მეტიც, აქეთ გვამხნევებდა. ძალიან ყოჩაღია.

**— ტელეკომპანია „იბერიიდან“ მოყოლებული ერთად გიწევთ მუშაობა. სამსახურში როგორ ეწყობით ერთმანეთს დები?**

**მანანა**: ლუბასთან მუშაობა არ არის რთული. ძალიან კარგად იცის, ვისთან როგორი უნდა იყოს. რაღაცას რომ მავალებდა, ეს იყო დიდგორის ბრძოლასავით. მის მიერ მოცემული დავალებისთვის სიცოცხლე უნდა შემეწირა.

**ლუბა**: იოლი დავალებების მიცემა არ ვიცი. „მეცხრე არხზე“ რომ გადმოვედი, ვთქვი, რამდენიმე თვეში ახალ შენობაში გადავდივართ და მაუწყებლობას ვიწყებთ-მეთქი. შეშინდნენ, ეს როგორ, შიდა ეთერი არ უნდა გვქონდესო, მკითხეს. ისე შევიცვალეთ შენობა, რომ პირდაპირი ეთერი არ გაგვიჩერებია.

**მანანა**: „ინფო 9“-ის დირექტორობა რომ შემომთავაზეს, მეგონა, ვერ შევძლებდი

**ლუბა: „მანანას ჯანმრთელობის ძალიან სერიოზული პრობლემა ჰქონდა, მაგრამ ყველა ერთად მოვერიეთ. ოჯახის და მეგობრების დახმარებით ძალიან დიდი განსაცდელი დავძლიეთ“.**

ამხელა პასუხისმგებლობის აღებას, მაგრამ ლუბას ჩხუბით, შეძახილით ამ თანამდებობას მაინც დავთანხმდი. მამხნევებდა და საბოლოოდ მართლაც ყველაფერი გამოვიდა.

**ლუბა**: მაშინ პირველად ვნახე ადამიანი, რომელიც ჩხუბობდა, დირექტორობა არ მინდაო და ეს იყო ჩემი და. მე ვიცოდი მისი პოტენციალი, ამიტომ ერთი წამითაც არ მეპარებოდა ეჭვი, რომ საქმეს თავს გაართმევდა.

**— ქალბატონო მანანა, ლუბა ერთი პერიოდი თავის საქმეს იძულებით ჩამოაშორეს. ამ დროს თქვენ სად იყავით?**

**მანანა**: როცა ლუბა „იბერიიდან“ წამოვიდა, მეც მას გამოვყევი. „იბერიის“ მაშინდელმა დირექტორმა და ერთ-ერთმა მფლობელმა, კახა გაგლოშვილმა, მკითხა, შენ რატომ მიდიხარო. გამეცინა და ვუპასუხე, როგორ შემიძლია დავრჩე სამსახურში, საიდანაც ჩემი და გაათავისუფლეს-მეთქი.



Cyan Magenta Yellow Black

მე კი არა, ოპერატორებიდან დაწყებული ჟურნალისტებით დამთავრებული, ყველა აპირებდა გამოყოლას.

**ლუბა**: ოპერატორებს ვუთხარი, ტელევიზია არ გააჩეროთ-მეთქი და უკან დავაბრუნე. კახას არ უთქვამს, არხიდან წადიო, მან შვებულება შემომთავაზა. საწყალს, ძალიან აწუხებდნენ და პრობლემა აღარ შევუქმენი.

**— ქალბატონო მანანა, ამბობენ, რომ თქვენი და სამსახურში ძალიან მკაცრია. ეს სამართლია?**

**მანანა**: რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ლუბა განსხვავებული ხასიათის, ბრაზიანია, მაგრამ მე უფრო მომთხოვნი ვარ. თუ გინდა, საქმე გაკეთდეს, გარკვეულწილად მკაცრიც უნდა იყო.

**ლუბა**: აი, ამიტომაც მაქვს „მანანა-დეფიციტი“ „მეცხრე არხზე“. მისი სიმკაცრე და პრინციპულობა მჭირდება, რომ იქაურობას მივხედო. „ინფო 9“-ში 700-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავდა და ყველას სახელი, გვარი და ოჯახური მდგომარეობა ზეპირად იცოდა. მე ასე კარგად არ გამომდის. სადაც მანანაა, იქ საქმე კარგად კეთდება. საოცარი თვისება აქვს, ასკეტური ბუნებისაა. თუ არჩევანის წინაშეა, იმგზავრებს არა ტაქსით, არამედ სამარშრუტო ტაქსით. საკუთარ თავს ზედმეტი ფუფუნების უფლებას არ მისცემს, დანაზოგს კი გაჭირვებულებს დაურიგებს. ღირსეული და ხელგაშლილია. მე და ჩემს ძმასაც სულ გვეხმარება.

**— რითი ჰგავხართ დები ერთმანეთს?**

**მანანა**: არაფრით! არც ხასიათით და არც გარეგნობით.

**ლუბა**: მანანა ძალიან ორგანიზებული და მოწესრიგებულია. მაგალითად, ჩანთას როგორც კი გახსნის, მაშინვე პოულობს ყველაფერს. მე საათობით უნდა ვეძებო, სად ჩავაგდე გასაღები და ასე შემდეგ. ჩემი მეუღლეც ძალიან მოწესრიგებული პიროვნებაა, მე ცოტა ქაოტური ადამიანი ვარ. რეალობა არის ასეთი: სიყვარული არ არის ერთმანეთის თვალებში ყურება, სიყვარული არის ერთი მიმართულებით ცქერა. ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებიც ერთი მიმართულებით ვიყურებით. მსოფლმხედველობა, ღირებულებები — აი, ეს გვაქვს საერთო და ალბათ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

**— თქვენი პოლიტიკური შეხედულებებიც ემთხვეოდა ერთმანეთს?**

**მანანა**: ჩვენი — კი, მაგრამ ვერასოდეს ვხვდებოდით, მამას რა პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდა, არასოდეს გვეუბნებოდა, ვის აძლევდა ხმას.

**ლუბა**: ისე წავიდა ამქვეყნიდან, დღესაც არ ვიცით, ვისი მხარდამჭერი იყო. მკაცრად გვეტყოდა ხოლმე, ეს ჩემი კონსტიტუციური უფლებაა.

**— დებს არც სამსახურის და არც პირადი უთანხმოების გამო გაჩხუბიათ?**

**მანანა**: რასაკვირველია, ყოფილა შემთხვევა, რომ გვიკამათია და გვიჩხუბია კიდეც, მაგრამ ზღვარს არასოდეს გადავსულვართ.

**ლუბა**: ნახევარ საათზე მეტი ერთმანეთს არასოდეს დავმდურებივართ. ისედაც ძალიან ხანმოკლეა სიცოცხლე,

**მანანა: „ღუბა ჰომ ჩაღაცას მავაღებდა, ეს იყო დიდგოჩის ბჩძოღასავით. მის მიეჩ მოცემული დავაღებისთვის სიცოცხღე უნდა შემეწიჩა“.**

რომ ბუტიაობაზე დახარჯო.

**— საშზარეულოში ვინ არის ჩემპიონი? რომელს უკეთესად გეხერხებათ კულინარია?**

**ლუბა**: არის კერძები, რომლებიც მე უკეთ გამომდის, მაგალითად, ხაჭაპური, ღვეზელი, მუჟუჟი, ეგზოტიკური სალათები... მანანა კი შესანიშნავ ნამცხვრებს აცხობს. ასე რომ, ფუნქციები განაწილებული გვაქვს.

**მანანა**: სადღესასწაულო სუფრისთვის კერძებს ერთად, შეთანხმებულად ვამზადებთ, მაგრამ ამ საქმეში ჩემპიონი დედაა, ტრადიციულ კერძებს — საცივს, ბაჟეს, ფხალეულს ყოველთვის ის ამზადებს. ნამცხვრები მართლაც ჩემი პოზიციაა. ძალიან მიხარია ჩემი დისშვილი, გიორგი, თავის დაბადების დღეზე ფორთოხლის ტორტის გამოცხობას რომ მთხოვს ხოლმე. ლუბას ქალიშვილს, ელენეს კი ყველაფერს დედამისის გაკეთებული ვაშლის შტრუდელი ურჩევნია.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

# „დაქალს ჩემი ტანსაცმელი სდომებია და არა — მეგობრობა“

 დიდი ხანია დედა მეუბნება, რომ ჩემი მეგობარი ცუდად იქცევა, მიყენებს. ამის გამო დედასთან ყოველთვის უთანხმოება მქონდა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ სიმართლეს მეუბნებოდა. 16 წლის გოგო ვარ. ჩემი დაქალი კი ერთი წლითაა ჩემზე უფროსი. მეგონა, მას ვუყვარდი და ჩემთან ურთიერთობა სიამოვნებდა, მაგრამ ახლა ამაში ეჭვი მეპარება. ვფიქრობ, რომ მას ჩემი ტანსაცმელი უფრო აინტერესებდა, ვიდრე მეგობრობა. რამეს რომ ვიყიდდი, სახლში მოტანილი არ მქონდა, რომ მაშინვე თავზე დამაცხრებოდა და მიჰქონდა. რაც კარგი მქონდა, ყველაფერი მან გამიცვითა. ტყავის ქურთუკი მანამ არ გაიხადა ტანიდან, სანამ შესაკრავი არ გაუფუჭა და სახელოები არ გადახეხა.

მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ერთხელ ჩემი ბიუსტჰალტერიც კი წაიღო. რა თქმა უნდა, უკან აღარ გამოვართვი, ვაჩუქე. ასე ბევრი რამ დავუტოვე, მათ შორის — საცურაო კოსტიუმიც. დედამ რომ გაიგო, მითხრა, აღარ გამოართვა, მაგრამ ახალსაც არ გიყიდიო. პირობა შეასრულა და იმ წელს ზღვაზე ლამის ბავშვობისდროინდელი კოსტიუმი მეცვა.

ფეხის თითზე ფრჩხილი გამიფუჭდა. ექიმმა მითხრა, რომ რაღაც ინფექცია შემეჭრა. ამ დროს ჰიგიენა განსაკუთრებით უნდა დაიცვა, რომ სხვასაც არ გადასდო. ცოტა ხნის წინ დაქალი მოვიდა და ფეხსაცმელი მთხოვა. უარი ვუთხარი, მაგრამ მიზეზი ვერ ავუხსენი. არ მინდოდა, თუნდაც უახლოეს მეგობარს გაეგო, რომ ფეხზე რაღაც მჭირდა. მან ჩემი უარი შეურაცხყოფად მიიღო. „ფეისბუქზე“ საშინელი სტატუსი გამოაქვეყნა, წერდა, რა ცუდია, როცა ადამიანს ძუნწი მეგობარი ჰყავსო. მაშინვე დავურეკე და ვუთხარი, რომ ამის ღირსი არ ვიყავი. ვერ მოვითმინე და წამოვაძახე, რომ ყოველთვის ჩემი ტანსაცმელი ეცვა, ახალი სამოსი არ შემარჩინა და ის სტატუსი ნამდვილად არ უნდა დაეწერა.

ჩვენი დაპირისპირება ამით არ დასრულდა. მეგობრებმა მე გამამტყუნეს, მითხრეს, რომ დაქალობა არ ვიცი. ყველა ძუნწს მეძახის და ცხვირს მიბზუებს. ამის გამო მართლა ვცოფდები, სხვა მეგობრებმაც ხომ იციან, რომ დაქალისთვის არაფერი მენანებოდა. მაშინ ასეთ რამეს რატომ მიკეთებენ? რატომ მამტყუნებენ?

მამიდამ მითხრა, შენ რომ კარგი ტანსაცმელი გაქვს, ყველას შურს და ასე ამიტომ იქცევიანო. შეიძლება მამიდა მართალს ამბობს და, თუ ასეა, მაშინ აზრიც აღარ ჰქონია მეგობრობას. ვერ ვხვდები, დაქალებთან ურთიერთობის გაგრძელება ღირს თუ არა.

**მკითხველი**

# „ძმაკაცის და შემიყვარდა“

ერთ ბიჭთან პირველი კლასიდან ვმეგობრობ. უახლოესი მეგობრები ვართ. ერთმანეთის სახლებში ხშირად მივდივართ და ღამესაც ვათევთ. მის დასთანაც ვმეგობრობ, ის ჩვენზე ერთი წლით უმცროსია. თავიდან მას, როგორც დას, ისე ვუყურებდი, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა.

გასულ ზაფხულს მეგობრის და არ მინახავს. ხან აგარაკზე იყო, ხან — ბებიასთან სოფელში. თბილისში სექტემბერში ჩამოვიდა. მათთან სახლში რომ მივედი, კარი მან გამიღო. თვალებს არ ვუჯერებდი, აბსოლუტურად სხვანაირი გოგო შემრჩა ხელში. პირდაღებული შევცქეროდი. ის კისერზე მომეხვია და მაგრად მაკოცა. აი, მაშინ რაღაც ვიგრძენი, იმ წუთიდან შემიყვარდა. სექტემბრიდან მოყოლებული სულ მიზეზს ვეძებ, რომ მათთან სახლში მივიდე და ვნახო.

ვერავის ვუმხელ, რომ ძმაკაცის დაზე ვარ შეყვარებული, რადგან ვიცი, ვერ გამიგებენ. მეტყვიან, და-ძმასავით გაიზარდეთ და სხვა თვალით როგორ შეხედეო. იმის წარმოდგენაც არ მინდა, ძმაკაცმა რომ სიმართლე გაიგოს, რას გააკეთებს. სამუდამოდ მომიძულებს და თავის დასაც თვალით აღარ მაჩვენებს. მე კი ამას ვერ გადავიტან. ძალიან დაბნეული ვარ. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ძმაკაცის დას სიმართლე ვუთხრა, მგონი, რაღაცას გრძნობს კიდეც, მაგრამ ვერ ვბედავ. იქნებ მითხრათ, ამ შემთხვევაში რა უნდა გავაკეთო.

**მკითხველი, 16 წლის**

**გამოხმაურებების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-ამდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
**1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
**2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**
**3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**
**ანონიმურობა დაცულია**

გამოხმაურება

# „მეგობარმა ბიჭმა გამაუპატიურა“

ვეხმაურები ჟურნალ „სარკის“ მე-17 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას — „დაქალები იმიტომ არ მყავს, რომ გოგონებს არ ვენდობი“. მინდა გითხრა, რომ სულ ტყუილად ფიქრობ, რომ ბიჭი უფრო სანდოა, ვიდრე გოგო. მე 22 წლის ვარ, ანუ შენზე უფროსი და ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი გამოცდილებიდან რაღაც გაგიზიარო.

შენს ასაკში მეც მეგონა, რომ გოგონებმა მეგობრობა არ იცოდნენ, ერთმანეთის შურდათ, ბიჭები კი ერთგულები იყვნენ. ბევრი მეგობარი ბიჭი მყავდა, განსაკუთრებული სიახლოვე ერთთან მქონდა. მეზობლებიც ვიყავით და სკოლელებიც. ამიტომ ერთად დიდ დროს ვატარებდით. სკოლაში თავმომწონედ დავდიოდი, რადგან ყველაზე კარგი ბიჭის დაქალი ვიყავი და უბატონოდ ხმას არავინ მცემდა. გოგონებს მართლაც შურდათ ჩვენი მეგობრობის. ყველა მე შემომნატროდა, ამით კი ვამაყობდი.

ერთმანეთს ყველა საიდუმლოს ვუმხელდით. ის მუდამ შეყვარებული იყო. გოგოებს მაცნობდა, მათთან ერთად ყველგან დავყავდი. ერთ დღესაც გავუმხილე, რომ ერთი ჩვენი სკოლელი ბიჭი მიყვარდა. საშინლად გამიბრაზდა. დარიგება დამიწყო, რომ ეს ცუდი საქციელი იყო და ასეთი რამ აღარ უნდა მეთქვა. მისი რეაქცია გამიკვირდა. იმ დღის შემდეგ საშინელი ეჭვიანობა დაიწყო, სულ მაკონტროლებდა, სად ვიყავი, რას ვაკეთებდი. ამას იმით ხსნიდა, რომ მეგობარი ვიყავი და ჩემი დაცვა უნდოდა. მისი ასეთი გადაჭარბებული ყურადღება დადებით თვისებად მიმაჩნდა და მეგობარს კიდევ უფრო დავუახლოვდი.

ერთ დღეს სახლში მომაკითხა. ჩემები შინ არ იყვნენ. ჩვეულებრივად მივიღე, ტელევიზორთან დავსხედით და ლაპარაკი დავიწყეთ. უცებ მეცა და იატაკზე დამაგდო. მოულოდნელობისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა. მეუბნებოდა, რომ ძალიან ვუყვარდი. წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა... საუკეთესო მეგობარმა არ დამინდო და გამაუპატიურა. მერე მაინც რომ მოქცეულიყო კარგად, ალბათ ამ ტრავმას უფრო მოვიშუშებდი, მაგრამ ცუდი დღეები ერთმანეთს მიჰყვა.

სკოლა რომ დავამთავრეთ, შევბედე, ცოლად უნდა წამიყვანო-მეთქი. ირონიულად მითხრა, სხვა ბიჭებს რომ არ გაჰკიდებოდი, შენი სურვილი დავაკმაყოფილეო. ისიც იკადრა, ეთქვა, თითქოს მასთან იმიტომ ვმეგობრობდი, რომ სწორედ ის მსურდა, რაც იმ დღეს მივიღე. ისეთი შეურაცხყოფილი არასოდეს ყოფილვარ. ახლაც რომ ვწერ, გული ბოლმით მევსება. ყოფილი მეგობარი ისე მძულს, რომ გულში ტკივილს ვგრძნობ. ამდენი წელი გავიდა და მაინც ვერ ვაპატიე.

ღმერთმა ყველას აშოროს ის, რაც მე გადავიტანე. ყველა გოგოს მივმართავ, რომ ბიჭებს ადვილად ნუ ენდობიან. შეიძლება უახლოესმა და საყვარელმა ადამიანმა უცებ ისეთი სიმხეცე გამოიჩინოს, რომ მთელი ცხოვრება გაგიმწაროთ. ბოლოს ვიტყვი — გოგოებთან დაქალობა ჯობია!

**მკითხველი**

# „მეშინია, რომ პაპა ჩემს მშობლებს ერთმანეთს დააშორებს“

ჟურნალ „სარკის“ მე-16 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „უმუშევარ მამას დედა სიცოცხლეს უმწარებს“. ამ სტატიამ ჩემი ოჯახის ამბავი გამახსენა და დაწერა მომინდა. მე და ჩემს და-ძმას არაფერი გვიჭირს, ყველაფერი გვაქვს, მაგრამ ეს პაპაჩვენის დამსახურებაა. ბიზნესი აქვს და არაფერს გვაკლებს, სამაგიეროდ მამაჩემს ტვინს უბურღავს, ეუბნება, რომ მის ცოლ-შვილს არჩენს, ყველაფერს აყვედრის.

პაპას აშკარად ეტყობა, რომ სიძეს ვერ იტანს. ჩვენთვის, შვილიშვილებისთვის, ხშირად უთქვამს, სიძეს თქვენ გამო ვიტანო. ჩემს მშობლებს ერთმანეთი სკოლიდან უყვარდათ, მაგრამ პაპა მათი ქორწინების წინააღმდეგი ყოფილა, ამიტომაც გაიპარნენ. პაპა ამას დღემდე ვერ პატიობს. მამა მშვიდი ადამიანი რომ არ იყოს, მის ასეთ ლანძღვას ვერ აიტანდა და დიდი ხნის წინ მიგვატოვებდა. სულ მეშინია, ერთ დღეს ყელში ამოუვა და სიმამრს რამეს ეტყვის. არ მინდა, რომ ჩვენი ცხოვრება გართულდეს. მეშინია, რომ პაპა მშობლებს ერთმანეთს დააშორებს.

**მკითხველი, 14 წლის**



Cyan Magenta Yellow Black

## „დედა და მამა რწმენის გამო ჩხუბობენ“

ვოცნებობ, ის სიტუაცია, რაც ახლა ჩემს ოჯახშია, მალე დასრულდეს. ჩემი მშობლები ერთმანეთს ვერასოდეს უგებდნენ, ახლა კი — განსაკუთრებით. ყოველდღე ისეთი გაწევ-გამოწევა აქვთ, მათ გვერდით ყოფნა აღარ მინდა. სამი დანი ვართ და სამივეს სიცოცხლეს გვიმწარებენ.

მამა ეკლესიური არასოდეს ყოფილა, პირიქით, სულ ამბობდა, რომ ტაძარში უსაქმური ადამიანები დადიოდნენ. ყველაფერს თავისებურად იგებდა. მღვდელთან რა მინდა, ბიბლიას მე თვითონაც კარგად ვკითხულობო. ახლა აზრი შეიცვალა და უნდა, მთელმა ოჯახმა ტაძარში ვიაროთ. ამჯერად დედაა წინააღმდეგი, რადგან დაახლოებით ერთი წლის წინ ერთ-ერთ სექტაში გაერთიანდა. ამის შესახებ მაშინვე გავიგე, მაგრამ მამა გვიან მიხვდა.

ერთ დღეს მამა იმ დროს დაბრუნდა შინ, როცა დედას თავისი „მასწავლებელი“ ჰყავდა სტუმრად. მამა მიხვდა, რაშიც იყო საქმე და იმ დღიდან დაიწყეს საშინელი ჩხუბი. მამა მანამდეც მკაცრი იყო. დედას ყოველთვის ცუდად ექცეოდა, იმის უფლებასაც არ აძლევდა, სადმე ორი საათით გასულიყო. ახლა ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში იქნება. ამბობს, რომ ცოლი ძმაკაცებთან თავს სჭრის, ყველგან არცხვენს. დედა მაინც ჯიუტად ამბობს, რომ მის ცხოვრებაში ვეღარ ჩაერევა.

ამას წინათ დედამ რაღაც შეკრებაზე ჩემი უმცროსი და წაიყვანა, რომელიც 5 წლის არის. მამამ ეს გაიგო და სულ გადაირია. უთხრა, რომ სახლიდან გააგდებს და შვილების ნახვის უფლებას არ მისცემს. მამას რომ ცუდი ხასიათი აქვს, ეს ახალი არ არის, მაგრამ დედაჩემის სიჯიუტე ძალიან მაკვირვებს. ვეუბნები, თავი დაანებე მაგ სექტას და, თუ ლოცვა გინდა, ეკლესიაში იარე-მეთქი, მაგრამ ჩემიც არ ესმის. ამბობს, რომ ღმერთი ჩვენც სწორ გზაზე დაგვაყენებს. ვერ ვხვდები, ასე უცებ როგორ შეიცვალა. ძმაც დაუპირისპირდა, უთხრა, ჩემს სახლში ფეხს ვეღარ შემოადგამო, მაგრამ მაინც ვერაფერი შეასმინა. ზოგჯერ მგონია, რომ მამაზე მკაცრი გახდა. თუ ასე გაგრძელდა, ერთმანეთს დაშორდებიან. შვილებს კი მოგვიწევს ტანჯვაში ცხოვრება. ვის მივმართო, როგორ მოვიქცე, რომ მშობლები გონს მოეგონ და ერთმანეთს მოუსმინონ?

**თქვენი მკითხველი**

## „კლასელებმა მითხრეს, ტურში დედაშენის ხათრით გაგამარჯვებინესო“

აპრილში ჩვენს რაიონში ტური ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მივიღე და გავიმარჯვე. სკოლიდან სულ სამი ბავშვი გაგვიშვეს, გოგო მარტო მე ვიყავი. ბიჭებმა ტურში ვერ გაიმარჯვეს, არადა ჩემზე უკეთესად სწავლობენ. გოგოებმა მაშინვე დაიწყეს ჭორაობა, რომ ბიჭებს ვერ ვაჯობებდი, ტური სამართლიანად რომ ჩატარებულიყო. თქვეს, რომ ვითომ დედაჩემის ხათრით გამამარჯვებინეს. რაიონში დედაჩემი მართლაც ცნობილი ქალია, მაგრამ ის ისეთი სამართლიანია, თავის პრინციპებს ჩემ გამო არ უღალატებს. თანამდებობის პირი არის და უბრალო ტურის გამო სახელს არ შეირცხვენს. ჩემი კლასელები კი ყველაფერს მას აბრალებენ, თვლიან, რომ დედაჩემის გამო ყველა მანებივრებს. ეს სიმართლე არ არის. ბიჭები მართლაც ჩემზე უკეთესად სწავლობენ, მაგრამ მეც ყოველდღე ვმეცადინეობ. არ არსებობს, სკოლაში მოუმზადებელი წავიდე. იმ დღეს გამიმართლა, რომ ბიოლოგიაში ყველა ის საკითხი მოვიდა, რაც კარგად ვიცოდი. ამიტომ კითხვებზე პასუხის გაცემა არ გამჭირვებია. ჩემი რა ბრალია, თუ ბიჭებმა სწორი პასუხები ვერ გამოიცნეს?

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ქართულის მასწავლებელმა ბავშვები წააქეზა. კლასში გამოაცხადა, არ გეწყინოთ, ყველას მშობელი ასე მოიქცეოდაო. ვთხოვე, დაეკონკრეტებინა, რას გულისხმობდა, მაგრამ აღარაფერი თქვა. ისე გამოვიდა, რომ ჩემს კლასელებს დაუდასტურა, თითქოს ყველაფერს ჩაწყობით მივაღწიე.

გული ძალიან მტკივა. ნუთუ მთელი ცხოვრება უნდა მაძახონ, რომ ყველაფერს დედაჩემის დამსახურებით ვაღწევ? მაშინ მეცადინეობასაც აღარ ექნება აზრი. თუ არავინ არაფრად ჩამთვლის, რატომ ვისწავლო?

**მკითხველი, 13 წლის**

✓ **რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ**


# ჰეპალინა

PICORRHIZA KURROA: ღვიძლის მეტაბოლური პროცესების გასაუმჯობესებელი, ნაღვლმდენი საშუალება.

PHYLLANTHUS AMARUS: ჰეპატო-პროტექტორი. მადის მომგვრელი, იგი ახდენს უჯრედების მემბრანის სტაბილიზებას. აფერხებს მათ შემდგომ დაშლას და უჯრედებში ჰეპატოტოქსიკური ნივთიერებების შეღწევას.

BOERRHAVAIA DIFFUSA: შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ძალების აღმდგენი.

PIPER LOMGUM: ანტიბაქტერიული, მადის მომგვრელი.

ჰეპალინა იცავს ღვიძლს ტოქსინებისა და ინფექციისაგან, აღადგენს ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ნორმალურ ფუნქციონირებას, აიოლებს საკვების მონელებას, იცავს ღვიძლის ქსოვილს ალკოჰოლის მავნე ზემოქმედებისაგან. ცილებისა და ფოსფოლიპიდების სინთეზის სტიმულაციით პრეპარატი აჩქარებს დაზიანებული ჰეპატოციტების რეგენერაციას.

**დოზირება:** ორი კაფსულა დღეში ორჯერ ან ექიმის დანიშნულების მიხედვით. ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში: ალკოჰოლის მიღებამდე ერთი საათით ადრე ორი აბი. დილით უზმოზე ორი აბი ამცირებს ნაბახუსევის სინდრომს.

**ჩვენებები:** პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება ღვიძლის ფუნქციის დარღვევის დროს: ღვიძლის დაავადებების პროფილაქტიკა, ღვიძლის ქრონიკული ანთებითი დაავადებები, სხვადასხვა ეტიოლოგიის ღვიძლის ცხიმოვანი დეგენერაცია, ღვიძლის ალკოჰოლური და ტოქსიკური დაზიანებები, ღვიძლის ციროზის მკურნალობა კომბინირებულ თერაპიაში, ნაბახუსევის სინდრომი.

• გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
• გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ TITANI

**„ᲒᲘᲒᲐᲜᲘ“** *გისურვებთ ჯანმრთელობას და ჰარმონიულ ცხოვრებას!*

**თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 ☎ 238-28-40; 238-88-71; 231-11-32**




Cyan Magenta Yellow Black

# რეალურია თუ მოჩვენებითი დათო ფორჩხიძის და სტეფანეს ჩხუბი

**საბავშვო მუსიკალურ პროექტ „ახალ ხმაში“ კონკურსანტებზე მეტად კონკურენცია მწვრთნელებს შორისაა გაჩაღებული, განსაკუთრებული მეტოქეობით სტეფანე და დათო ფორჩხიძე გამოირჩევიან. დროდადრო ერთმანეთს ისეთ რეპლიკებს ესვრიან, რომ იფიქრებ, ეს ყველაფერი შოუს ნაწილი კი არა, მათი რეალურად დაძაბული ურთიერთობაა.**

**სტეფანე ქართულ შოუბიზნესში მაშინ გახდა ჰოპულარული, როცა დათოს ეს გზა უკვე განვლილი ჰქონდა და სტუდიურ მუშაობაზე იყო გადასული. ერთმანეთის შემოქმედებას კარგად იცნობენ, ერთიმეორეს მუსიკალურ გემოვნებასაც უწონებენ, თუმცა ლიდერობას არ თმობენ. მათი რინგი „სარკეში“ შედგა.**

■ სტეფანე და დათო

## დათო ფოჩჩხიძე: „სტეფანემ ჩემ მაჯობოს, ისე ვინეჩვიულებ, გავსჯები!“

**დათო**: სტეფანეს 15 წელია ვიცნობ. ამ პროექტამდეც კარგად ვიცოდი, ვინ იყო და რა შეეძლო. ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორსაც მოველოდი, ადამიანი, რომელიც ყოველთვის ცდილობს, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთოს. ბოლომდე იხარჯება და არასოდეს თმობს, მიუხედავად იმისა, რომ ხან უმართლებს და ხან — არა.

**სტეფანე**: უფრო მეტად მიმართლებს!

**დათო**: ის მუსიკალური და მენტალური სხვაობა, რაც ჩვენ შორის არსებობს, დაახლოებით ოცი პროცენტია, დანარჩენში ერთმანეთს ვეთანხმებით. ამიტომაც ეს კაცი უფრო ჩემი თანამოაზრეა, ვიდრე მოწინააღმდეგე.

**სტეფანე**: ტყუპებს არ აქვთ ერთი ხედვა და მე და დათოს რომ არ გვქონდეს, რა გასაკვირია?! ორივენი მაქსიმალისტები და ალბათ პროფესიონალებიც ვართ, რაც ამ

**დათო: „ახასოდეს შემჩცხვება, მაია დახსმელიძეზეც ჯაგი ვთქვა და სტეფანეზეც, მაგრამ მათ ყოველთვის შევეჯიბრები. შეიძლება გვეჩდზე გავიდე და ვთქვა, მე უკეთესი ვარ-მეთქი, მაგრამ იმასაც აუცილებლად აღვნიშნავ, რომ ესენიც მაგრები არიან“.**

შოუსთვის მნიშვნელოვანია. მოსაზრება, რომ ერთმანეთის მიმართ აგრესიულები ვართ, სიმართლეს არ შეესაბამება. შოუს დროს ჩვენ შორის ჯანსაღი კონკურენციაა, მაგრამ მის მიღმა მეგობრები ვართ.

**— როგორ მოგწონთ ერთმანეთის მუშაობის სტილი?**

**სტეფანე**: დათო დღეში 27 საათი მუშაობს, იმაზე მეტს, ვიდრე საჭიროა. მიმაჩნია, რომ ენერგიის არამიზნობრივად დახარჯვა შედეგზე არ აისახება. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მან წინა შოუ მოიგო. ახლა არ ვიცით, რა მოხდება, მაგრამ მე ვაფასებ ამ ადამიანს. მიმაჩნია, რომ ღირსეული მწვრთნელები ვართ.

**დათო**: შეიძლება ხშირად მართლაც გადაჭარბებულად ბევრს ვმუშაობ, მაგრამ სტეფანეც ასეა. მქონდა პერიოდი, როდესაც არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, ვის შევჯიბრებოდი, მოტივაცია არ გამაჩნდა. როცა სტეფანე დასვეს ჩემ გვერდით, მაშინ საკუთარ თავს ვუთხარი, თუ მართლა 27 საათი არ იმუშავე, მას ვერ მოუგებ-მეთქი. ამდენი რომ არ გავაკეთო, სტეფანე ყოველთვის მაჯობებს, რადგან ნიჭიერია. ორმა ნიჭიერმა ადამიანმა ერთმანეთს კიდევ რაღაც სხვა უნდა დაუპირისპიროს. თუ მის ნიჭიერებას გულგრილობას დავახვედრებ, მაშინვე წავაგებ. შერცხვენილი სტეფანე არ მინახავს, ამიტომ იძულებული ვარ, თავდაუზოგავად ვიმუშაო. ძლიერი კოლეგის დაფასება ჩვენს სისუსტეს არ ნიშნავს. ამიტომ არასოდეს შემრცხვება, მაია დარსმელიძეზეც კარგი ვთქვა და სტეფანეზეც, მაგრამ მათ ყოველთვის შევეჯიბრები. შეიძლება გვერდზე გავიდე და ვთქვა, მე უკეთესი ვარ-მეთქი, მაგრამ იმასაც აუცილებლად აღვნიშნავ, რომ ესენიც მაგრები არიან.

**— სტეფანე, „ახალი ხმის“ პირველ სეზონზე, როცა დათოს გუნდის წევრმა სალომე ქათამაძემ გაიმარჯვა, სალხი აღაპარაკდა, რომ თქვენ და მაია დარსმელიძემ კოლეგას არ მიულოცეთ...**

**დათო**: სტეფანემ მომილოცა!

**სტეფანე**: ჯერ ერთი, ახალი წელი იყო და ძირითადი ნაწილი ნასვამები ვიყავით, მეორეც, იყო რაღაც-რაღაცეები, რაც შიდა სამზარეულოა და არ გამოვააშკარავებ. სალომესთან დღესაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს, ძალიან მიყვარს და მიმაჩნია, რომ ღირსეულად მოიგო.

**დათო**: ჩვენ რომ შეხმატკბილებულები ვიყოთ, შოუს არ მოუხდებოდა. გვაბრალებენ, რომ ჩვენს აზრს ბოლომდე არ ვამბობთ. სინამდვილეში კი ვერ ვამბობთ, რადგან ბავშვებთან გვაქვს საქმე. მათი ასაკი გავითვალისწინეთ და ცირკი არ მოვაწყვეთ. მომავალში, თუკი ისევ იქნება დიდების „ახალი ხმა“, ჩვენ ისევ ჭიდილი გვექნება და არ მოგვერიდება იმისი თქმა, რომ ვიღაც მოუმზადებელია.

**სტეფანე**: საქართველოში ზოგჯერ კრიტიკა დაცინვაში გადადის. ჩვენ ისე ვუდგებით თითოეულ მონაწილეს, როგორც შოუს ფორმატი მოითხოვს. ჩემთვის ისაა მიუღებელი, რომ სოციალურ ქსელებში ამ ბავშვებზე კოშმარულ რაღაცეებს წერენ. მე აბსოლუტურად გულწრფელი ვარ და არანაირი ქვეტექსტები არ მაქვს.

**დათო**: შოუში ჩვენ ვჩანვართ ბოროტები, ვცდილობთ, ერთმანეთს ვაჯობოთ, მაგრამ ამის ხარჯზე სხვებს ვეხმარებით, რომ სიმღერა ისწავლონ. ამიტომ საზოგადოებამ შეაჯამოს, სინამდვილეში ბოროტები უფრო ვართ თუ კეთილები. სტეფანე მთელ თავის ცოდნას სხვის შვილებს ურიგებს. თავის ნაწილს, რომელიც შეიძლებოდა შვილისთვის მიეცა, უცხო ხალხს აძლევს. ანალოგიურად ვიქცევი მეც.

**— დათო, სტეფანესთვის დახმარება ან რჩევა თუ გითხოვიათ?**

**დათო**: იცით, როდის მივმართავ დასახმარებლად? ზოგჯერ მასთან გადატვირთული მუსიკალური ნომერი მიმაქვს და ვეტყვი, რაც ზედმეტია, მომაშორებინე-მეთქი. სტეფანე ამის ექსპერტია. გემოვნება და ზომიერება ნამდვილად აქვს. როცა მეკითხებიან,

**სტეფანე: „დათო ჩემზე ნიჭიერი — ახა, მაგრამ ჩემზე ჭკვიანი ამჯერად ახის!“.**

სტეფანეში ყველაზე მეტად რა მოგწონსო, ყოველთვის მის ზომიერებას გამოვყოფ. ვაღიარებ, რომ ამას მისგან ვსწავლობ.

**— სტეფანე, რომელიმე კონკურსანტზე თუ გიფიქრიათ, რომ დათომ ის სხვა მიმართულებით, არასწორი გზით წაიყვანა?**

**სტეფანე**: დათოზე რომ ვთქვა, რომელიმე მონაწილე არასწორად გაზარდა-მეთქი, ცილისწამება გამომივა. ის კი მიფიქრია, რომ ვიღაცას მე უფრო კარგად გავზრდიდი, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ აზრი შემიცვლია. რომ ვუკვირდები, ბავშვები იმასთან არიან, ვისთანაც უნდა იყვნენ. დიდების „ახალი ხმის“ შემთხვევაშიც ასე იყო — ნინო ჩხეიძეს თავისნაირი გუნდი ჰყავდა, დათოს — თავისნაირი...

**დათო**: კონკურსანტ გიორგი გიგაშვილს სტეფანემ უთხრა, შენ ჩემი ხარ, ჩემთან



Cyan Magenta Yellow Black

წამოდიო, მაგრამ ბავშვმა მე ამირჩია. მერე დავფიქრდი, იქნებ გიორგისთვის სტეფანეს უფრო მეტი გაეკეთებინა-მეთქი და დავიწყე იმაზე ფიქრი, ის როგორ მიუდგებოდა.

**სტეფანე**: ჩემი გუნდის წევრებს არაფერს ვასწავლი, უბრალოდ მათგან იმ მაქსიმუმს ვქაჩავ, რაც აქვთ.

**დათო**: იყვნენ ბავშვები, რომელთა ნამღერზეც ვერ გავბედე, ღილაკისთვის ხელი

**დათო: „ახლა იტყვიან, ეთად ფოტოებიც გადაუღიათ, პირფერობენ, მაგრამ სინამდვილეში ეთმანეთს ვერ იტანენო".**

დამეჭირა, რადგან დავინახე, რომ მათ მუშაობაში ჩემი ჩარევა კარგი არ იქნებოდა. ამას ბევრი ვერ იგებს. იმ ბავშვს, ვისზეც სტეფანემ თქვა, ჩემი სტილი არ არისო, მართლაც ვერაფერს ასწავლიდა. მე რომ საოპერო კლასიკური ჟანრის ადამიანი მომიყვანოთ, მასთან არაფერი გამომივა. ამიტომ ვაკეთებ იმას, რაც ვიცი. ფინალში გავიყვანე ის ბავშვები, რომლებსაც, ვიცი, როგორ დავეხმარები.

**— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ ბევრ რამეში ეთანხმებით ერთმანეთს, მაგრამ ეკრანიდან ისე ჩანს, რომ თქვენ შორის სერიოზული დაპირისპირებაა.**

**დათო**: „ბარსელონა" და „რეალიც" ჰგვანან ერთმანეთს, ორივე ძალიან მაგარი კლუბია, მაგრამ, როცა თამაშობენ, ერთმანეთს ჭამენ. მე და სტეფანე რომ ერთმანეთს ვეჯიბრებით, ეს ძალიან ბუნებრივია. რა თქმა უნდა, ვიკამათებთ, როცა დავინახავ, ვინც მე მინდა, მასთან გარბის და ვინც სტეფანეს უნდა, ჩემთან მოდის. აქედან წარმოიშვა ჩვენი ამბიციაც და დაპირისპირებაც.

**სტეფანე**: როცა ჩემთვის მინდა ვიღაც და დათოსთან მიდის, ეს უფრო ამძაფრებს ჩვენ შორის კონკურენციას.

**დათო**: მიუხედავად იმისა, რომ წინა შოუ მოვიგე, დღემდე ვნანობ, რომ ნუკრი მენთეშაშვილზე ღილაკს არ დავაჭირე. მაშინ შემეშინდა, ეს სტეფანესი და მაიასია და მე ვერ შევეცილები-მეთქი. მივხვდი, რომ არ უნდა შემეშინდეს, უნდა ვებრძოლო.

**— ამ შოუში დაშვებულ შეცდომებზე ფიქრობთ?**

**სტეფანე**: მიმაჩნია, რომ ჩემს რინგებზე შეცდომა არ მაქვს დაშვებული, თუ არ ჩავთვლით, ნუკრი მენთეშაშვილის და ნინი ცნობილაძის დაპირისპირებას.

**დათო**: ნუკრი სტეფანესთან და მაიასთან ერთად სახალხო გმირი იყო, მაგრამ ის ამათ გარეშე საერთოდ სხვაა.

**სტეფანე**: სამაგიეროდ მერე სოლო კონცერტი გავუკეთეთ, სადაც ნუკრიმ საკმაოდ სოლიდური თანხა აიღო. თუმცა ხალხი ნახევარი კონცერტის შემდეგ წავიდა, რადგან ის არ იყო მზად სოლო კონცერტის ჩასატარებლად.

**დათო**: ძირითადად ჩემი და სტეფანეს აზრი ემთხვევა ერთმანეთს, ერთი და იგივე კონკურსანტები მოგვწონს. ახლა იტყვიან, ერთად ფოტოებიც გადაუღიათ, პირფერობენ, მაგრამ სინამდვილეში ერთმანეთს ვერ იტანენო. სტეფანე სულ მეუბნება, დაწყნარდი, ასეთ რაღაცეებს ყურადღებას ნუ აქცევ, მაგრამ მე მაინც განვიცდი.

**სტეფანე**: ხალხს რომ ჩვენზე ასეთი შთაბეჭდილება აქვს, ეს ჩვენი პროფესიონალიზმის დამადასტურებელია. ჩვენ შოუს ვაკეთებთ!

**დათო**: თუმცა ხალხს სეირი უფრო ურჩევნია. რაღაც მომენტში შეიძლება ეს ყველაფერი ზედმეტობაში გადავიდეს და ისეთი რაღაც ვიკადრო, ადამიანს, ვისთანაც ამდენი წელი ვმეგობრობ, გული ვატკინო. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, ღირს კი მე და სტეფანემ ერთმანეთი დავჭამოთ? ამ ბავშვებს აქვთ ისეთი მომავალი და პერსპექტივა, რომ ჩვენ ასე ვიჩხუბოთ? ხანდახან საკუთარ თავს ვეკითხები, ამ ადამიანს ტყუილად ხომ არ ვტკენ გულს-მეთქი. რომ ვიცოდე, რომელიმე ბავშვი მსოფლიო ვარსკვლავი გახდება, სტეფანეს გავლანძღავ და მერე ფულს გავუყოფ. რეიტინგის გამო ხალხი ყველაფერს აკეთებს.

**სტეფანე**: ლედი გაგას რეიტინგი რომ დაუვარდა, ადგა და მონიტორებზე აღებინა. იმდენი როგორ უნდა ჭამო, რომ სოლო კონცერტზე ზედ დინამიკებზე აღებინო? ამით რეიტინგი მაღლა ასწია, რადგან ამის შემდეგ ყველა მასზე ლაპარაკობდა.

**დათო**: ჰოდა, ჩვენი ერთმანეთის ლანძღვა სასაცილო რაღაცაში გადაიზრდება. იტყვიან, ეს სულელები რისთვის უპირისპირდებიან ერთმანეთსო. რაღაც დონეზე ერთმანეთს კრიტიკას არ მოვაკლებთ, მსმენელს ამის ნაკლებობა არ ექნება, მაგრამ გამარჯვება ჩემი რომელიმე კოლეგის დამცირების ფასად არ მიღირს. ასე რომ, სეირს

**დათო: „ღირს კი მე და სტეფანემ ეთმანეთი დავჭამოთ? ამ ბავშვებს აქვთ ისეთი მომავალი და პერსპექტივა, ხომ ჩვენ ასე ვიჩხუბოთ?".**

ჩვენგან ვერ მიიღებთ! იმაზე მეტი ვიჩხუბეთ და ვიკამათეთ, ვიდრე საჭირო იყო. თუ რამე შეცდომა დავუშვით, ესე იგი გამოგვეპარა... კონკურსანტი სანდრო ფარცვანია ძალიან პოპულარული გახდა და მე ის გამომრჩა. ვერ წარმომედგინა, მის ნამღერს ამხელა გამოხმაურება თუ მოჰყვებოდა.

**სტეფანე**: ერთხელ ვთქვი, ეს ბავშვი ისე მომენონა, საშუალება რომ იყოს, ვიშვილებდი-მეთქი. მერე დედამისთან ინტერვიუ ვნახე, ჩემს ამ სიტყვებზე მამამისი გაბრაზებულა.

**— ალბათ ძნელია ისე მოიქცეთ, რომ ხალხმა არაობიექტურობაში არ დაგადანაშაულოთ.**

**დათო**: არასოდეს მივიღებ პრეტენზიას, რომ მე მიკერძოებული ვარ!

**სტეფანე**: ვინც ამ შოუს აკეთებს, არ დაუშვებდა, რომელიმე მწვრთნელი არაობიექტური ყოფილიყო. ჩვენ ჩვენსას ვაკეთებთ, მაგრამ მერე ქვეყანა ვეღარ პატრონობს მათ.

**დათო**: თუ ვინმეს ჩვენ ვჩაგრავთ და ის თქვენი რჩეულია, უპატრონეთ, ხალხო! ჩვენ არ ვართ დამნაშავეები, თუ ვინმეს შეიყვარებთ, ბოლომდე მის გვერდით დადექით. დაგვიმტკიცეთ, რომ შევცდით. ხალხი ფიქრობს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი შეგვეშალა, მე კი ასე არ ვფიქრობ.

**— ორივე ლიდერი სართ. პროგნოზები როგორია, ამჯერად ვინ იქნება გამარჯვებული?**

**დათო**: მე გავიმარჯვებ!

**სტეფანე**: მე გავიმარჯვებ!

**დათო**: ჩემი მხრიდან იმის თქმა, რომ შოუ უკვე მოვიგე, ეს ჩემი თავის შეურაცხყოფაც იქნება, ჩემი ბავშვებისაც და მწვრთნელებისაც. სტეფანემ რომ მომიგოს, რისი აღბათობაც არის, ძალიან მეწყინება და ამას არ ვმალავ. რა თქმა უნდა, მივულოცავ გამარჯვებას და ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება, მაგრამ ამან რომ მაჯობოს, ისე ვინერვიულებ, გავსკდები! მე რომ დავმარცხდე, მომავალ შოუში ბავშვები ჩემთან აღარ წამოვლენ, იტყვიან, ადვილად თმობსო. ასე რომ, მომავალო კონკურსანტებო, იცოდეთ, რომ მე სტეფანეს არასოდეს არაფერს დავუთმობ, ჩემთან წამოდით და ყოველთვის მოგაგებინებთ!

**სტეფანე**: ჩემთან წამომსვლელი ბავშვები მაინც ჩემთან წამოვლენ, ამიტომ არ მაშინებს

**სტეფანე: „ეთხეე ვთქვი, ეს ბავშვი ისე მომენონა, საშუალება ხომ იყოს, ვიშვილებდი-მეთქი. მეხე დედამისთან ინტერვიუ ვნახე, ჩემს ამ სიტყვებზე მამამისი გაბრაზებულა".**

ის ფაქტი, დათო რამდენჯერ მოიგებს.

**დათო**: მე ვიბრძვი ბოლომდე! როგორც კი ყურადღებას მოვადუნებ, სტეფანე დამსჯის.

**სტეფანე**: ისე როგორც მე მოვადუნე წინა სეზონის შემთხვევაში. დათო ჩემზე ნიჭიერი — არა, მაგრამ ჩემზე ჭკვიანი აშკარად არის.

**დათო**: სტეფანესგან და მაიასგან ბევრ რამეს ვსწავლობდი. ჩემი ყველაზე დიდი პრობლემა ის იყო, რომ გუნდში ჩემი ნაცნობები და მეგობრები ავიყვანე.

**— რასაც სტეფანე სულ აღნიშნავს...**

**დათო**: რა ვქნა, თუ მთელ საქართველოს ვიცნობ და ყველგან ვარ მოდებული? როცა ვხედავ, რომ ვიღაც კარგად მღერის, რა თქმა უნდა, ავიყვან. ამ შოუს შემდეგ ჩემს შვილს ვუთხარი, შენ არასოდეს იმღერებ-მეთქი. რაც უნდა მაგარი იყოს, მაინც იტყვიან, ფორჩხიძე ქაჩავსო.

**სტეფანე**: მე და მაიამ ჩვენს შვილს მწვანე რომ ავუნთოთ და ვუთხრათ, მიდი, იმღერეთქო, ის მართლა გენიოსი უნდა იყოს. მე კი არ გავქაჩავ, უბრალოდ ვეტყვი, მიდი და იმღერე-მეთქი.

**დათო**: არაერთი მაგალითი გვაქვს, როცა ცნობილი ადამიანის შვილზე, რომელიც ძალიან კარგადაც მღერის, მაინც ამბობენ, მშობელმა გაქაჩაო. არავის შეგეშინდეთ, ჩემს შვილებს არასოდეს ვამღერებ!

✓ ქეთი დინოშვილი


**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები: სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია.

☎ 577-29-37-41, 234-02-38




Cyan Magenta Yellow Black

# რატომ არ ემეტებოდა მარიკა კვალიაშვილს კონკურსისთვის ნუკა გვალია

## ეკა კვალიაშვილი: „მამა აღარ მყავს, მაგრამ გვერდით მამაჩემის და მიდგას“

■ მარიკა და ეკა კვალიაშვილები

ომღერალ ეკა კვალიაშვილის აღზრდაში, მუსიკალურ განათლებაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის მამიდას, ცნობილ კომპოზიტორ მარიკა კვალიაშვილს. მათი სახლის კედლები ქართული ჰანგებითაა გაჟღენთილი, იქ დიდი წინაპრის, ცნობილი ლოტბარის, მარო თარხნიშვილის სული ტრიალებს. ამ ოჯახის წევრები, დიდი თუ პატარა, მუსიკით ცოცხლობენ და მათთვის ტანჯვაა, როცა მისი გამოხატვის, გამოთქმის საშუალება არ ეძლევათ. ამჟამად უფროსი და საშუალო თაობა უმცროს შთამომავალს, ნუკა გვალიას და მის ახალდაწყებულ გზას ადევნებენ თვალს, მასთან არიან, თუმცა მის არჩევანში არ ერევიან, შორიდან გულშემატკივრობენ და მისი სჯერათ.

**— ქალბატონო ეკა, თქვენი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში ალბათ ლომის წილი აქვს ქალბატონ მარიკას. როგორი იყო და არის მამიდა-ძმისშვილის ურთიერთობა?**

**ეკა**: წლის და სამი თვის ვიყავი, როდესაც პირდაპირ ეთერში მის სიმღერას ვმღეროდი. მარიკა ჩემს მუსიკალურ განვითარებას ყოველთვის თვალყურს ადევნებდა. ჩვენ ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ჩემი ბებია, მარიკას დედა თამარი, დიდთან დიდი იყო და პატარასთან — პატარა. ის ჩემთვის ყოველთვის მაგალითი გახლდათ. თითოეულ ჩვენგანს რაღაც წვლილი მიგვიძღვის ერთმანეთის ცხოვრებაში.

**— ქალბატონო მარიკა, თქვენს ოჯახზე, იმ გარემოზე გვიამბეთ, სადაც, როგორც პიროვნება და მუსიკოსი ჩამოყალიბდით.**

**მარიკა**: ისეთ ოჯახში აღვიზარდე, რომელსაც ყველა ინატრებდა. ვიდრე ენას ავიდგამდი, მხოლოდ მუსიკა მესმოდა. პირველად სიმღერა აღვიქვი და ამის შემდეგ სიტყვა. შვიდი თვიდან კულისებში ვიზრდებოდი, ბებიასთან (მარო თარხნიშვილი, ავტ.) ერთად დედაჩემი თამარიც სცენაზე იდგა. გასტროლების დროს კულისებში გაბმულ ჰამაკში მეძინა. რომ წამოვიზარდე, სიმღერები ჩემს შინაგან მოთხოვნილებად, აუცილებელ თანამგზავრად იქცა. მე და სიმღერა მთელი ცხოვრება ერთად მოვდივართ.

**მახიჯა: „ეკამ ჰომ მითხა, ნუკა ჯასტინგზე გასვლას აპირებსო, ღამის გადავფიქრებინე“.**

პატარა რომ ვიყავი, რატომღაც მეგონა, ყველას ბებია, დედა მღეროდა. ამ სახლის კედლები გაჟღენთილია ასეთი ყოფით, სიმღერით. მეზობლებიც კი შეჩვეული არიან, რომ აქედან სულ სიმღერის, დაკვრის ხმა გადის. ერთი დღე რომ არ დავჯდე მუსიკალურ ინსტრუმენტთან, მეზობლები მეკითხებიან, წუხელ რატომ არ იმუშავეთო.

**ეკა**: ერთად დაიბადეთ და ამიტომ!

**მარიკა**: პატარას ჰამაკში რომ არ დამძინებოდა, სხვადასხვა ხმაში ვმღეროდი. ეკამაც ჯერ სიმღერა დაიწყო და შემდეგ — ლაპარაკი. თანდათანობით გაიზარდა და კი ხედავთ, როგორ მომღერლადაც იქცა. რა თქმა უნდა, გენეტიკა დიდ როლს თამაშობს, ეკას შეძენილი არაფერი აქვს, ყველაფერი თანდაყოლილია. ეკას მამა, ფირანი და დედა, მზია მარგარიტაძე, ძალიან კარგად მღეროდნენ. ცოლ-ქმარი ყოველთვის ერთად გამოდიოდნენ. ეკას ჩვენგან ხელშეწყობაც ჰქონდა და შესაძლებლობაც, რომ ემღერა.

**ეკა**: მთავარი ის არის, რომ არ ვჩერდებით. ახლა ნუკა აგრძელებს ჩვენს გზას.

**— ქალბატონო მარიკა, ნუკას გამოსვლებს ალბათ ყოველთვის უყურებთ. როგორი შეგრძნება გაქვთ ამ დროს, როგორ აფასებთ შვილიშვილის სიმღერას?**

**მარიკა**: როდესაც ნუკა „საქართველოს ვარსკვლავში“ პირველად დავინახე ვიტირე, რადგან მივხვდი, რომ გენი არ გაჩერდა. ეს ჩვენი წინაპრების დიდი დამსახურებაა.

**მახიჯა: „ძალიან ბევრ ჰამეში ჩვენ შოჰის დიდი სხვაობაა. მე მე-19 საუკუნის მოტიფიანე ვარ. ღღესაც იქ ვცხოვრობ, მომწონს იმდროინდელი ცხოვრების წესი, ჯენტლმენობა, ჩაცმულობა...“.**

**ეკა**: ტელევიზიით ერთხელ ნუკამ თქვა, მუსიკალურ ოჯახში გავიზარდე, ჩემი დიდი ბებიის შესრულებული „ურმული“ ძალიან მიყვარს და მისი წიგნიც მაქვსო. ეს რომ ვნახე, სიამაყით ავივსე, რადგან ნუკას უყვარს თავისი წინაპრები, პატივს სცემს მათ. ის ძალიან კეთილი და ემოციური ადამიანია.

**— ქალბატონო მარიკა, ვიდრე ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდით, გულდაწყვეტით აღნიშნეთ, როგორ შეიძლება ეკასნაირი მომღერალი სცენაზე არ იდგესო. მისი შემოქმედებითი პაუზის მიზეზად რას მიიჩნევთ?**

**მარიკა**: ამის საბაბი თავად ეკამ მისცა, რადგან არ დადგა იქ, სადაც არ უნდა ყოფილიყო. მგონი, ეკამ სწორი არჩევანი გააკეთა.

**ეკა**: არჩევანი სიმართლეზე გავაკეთე. რატომღაც ჩემს ამ არგამოჩენას პოლიტიკურად განიხილავდნენ, მაგრამ ეს სიცრუეა! არასოდეს არავის საწინააღმდეგოდ არ გამოვსულვარ!

**მარიკა**: პოლიტიკას არასოდეს შევხებივარ. მე ყოველთვის ჩემს ქვეყანას, ხალხს ვუწერ სიმღერებს და ეკაც ასეა, მხოლოდ და მხოლოდ თავის ხალხს უმღერის და არა — რომელიმე პოლიტიკოსს. ჩვენი პირველი დამფასებელი მსმენელია. თუ ის გაღიარებს, მთელი ცხოვრება ბედნიერი იქნები. არც მე და არც ეკას მთავრობასთან არანაირი შეხება არ გვქონია.

**— ალბათ ძალიან მტკივნეულია, როდესაც მომღერალი ხარ და სცენა შენთვის დახურულია, არ ხარ იქ, სადაც შენი ადგილია.**

**ეკა**: ეს დიდი ტკივილიცაა და განცდაც. ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი უარყოფითი ემოცია მივიღე. მომღერალი თუ ხალხისთვის არ დაიხარჯა, ხმა არ ამოუშვა, იტანჯება. ეს შენი საქმეა, შენში დევს, მაგრამ, როცა ამისი კეთების საშუალებას არ გაძლევენ, ფუნქციის გარეშე რჩები, ცუდია.

**მარიკა**: როდესაც ადამიანი შემოქმედებით ზენიტშია და ამ დროს აჩუმებ, ძნელია.

**ეკა**: საზღვარგარეთ ნიჭიერ ხალხს აფასებენ, ხელისგულზე ატარებენ, ფეხზე უდგებიან და ამას მათ არავინ ამადლის. ჩვენთან რაღაც კატეგორიას ასეთი დამოკიდებულება უკვირს. ევროპაში რომ ჩახვიდე, თუ მოეწონები, აუცილებლად ტაშს დაგიკრავენ. საქართველოში მხოლოდ იმიტომ კორტნიან ადამიანს, რომ კარგია.

**— ქალბატონო მარიკა, ეკას ეს ტკივილი თქვენთვისაც ნაცნობია?**

**მარიკა**: ალბათ საყვედური არ მეთქმის, რადგან დაუფასებელი ნამდვილად არ ვარ. ყველგან დიდ სიყვარულს ვგრძნობ, ისევე როგორც ეკა.

**— ქალბატონო ეკა, როგორია მამიდათქვენი ოჯახში, როგორსაც მხოლოდ ანლობლები ხედავთ და არა — გარეშე თვალი?**

**ეკა**: მარიკო საოცრად თბილი, მეგობრული ადამიანია. ყველა თაობის წარმომადგენელს უგებს, ამიტომ ყველას უყვარს. ძალიან ხალისიანი, პოზიტიური პიროვნებაა, ახალგაზრდები უზომოდ უყვარს. ამხელა ქალი თავის შვილიშვილებთან მეგობრობს. ისინიც არაფერს უმალავენ, ფანტასტიკური ურთიერთობა აქვთ. ამ მხრივ, მეც ვგავარ მარიკოს, შემიძლია ყველა თაობის ადამიანს გავუგო... მამა აღარ მყავს, მაგრამ გვერდით მამაჩემის და მიდგას.

**მარიკა**: ეტყობა, მენდობიან, როგორც შემიძლია, ყოველთვის მხარს ვუბამ და გვერდით ვუდგავარ.

**ეკა**: დროს, ახალ ტენდენციებს ფეხი უნდა აუწყო და ყველას კარგად გაუგებ. უნდა გაიხსენო, თავად როგორი იყავი გარდატეხის ასაკში და, ასე თუ ისე, კარგად გაუგებ მათ, ვინც ახლა არიან ამ ასაკში.

**მარიკა**: ძალიან ხშირად მოდიან ჩემთან რჩევებისთვის. გრძნობენ, რომ მათთვის კარგი მინდა. არაერთ ადამიანს სწორ მიმართულებას ვაძლევ.

**ეკა**: მარიკოს ყველა გონიერი ადამიანი სიამოვნებით მოუსმენს.

**მარიკა**: ყველამ ის უნდა აკეთოს, რისი კეთებაც შეუძლია. რისთვის ვისწავლე 17 წელი, თუ ისედაც შემეძლო კომპოზიტორი ვყოფილიყავი? მარტო სურვილით არაფერი გამოვა. როდესაც რაღაც არ მომწონს, ძალიან პირდაპირი ვარ და ხმამაღლა ვაცხადებ.

**ეკა**: ჩვენ ალალი და მართალი ხალხი ვართ!

**— ეკას უყვარს, როდესაც რჩევებს აძლევთ?**

**ეკა**: მარიკოს რჩევებს ყოველთვის ვისმენ და ვითვალისწინებ. ტვინის ბურღვა არც ერთმა ვიცით, გინდა თუ არა, ისე უნდა მოიქცე, როგორც მე ვფიქრობო. მე მხოლოდ მაშინ ვაძლევ ადამიანს რჩევას, თუკი მეკით-



Cyan Magenta Yellow Black

ხება თუ არა, რა ჩემი საქმეა!

**მარიკა**: აბა, რა! რჩევა უნდა მისცე და, თუ მიიღებს, ხომ კარგი! უფლებაც არ გვაქვს, ყველაფერში ჩავერიოთ.

**— ნუკას რა რჩევებს აძლევთ?**

**ეკა**: ნუკასთვის აბსოლუტურად არაფერი მირჩევია.

**მარიკა**: ნუკამ ჯერ კიდევ ძალიან პატარამ, საბავშვო ბაღის ასაკიდან გამოამჟღავნა კარგი სასიმღერო მონაცემები. რასაკვირველია, სულ ვადევნებდით თვალს, მაგრამ ყოველთვის გვეურჩებოდა, თავისთვის მღეროდა. სცენაზე მისი გამოყვანის საშუალება ბევრჯერ იყო, მაგრამ კატეგორიულ უარს ამბობდა, ვერც ვაძალებდით.

**ეკა**: ნუკას ხალხის წინაშე სიმღერა ერიდებოდა. ჩვენც კართან დამალულები ვუსმენდით.

**მარიკა**: არ უნდა გაეგო, რომ ვუსმენდით, თორემ სიმღერას წყვეტდა. ძალიან ჩაიკეტა და ამ დროის განმავლობაში საკუთარ თავზე ბევრი იმუშავა ისე, რომ არავინ ჩაგვრია. დღესაც კი, როდესაც სცენაზე გამოდის, ნუკა ხალხისთვის არ კეკლუცობს, დააკვირდით მის თვალებს, მოქმედებებს, ეს ყველაფერი თავისით გამოიმუშავა. ეკა ყოველთვის ამბობდა, ვერ ვაძალებ, რომ იმღეროს, ალბათ მოვა დრო და საჯაროდ მღერა მოუნდებაო. ნუკა მაყურებლის წინაშე თავდაჯერებული წარდგა. ვიდრე თავი არ დაიმორჩილა, არ მიხვდა, რომ ეს შეეძლო, მანამდე სცენაზე არავის გაგვყვა. ახლა კი თავისი სათქმელი თქვა.

**— ნუკას გადაწყვეტილებას — „საქართველოს ჯარსკვლავში“ მიღება მონაწილეობა, როგორი ემოციით შეხვდით?**

**მარიკა**: ეკამ რომ მითხრა, ნუკა კასტინგზე გასვლას აპირებსო, ლამის გადავაფიქრებინე, რადგან დამწყებ მომღერლებს გული სწყდებათ, როცა კონკურის მიღმა რჩებიან. არ მინდოდა, ნუკასაც გული სტკენოდა, მაგრამ მან შეძლო და პირველივე გამოსვლაზე ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა.

**ეკა**: ჩემთვის ნუკას ყოველი გამოსვლა სიურპრიზია. ერთი წამით თუ დავურეკავ, იმის გასაგებად, რას აკეთებს, სულ მპასუხობს, რომ არ სცალია. ამას წინათ მესიჯი მივწერე, ვოკალთან დაკავშირებით პატარა რჩევა მივეცი. მან ხმა კლასიკურად თვითონ დაიმუშავა.

**— საკონკურსო სიმღერების მომზადებაში არც ერთი ეხმარებით?**

**მარიკა**: ერთადერთი, თუ დავურეკავ და მივულოცავ, სულ ესაა ჩემი დახმარება. მის ყოველ გამოსვლას მოუთმენლად ველოდები.

**ეკა**: ჩემს შვილს ვერც კი ვნახულობ, რომელ მიხმარებაზეა ლაპარაკი! სოციალურ ქსელებს თვალყურს ვადევნებ და რამდენჯერმე დაწერეს, ეკა კვალიაშვილის შვილი რომ არის, მაგიტომ გადაიყვანეს, ფულიც მაგათ ხელშია და ყველაფერიო.

**მარიკა**: არასწორია, რომ ესმესებით წყდება, ვინ დარჩეს და ვინ დატოვოს პროექტი. სწორედ ამიტომ ბევრ კონკურსზე ჩემი სიმღერები არ გამიტანია. ესმესი არ უნდა წყვეტდეს ახალგაზრდების ბედს.

**— ქალბატონო ეკა, სოციალური ქსელით ჟურნალისტმა შალვა რამიშვილმა თავისი მოსაზრება გამოთქვა კონკურსანტებთან დაკავშირებით, თქვა ის, რაც არ მოსწონს და ნუკას ვიდეო დადო, სადაც ის უოტნი ჰიუსტონის სიმღერას ასრულებდა. თქვენ მას იმაკე სოციალური ქსელით მწარე პასუხი გაეცით. არც ერთი პროცენტით ეთანხმებით შალვას მოსაზრებებს?**

**ეკა**: აღარ განვავრცობ ამ თემას. ჩემი სათქმელი უკვე ვუთხარი და დავამთავრე. არის რაღაც თემები, რომლებზეც არ ღირს დაუსრულებლად ლაპარაკი. არ მიყვარს, როდესაც ადამიანი რაღაცაში გარკვეული არ არის და მაინც ბრძენკაცობს, ვითომ პროფესიონალურ დასკვნას აკეთებს. ეს ყველაზე მეტად მაღიზიანებს.

**მარიკა**: კონკურსანტს მთელი დარბაზი და ჟიური ფეხზე რომ დაუდგება, იქ უკვე მას ველარაფერი შეაჩერებს, ვისაც რა უნდა, ის იკადროს. ისეთი ადამიანები მირეკავდნენ, ვისაც ეს სფერო კარგად ესმით და მეუბნებოდნენ, ჩვენდა უნებურად სახლებში ფეხზე ავდექით, ყვიროდით, მიდი, ბოლომდე ასე გააგრძელეო.

**— ნუკა კონკურს „ვოლდენ ტალანტის“ შემდეგ არსად გამოჩენილა. ესეც მისი არჩევანი იყო?**

**ეკა**: ნუკა რამდენჯერმე დამიბლოკეს... სულ ვეუბნებოდი, დრო მოვა, როდესაც სცენაზე დადგები-მეთქი.

**მარიკა**: ცოტა ხნის წინ თავად ნუკამ თქვა, ისეთი გარდამავალი ასაკი მქონდა, მაშინდელი ჩემი თავი მძულსო...

**ეკა**: საწყალი დედაჩემი, ამას არავის დედას ვუსურვებო. განა რამეს აშავებდა, სახლში იჯდა, თავისთვის იყო ჩაკეტილი და ვერც ერთი მხრიდან მიუდგებოდი.

**— ქალბატონო მარიკა, რა მსგავსებებს ხედავთ თქვენსა და ეკას შორის?**

**მარიკა**: ეკა პატარაობისას ძალიან მორჩილი იყო. მერე ყოველდღიურმა გამოცდილებამ მისი ცხოვრება უფრო მძაფრი გახადა.

**ეკა**: არ ჯობდა, პატარაობიდანვე არ ვყოფილიყავი ასეთი მორჩილი?

**მარიკა**: ხშირ შემთხვევაში ვიღაცის პირადში ზედმეტად ერევიან, არადა არავის საქმეა სხვების ცხოვრების დეტალები. ეკას პირადი მხოლოდ მას ეკუთვნოდა და ამაში ვერ ვერეოდით. ჩვენ შორის მთავარი მსგავსება ჩვენი გენეტიკაა. სხვა, ძალიან ბევრ რამეში ჩვენ შორის დიდი სხვაობაა. ამას ეკა თავადაც აღიარებს. მე მე-19 საუკუნის მოტრფიალე ვარ. დღესაც იქ ვცხოვრობ, მომწონს იმდროინდელი ადამიანური დამოკიდებულებები, ცხოვრების წესი, კდემამოსილება, ჩაცმულობა... ის ყველაფერი მიტაცებს, რაც იმ საუკუნეს ახასიათებდა. ჩემი სიმღერებიც თითქოს იმ დროიდან მოდის. მაშინ კაციც თავის სიმაღლეზე იდგა და ქალიც. მაშინ ურთიერთდამოკიდებულება სხვანაირი იყო, მაგრამ დრო ყველაფერს ცვლის.

**ეკა**: ჩვენ ინდივიდუალურები ვართ და ამავე დროს ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს. ძალიან ვგავარ ბებიას. საკუთარ თავში მისი და მამას ხასიათებს ვიჭერ. ბებიას ახალგაზრდები ძალიან უყვარდა. თამარს, მარიკას და მე ეს გვაქვს საერთო. ჩემზე ბევრად უმცროსი მეგობრები მყავს.

**მახიჯა: „ხშირ შემთხვევაში ვიღაცის პირადში ზედმეტად ერევიან, არადა არავის საქმეა სხვების ცხოვრების დეტალები. ეკას პირადი მხოლოდ მას ეკუთვნოდა და ამაში ვერ ვერეოდით“.**

**ეკა: „ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი უარყოფითი ემოცია მივიღე. მომღერალი თუ ხალხისთვის არ დარიგებია, ხმა არ ამოუშვა, იტანჯება“.**

✓ ქვი დინოშვილი

## მამა-შვილი

# მამუკა ღლონტი და მისი ცოლი შვილებისგან მალულად რომანტიკულ დღეებს იწყობენ

## მამუკა: „ეროვნული ბანკი მთელი ჩვენი ოჯახი ჩემი გოგონას 200 ლარიანი ხელფასით ვცხოვრობდით“

ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, მამუკა ღლონტი, ხუთი ქალის „მამამთავარია“ — ოჯახში დედა, ცოლი და სამი ქალიშვილი ჰყავს. ირწმუნება, რომ ბიჭი არასდროს სდომებია. თავისი გოგონებით ამაყობს, დემოკრატი მამაა და სახლში მხოლოდ იმის გამო შეიძლება იჩხუბოს, თუ ამდენმა ქალმა სადილი არ დაახვედრა.

უფროსი და შუათანა ქალიშვილები, თამუნა და ეკა, მამის საქმეს აგრძელებენ, ნაბოლარა სოფო კი ჯერჯერობით სტუდენტია. თამუნას რადიო „მაესტროში“ საინფორმაციო გამოშვება მიჰყავს, ეკა კი ტელეკომპანიაში რეჟისორად მუშაობს.

„სარკეს“ ბატონი მამუკა შუათანა შვილთან, ეკასთან ერთად შეხვდა და ჩვენი ინტერვიუ ღლონტების ოჯახურ-სამსახურებრივი ურთიერთობების თემაზე წარიმართა.

**— რამდენად კომფორტულია ოჯახის უახლოესი წევრების, მამისა და შვილების მუშაობა ერთ სამსახურში, შეფისა და ხელქვეითის რანგში?**

**მამუკა**: მამაშვილურ ურთიერთობას სახლში ვტოვებთ. როცა აქ ვართ, ეკაც და თამუნაც „მაესტროს“ ჩვეულებრივი თანამშრომლები არიან. მათ ყველაფერი ის ეხებათ, რაც სხვებს და ზოგჯერ კიდევ მეტიც.

**მამუკა: „ჰენრიკ ფასის ოჯახი ჯი არ ვართ, ჩვენთან ჩხუბიც არის, ყვიროიც, ოღონდ ჰატარა დოზით“.**

**ეკა**: უკვე რამდენიმე წელია, რაც ერთად ვმუშაობთ. კარგია, რომ ასეთი სახით მამასთან მეტი კონტაქტი მაქვს, შემიძლია მის ოთახში შემოვიდე, მოვესიყვარულო. პასუხისმგებლობა კი მეც იგივე მაქვს, რაც ნებისმიერ თანამშრომელს.

**— მამა თქვენ მიმართ არ არის მკაცრი უფროსი?**

**ეკა**: როგორც თანამშრომლის მიმართ, კი. თუ რაღაც მოხდა, ისევე მკაცრად მთხოვს, როგორც ნებისმიერ სხვას.

**— ბატონო მამუკა, თქვენი შვილები სამსახურში შენაშენებს ხშირად იმსახურებენ?**

**მამუკა**: ეკას შენიშვნა არ სჭირდება, შეიძლება ის უფრო ვუთხრა, ამდენს ნუ

→34



Cyan Magenta Yellow Black

მუშაობ, დაისვენე-მეთქი. მაგალითისთვის გეტყვით: პარიზში ჩვენს ჟურნალისტ გოგონასთან ერთად ოპერატორსაც უნდა ეცხოვრა. იმის გამო, რომ მას უცხო ბიჭთან ერთად ვერ ვაცხოვრებდით, ორი ბინის დაქირავების სახსრები კი არ გვქონდა, პარიზში ოპერატორად ეკა გავუშვი. რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ჩემი შვილი ვნახე, იმის ნახევარი იყო, რაც აქედან გავუშვი. ძალიან რთულ პირობებში ყოფილა, თუმცა ამას არ მეუბნებოდა, დამიმალა.

**ეკა: „ოცა გავთხოვდები, ვისუჩვებდი, ქმართან მეც ისეთი უთთიეთობა ქონდეს, ოგორიც ჩემს მშობლებს აქვთ".**

რაც შეეხება სიმკაცრეს, როგორც კი თანამშრომელი ხელშეკრულებას დამირღვევს, მაგალითად, დილის 8 საათის ნაცვლად 9-ის 5 წუთზე მოვა, მაშინ 100 პროცენტით მკაცრი ვხდები. დანარჩენ შემთხვევაში, ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია კარი შემომიღოს, დამეღაპარაკოს, ჩემთან ერთად ისადილოს, ფეხბურთი ითამაშოს, ჩემს აგარაკზე წამოვიდეს, დაისვენოს. თუ დავალებულ საქმეს არ აკეთებენ, აბსოლუტურად შეუვალი ვხდები. „დამეძინა", „დამეზარა", „ვერ გავაკეთე" — ეს სიტყვები არ მესმის! თუ ადამიანი ასე აგრძელებს, ჩვენი ურთიერთობა იქ მთავრდება.

**— ეკა, როგორია მამათქვენი იქ სადაც უცხო ოჯახი ვერ აღწევს და მხოლოდ ოჯახის წევრები ხედავენ, ანუ სახლში?**

**ეკა**: სრულიად განსხვავებულია. ოჯახში ძალიან მოსიყვარულეა. მასთან ნებისმიერ თემაზე ვსაუბრობთ. შინ ძალიან თბილი გარემო გვაქვს.

**მამუკა**: ვინც არ მიცნობს, მას მკაცრი წარმოვუდგენივარ. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ძალიან პრინციპული ვხდები, როცა უსამართლობას, ხელშეკრულების, მოლაპარაკების შეუსრულებლობას ვეჯახები. მაშინ ასპროცენტიანი ხისტი ვარ. ეკრანზეც ასეთ დროს ვხედები ხოლმე. როცა კარგ ხასიათზე და სხვანაირი ვარ, არავინ მაჩვენებს. სინამდვილეში კი დამთმობი ვარ. მიყვარს სხვისი აზრის მოსმენა, გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება, გუნდური თამაში. სამწუხაროდ, ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ ბოლო წლებში სულ ომსა და დავიდარაბაში ვიყავი. ამიტომაც ასეთი იმიჯი ჩამომიყალიბდა.

**— სამ ქალიშვილს როგორ ზრდიდით, რას უსურგავდით და ასწავლიდით?**

**მამუკა**: როცა შვილებს რაღაც უნდათ, ერთად განვიხილავთ. მათ რჩევას ვაძლევ და არჩევანის 100 პროცენტს ვუტოვებ. ასე იყო, როცა პროფესიას ირჩევდნენ, შეყვარებულობის პერიოდში... არანაირი გართულება არ მაქვს, შვილები სად არიან, რატომ არიან ან რას აკეთებენ, თუმცა, როგორც მშობელმა, ყოველთვის ვიცი, სად არიან. ერთმანეთს პატივს ვცემთ, ჩემ შესახებ მეც ყველაფერს ვეუბნები.

ისე ვზრდიდი, რომ მათთვის მამა ყოველთვის ავტორიტეტი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ზედმეტს ვერაფერს გაუბედავდნენ. თავისუფალი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. ყველაზე ძალიან ეს მინდოდა და, მგონი, მივაღწიე კიდეც. არასდროს ვზღუდავდი. როცა ბავშვს ბარიერს უქმნი, მისი გადალახვა აინტერესებს.

**— ამბობენ, რომ გოგონებს მამებთან მეტი საახლოოდ აქვთ, ვიდრე დედებთან. თქვენს ოჯახშიც ასეა?**

**მამუკა**: სულ მოფერებასა და ალერსში ვართ. რამდენიც შეიძლება გოგონამ მამას უთხრას, ყველაფერს მეუბნებიან. არ ვიცი, რამეს თუ მიმალავენ... ალბათ ჩვენ შორის არაფერია დამალული იმიტომ, რომ ასეთ საკითხებში ხისტი არ ვარ, არ განვიკითხავ, არ ვეჩხუბები და ასე შემდეგ.

**ეკა**: მისთვის არასდროს არაფერი დამიმალავს. არასოდეს მქონია ისეთი შემთხვევა, რაღაცის თქმა მდომებოდა და ვერ მეთქვა. ნებისმიერ თემაზე შემიძლია ვესაუბრო. ჩემი დის გათხოვებასაც ძალიან კარგად შეხვდა, ოჯახში ახალი წევრი გვყავს და მასთანაც ისეთივე თბილი ურთიერთობა აქვს, როგორიც ჩვენთან.

**— ალბათ ბევრი თვლის, რომ ამ საყოველთაო უმუშაკრობის პერიოდში თქვენს შვილებს გაუმართლათ, მამამ სამსახურში მიაწყო.**



■ მამუკა და ეკა

**მამუკა**: ჩემმა შვილებმა იმ ადგილებს, რაც მათ „მაესტროში" აქვთ, მძიმე შრომის შედეგად მიაღწიეს. მათთვის „მაესტრომდე" გზა ბევრად უფრო რთული გასავლელი იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა თანამშრომლისთვის. დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი მათ პროფესიონალიზმში, აქ არ დავასაქმებდი.

**ეკა**: ეს სფერო შრომატევადი რომ არის, ამიტომაც ავირჩიე. ვერ გეტყვით, ამ საქმის კეთება იმიტომ მომინდა, რომ მამას სულ ამ სფეროში ვხედავდი თუ გენეტიკურად ჩამომიყალიბდა ამის სურვილი. ამ პროფესიაზე ფიქრი ბავშვობიდან დავიწყე. ძალიან პატარა ვიყავი, როცა მამას კამერა ვთხოვე და რაღაც გადავიღე.

**მამუკა**: დაახლოებით 6 თუ 7 წლის ასაკში აიღო კამერა და იმის შემდეგ ხელიდან არ გაუშვია. ეკა ფოტოგრაფი, ოპერატორი, მემონტაჟე და რეჟისორიც არის. სრულყოფილად ფლობს ოთხ სატელევიზიო პროფესიას. მონტაჟი თვითონ ისწავლა, თვითონ იღებდა რაღაცეებს და ამონტაჟებდა.

**— ბატონი მამუკა, შემდგარი ოჯახი გაქვთ, ქალიშვილები წამოგესწრნენ, მაგრამ ალბათ სირთულეც ბევრი გამოიარეთ თქვენს ცოლ-შვილთან ერთად.**

**მამუკა**: ჩვენს ცხოვრებაში ბევრი კრიზისული მომენტი, გაჭირვება ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ერთად ვიდექით. ყველაზე რთული ეტაპი ახლა ყველაზე კარგად მახსენდება. ეს იყო პერიოდი, როცა თვეების განმავლობაში რვასულიანი ოჯახი ჩემი უფროსი შვილის, თამუნას 200 ლარზე ვცხოვრობდით. სამსახურში დღეგამოშვებით დავდიოდი იმიტომ, რომ საწვავის ფული არ მქონდა. მაშინ რუსთავში, კერძო სახლში ვცხოვრობდით და ეზოში კიტრი, პომიდორი მოვიყვანე... ამ გაჭირვებამ ჩვენი ოჯახი უფრო მეტად შეადუღაბა. ასეთი ბედნიერები არასდროს ყოფილვართ. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მაგრამ მთავარია, გამოსავალი იპოვო...

ყველაზე რთული იყო, როცა აბსოლუტურად ჯანმრთელი მამა ერთ დილას ოთახში გარდაცვლილი დამხვდა. ეს ისეთი სტრესი იყო, 2 წელი მდგომარეობიდან ვერ გამოვედი. ერთია, როცა ადამიანი ავადმყოფობს, მაგრამ, როცა ჯანმრთელს დილით გარდაცვლილს იპოვი... ჩვენს ოჯახს უმძიმესი დღეები ჰქონია, მაგრამ გადაგვიტანია. ძალიან მძიმე იყო, როცა „მაესტროში" ეროსი კიწმარიშვილი გადმომიძვრა და ოთახში ჩაკეტილი ვიყავი, ესენი კი ხედავდნენ, გადაცმული ტიპები იქ როგორ გადმოძვნენ, იცოდნენ, რომ ღამე დარბევას აპირებდნენ. ქალები არიან, ნერვიულობდნენ, ღამეებს ათევდნენ...

**— ასეთ დროს გიფიქრიათ, რომ კარგი იქნებოდა, გვერდით ვყოფილიყავ?**

**მამუკა**: არავის სჯერა, ამას რომ ვამბობ, მაგრამ მესამე შვილიც გოგო მინდოდა, ალბათ პირველი შვილის გავლენით. თანაც მამისთვის გოგო სულ სხვაა. მე უფრო მსოფლიო მოქალაქე ვარ, ვიდრე ნაციონალისტი. ვთვლი, რომ ყველა ადამიანი თანაბარი და ერთმანეთის ნათესავია. ბიბლიაც და მეცნიერებაც ამას გვეუბნება, რომ ყველანი ადამისა და ევასგან წამოვედით. არ მივეკუთვნები მამაკაცების იმ კატეგორიას, რომლებიც გვარის გამგრძელებელზე ფიქრობენ, მით უმეტეს, ბაგრატიონიც არ ვარ. შვილი შვილია, რასაც ღმერთი გაძლევს, ისაა შენი. არ შეიძლება გეწყინოს, რომ გოგი გყავს და არა — ბიჭი. გინდა ბიჭი? 20 შვილი გააჩინე და ერთი ბიჭი გამოვა.

**— ეკა, რაზე შეიძლება მამა გაგიბრაზდეთ?**

**ეკა**: ყველაზე მეტად სწავლასთან დაკავშირებით. მაგალითად, არ მოსწონს, თუ დროს დავკარგავ და წიგნს არ წავიკითხავ. თავადაც ვხდები, რომ ცხოვრებაში სწავლა მნიშვნელოვანია.

**— მამათქვენი გაბრაზებას რიგორ გამოხატავს?**

**მამუკა**: მე გიპასუხებთ, თუ სახლში საჭმელი არ დამხვდება, შემიძლია ვიჩხუბო, სახლში ხუთი ქალი ხართ და საჭმელი როგორ არ გააკეთეთ-მეთქი, ოღონდ ეს ჩხუბი ცემა-ტყეპას და აურზაურს არ ნიშნავს. ჩვეულებრივი ამბავია, აბა, პლასტმასის ოჯახი კი არ ვართ, ჩვენთან ჩხუბიც არის, ყვირილიც, ოღონდ პატარა დოზით და შეიძლება ხუთ თვეში ერთხელ მოხდეს.

**მამუკა: „ჩემი შვიღებისთვის „მაესტრომდე" გზა ბევრად უფრო ოთეი გასავღეი იყო, ვიდრე სხვებისთვის".**

თუ ობიექტური მიზეზია, რის გამოც საჭმელი არ დამახვედრეს, ხმას არ ვიღებ, მაგრამ, თუ სხედან და ტელევიზორში სულელურ სერიალს უყურებენ, ამაზე ვბრაზდები. ჯვარი გვწერია, ისეთი ოჯახი გვქონდეს, სადაც ერთმანეთს თქვენობით ესაუბრებიან.

**— ყველანი მუშაობთ, დაკავებული ხართ, საოჯახო საქმეებს ვინ აგვარებს?**

**მამუკა**: ვისაც მოუხერხდება, ის.

**ეკა**: დედა პროფესიით ექიმია, მაგრამ ერთ-ერთ სკოლა-სახელოსნოში მუშაობს, მენეჯერია. დღის განმავლობაში ისიც გასულია, მაგრამ საღამოს ყველანი სახლში ვიკრიბებით. ერთად ყოფნასაც ვასწრებთ.

**— ეკა, დედასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ ქალიშვილებს?**

**ეკა**: დედა 18 წლის ასაკში გათხოვდა, ჩვენ ფაქტობრივად დებივით ვართ. ძალიან დამთმობია. დედას და მამას რომანტიკული ურთიერთობა აქვთ. ხშირად, განმარტოების მიზნით, ერთი ან ორი დღით სადმე დასასვენებლად

**მამუკა: „მესამე შვიღიც გოგო მინდოდა... ახ მივეკუთვნები მამაკაცების იმ კატეგოოიას, ოომღებიც გვახის გამგძეღებეღზე ფიქოობენ".**

გაგვეპარებიან ხოლმე. როცა გავთხოვდები, ვისურვებდი, ქმართან მეც ისეთი ურთიერთობა მქონდეს, როგორიც ჩემს მშობლებს აქვთ.

**— ბატონო მამუკა, ცოტა ხნის წინ უფროსი ქალიშვილი გაგათხოვდათ. ამ ფაქტს ადვილად შეეგუეთ?**

**მამუკა**: ცრემლი და გულისტკენა არ მქონია. შვილების ბედნიერებით ჩემი ბედნიერებაც იზრდება. თამუნა ყოველდღე ჩემთანაა, ვეხუმრები, შენ ხომ გაგათხოვე, თავი დაგვანებე, წადი-მეთქი. ეგოისტი არ ვარ, იმიტომ მყავდეს ახლოს, რომ ასე მინდა. სადაც ბედნიერი იქნება, იქ იყოს. ერთადერთი რამ მსურს — ჩემმა შვილებმა ბედნიერ ქვეყანაში იცხოვრონ და მათ გარშემოც ბედნიერი ხალხი იყოს.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# მაშო მელქაძეს ქმარი სამშობიარო ბლოკიდან გაექცა

კატო მშობლებთან ერთად

ახსიობ მაშო მელქაძეს სამშობიარო „ტკივილები“ ჯერ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ დაეწყო, ეკრანზე სერიის გასვლის მეორე დღეს კი რეალურად იმშობიარა და თავის ახალგაჩენილ გოგონას ფილმის მთავარი გმირის სახელი, კატო დაარქვა, უფრო სწორად, მისმა ქმარმა შეარჩია ეს სახელი. მაშო სახლში დიდხანს დარჩენას არ აპირებს, გადასაღებ მოედანს მალე დაუბრუნდება. უფრო მეტიც, ახალ სერიებში პატარა კატოც გამოჩნდება, თუმცა მსახიობმა არ გაგვიმხილა, მისი პატარა გოგონას დედობის ბედნიერება სერიალის რომელ გმირს ერგება.

მაშოს ქმარი ტელეკომპანია „ჯიდიესში“ მუშაობს. წლებია სატელევიზიო სივრცეში ტრიალებს, ამიტომ მსახიობი ცოლის კარგად ესმის და ყველანაირად უწყობს ხელს. კატო მისთვის მეორე გოგონაა, პირველი ქორწინებიდანაც ქალიშვილი ჰყავს — თუთიკო. „სარკე“ ბედნიერ ცოლ-ქმარს სახლში ესტუმრა და მათი ოჯახური სიხარული გაიზიარა.

**მაშო**: ჩვენი პატარა 13 მაისს დაიბადა. ფიზიოლოგიურად ვიმშობიარე, გაუტკივარებით. ერთი შკალით რომ ძლიერი ყოფილიყო ტკივილი, ალბათ ვერ გადავრჩებოდი. სულიერი ტრავმა მივიღე. მიკვირს, როგორ მშობიარობენ ქალები, ვინც გაუტკივარებას არ იკეთებენ. ახლა დედას ასჯერ მეტად ვაფასებ.

**— ახლა თქვენი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ეს უკვე კარგად გაითავისეთ?**

**დათო**: კი, თუ აქამდე ოჯახში ყველა

**დათო: „ჩემი ოჩივე გოგონა მაისში დაიბადა. თუთიკო 31 მაისს გაჩნდა, კატო — 13 მაისს“.**

ვხმაურობდით, ახლა კატოს ცხოვრების რეჟიმს მოვერგეთ. ცვლილებები ყველაფერში იგრძნობა. ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როდესაც ოჯახში ახალი წევრი შემოდის, სხვანაირად იწყებ ცხოვრებას. ორი გოგონა მყავს და დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

**მაშო**: ღამე არც ერთს გვძინავს. დათო ძალიან მიფრთხილდება, ბავშვის გაზრდაში მონაწილეობს, გვერდით მიდგას. ცდილობს, რომ სულ სახლში იყოს.

**— თქვენს გოგონას სახელი ერთად შეურჩიეთ?**

**მაშო**: რამდენიმე ვარიანტი გვქონდა. დათომ გადაწყვიტა, რომ კატუშა ყველაზე კარგი იყო და დავარქვით კიდეც.

**— მამა მშობიარობის პროცესს დაესწრო?**

**დათო**: დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, მშობიარობას დავსწრებოდი. ბოლო წამამდე სამშობიარო ბლოკში ვიყავი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მეტი აღარ შემეძლო და სასწრაფოდ გარეთ გამოვედი. მაშოს საშინელი ტკივილები ჰქონდა, მის ყურებას ვერ გავუძელი. მაშომ ივაუკაცა. ვაღიარებ, რომ სუსტი გამოვდექი.

**— მაშო, სერიალში თქვენმა გმირმაც იმშობიარა. რეალურადაც გადასაღებ მოედანზე ხომ არ მიხვდით, რომ კატო იბადებოდა?**

**მაშო**: სერიებს წინასწარ ვიღებთ. ის სერია, სადაც ჩემს გმირს მშობიარობა ეწყება, ეთერში კვირას გავიდა, მეორე დღეს კი ექიმთან ვიზიტი მიწევდა. კლინიკაში რომ მივედი, სანიტრიდან დაწყებული ექიმით დამთავრებული, ყველა გაკვირვებული მიყურებდა, შენ გუშინ იმშობიარე, დღეს აქ რა გინდაო. პაციენტებიც მეუბნებოდნენ, უი, თურმე მართლა ორსულად ყოფილხარო... ექიმმა უკან აღარ გამომიშვა, მამშობიარა. კლინიკაში ყველა თან გადამყვა, ექიმების ყურადღებით დავიღალე.

**— კატოს დასახვედრად როგორ მოემზადეთ?**

**დათო**: კატოს ღირსეულად დავხვდით. ძირითადად ჩემი სიდედრი აქტიურობდა, მე კი ნაყიდი ნივთები მომქონდა სახლში. მაშოს დედას სამი შვილიშვილი ჰყავს და ამ საქმეში გამოცდილია. ზუსტად იცოდა, ახალშობილს რა დასჭირდებოდა. მაშო შვიდი თვის ორსული რომ გახდა, პატარასთვის ყველაფერი შევიძინეთ. ამის საფრთხე არ იყო, მაგრამ შვიდთვიანი რომ დაბადებულიყო, გვინდოდა, მომზადებული დავხვედროდით.

**— ჭირვეული ორსული ხომ არ იყო თქვენი ცოლი?**

**დათო**: რაღაც დათმობებზე წასვლა მომიწია, თუმცა მაშო ძალიან შეგნებული ადამიანია და ჭირვეული არ ყოფილა. ოქროს თევზი ნამდვილად არ მოუთხოვია.

**მაშო**: დიდი დიდი, ნაყინი თუ მომინდებოდა. ჩემი მოთხოვნებით არ ვაწუხებდი.

**დათო**: გართულება ჰქონდა ალკოჰოლის სუნზე, ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობდი, არ დამელია.

**— მაშო, გადაღებებზე სიარული არ გიჭირდათ?**

**მაშო**: სამი თვის ორსულს „თავისუფალი თეატრიდან“ წამოსვლა მომიწია, ჩემი როლების თამაში შეუძლებელი იყო, რადგან ზოგ სცენაში დავხტოდი. იმედი მაქვს, თეატრში დავბრუნდები. მეგონა, სერიალიდან გამომიშვებდნენ, მაგრამ დამტოვეს და ჩემს გმირს ჩემი მდგომარეობა მიუსადაგეს. ძალიან დიდი მადლობა მათ, რადგან სახლში დაჯდომა ჩემთვის რთული იქნებოდა. კვირაში ერთხელ გადაღებაზე მისვლა კი სირთულეს არ წარმოადგენდა. ფაქტობრივად ძალიან აქტიური ფეხმძიმე ვიყავი, არც მეგობრებთან შეხვედრას ვარიდებდი თავს და არც საქმეს.

**— დათო, მსახიობი ქალის ქმრობა ადვილია?**

**დათო**: ჩემთვის რთული არ არის. ტელევიზიაში არ დავბადებულვარ, თორემ იქ გავიზარდე, ამიტომ ეს სფერო ჩემთვის

**მაშო: „ღამე აჩს ეჩთს გვძინავს. დათო ძაღიან მიფჩთხიღღება, ბავშვის გაზჩდაში მონანიღეობს, გვეჩდით მიდგას“.**

უცხო არ არის. მაშოს პროფესიას ვაფასებ. მსახიობებთან ბევრჯერ მიმუშავია და მათთან თანამშრომლობა სასიამოვნოა. ბოლოს მაშოს ვუთხარი, გადასაღებ მოედანზე არ წახვიდე, მშობიარობა არ დაგეწყოს-მეთქი, რადგან ყოველდღე და ყოველ წამს შვილის მოლოდინში ვიყავით.

**მაშო**: რა მნიშვნელობა ჰქონდა, მშობიარობა სად დამეწყებოდა, სადაც უნდა ვყოფილიყავი, სამშობიაროში მიმიყვანდნენ.

**მაშო: „ეღინიეაში ჩომ მივედი, ყველა გაკვირვებული მიყურებდა, შენ გუშინ იმშობიარე, დღეს აქ ჩა გინდაო. პაციენტებიც მეუბნებოდნენ, უი, თურმე მართლა ორსულად ყოფილხარო“.**

**— მაშო, რამდენ ხანში დაუბრუნდებით გადასაღებ მოედანს?**

**მაშო**: სამშობიაროში ყოფნის დროს ჩემ გვერდით პალატაში ხდებოდა „ჩემი ცოლის დაქალების“ ერთ-ერთი სცენის გადაღება. პალატიდან რომ გამოვედი, რეჟისორმა მკითხა, სამსახურში როდის დაბრუნდებიო. ვუპასუხე, თუ საჭიროა, დღესვე-მეთქი. მართლაც დამირეკეს. აქვე გაგიმხელთ, რომ სერიალში ჩემს პატარა კატოსაც იხილავთ.

**— ზედმეტი კილოგრამები არ გეტყობათ...**

**დათო**: ორსულობამდე ძალიან გამხდარი იყო, ახლა კი ნორმალური, ქალური პროპორციები აქვს.

**მაშო**: არადა ისეთი გამხდარიც ძალიან მოვწონდი. 30 კილო მოვიმატე, ადრე 43 კილოგრამი ვიყავი. თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, ფორმები რომ მეცვლებოდა. სარკეში რომ ვიხედებოდი და ვხვდებოდი, მე „მე“ აღარ ვიყავი, ხასიათი მეცვლებოდა.

**დათო**: მაგრამ რომ გაიაზრა, ფეხმძიმედ იყო და ბავშვი უნდა გაეჩინა, მერე აღარ დარდობდა. თავიდან სულ მეწუწუნებოდა, შემხედე, რამხელა გავხდი, როგორ გავსუქდიო. შეძლებისდაგვარად ვაწყნარებდი. ზოგჯერ კი ვეხუმრებოდი, რა არის, რამდენს ჭამ-მეთქი.

**მაშო**: ღამის 4 საათზე ხან სად წამიყვანდა საჭმელად და ხან — სად. მასზე სამჯერ მეტს ვჭამდი. მეუბნებოდა, ყველაზე ლამაზი ორსული ხარო. ჩემი გარდერობიდან თითქმის ყველაფერი გავაჩუქე, მათ შორის — ფეხსაცმელებიც, მათ რაღას ვერჩოდი, არ ვიცი.

**— დათო, როგორც ვიცი, პირველი ქორწინებიდანაც გოგონა გყავთ.**

**დათო**: ჩემი ორივე გოგონა მაისში დაიბადა. თუთიკო 31 მაისს გაჩნდა, კატო — 13 მაისს. კარგი დამთხვევაა — 13-31 მაისი. დები ერთმანეთს ჰგვანან. ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი დამიდგა ცხოვრებაში, ორ შვილზე უნდა ვიზრუნო.

**მაშო**: ადრე ვიყავით წყვილი, ახლა უკვე ოჯახი ვართ. ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი ეტაპი მაქვს, ამაზე რომ ვფიქრობ, სიხარულისგან მეტირება.

✓ ლანა კიკნაძე



Cyan Magenta Yellow Black

# „ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐ“ — ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲭᲙᲑᲘᲚ-ᲛᲬᲐᲠᲔ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

## ფილმი, რომელმაც 30 წლის წინ 45 მილიონი მაყურებელი შეაგროვა

„ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲘᲭᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲙᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲒᲕᲐᲠᲒᲣᲜᲐ... ᲓᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘᲐ ᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲜᲘᲭᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲬᲐᲕᲐ ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ“, — ᲬᲔᲠᲓᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲨᲘ „ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐ“. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲘ 1983 ᲬᲔᲚᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲮᲘᲚᲐ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ. ᲡᲐᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲪᲣᲗᲮᲔᲓᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 40-ᲛᲓᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲔᲙᲠᲐᲜᲘ ᲛᲝᲘᲐᲠᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ 30 ᲬᲔᲚᲘᲐ �გᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲓᲐᲦᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲔᲡ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲦᲔᲑᲛᲐ ᲯᲒᲣᲤᲛᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ „ᲫᲕᲠᲔᲑᲘ“ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ — ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐᲗ.

### ᲡᲐᲛᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲰ ᲓᲐᲦᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘ ᲒᲖᲐ

**ᲥᲔᲗᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ:**

— ᲤᲘᲚᲛᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲢᲘᲢᲠᲔᲑᲨᲘ ᲡᲘᲙᲝ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ (ᲥᲔᲗᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ. ᲐᲕᲢ.) ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲐᲓ ᲬᲔᲠᲘᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ, ᲛᲐᲛᲐ ᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲚᲝᲒᲘᲜᲐᲓ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲛᲐᲡ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲨᲐ �თᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲕᲐᲩᲘᲕᲔᲜ. ᲡᲐᲛᲘᲕᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲐ, ᲓᲐᲛᲚᲝᲪᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲔᲡ. ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲮᲛᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲙᲠᲣᲚ ᲤᲘᲚᲛᲡ, ᲡᲐᲛᲔᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘᲡ ᲕᲔᲯᲐᲠ ᲛᲝᲔᲡᲬᲠᲝ. ᲛᲘᲡᲘᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲢᲘᲢᲠᲔᲑᲨᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲕᲣᲗᲣᲗᲘᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲔᲡ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲯᲔᲚᲝ.

ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲨᲔᲕᲣᲓᲒᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲛᲔ, ᲜᲘᲜᲔᲚᲘ ᲭᲐᲜᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔᲛ, ᲖᲐᲖᲐ ᲙᲝᲚᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲕᲔᲐᲓ ᲣᲩᲐᲜᲝᲕᲘᲚᲘᲛᲐ ᲐᲕᲘᲔᲗ ᲨᲐᲛᲞᲐᲜᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲯᲔᲠ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲜᲝᲓᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲕᲔᲓᲘᲗ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ — ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲗᲐᲜ. ᲘᲡᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, ᲝᲠᲘᲕᲔ ᲐᲕᲐᲓ ᲘᲧᲝ, ᲘᲬᲕᲜᲔᲜ. ᲐᲡᲔ ᲓᲐᲒᲕᲘᲚᲝᲪᲔᲡ ᲒᲖᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲕᲔᲨᲣᲠᲗᲔ — ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ.

> **ᲥᲔᲗᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ: „ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐᲡ ᲰᲝᲚᲝᲖᲔ ᲦᲔᲕᲐᲜ ᲣᲩᲐᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲜᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔ�გᲔᲑᲝᲓᲐ, ᲔᲡ ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲗᲕᲐᲦᲔᲑᲐ ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐ ᲰᲐ ᲐᲰᲘᲡᲝ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲕᲘᲢᲐᲜᲔ!“.**

### ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲗᲕᲐᲦᲔᲑᲐ ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐ

— ᲠᲝᲚᲔᲑᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲒᲐᲕᲡᲘᲜᲯᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲕᲘᲪᲝᲪᲐᲕ, ᲩᲔᲛᲡ ᲤᲘᲚᲛᲨᲘ ᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲗᲐᲛᲐᲨᲐ. ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲒᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ 40 ᲙᲐᲪᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ. ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲘᲡ ᲠᲝᲚᲖᲔ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲣᲩᲐᲜᲔᲕᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲜᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔ�გᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲔᲖᲝ ᲩᲮᲘᲔᲘᲡ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲘᲕᲠᲘᲪᲙᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲖᲝ ᲔᲡᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲗ ᲓᲐᲛᲘᲭᲘᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲡ, ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲗᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡᲝ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲕᲗᲣᲗᲮᲐᲠ, ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲕᲘᲢᲐᲜᲔ!

ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲨᲘ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲪᲐᲕ. ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲜᲣ ᲩᲐᲛᲘᲗᲕᲚᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲪᲓᲐᲠᲕᲐᲠ. ᲠᲝᲪᲐ „ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲬᲐᲛᲨᲘ ᲕᲘᲪᲝᲪᲐᲕ, ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲕᲔᲨᲣᲠᲗᲔ — ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ.

### ᲡᲐᲛᲐᲩᲔᲛᲗᲐᲜ

— ᲠᲝᲚᲔᲑᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲒᲐᲕᲡᲘᲜᲯᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲕᲘᲪᲝᲪᲐᲕ, ᲩᲔᲛᲡ ᲤᲘᲚᲛᲨᲘ ᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲗᲐᲛᲐᲨᲐ. ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲒᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ 40 ᲙᲐᲪᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ. ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲘᲡ ᲠᲝᲚᲖᲔ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲣᲩᲐᲜᲔᲕᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲜᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲔᲖᲝ ᲩᲮᲘᲔᲘᲡ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲘᲕᲠᲘᲪᲙᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲖᲝ ᲔᲡᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲗ ᲓᲐᲛᲘᲭᲘᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲡ, ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲗᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡᲝ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲕᲗᲣᲗᲮᲐᲠ, ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲕᲘᲢᲐᲜᲔ!

ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲨᲘ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲪᲐᲕ. ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲜᲣ ᲩᲐᲛᲘᲗᲕᲚᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲪᲓᲐᲠᲕᲐᲠ. ᲠᲝᲪᲐ „ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲕᲔᲨᲣᲠᲗᲔ — ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲬᲐᲛᲨᲘ ᲕᲘᲪᲝᲪᲐᲕ, ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲕᲔᲨᲣᲠᲗᲔ — ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ.

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ „ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐᲖᲔ“ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲛᲧᲐᲕᲓᲐ. ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲛᲔᲓᲜᲘᲙᲝᲕᲘ, ᲙᲝᲛᲪᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ ᲒᲝᲒᲘ ᲩᲚᲐᲘᲫᲔ, ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲮᲘ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲡᲣᲚᲔᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲣᲤᲔᲕᲡ, ᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ.

### ᲐᲮᲐᲠᲜᲐᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲘᲗᲕᲘᲡ ᲩᲔᲯᲘᲡᲗᲘᲠᲘ

— ᲨᲣᲐ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲕᲐᲩᲘᲜᲔ. ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲢᲐᲘᲛᲐᲣᲢᲘ ᲐᲕᲘᲦᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲦᲔ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲘ. ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲔᲒᲜᲝ, ᲠᲝᲛ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲤᲘᲚᲛᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲓᲘ. ᲛᲣᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲔ-12 ᲓᲦᲔᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲠᲔᲖᲝ ᲩᲮᲘᲔᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲓᲘ, ᲛᲐᲜ �თᲥᲕᲐ: „ᲐᲠᲐ, ᲐᲠᲐ, ᲔᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲧᲝᲡ!“. ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲥᲪᲔᲝᲓᲘ, ᲗᲐᲛᲠᲘᲙᲝᲡ ᲕᲐᲭᲛᲔᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲒᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲘ.

**„ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐ“** — 1983 ᲬᲔᲚᲘ.

ᲤᲘᲚᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ.

**ᲓᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ:** ᲡᲘᲙᲝ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ, ᲥᲔᲗᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.
**ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ:** ᲡᲘᲙᲝ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ, ᲥᲔᲗᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.
**ᲓᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ:** ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲛᲔᲓᲜᲘᲙᲝᲕᲘ.
**ᲓᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘ:** ᲜᲝᲓᲐᲠ ᲡᲣᲚᲔᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
**ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ:** �გᲝᲒᲘ ᲩᲚᲐᲘᲫᲔ.
**ᲮᲛᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ: ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ:** ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.
**ᲛᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ:** ᲚᲔᲘᲚᲐ ᲐᲨᲘᲐᲜᲘ.
**ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲝᲜᲔᲑᲘ:** ᲚᲔᲕᲐᲜ ᲣᲩᲐᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ (ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐ), ᲜᲘᲜᲔᲚᲘ ᲭᲐᲜᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔ (ᲘᲜᲒᲐ), ᲖᲐᲖᲐ ᲙᲝᲚᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲛᲣᲠᲢᲐᲚᲝᲡ), ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ (ᲐᲜᲘᲙᲝ), ᲚᲐᲓᲝ ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲐᲛᲐᲖᲘ), �გᲘᲕᲘ ᲗᲝᲗᲮᲐᲫᲔ (ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ), ᲓᲣᲓᲣᲮᲐᲜᲐ ᲬᲘᲠᲝᲫᲔ (ᲛᲐᲠᲗᲐ), ᲚᲘᲐ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ (ᲘᲜᲒᲐᲡ ᲓᲐᲥᲐᲚᲘ), ᲗᲐᲛᲐᲖ ᲗᲝᲚᲝᲠᲐᲘᲐ (ᲐᲚᲘ), ᲑᲝᲜᲓᲝ ᲒᲝᲒᲘᲜᲐᲕᲐ (ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲒᲐᲑᲝ), ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲬᲘᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ) ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

### ᲗᲛᲐᲨᲔᲚᲔᲑᲘᲚᲘ ᲦᲔᲕᲐᲜᲘ

— ᲚᲔᲕᲐᲜ ᲣᲩᲐᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲠᲣᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲦᲝᲡ, ᲙᲣᲠᲘᲝᲖᲘ ᲛᲝᲰᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲒᲐᲕᲑᲠᲐᲖᲓᲘ. ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲜᲘ ᲡᲪᲔᲜᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐ ᲐᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ. ᲐᲛ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲘᲡ, ᲖᲐᲘᲠᲐ ᲐᲜᲗᲔᲚᲐᲕᲐᲡ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ. ᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ, ᲘᲥ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲓᲐᲯᲔᲚᲝᲓᲐ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲘᲬᲔᲕᲓᲔᲓᲘ, ᲒᲐᲕᲘᲒᲪᲓᲘ, ᲒᲐᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔᲓᲘ, ᲜᲔᲢᲐ, ᲠᲐᲡ ᲡᲭᲘᲠᲡᲛᲔᲗᲥᲘ. ᲗᲣᲠᲛᲔ ᲡᲐᲐᲠᲩᲘᲚᲘᲡᲛᲐᲮᲔᲠᲝᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲛᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲨᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲘᲚᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲨᲝᲙᲘ! ᲚᲔᲕᲐᲜᲡ ᲕᲗᲣᲗᲮᲐᲠᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲑᲔᲓᲔᲓ ᲓᲐ ᲩᲔᲛ ᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲐᲓ ᲗᲛᲐ ᲨᲔᲘᲚᲔᲑᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲗᲣᲠᲛᲔ ᲡᲐᲐᲠᲩᲘᲚᲘᲡᲛᲐᲮᲔᲠᲝᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲛᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲨᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲘᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲔᲑᲨᲘ ᲤᲔᲠᲘ ᲪᲝᲢᲐ ᲓᲐᲓᲐᲣᲪᲘᲓᲐ.

### 45 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ — ᲰᲔᲯᲝᲰᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ

— ᲤᲘᲚᲛᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ, ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲔᲙᲠᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ ᲐᲘᲦᲝ. ᲨᲔᲛᲓᲒᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲘᲐᲠᲐ ᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲛᲔ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲛᲘᲨᲕᲔᲡ. ᲙᲐᲜᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ, ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲬᲐᲘᲦᲔᲡ ᲓᲐ 38-ᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲛ ᲛᲐ

■ კადრები ფილმიდან

გადამაღებინა. მერე უკვე იძულებული გავხდი, ინგას ტყავი მომერგო. საბოლოოდ ქეთი დოლიძის ასეთი სიჯიუტის მადლობელი ვარ, რადგან ამ როლმა დიდი პოპულარობა და წარმატება მომიტანა. გარდა ამისა, ინგა დარჩა სახედ, რომელსაც ყველა იცნობს. ჩემს კინოგალერეაში ეს როლი საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამის შემდეგ უფრო რთული როლებიც შევქმენი, ბევრი ჯილდოც ამიღია, მაგრამ მაყურებელს მაინც ინგა ახსოვს და ძალიან ხშირად ამ სახელით მომმართავენ.

მე და ლევან უჩანეიშვილი თეატრალურ ინსტიტუტში ჯგუფელები ვიყავით, მეგობრობა გვაკავშირებდა და ამდენი წელია ერთად მოვდივართ. როდესაც პირველ გადაღებაზე, ეს „ყვითელი“ ლევანი შავი თმით გამომეცხადა, თვალებს არ ვუჯერებდი. ვინც მას მანამდე ვიცნობდით, მისი გაშავება ყველასთვის შოკისმომგვრელი იყო. შავ ლევანს ძლივს შევეგუე.

არაჩვეულებრივი იყო გადაღების პირველი დღე, როდესაც ავადმყოფ ნოდარ დუმბაძესა და სიკო დოლიძესთან მივედით და მათი დალოცვა მივიღეთ. ეს ჩემთვის დაუვიწყარი დღე გახლდათ. ამ ფაქტორმაც განაპირობა ფილმის შემდგომი წარმატება, შეუძლებელი იყო, ამის შემდეგ „კუკარაჩა“ ცუდი გამოსულიყო.

გადაღებები ძალიან მხიარულად მიმდინარეობდა. ეს პერიოდი ზაფხულს დაემთხვა და ერთადერთ დისკომფორტს სიცხე გვიქმნიდა. საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ ქეთი ჯერ ძალიან დიდი მუცლით დადიოდა გადასაღებ მოედანზე, მერე თამრიკო გაჩინა და ორ კვირაში დაგვიბრუნდა. ამხელა მუცლით აპარატში ჩასაჭყეტად ახტებოდა ხოლმე, ხან ხის ყუთზე დგებოდა. ამ დროს მთელი ჯგუფი ვეძახდით: „ქეთი, ფრთხილად, არ ჩამოვარდე!“. მისი უფროსი შვილი, თორნიკე, გადასაღებ მოედანზე დადიოდა და ეპიზოდებში გადაიღეს კიდეც, თამრიკო კი, ყველამ იცის, რომ „კუკარაჩას“ გადაღების პერიოდში დაბადებული ბავშვია.

## მუჩტაღოს საყვარელი

— შარშან, როდესაც „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად ცნობილი ადამიანები სოფლებში დავდიოდით, ერთი კურიოზი გადამხდა თავს. ზოგჯერ მოსახლეობა არაკეთილგანწყობილი გვხვდებოდა. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია გახლდათ ქართლში, სადაც ნაციონალური მოძრაობის ტერორი უფრო ძლიერი იყო. ქართლის ერთ-ერთ რაიონში შეხვედრაზე იქაური გამგებლის თუ პოლიციელის ცოლი გამოვარდა (ზუსტად აღარ მახსოვს) და ცდილობდა, პროვოკაცია მოეწყო. ხალხს ავუხსენი, თუკი ჩვენი მოსმენა არ გინდათ, მაშინ აქაურობა დატოვეთ, არავინ გაძალებთ, ხოლო თუ მოსმენა გინდათ, მაშინ მშვიდად დადექით, წივილ-კივილი რაღა საჭიროა-მეთქი. კუთხეში ერთი ქალი იდგა, რომელმაც სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, თქვა: „ამ მურტალოს საყვარელმა უნდა დაგვარიგოს ჭკუაი?“. მეც ქართლური აქცენტით ვუპასუხე: „კუკარაჩას ცოლი რომ ვიყავ, დაგავიწყდა?“. ამაზე ხალხს სიცილი აუტყდა და სიტუაცია უცებ განიმუხტა.

## თამაზის და ანიკოს აივნიანი სახლი

### მარინა ჯანაშია:

— მიუხედავად იმისა, რომ ეკრანზე ბევრი როლი მოვირგე, აღმოჩნდა, რომ ქალბატონი ანიკოს პერსონაჟი ხალხში ყველაზე პოპულარულია. ჩემს კინო და სასცენო როლებში ანიკოს მეც გამოვარჩევ. სხვათა შორის, თავდაპირველად ჩემს კანდიდატურასთან დაკავშირებით წინააღმდეგობები არსებობდა. რეჟისორსან მე უნდა ავეყვანე, ან ლევან უჩანეიშვილი. ჩვენ თითქოს თანატოლები ვიყავით და არაბუნებრივი გამოდიოდა, რომ ამ ასაკის ფონზე მე დეიდა ანიკოს როლი მეთამაშა. საბოლოოდ როლზე დამამტკიცეს და გრიმით ასაკი მომიმატეს.

ამ ფილმთან საკმაოდ სათუთი დამოკიდებულება მაქვს იმიტომ, რომ ჩემი პერსონაჟის შვილის როლს არაჩვეულებრივი ბავშვი თამაშობდა. ის წლების შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა. ამან მეტი სიმძაფრე და ტკვილიანი სიყვარული შესძინა ამ ფილმს.

**მარინა ჯანაშია: „უცებ მივხვდი, რომ თამაზიკოზე, ჩემს ღალოზე იყო საუბარი. იმდენი ვიტირე და ისე განვიცადე ეს ამბავი, რომ სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია. მას მერე „კუკარაჩას“ ყურება ყოველთვის მიმძიმს“.**

ანიკოს როლთან დაკავშირებით ყოველ ნაბიჯზე საინტერესო ამბები მხვდებოდა. ფილმის გამოსვლის შემდეგ ხდებოდა ასეთი რაღაც: რამდენჯერაც მილიციელები ჩემს მანქანას გააჩერებდნენ, როგორც კი საჭესთან დამინახავდნენ, მაშინვე მიშვებდნენ. ყველა ის მილიციელი იმ მომენტში თავს ალბათ კუკარაჩად მიიჩნევდა.

ის სახლი, სადაც ჩემი სცენების გადაღება ხდებოდა, დღემდე ძალიან მიყვარს. როდესაც ასათიანის ქუჩაზე (ყოფილი ენგელსის ქუჩა) მანქანით ჩავივლი, ჩემ გვერდით ვინც უნდა იჯდეს, ყველას ვანახებ აივნიან სახლს, სადაც ანიკოს სცენებს ვიღებდით. ბოლო ეპიზოდიც, როდესაც ანიკო კუკარაჩას გარდაცვალებას იგებს, ამ აივანზეა გადაღებული.

ლადო ტატიშვილის გარდაცვალების ამბავმა თავზარი დამცა. იმ დღეს ტელევიზორი ჩართული მქონდა და თან საქმეს ვაკეთებდი. დავინახე, რომ ეკრანზე „კუკარაჩას“ კადრები იყო და შეეხედე, მაგრამ დიქტორის ტექსტს ყურადღება არ მივაქციე. ყური მოვკარი, რომ აფხაზეთში კიდევ ერთი ბიჭი დაიღუპა. ჩემს მეხსიერებაში კადრები უკან დატრიალდა და უცებ მივხვდი, რომ თამაზიკოზე, ჩემს ლადოზე იყო საუბარი. იმდენი ვიტირე და ისე განვიცადე ეს ამბავი, რომ სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია. მას მერე „კუკარაჩას“ ყურება ყოველთვის მიმძიმს. როცა ტელევიზიით გადის, შორიახლოს ვტრიალებ და სიამოვნებით ვუსმენ მუსიკას, რომელიც მთელ ფილმთან ასოცირდება ჩემთვის. ყველაზე საყვარელი სცენა არის ის, როდესაც მე და კუკარაჩა ბოთლში გამომწყვდეულ ჯინზე ვსაუბრობთ.

## „მუჩტაღო ბოროტი არ უნდა იყოს“

### ზაზა კოლელიშვილი:

— „კუკარაჩას“ გახსნება ჯერ მარტო იმიტომ მიყვარს, რომ ეს იყო დრო, როდესაც ყველანი ახალგაზრდები ვიყავით. გადასაღებ მოედანზე ძალიან კარგი გუნდი იყო შეკრებილი. 10-12 საათი შეუჩერებლად ვმუშაობდით. გადაღებების დროს ბრმანაწლავის შეტევა დამემართა და ოპერაცია გავიკეთე, თუმცა მუშაობა მალევე გავაგრძელე. ავადმყოფობის შემდეგ პირველი ეპიზოდი იყო, როდესაც ჩემი გმირი ინგას დაბადების დღეს ულოცავს და ხელში აჭყავს. რადგან ახალი ნაოპერაციევი ვიყავი, ყველას ეშინოდა, ნაკერი არ გამხსნოდა...

**ზაზა ჯოლელიშვილი: „ხალხი დღემდე ფილმის გმირის სახელით მომიხსენიებს. ზოგჯერ მუჩტაღო ავინყებდათ და დამპალოს მეძახიან ხოლმე“.**

თავიდან მთავარ როლებზე სხვადასხვა მსახიობები განიხილებოდნენ. იყო ასეთი ვარიანტი, რომ მე კუკარაჩა ვყოფილიყავი, ზურა ყიფშიძე ან გურამ ფირცხალავა — მურტალო. საბოლოოდ მურტალოს როლი მერგო, რადგანაც ეს რეჟისორის სურვილი იყო. მას შემდეგ, რაც „კუკარაჩა“ კინოეკრანებზე გამოვიდა, ხალხი დღემდე ფილმის გმირის სახელით მომიხსენიებს. ზოგჯერ მურტალო ავიწყებდათ და დამპალოს მეძახიან.

ერთხელ მე და ჩემი მეუღლე ბათუმში რაღაც საქმეზე ვიყავით ჩასული. უცებ მანქანებით ვიღაც ტიპები მოვიდნენ და მთხოვეს, წამოგვყევი, ერთი საქმე გაგვარჩევინეო. ნათიამ მათ აუხსნა, ეს არტისტია და ასეთი როლი იმიტომ ითამაშაო.

მახსენდება გადაღების პირველი დღე და ალბათ მარტო მე კი არა, სხვა მსახიობებსაც კარგად ახსოვთ. მაგ დღეს კოლმეურნეობის მოედანზე, ძველისძველ აფთიაქში უნდა გადაგვეღო სცენა. საერთოდ, ასეთია წესია, რომ როდესაც კამერა პირველად დატრიალდება, თეფში უნდა გატყდეს და მომავალი ფილმი შამპანურით დაილოცოს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ამ ჩვენი შამპანურებით სიკო დოლიძესთან და ნოდარ დუმბაძესთან მივსულიყავით. ბატონ ნოდარს ინფარქტი ახალი გადატანილი ჰქონდა და იწვა, მისთვის ალკოჰოლი არაფრით შეიძლებოდა. მეუღლემ ალუბლის წვენი შემოუტანა, ამით დაილოცეო. როგორც კი ქალბატონი ნანული ოთახიდან გავიდა, ბატონმა ნოდარმა მითხრა, აქ ჩემი ჭიქა მაქვს, გამოიღეთ და ცოტა შამპანური ჩამომისხით, როგორ შეიძლება „კუკარაჩა“ ალუბლის წვენით დავლოცოო.

იმ დღეს ნოდარ დუმბაძემ რჩევა-დარიგებები მომცა ჩემს როლთან დაკავშირებით. მისი სიტყვები ახლაც მახსოვს: „წარმოიდგინე, რომ შენ ხარ ბიჭი, რომელიც ადრე „სკრიპკაზე“ დადიოდა, შემდეგ 1937 წლის რეპრესიების დროს მშობლები დაუხვრიტეს. მარტო დარჩა და „სკრიპკაც“ გადააგდო. აი, ასეთი ტიპი უნდა ითამაშო, მურტალო ბოროტი არ უნდა იყოს“. ყველანიარად ვეცადე, მისი დარიგება გამეთვალისწინებინა და ისეთი მურტალო მეთამაშა, როგორსაც თავად ბატონი ნოდარი ხედავდა.

✓ თეონა კენჭოაშვილი



Cyan Magenta Yellow Black

# ირმა ცქიტიშვილი: „როცა სიყვარული გაქვს ყველას მიმართ, ასაკი თითქოს ათი წლით გაკლდება“

ირმა ცქიტიშვილს გასული საუკუნის 90-იან წლებში „მეორე არხზე“ მოდის და სტილის შესახებ საავტორო გადაცემები მიჰყავდა. მართალია, მერე პიარის სფეროში გადაინაცვლა და ამჟამად მსხვილი კომპანიის კორპორატიული კომუნიკაციის განყოფილების ხელმძღვანელია, მაგრამ მოდის ტენდენციები მისთვის ყოველთვის აქტუალურია, მისი ჩაცმულობა, მაკიაჟი, ზოგადად გარეგნობა წარმატებული საქმიანი ქალის იმიჯს უნდა ქმნიდეს.

**„მიყვარს ღამაზი სილუეტი. ვაღიარებ, რომ ჩემი სისუსტე ჩაცმა და ღამაზი ნივთებია“.**

თავის მოვლა ბავშვობიდან აინტერესებდა, დედას სახის კრემებს პარავდა და თურმე მთელ ტანზე ისვამდა. ახლა უკვე სისტემატურად იყენებს კოსმეტოლოგიის თანამედროვე მიღწევებს, ვარჯიშობს, მაგრამ მთავარი, რაც ქალის სილამაზეს განსაზღვრავს, მისი აზრით, სიყვარული და კეთილი ბუნებაა.

**— ქალბატონო ირმა, რას ნიშნავს თქვენთვის მოდურად ჩაცმა?**

— ყოველთვის ვიცი, მოდის სფეროში რა ხდება. შემიძლია, ყველა სტილი მოვირგო, შეზღუდული არ ვარ. მიყვარს ლამაზი სილუეტი. ფერების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება არ მაქვს, ყველანაირს ვეგუები. ვაღიარებ, რომ ჩემი სისუსტე ჩაცმა და ლამაზი ნივთებია. მიხარია, როცა მაქვს იმის საშუალება და დრო, ბევრი ახალი ნივთი შევიძინო. ჩემი სტილიც ახალი სამოსის შესაბამისად იცვლება.

**— როგორია თქვენი ყოველდღიური სტილი?**

— მიყვარს ჯინსები და სპორტული ფორმა. ასობით ჯინსი მაქვს გარდერობში. საერთოდ, იმიჯზე ბევრი ფიქრი არ მჭირდება. ვიცი, რომ ყოველთვის ფორმაში უნდა ვიყო და, რაც მთავარია, ტანსაცმელში თავი მოხერხებულად უნდა ვიგრძნო.

**— ყოველთვის გრძელი თმა გქონდათ თუ იმის მიხედვით, რა იყო მოდაში?**

— მომწონს და მიყვარს გრძელი თმა, იშვიათად ვიჭრი. ხვეული თმა მაქვს და შემიძლია ხან გავისწორო, ხან ბუნებრივად მქონდეს. თუ ძალიან მკაცრი და ჩარჩოებში მოქცეული შეხვედრა მაქვს, მაშინ თმას უკან ვიკრავ. მომწონს, როცა ქალს გრძელი, მოვლილი თმა აქვს.

**— როგორ უვლით მას?**

— შამპუნს სწორად ვურჩევ, ხშირად არ ვიღებავ. როგორც წესი, ცხიმიანი თმა უკეთესად იტანს შეღებვას, მშრალი კი შეღებვის შემდეგ ცოცხის ფორმას იღებს. ვიყენებ ნიღბებს, ზეთებს და ვიტამინებს. თმის მოვლის გარეშე მის ხარისხს ვერ შეინარჩუნებ.

**— გარეგნობის მხრივ, თქვენი თანამდებობა გზღუდავთ რაიმეში?**

— გარეგნობის თვალსაზრისით, არაფერში ვარ შეზღუდული, თუ მინდა, წითელ ლაქსაც წავისვამ და ჩავიცვამ იმას, რაც მსურს, მაგრამ ქცევები, მანერები და ა.შ. უნდა ვაკონტროლო.

**— ცნობილია, რომ ტელეეკრანი წონას, რაიმე ხარვეზს სახეზე ერთთაობრად ადიდებს. არსებობს ტელეგენურობის ფაქტორიც. თქვენ ხშირად ჩანხართ ეკრანზე. ყოველთვის კმაყოფილი ხართ, როგორ გამოიყურებით ამ დროს?**

— ჩემი თავი არასდროს მომწონს, ამიტომ, როცა ეკრანზე ვჩანვარ, სხვა რაღაცეებს ვაკვირდები, რა ვთქვი, რა გაკეთდა და რა გამოვიდა. გარეგნობის თემა ყოველთვის მეორეხარისხოვანია, ჩემს პროფესიაში ეს პრიორიტეტული არაა. მთავარია ესთეტიკურად გამოიყურებოდე, შესაფერისად გეცვას და მოწესრიგებული იყო. ჩემს საქმეში ყველაზე დიდი მნიშვნელობა მეტყველებას და შინაგან კულტურას აქვს.

**„საკუთარ თავს ყველაფრის ჭამის უფლებას ვაძლევ — აჭარული ხაჭაპურიდან დანყებული ნამცხვრებით დამთავრებული. ისეთი აღნაგობა მაქვს, ჰომ ახ ვიმატებ“.**

**— პლასტიკური ქირურგიით გასარგებლიათ, რაიმე მკვეთრი ცვლილება შეგიტანიათ გარეგნობაში?**

— მე რომ მკითხოთ, ყველაფრის შეცვლა მინდა. ამაზე მეგობრები ბევრს მაშაყირებენ, მაგრამ ამის არც დრო მაქვს და ვერც ვრისკავ. ჩემი აზრით, თუ გარეგნობის ცვლილება მხოლოდ კაპრიზია და არა — აუცილებლობა, უფრო დიდი შანსია, ქირურგის დანამ პაციენტს ბედნიერება ვერ მოუტანოს.

**— ამ ეტაპზე როგორ უვლით სახის კანს?**

— კანის მოვლას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ. მყავს ექიმი-კოსმეტოლოგი, რომელმაც ჩემი მშრალი კანი ნორმალური ტიპის კანად აქცია. მას კანის მოვლის ძალიან კარგი საშუალებები აქვს. მიყვარს ბიორევიტალიზაციის გაკეთება, რაც გულისხმობს მეზოთერაპიის პრინციპით კანში ჰიალურონის შეყვანას, რაც მას ნამავს. ამას წელიწადში ორჯერ ვიკეთებ. მიყვარს სახის საცხები, სახლში ყველგან მიდევს. ბავშვობიდან მაინტერესებდა თავის მოვლა. დედა რომ თავისთვის სახის კრემებს შეიძენდა, ჩუმად ვისვამდი თავიდან ფეხებამდე.

**— ბოტოქსს არ იყენებთ ნაოჭების წინააღმდეგ?**

— ჯერ არ გამომიყენებია, მაგრამ მომავალში, როცა დამჭირდება, ალბათ უარს არ ვიტყვი.

**— ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვას ანერებთ?**

— არ ვეწევი, ყოველდღე ან ტრენაჟორებით ვვარჯიშობ, ან ვცურავ. ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიში აუცილებელია. ამ დროს ენდორფინი გამოიყოფა, რომელიც ბედნიერების ჰორმონია. მასაჟები მაცოცხლებს. დაკვირვებული ვარ, როცა მხოლოდ სიყვარული გაქვს ყველას მიმართ, ასაკი თითქოს ათი წლით გაკლდება. ბოღმა და გაბრაზება ძალიან ცუდად მოქმედებს გარეგნობაზე.

**— კვების რეჟიმს იცავთ წონის დასარეგულირებლად?**

— საკუთარ თავს ყველაფრის ჭამის უფლებას ვაძლევ — აჭარული ხაჭაპურიდან დაწყებული ნამცხვრებით დამთავრებული. ვსვამ ბევრ წყალს და ძალიან მიყვარს თევზი. ისეთი აღნაგობა მაქვს, რომ არ ვიმატებ, მაგრამ თუ არ ვივარჯიშებ, რა თქმა უნდა, ფორმას დავკარგავ.

**— როგორ ფიქრობთ, ქალმა ყველაზე დიდი ყურადღება რას უნდა მიაქციოს — სახეს თუ სხეულს?**

— ყველასთან ამ თემაზე მაქვს კამათი, რომ ორივე ერთნაირად მოვლილი უნდა იყოს. ერთ ცნობილ ადამიანს ჰკითხეს, ქალის გარეგნობაში რას აფასებთო. მან უპასუხა, ფეხებს, რადგან თუ ყველანაირად წესრიგში აქვს, ესე იგი მთლიანად მოვლილიაო.

**— როგორ მაკიაჟს იკეთებთ?**

— სადა მაკიაჟს და ღია ფერებს ვანიჭებ უპირატესობას. როცა მაქვს საშუალება, მაკიაჟზე საერთოდ უარს ვამბობ.

**— დაბოლოს, „სარკის“ ტრადიციული კითხვა — სარკის წინ მდგომი რას ფიქრობთ საკუთარ თავზე, როგორი ქალი ვიმზერთ იქიდან?**

— სარკიდან მიყურებს მშვიდი, არაამბიციური, უპრეტენზიო და სადა ადამიანი.

✓ მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

# მოწევა კლავს
# მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

# სალომე გოგიაშვილს ქმარი მოკლე კაბას არ აცმევს

„იმ დილით, როცა ვიცი, რაღაც ახალი უნდა ჩავიცვა, კარგ ხასიათზე ვიღვიძებ“, — გვითხრა ტელესახე სალომე გოგიაშვილმა. საზღვარგარეთული შოპინგები, მაღაზიიდან მაღაზიაში სიარული, სამოსის შერჩევა, მოზომება, შეძენა — ეს ყველაფერი მისთვის ნაცადი საშუალებაა, როცა სურს, გუნება გამოიკეთოს. ქმართან, ვახო ნიკოლეიშვილთან ერთად საყიდლებზე სიარული ძალიან უყვარს, მაგრამ ითვალისწინებს, რომ ეს პროცესი საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს, თორემ მერე ქმარს „ისტერიკა“ ეწყება. მის გემოვნებას სალომე ენდობა და უჯერებს კიდეც. არც ვახო მისცემს უფლებას, გამომწვევად ჩაიცვას და არც თავად აქვს ამის სურვილი.

**— სალომე, ასაკთან და დროსთან ერთად როგორ შეიცვალა თქვენი გემოვნება და სტილი?**

— ბავშვობის ფოტოებს რომ ვუყურებ და ვხედავ, რა

**„ჩემთვის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ყოველდღიურია“.**

მაცვია, მეცინება. დედაჩემის ბავშვობის ფოტოებზე ხომ ძალიან ვხალისობ. ვერც წარმომედგინა, თუ მსგავსი ტანსაცმლის ჩაცმა შეიძლებოდა. დედასთვის რომ მითქვამს, რა გაცვია-მეთქი, დროთა განმავლობაში მოდაში შემოსულა და მერე მეც ჩამიცვამს.

ვცდილობ, მოდის ტენდენციებს მივყვე. ყველაფერს ვაქცევ

**„ბახუჯი სხეულს ღია ფერები ძალიან უხდება და ჩემი საზაფხულო გარდერობი ძალიან ჭრელია. მაქვს ფერადი შარვლები, ქვედატანები, მაისურები...“.**

ყურადღებას — სტილს, ფერს... გააჩნია, იმ პერიოდში ტენდენციური რა არის. ვთქვათ, როცა გრძელი კაბები შემოდის მოდაში, ჩემი გარდერობიც შესაბამისად იცვლება. ერთი პერიოდი ძალიან მოდური იყო წითელი და ჩემს გარდერობში საგრძნობლად მოიმატა ამ ფერმა, მიუხედავად იმისა, რომ მაინცდამაინც არ მიყვარს.

**— აშკარაა, რომ ფერების სიჭრელეს არ ერიდებით.**

— გარუჯულ სხეულს ღია ფერები ძალიან უხდება და, რა თქმა უნდა, ჩემი საზაფხულო გარდერობი ძალიან ჭრელია. მაქვს ფერადი შარვლები, ქვედატანები, მაისურები...

**— არის ისეთი სტილი, რომელიც საკუთარ თავზე ჯერ წარმოგიდგენიათ?**

— არასოდეს ჩავიცვამ შორტებს და მინი ქვედატანს. ჯერ ერთი, ამის უფლებას საკუთარ თავს არ ვაძლევ და მეორეც, მეუღლე, შვილები მყავს და არც ასაკი მიწყობს ხელს. სხვათა შორის, ერთმა ქალბატონმა „ფეისბუქში“ მომწერა, შენ მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ხარ, რადგან მომდგარი შარვლები გაცვია, ჩემს ახალგაზრდობაში ასეთი შარვლები ბოზებს ეცვათო... ისეთი ჯინსებიც მაქვს, რომლებიც ტანზე მომდგარი და დახეულია. ჩემს გარდერობში თითქმის ყველაფერს შეხვდებით — გამოსასვლელი სამოსიდან დაწყებული ყოველდღიური ტანსაცმლით დამთავრებული. გამომწვევი სამოსი ნაკლებად მაქვს. არ მიყვარს, როცა გამომწვევად მაცვია, ვერც ვიხდენ, არც მომწონს და არც ჩემში ზის. მყავს მეგობრები, რომლებსაც ასე ჩაცმა უხდებათ. მათ რომ ვუყურებ, მომწონს, მაგრამ ჩემი სტილი არაა.


ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ტელ: 599-11-00-03
წინასწარი ჩაწერით

კბილები ერთ დღეში

www.margvelani.ge

**— როგორია თქვენი შოპინგის პროცესი?**

— ძალიან მიყვარს მეუღლესთან ერთად სიარული, რადგან რაც მინდა, იმას ვყიდულობ და უარს არაფერზე მეუბნება. მარტო რომ მივდივარ, ვფიქრობ, ახლა ბავშვებს ვუყიდი და ჩემთვის მერე მოვალ-მეთქი, მაგრამ ის „მერე" აღარასოდეს მოდის. როცა ქმართან ერთად მივდივარ, მეუბნება, შენთვის მოვედით, ამიტომ ჯერ შენ იყიდი და მერე ბავშვებს ვუყიდოთო. ოღონდ, თუ ერთ საათს გადავაჭარბე, საშინელი გამომეტყველება აქვს. როცა დიდხანს დავდივარ, ისტერიკაში ვარდება. კაცებს ყიდვის პროცესი არ უყვართ. თავად ზუსტად იცის, რა უნდა, უცებ იყიდის და წავა. მე უნდა ჩავიცვა, ორი საათი ვუყურო ჩემს თავს, ვიფიქრო. ამიტომ ჩემი ქმრისთვის ეს რთული პროცედურაა.

მყავს ბავშვობის მეგობარი, თაკო, რომელთან ერთადაც ახლახან საზღვარგარეთ ვიყავი. მაღაზიაში რომ შევდიოდით, ის ერთ მხარეს მიდიოდა, მე — მეორე მხარეს. მერე ერთმანეთს ვეძახდით, ამას შეხედე, როგორ მოგწონს-თქო. ერთმანეთს რომ შევხედავდით, ზუსტად ერთნაირი სამოსი გვეჭირა ხელში. ბევრს ვიცინოდით. საბოლოოდ ერთნაირი ტანსაცმელი ვიყიდეთ. ახლა სულ პრობლემა გვაქვს, ერთმანეთს ვურეკავთ, რას იცვამ, რომ ერთნაირ ფორმაში არ ვიყოთ-თქო.

**— უიღბლო შოპინგი გქონიათ, როცა მაღაზიიდან იმედგაცრუებული და ხელცარიელი გამოსულხართ?**

— საჩემო რამეს ყველგან ვპოულობ, თუმცა ახლა ერთი შემთხვევა გამახსენდა. სარფიდან საზღვარზე რომ გადადიხარ, იქ გახსნეს სავაჭრო ცენტრი. ამბობდნენ, რომ არაჩვეულებრივი კოლექციები ჰქონდათ. ერთ ზაფხულს მე და დედა ბავშვებთან ერთად შეკვეთილში ვისვენებდით. გადავედით სავაჭრო ცენტრში, ოღონდ თავბედი ვიწყევლეთ. იმედი მქონდა, რომ მაისურს მაინც ვიყიდდი, მაგრამ მსგავსი სამარცხვინო და საშინელი არაფერი მინახავს. საყურეც კი ვერ შევიძინე. ეგ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც უკან ხელცარიელები დავბრუნდით.

**— ყველაზე კარგად რომელ ქვეყანაში არჩევთ სამოსს?**

— ამ მხრივ, ძალიან მიყვარს თურქეთი, ყველა სახის მაღაზიაა, კარგი არჩევანია. ბოლოს იტალიაში ვიყავი. იტალიელებს დახვეწილი გემოვნება, სამოსის კარგი შეხამების უნარი აქვთ. მე და ვახომ ფლორენციაში აღმოვაჩინეთ ასაკოვანი იტალიელი დიზაინერი, რომელიც სამოსს თავად კერავდა და ყიდდა. მსგავსი სილამაზე არსად მინახავს. მაღაზიაში თავად დიზაინერი გვხვდებოდა. ძირითადად მამაკაცის კოსტიუმები ჰქონდა და ქალის რამდენიმე კაბა. ჰალსტუხებსაც კი საკუთარი ხელით კერავდა. ჩემმა მეუღლემ რაღაცეები შეიძინა. აღფრთოვანებული დავრჩი კლიენტებისადმი ფლორენციელთა მიდგომით. ისეთი დახვედრა იციან, რომ არ იყიდო, მოგერიდება.

საქართველოში მაღაზიაში თითქოს ბრაზდებიან, საყიდლად რომ შედიხარ. აქ ნაკლებად თუ დაჯდება დიზაინერი მაღაზიაში, ამბიცია აქვს, რომ გამყიდველი სხვა უნდა ჰყავდეს. იტალიაში კი ის კაცი თავად ყიდდა, დეტალურად გვიხსნიდა, რა როგორ ჰქონდა შეკერილი. იმდენად შეგვიყვანა აზარტში, რომ ვახომ კოლექციის ნახევარი შეიძინა. მერე ამბობდა, ამდენი რად მინდაო.

ვგიჟდები ბაქოზე, თუმცა, რაც იქ იყიდება, აქ რომ ჩამოიტანო, არ შეიძენენ. ისეთი ხასხასა ფერებია, ზუსტად ვიცი, აქ არავინ ჩაიცვამს.

**— ქალთა უმრავლესობისთვის დილა იმაზე ფიქრით იწყება, რა ჩაიცვას. თქვენ როგორ აკეთებთ არჩევანს?**

— მეც ბევრს ვფიქრობ, რადგან მინდა, ყოველდღე კარგად გამოვიყურებოდე. ერთი და იგივე ტანსაცმელი მბეზრდება. მივხვდი, რომ შოპინგთერაპია ყველაზე მაგარი წამალია დეპრესიიდან, ცუდი ხასიათიდან გამოსასვლელად. მაღაზიაში რომ შევდივარ, ჩემი გონება მხოლოდ ამითაა დაკავებული, სხვა დანარჩენი აღარ მახსოვს. გაცილებით უკეთეს ხასიათზე ვიღვიძებ, როდესაც ვიცი, რომ ახალი სამოსი უნდა ჩავიცვა.

**— როცა წვეულებაზე ან შეხვედრაზე მიდიხართ, ქმარს ეკითხებით, რა ჩაიცვათ თუ დამოუკიდებლად იღებთ გადაწყვეტილებას?**

— სულ ვეკითხები, ძალიან მომწონს მისი გემოვნება. ვიცი, რომ კარგ რჩევებს მომცემს. მოკლე კაბა შეიძლება არ ჩამაცვას. ისეთ რჩევებს მაძლევს, რომ არ ვიყო გამომწვევი და თან ლამაზიც ვიყო.

**— ქმარს კლასიკურად ჩაცმული უფრო მოსწონხართ თუ ჯინსებსა და კედებში?**

— სპორტულად — არა. არც მე მიყვარს სპორტული სტილი. ჩემს გარდერობში მხოლოდ ორი წყვილი კედია და მათაც იშვიათად ვხმარობ. ვახოც შეჩვეულია, რომ სულ

**„ახასოდეს ჩავიცვამ შოტტებს და მინი ქვედატანს. ჯეი ეთი, ამის უფლებას საკუთარ თავს არ ვაძლევ და მეოთხეც, მეუღლე, შვილები მყავს და არც ასაკი მიწყობს ხელს".**

მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მაცვია. თუ მოხდა და დაბლები ჩავიცვი, მაშინვე მეკითხება, ესენი რატომ გაცვიაო. ჩემთვის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ყოველდღიურია.

**— ყველაზე მეტად რომელ ფერებს ისდენთ?**

— როგორც ყველა ქართველი, მეც შავზე ვგიჟდები, უპრობლემო ფერია. ზამთარში თუ მუქი ფერებისკენ მიმდის თვალი, ზაფხულში ჭკუიდან გადავდივარ და მაქსიმალურად ვცდილობ, ღია ფერები მეცვას. თუ კარგი ამინდია, მეც კარგ ხასიათზე ვარ, მხიარული ფერები კი კარგ განწყობას მიქმნის.

**— კარგ სამოსს კარგი აქსესუარებიც უნდება.**

— ყველაზე მეტი საყურეები და ბეჭდები მაქვს, ასევე — ყელსაბამები, სამაჯურები. უფრო ისეთი სამკაულები მაქვს, რასაც ეთერში ვიკეთებდი და ყოველდღიურობაში არ ვიყენებდი.

**— კოქტეილის კაბებს ყიდულობთ თუ იკერავთ?**

— არის შემთხვევები, როდესაც ვიკერავ. წვეულებაზე რომ მივდივარ, ბოლო მომენტში მახსენდება, რომ ახალი კაბა მინდა და ფორიაქი მეწყება. ამიტომ შეკერვის დრო რომ აღარ მაქვს, ვყიდულობ.

**— მეუღლისგან ძვირფასეულობებს, აქსესუარებს საჩუქრად იღებთ?**

— ჩემი აქსესუარები ძირითადად მეუღლის ნაჩუქარია. რაც შეეხება ტანსაცმელს, რამდენიმე ლამაზი კაბა იყიდა ჩემთვის.

**— სამოსით შეგიძლიათ მიხვდეთ, ადამიანი როგორია, როგორი ხასიათი აქვს?**

— ხასიათი — არ ვიცი, მაგრამ მაშინვე ვხვდები, როგორი გემოვნება აქვს. არასოდეს ვუსვამ

**„ჩოგორც ყველა ქართველი, მეც შავზე ვგიჟდები, უპრობლემო ფერია. ზამთარში თუ მუქი ფერებისკენ მიმდის თვალი, ზაფხულში ჭკუიდან გადავდივარ და მაქსიმალურად ვცდილობ, ღია ფერები მეცვას".**

ხაზს იმას, თუ ვის აცვია ძვირფასი და ვის იაფი სამოსი. ადამიანი შეიძლება შინაგანად ძალიან კარგი იყოს, მაგრამ არ ჰქონდეს საშუალება, ძვირადღირებული ტანსაცმელი ჩაიცვას. ყველაზე დიდი ნაკლია, როდესაც სამოსით იწყებენ შეფასებას. არასოდეს არავის ვაკრიტიკებ. მაღიზიანებს ამბიციური ადამიანი, როცა უნდა, ყველაზე მაგრად გამოიყურებოდეს და ამისთვის მილიონიან კაბას იცვამს.

✓ ქეთი დინოშვილი

## გუჩის ღვთაებრივი ქალი

გუჩის მოდის სახლმა 2013 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია მილანში წარმოადგინა. კოლექცია ნათელ ფერებში იყო გადაწყვეტილი — თავისუფალი, გრძელი კოსტიუმები და ჟაკეტები, მოკლე კაბები. დიზაინერის შთაგონების წყარო გასული საუკუნის 70-იანი წლების ღვთაებრივი ქალი გახლდათ. გუჩის მოდის სახლმა პირველად გამოიყენა ფირუზისფერი, ვარდისფერი, ყვითელი და მწვანე ფერები. განსაკუთრებული იყო კოსტიუმების დეკორი, მასიური აქსესუარები — დიდი ზომის საყურეები და კოლიეები.

სრული კომფორტი მოძრაობის დროს

ოპტიმალური არჩევანი ოსტეოქონდროზისა
და ოსტეოართროზის ბაზისური თერაპიისათვის,
გაძლიერებული სამკურნალო ეფექტით

- აღადგენს და აჯანსაღებს ხრტილოვან ქსოვილს
- ამცირებს ტკივილს და ანთებას სახსარში
- აუმჯობესებს მოძრაობას

ქონდროიტინ სულფატი - 500 მგ
გლუკოზამინის ჰიდროქლორიდი - 500 მგ

ყურადღება!
საფთიაქო ქსელებში კვლავ გრძელდება აქცია
უნიფარმისგან შეიძინეთ ართრა და მიიღეთ საჩუქარი!

UNIPHARM, INC
New York, USA

"UNIPHARM, INC"
წარმომადგენლობა საქართველოში,
ქ. თბილისი, შროშის ქ. N1, ბინა 5
ტელ.: 291 09 50; ფაქსი: 291 09 60
მობ.: 599 20 11 44; 595 38 08 80

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

# რა შეკითხვებს უმზადებს ოთარ ტატიშვილი დალაი ლამას

## „თვითმფრინავი სიმაღლეს ხომ აჯობებს და ვისაც ჩამოატარებენ, მაშინ ვარ ბედნიერი"

ბოუმენი ოთარ ტატიშვილი არ მალავს, რომ სიზარმაცის გამო ცოტა ძნელად ასაყოლიებელი ტიპია მაშინაც კი, როცა საქმე მოგზაურობასაც ეხება, თუმცა საკმარისია თვითმფრინავში ან მატარებელში ჩაჯდეს, რომ მერე უკან დაბრუნება აღარ უნდა.

ბოლო პერიოდში ცოტას მოგზაურობს, სტუდენტობის დროიდან კი ვოიაჟების ბუმი ახსოვს. სადაც უნდა ჩავიდეს, ერთი მიზანი აქვს, პირველ რიგში, აუცილებლად ფეხბურთის სტადიონი უნდა მოინახულოს.

**— ბატონო ოთარ, ტრადიციული შეკითხვა უნდა დაგისვათ, ხშირად მოგზაურობთ?**

— მოგზაურობა ადრე უფრო ხშირად მიწევდა. ბოლო 5 წელია, ნაკლებად დავდივარ საზღვარგარეთ. ჩემი მოგზაურობები სხვადასხვაგვარია — ან ღონისძიებაზე ვარ დაპატიჟებული, ან მეგობრის მოსანახულებლად მივდივარ, ან კონფერენციაზე, ან უბრალოდ დასასვენებლად. მოგზაურობაში ძალიან რთულად ასაყოლიებელი ტიპი ვარ. ბევრ რამეში ვარ ზარმაცი და ერთ-ერთი სწორედ მოგზაურობა გახლავთ. საელჩოში ვიზაზე შესვლა ჩემთვის სიკვდილის ტოლფასია, მაგრამ თვითმფრინავში ან მატარებელში ჩავჯდები თუ არა, მოგზაურობის ხასიათზეც ნელ-ნელა მოვდივარ და თან ისე, უკან დაბრუნება აღარ მინდა.

**— ბოლოს სად იყავით?**

— 2-3 თვის წინ მეგობრები ბაქოში მეგობრის ქორწილში ვიყავით დაპატიჟებული. წასვლა ძალიან მეზარებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც წავედით. იმ დღეს გადაღება მქონდა, ჩავწერე გადაცემა და მატარებლით გავემგზავრეთ. სხვათა შორის, კარგი დროც გავატარეთ.

**— პირველად იყავით ბაქოში?**

— არა. იქ დიდი ხნის წინ, 1996 წელს ვარ ნამყოფი და ამდენი ხნის შემდეგ რომ ჩავედი, სულ სხვა ქალაქი დამხვდა. ბაქო ძალიან ლამაზია, კასპიის ზღვა ხომ საერთოდ ულამაზესი! ჩვენი იქ ყოფნა შაბათ-კვირას დაემთხვა, ყველაფერი დაკეტილი იყო და, რაც მოვახერხეთ, დავათვალიერეთ. თან უფრო ქორწილის რეჟიმში ვიყავით, ვიდრე დათვალიერების.

**— ტრადიციული აზერბაიჯანული ქორწილი იყო?**

— დიახ. საინტერესო ქორწილი იყო. როგორც ჩვენ ვიცით ხოლმე, საქორწილო სუფრა დიდ რესტორანში გაიშალა, ოღონდ თამადა, ქართველებმა რომ ვიცით, არ ჰყავდათ. იქ საღამოს წამყვანი იციან, რომელიც დაახლოებით 60 წლის, ჭაღარა, წარმოსადეგი კაცი იყო. ძირითადად აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობდა. რამდენჯერმე ჩვენც მოგვმართა, გვადღეგძრელა და სიტყვაც გადმოგვცა. აღმოსავლური მუსიკა ძალიან მომწონს. ვერ ვიტყვი, რომ იქ შესრულებული ყველა სიმღერა მომეწონა, მაგრამ რამდენიმე მელოდიით მართლაც მოვიხიბლე. ჩვენ პატივსაცემად აღმოსავლურ ინსტრუმენტებზე „დაისიდან" ნაწყვეტი და კინტაურიც დაუკრეს, რაც ძალიან გვესიამოვნა.

მოკლედ რომ გითხრათ, კარგი აზერბაიჯანული ტრადიციული ქორწილი იყო, სასწაული სუფრით. ყველანაირი ალკოჰოლი იყო. ვინ რას მიირთმევდა, ყველას სურვილი გათვალისწინებული იყო.

**— თქვენ რა მიირთვით?**

— მე არაყი ავირჩიე. აზერბაიჯანს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მათ ღვინოზე უარი ვთქვი. ქართულიც გვაქვსო, მითხრეს, მაგრამ რატომღაც მაინც არაყი ავირჩიე. უგემრიელეს თევზეულს ამზადებენ. აზერბაიჯანის სამზარეულომ მომხიბლა.

**— კიდევ რომელი ქვეყნის სამზარეულოს გამოარჩევთ?**

— ალბათ ბანალური ვიქნები, მაგრამ უნდა ვთქვა — ჩინური სამზარეულო ძალიან მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში ნამყოფი არ ვარ. სხვა ქვეყნებში, სადაც კი ჩავსულვარ, ჩინურ რესტორანში ყველგან შევსულვარ. იტალიურ სამზარეულოზეც იმავეს თქმა შემიძლია, პიცაზე გონი მეკეტება. პიცის ნაირსახეობათა წიგნიც კი მაქვს სახლში. ჩემი ცოლი თუ კარგ ხასიათზეა, პიცას მიმზადებს.

**— იტალიაში ნამყოფი ხართ?**

— კი, ოღონდ ძალიან ადრე. 11-12 წლის ვიყავი, როცა იქ მამასთან ერთად გავემგზავრე. რომი, ნეაპოლი, პიზა, ანკონა და ფლორენცია მოვიარეთ. ბევრს ვერაფერს გავიხსენებ, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ფლორენცია სასწაული იყო.

**— ყველაზე აქტიური სამოგზაურო პერიოდი როდის გქონდათ?**

— სტუდენტობის დროს. 6 წელი თბილისში ვსწავლობდი, მერე 5 წელი მოსკოვში გავაგრძელე. ეს 11 წელი მართლა მოგზაურობის ბუმი მქონდა. ჯგუფელებთან და ძმასთან ერთადაც სად აღარ დავდიოდი — გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ბრიტანეთი.

**„ედინბუჩგში სასწაული სიძველე და არქიტექტურაა. შოტლანდიელები საოცარი ხალხია. ედინბუჩგის მეჩე ჩემთვის ლონდონსა და პარიზს ეფექტი აღარ ჰქონდა".**

**— იმ პერიოდიდან რა მოგონებები შემოგრჩათ, ყველაზე მეტად რა მოგეწონათ?**

— შოტლანდიის დედაქალაქი ედინბურგი. ასეთი სილამაზე არსად მინახავს. განსხვავებული ქალაქია, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. ედინბურგში ვინც ნამყოფია, დამეთანხმება, იქ სასწაული სიძველე და არქიტექტურაა. შოტლანდიელები საოცარი ხალხია. ედინბურგის მერე ჩემთვის ლონდონსა და პარიზს ეფექტი აღარ ჰქონდა, ჩვეულებრივად მივიღე.

ბრიუგე საოცრებაა! ჩრდილოეთის ვენეციას ეძახიან. ფლანდრიულ არქიტექტურასთან ესპანური კულტურის ელემენტებია შერწყმული. ძალიან განსხვავებული და ლამაზი ქალაქია.

**„სადაც უნდა ჩავიდე, პირველ ხიგში, სტადიონები ხომ არ ვნახო, არ შეიძლება, ეს ჩემი მავნე ჩვევაა".**

**— პარიზით ვერ მოიხიბლეთ?**

— როგორ არა, მაგრამ არჩევანის საკითხი რომ დადგეს, ისევ ედინბურგში გავემგზავრებოდი. პარიზში სულ დღენახევრით ვიყავი და ამ ხნის განმავლობაში ფეხებს ვერ ვგრძნობდი. მთელი ქალაქის ცენტრი ფეხით შემოვიარე, ამ მცირე დროში რისი ნახვაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი ვნახეთ, ფეხები მუხლებამდე მქონდა დასიებული. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, ლუვრმა მოახდინა, ისიც შემორბენით ვნახეთ. უცხო ქვეყნის კულტურა და ახლის ათვისება ყოველთვის მაინტერესებს.

**— ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ხართ, საზღვარგარეთ სტადიონებს თუ სტუმრობთ?**

— აბა, რა! პირველ რიგში, რასაც ვაკეთებ, სწორედ ესაა. ესპანეთში არ ვარ ნამყოფი და შესაბამისად არც ბარსელონას ნოუ კამპი მაქვს ნანახი. ეს ჩემი საოცნებო სტადიონია. სადაც უნდა ჩავიდე, პირველ რიგში, სტადიონები რომ არ ვნახო, არ შეიძლება, ეს ჩემი მავნე ჩვევაა.

ლონდონში რომ ჩავედი, ჯერ ვესტერნ იუნაიტედის ერთ-ერთი ყველაზე ძველი სტადიონი მოვინახულე, შემდეგ ვნახე სტადიონი, სადაც „ჩელსი" თამაშობს. „ნაგლად" მივედი და სტადიონის ნახვა ვითხოვე. უპრობლემოდ დამათვალიერებინეს. იარუსებს შორის პატარა რესტორნები რომ არის, ისინიც კი ვნახე. ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას მხოლოდ ამის შემდეგ შევუდექი. სტადიონებზე სიარული ძირითადად მარტო მიწევს, რადგან ზოგს ეს საქმე არ აინტერესებს.

**— ალბათ ასეთ მნიშვნელოვან ადგილებში ბევრი ფოტოც გაქვთ გადაღებული.**

— შეიძლება უცნაურად ჟღერ- →44



Cyan Magenta Yellow Black

დეს და ბევრმა არც დამიჯეროს, მაგრამ ფოტოების გადაღება საშინლად არ მიყვარს. ნაკლებად სოციალური ტიპი ვარ, „ფეისბუქიც“ კი არ მაქვს. სოციალურ ქსელთან ურთიერთობა ჩემი შოუს გამო მიწევს, ისიც მე კი არა, ჩემი შოუს „ფეისბუქის“ გვერდს პროდიუსერი აკონტროლებს. არც ფოტოაპარატთან ურთიერთობა მჩვევია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ფოტოები მაქვს. ვისთან ერთადაც ვმოგზაურობ, ისინი იღებენ ხოლმე.

**— ცოლ-შვილთან სად გიმოგზაურიათ?**

— ოჯახთან ერთად მოგზაურობა ძალიან საინტერესო და მშვიდია. შოთისთან ერთად არსად წავსულვარ, ზუკასთან ერთად კი უკრაინაში, ავსტრიასა და სომხეთში ვიყავი. რაც კი სამყაროში კარგი ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს, ეს მე და ზუკას გვაქვს, სხვა შვილებზე რომ აღარაფერი ვთქვა. ერთად მოგზაურობაც გადასარევად გამოგვდის.

**— ყველაზე მეტად ვისთან ერთად გიყვართ მოგზაურობა?**

— ჩემთვის ყველაზე კომფორტული თანამგზავრი მაინც ცოლია. მასთან ერთად უკრაინაში, პოლონეთში, რუსეთში, გერმანიასა და სომხეთში ვარ ნამყოფი.

**— კაცებისგან განსხვავებით, ქალებს შიპინგი ძალიან უყვართ. თქვენ ამ ფაქტს შეგუებული ხართ?**

— ჩვენ მოლაპარაკებულები ვართ — „მიუშვი!“. აქაც ასე ვართ. რაღაცის ყიდვა თუ უნდა, ფულს ვაძლევ და მე დამანებოს თავი. საზღვარგარეთაც იგივე ხდება, მაღაზიებში არსად დავყვები. თუ რამის ყიდვა მე მინდა, კი ბატონო, მაგრამ, თუ ვიცი, რომ თვითონ უნდა, იაროს საყიდლებზე, მაშინ თიკას ვუშვებ და მე სტადიონზე მივდივარ. საზღვარგარეთ რასაც ვყიდულობ, ეს სუვენირებია. ჩემთვის კი ფეხბურთის მაისურებს, შარფებს ან ქუდებს ვიძენ, თან — დიდი რაოდენობით. ფეხბურთის მაისურებს სხვებიც მჩუქნიან. ამ საქმეში დათო გოგიჩაიშვილი ლიდერობს — ევროპიდან ჩემთვის 14 მაისური აქვს ჩამოტანილი.

**— საზღვარგარეთ ყოფნისას უცხო ადგილების აღქმა და ორიენტაცია არ გიჭირთ?**

— კი, მიჭირს უცხო ადგილების აღქმა, მაგრამ არასოდეს დავკარგულვარ. ტაქსი და მისი ჯანი. მთავარია, სასტუმროს სახელი ვიცოდე. ერთი მეგობარი მყავს, ტოკიოში რომ დასვათ და 3 დღეში ჩააკითხოთ,

**„საშინელი გეოგრაფიული ორიენტაცია მაქვს. ამ ზაფხულს ბათუმში დაბადების დღეზე ვიყავი დაპატიჟებული. პარფიუმერიის მაღაზიაში საჩუქრის ყიდვა მინდოდა, მაგრამ ვერაფრით მივაგენი, იმ ერთი ციცქნა ქალაქში გამსახურდიას ქუჩას 2 საათი ვეძებდი“.**

გაძვრება, გამოძვრება და მთელ ქალაქს მანქანით მოგატარებთ. მე კი ბათუმში მანქანითაც რომ ვიყო, შეიძლება ქალაქიდან ვერ გამოვიდე. არადა, თბილისს თუ არ ჩავთვლით, ყველაზე ბევრჯერ ბათუმში ვარ ნამყოფი. საშინელი გეოგრაფიული ორიენტაცია მაქვს. ამ ზაფხულს იქ დაბადების დღეზე ვიყავი დაპატიჟებული. პარფიუმერიის მაღაზიაში საჩუქრის ყიდვა მინდოდა, მაგრამ ვერაფრით მივაგენი, იმ ერთი ციცქნა ქალაქში გამსახურდიას ქუჩას 2 საათი ვეძებდი.

**— ამის გამო უსერხულ სიტუაციაში ხშირად აღმოჩენილხართ?**

— კი, როგორ არა. ამის გამო მე და ჩემი ძმა გერმანიაში ავტობუსს ჩამოვრჩით. კიოლნში ერთ-ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით. პარიზის დისნეილენდი ახალი გახსნილი იყო. ტური არსებობდა, რომლითაც პარიზში მიდიოდი, 2 დღით რჩებოდი და უკან ბრუნდებოდი. ინგლისური მეც ვიცი და ჩემმა ძმამაც, ის გერმანულსაც კარგად ფლობს. ავტობუსს სად უნდა დავლოდებოდით, აგვიხსნეს, მაგრამ მაინც დავიბენით. დავდექით იმ ადგილას და... არაფერი. თურმე ეს ავტობუსი წრეზე დადის და გვეძებს. 2-3 საათი გავიდა, ავტობუსმა უკვე წასვლა დააპირა და ამ დროს შემთხვევით გადავჭერით ქუჩა. ავტობუსის უკანა სკამზე მჯდომმა დაგვინახა და ჩვენც გვეშველა, თორემ პარიზის დისნეილენდი უკან დაგვრჩებოდა.

**— სად იმოგზაურებდით საამოვნებით?**

— ინდოეთში წავიდოდი. ინდური რელიგიები და რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლები ბავშვობიდან მაინტერესებს. შეიძლება მათ სარწმუნოებას, როგორც რელიგიას, ისე არ ვუყურებდე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს უდიდესი მეცნიერებაა და ძალიან საინტერესოა. სხვადასხვა ხალხისა და ქვეყნის რელიგიები იმდენად მაინტერესებს, ექიმი რომ არა, ალბათ თეოლოგი მაინც ვიქნებოდი.

ინდოეთის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი ბოლო 20 წელია, გამიჩნდა. ბევრს ვკითხულობ და, საბოლოო ჯამში, ვიკარგები ხოლმე, რადგან ბოლოს მაინც გაურკვევლობაში ვრჩები. ინდოეთის უძველესი ქალაქების არქიტექტურა და კულტურა ხომ განსაკუთრებულია! ინდურ კულტურას და ინდოელი ხალხის ღვაწლს მსოფლიო კულტურაში მაინცდამაინც ინდური ფილმებით ნუ განვსაზღვრავთ. იქ თუ ჩავალ, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ ინდოეთში ვიმოგზაურებ და ჩემი ოცნებაა, დალაი ლამა გავიცნო. მასთან 9 შეკითხვა მაინც მაქვს დაგროვილი და ძალიან მაინტერესებს, რას მეტყვის. ამ შეკითხვებს თქვენ ვერ გაგიმხელთ.

**— თვითმფრინავში დრო როგორ გაგყავთ?**

— ფრენა ძალიან მიყვარს. ტურბულენტურ ზონაშიც მოვხვედრილვარ, ვიცი, რაც არის, მაგრამ არც ამის მერე დამჩემებია ფრენის შიში. ყველანაირი ტრანსპორტის ამტანი ვარ, უბრალოდ თვითმფრინავში დალევა ძალიან მიყვარს. სიმაღლეს და სიჩქარეს რომ აკრეფს და ვისკის ჩამოატარებენ, მაშინ ვარ ბედნიერი. ყურებში ჩემი საყვარელი მუსიკა და ღრუბლების ყურება დიდი სიამოვნებაა. სხვათა შორის, თვითმფრინავში კითხვაც ძალიან მიყვარს. დეტექტიური ჟანრის დიდი მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ რატომღაც თვითმფრინავში დეტექტივებს ვკითხულობ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

■ დუბროვნიკი

# დუბროვნიკი – ადრიატიკის ლამაზმანი

დუბროვნიკი ხორვატიის კურორტია. ის ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქი-პორტია. მოსახლეობის დიდი ნაწილი ტურისტების მომსახურებითაა დაკავებული და მათი შემოსავლის წყაროც ტურიზმია. ხორვატები ხუმრობით ამბობენ, რომ არის დუბროვნიკი და დანარჩენი ხორვატია. ამ კურორტზე საკურორტო სეზონი ყველაზე გრძელია, ხოლო ზღვა — ყველაზე თბილი. ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში. 1979 წელს დუბროვნიკი იუნესკო-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეიტანეს.

## მცირე ჩამ ისტორიიდან

დუბროვნიკი მე-7 საუკუნეში გაჩნდა, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მისი სიმდიდრე მუდამ დამოკიდებული იყო



Cyan Magenta Yellow Black

საზღვაო ვაჭრობაზე. შუა საუკუნეებში ის აღმოსავლეთ ადრიატიკის ერთადერთი ქალაქი-სახელმწიფო იყო, რომელიც ვენეციას ეცილებოდა პირველობაში. XV-XVI საუკუნეებში ქალაქი განსაკუთრებით განვითარდა. იქ ცხოვრობდნენ გამოჩენილი პოეტები, დრამატურგები, მხატვრები, მათემატიკოსები, ფიზიკოსები და სხვა მეცნიერები.

დუბროვნიკი იმით არის ცნობილი,

■ საზაფხულო რეზიდენცია

რომ ძველ დროში ის მუდამ დამოუკიდებელი ქალაქი იყო და არც ერთი ქვეყნის გავლენას არ განიცდიდა. ძველად ამ ქალაქს ლიბერტას (ლათ. თავისუფლება) ეძახდნენ და დღესაც ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვას დუბროვნიკის ქუჩებში.

## ჯლიმატი

დუბროვნიკის კლიმატი საუკეთესოა დასვენებისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იქ საკურორტო სეზონი ყველზე გრძელია. წლიური საშუალო ტემპერატურა 16 გრადუსია. ზაფხული — ცხელი და მშრალი, ხოლო ზამთარი გრილი და ნალექიანია. ამ დროს ტემპერატურა 6 გრადუსზე დაბლა იშვიათად ჩამოდის. ყველაზე ცხელი თვეები ივლისი და აგვისტოა.

## ენა

დუბროვნიკის სახელმწიფო ენა, რა თქმა უნდა, ხორვატიულია. ის სლავური ენების ჯგუფს მიეკუთვნება. ხორვატები გამოიყენებენ ლათინურ ანბანს — ლატინიცას, განსხვავებით სერბებისაგან, რომლებიც კირილიცას ხმარობენ. ხორვატიული ენა სერბულისაგან მცირედ განსხვავდება, თუმცა ისტორიული, პოლიტიკური და რელიგიური მიზეზების გამო ისინი დღესდღეობით სხვადასხვა ენებად იწოდებიან.

სახელმწიფო ენის გარდა, დუბროვნიკში თავს ინგლისურითაც გაიტანთ, რადგან ნებისმიერი ასაკის ადამიანი მას საშუალო დონეზე მაინც ფლობს.

## ფული

1994 წლიდან მოყოლებული, ქვეყნის ეროვნული ვალუტა კუნაა. 1 ევრო — 7.4, ხოლო 1 დოლარი 6 კუნას ტოლფასია. რესტორნებში, სასტუმროებსა და ფეშენებელურ სავაჭრო ცენტრებში ევროთი სარგებლობას თავისუფლად შეძლებთ. ფულის გადახურდავება ბანკებში შეგიძლიათ. ქალაქში ე.წ. შავი ბაზარი არ არსებობს. საკრედიტო ბარათებით სასტუმროებსა და რესტორნებში თავისუფლად ისარგებლებთ. რაც შეეხება ხელის ქირას, მისი მიცემა მომსახურე პერსონალისათვის თითქმის დაუწერელი კანონია.

დუბროვნიკში სტუმრად ჩასულს ყველაზე მეტად ის გაგახარებთ, რომ საოცრად იაფი ქალაქია.

## გადაადგილება

დუბროვნიკის საერთაშორისო აეროპორტი ქალაქიდან 20 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. ცენტრამდე მისვლას ავტობუსით, მინიავტობუსით ან ტაქსით შეძლებთ. ავტობუსის ბილეთის ღირებულება 5 კუნას შეადგენს და ადგილზე ნახევარ საათში იქნებით. მართალია, ტაქსით გაცილებით მეტ დროს მოიგებთ, მაგრამ მგზავრობა 30 კუნა მაინც დაგიჯდებათ.

გაზაფხულის დადგომისთანავე ხორვატიის სხვადასხვა ქალაქებიდან დუბროვნიკის მიმართულებით ყოველღიურად ხორციელდება რეისები ნავებით.

თანამედროვე გზატკეცილებით ის ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, იქ მოხვედრა ძალიან ადვილია. ევროპის ნებისმიერი ქალაქიდან დუბროვნიკის მიმართულებით ყოველდღიურად გადის ავტობუსი და მატარებელი.

რაც შეეხება ქალაქის ტერიტორიაზე გადაადგილებას, ფეხით სიარული საუკეთესო და ამავდროულად სასიამოვნო გამოსავალია. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ღირებულება, რომელიც რომელიც ძირითადად ავტობუსებისგან შედგება, 1 კუნაა.თუ საწვავის ჩასხმის პრობლემა არ გაქვთ და მზად ხართ, 1 ლიტრში 1.50 კუნა გადაიხადოთ, მაშინ მანქანის დაქირავება უკეთესია. ერთი დღით ავტომობილით სარგებლობა 50 კუნა დაგიჯდებათ. გაითვალისწინეთ, ქალაქის იზოლირებულ უბნებში მანქანის გარდა ვერაფრით მიხვალთ.

## სამზახეული

ადრიატიკის სანაპირო განთქმულია საკვებით, რომელიც ზღვის პროდუქტებითაა დამზადებული. დუბროვნიკში ყოფნისას აუცილებლად დააგემოვნეთ ლობიოთი და სიმინდით დამზადებული წვნიანი და ყველის რულეტი. ქალაქში საუკეთესოდ ამზადებენ მოხარშული ყველის ღვეზელს. ისტორიულად კერძების უმრავლესობა ზეითუნის ზეთით მზადდება.

ქვეყანაში ასევე პოპულარულია იტალიური რეცეპტებით მომზადებული საკვები, მაგალითად, იტალიური პიცა და სოუსი. საკმაოდ გავრცელებულია ყავა „ესპრესო“.

## ღირსშესანიშნაობები

დუბროვნიკი — ეს არის ქალაქი ციხესიმაგრე, ქალაქი-ძეგლი, რომელიც იუნესკო-ს მფარველობის ქვეშაა, რადგან იქ თითოეულ სახლს ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ქალაქი აგებულია მე-7 საუკუნეში და ჩვენს დრომდე შენარჩუნდა რენესანსის ეპოქის ძეგლები, რომლებიც ევროპაში შეიძლება მხოლოდ ვენეციას ან ამსტერდამს შეადარო. ამის ნათელი მაგალითია 90 საზაფხულო რეზიდენცია, რომლებიც აგებულია მე-16 საუკუნეში.

ქალაქში ფეხით გასეირნება უდიდეს სიამოვნებას მოგანიჭებთ. თქვენ იხილავთ რექტორის სასახლეს, ფრანცისკანულ მონასტრებს მე-14 საუკუნის აფთიაქებით, ეკლესიას და სხვა ღირსშესანიშნაობებს. მე-7 საუკუნეში დაფუძნებულ დუბროვნიკს გარს ქვის კედელი ერტყა, რომელსაც 6 საუკუნის განმავლობაში აახლებდნენ.

ამ საკურორტო ქალაქის მუზეუმებს შორის შეუძლებელია არ ვახსენოთ ეთნოგრაფიული მუზეუმი, ქალაქის მფარველის, წმინდა ბრაზიუსის ტაძარი და ა.შ. საინტერესოა საკათედრო ტაძარიც, რომლის პირველი შენობაც რიჩარდ ლომგულის მითითებით აშენდა.

ქალაქს აქვს ორი ნაწილი — ისტორიული და თანამედროვე. რა თქმა უნდა, გასაგებია, რომელი უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებში. ძველი ნაწილი საოცრად კარგად არის შემონახული.

დუბროვნიკის იდეალური კლიმატი განსაკუთრებით სპორტსმენებს მოსწონთ. წელიწადის ყველა დროს კურორტზე სპორტული

■ ფრანცისკანული მონასტერი

შეჯიბრებები და ვარჯიშები იმართება.

ბევრი ამტკიცებს, რომ იალქნიანი ნავებით სეირნობისთვის მსოფლიოში საუკეთესო ადგილი დუბროვნიკია. მისი კრისტალურად სუფთა წყლის მქონე მდინარეები რაფტინგის მოყვარულთა შორისაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

## უსაფრთხოების ნესები

კრიმინალური თვალსაზრისით, დუბროვნიკი ერთ-ერთი ყველაზე დაცული ქალაქია მსოფლიოში. იქ მკვლელობისა და ძალადობის რიცხვი ძალიან დაბალია. და მაინც, არ გაგიკვირდეთ, თუ ტურისტული თავშეყრის ადგილებში ძვირფას ნივთებს აგწაპნიან. პირველ რიგში, გაითვალისწინეთ, რომ იქაურ მძღოლებს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ და სიფრთხილე გმართებთ — გზას არავითარ შემთხვევაში დაგითმობენ. თუ მოხდა და ადგილობრივებმა სადილზე მიგიპატიჟეს, უარი არ თქვათ და ერთი ბოთლი ღვინის გარეშეც არ მიხვიდეთ. ერთი რამ გაითვალისწინეთ, ადგილობრივები ძალიან უცნაურები არიან — მიმიკები აქვთ უცნაური, ვერ გაიგებთ, კმაყოფილები არიან თუ — არა.

## უბის ნიგნაჯი

**ქვეყანა — ხორვატია;**
**ქალაქი — დუბროვნიკი;**
**მოსახლეობა — 42.615;**
**ფართობი — 21.35 კვ.კმ;**
**ეროვნული ვალუტა — კუნა;**
**ოფიციალური ენა — ხორვატიული.**

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# ქალური სიბრძნით გადარჩენილი ოჯახი

ცხოვრებაში ზოგჯერ გაუგონარი ამბები ხდება. ისეთი რამ გვემართება, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენთ, იმას გვაბრალებენ, რასაც აზრადაც არ გავივლებდით... ჩვენი რესპონდენტი, ეკა, ქმრის ღალატს მოთმინებით შეხვდა, რადგან უკვე გამოცდილი ჰქონდა დანგრეული ოჯახის სიმწარე მშობლების მაგალითზე. მეტიც, მომხდარში თავს იდანაშაულებდა და პასუხისმგებლობას არ გაურბოდა, თუმცა რა თქმა უნდა, საშინლად იტანჯებოდა იმის შეგნებით, რომ საყვარელი მამაკაცის სიყვარულში სხვა, მესამე ეცილებოდა. და მაინც, იმ ქალის მიმართ გულში ბოროტება არ გაუვლია. არადა სწორედ მისი წრისგან შეხვდა ათასგვარი უსიამოვნება, შეურაცხყოფა. ახლა ეს ყველაფერი წარსულშია, მის ცხოვრებაში კი სიმშვიდე და ჰარმონია დაბრუნდა. რა გზა გაიარა აქამდე, ეკა თავად გვიამბობს:

**„არ ვნანობ, ქმრის ღალატის გამო ოჯახი რომ არ დავანგრიე"**

— 6 წლის ვიყავი, ჩემი მშობლები რომ გაიყარნენ. მამა ჩუმი კაცი იყო, ყვირილი არ სჩვეოდა. დედასაც არასდროს ეჩხუბებოდა, არც ეკამათებოდა. დედა თუ საყვედურის კორიანტელს დააყრიდა (ესეც ძალიან იშვიათად ხდებოდა), მამა სხვა ოთახში გადიოდა და კარს გაიხურავდა. ჩემი მეზობლის, ანანოს მშობლები კი სულ ჩხუბობდნენ, თანაც ისე, რომ მეზობლები ფანჯრებს ხურავდნენ. ანანოს ბებია, მარო, რძალს წინ ეფარებოდა, თავგამოდებით იცავდა. სულ მიკვირდა, ასეთი მოჩხუბარი წყვილი ერთად როგორ ცხოვრობდა. რომ გაყრილიყვნენ, მიზეზს არავინ იკითხავდა, მათი ყვირილისგან ყველა გულშეწუხებული იყო. აი, ჩემი მშობლების გაყრა კი მათთვის რებუსივით დარჩა. ჩემთვის ხომ საერთოდ დიდ ტრაგედიად იქცა. მამაც ძალიან მიყვარდა და დედაც.

**— მშობლებმა გაყრის მიზეზი როგორ აგიხსნეს?**

— დედამ მითხრა, მე და მამაშენმა ერთმანეთი ცოტა დავღალეთ, გადავწყვიტეთ, დროებით ცალ-ცალკე ვიცხოვროთ და მერე ვნახოთ, შეიძლება შევრიგდეთო. მამამ კი მითხრა, სხვაგან რომ ვცხოვრობ, ეს იმას არ ნიშნავს, მიგატოვე, ძალიან მიყვარხარ და

**„ის ქალი არასდროს მიძაგებია, ვფიქრობდი, თავისი ოდგვარ ეყოფა, ნიხლი რატომ უნდა ჩავარტყა-მეთქი".**

კვლავ ჩემი უპირველესი საზრუნავი ხარო. ისიც კი ვიფიქრე, ჩემმა მშობლებმა შესაძლოა გაყრის მიზეზი თავადაც არ იციანმეთქი, ხოლო, როცა გავიზარდე და გავთხოვდი, მერე მივხვდი, რომ მათ შორის შეუთავსებლობა იყო. ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ გაგების ხიდი ჰქონდათ ჩატეხილი.

**— თქვენ ქორწინებაში გაგიმართლათ?**

— ჩემს ქმარს, კაკის, 20 წლის ასაკში გავყევი. ის 22-ის იყო. 5 წლის შეყვარებულები ვიყავით, როცა დავქორწინდით. სულიერად, ინტელექტუალურად და მენტალურადაც ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიდექით, მაგრამ სქესობრივად ერთმანეთს ვერ გავუგეთ. ჩვენ შორის შეუთავსებლობა იყო, იმდენად, რომ სექსოპათოლოგთანაც დავდიოდით კონსულტაციებზე. ფრიგიდული ქალი ნამდვილად არ ვიყავი, მაგრამ ქმართან ინტიმური სიახლოვით ვერც მე ვკმაყოფილდებოდი და ვერც მას ვანიჭებდი სიამოვნებას. უკაცრავად ამ თემაზე რომ ვსაუბრობ, მაგრამ მინდა, გულწრფელი ვიყო.

**— სექსოპათოლოგის კონსულტაციებმა შედეგი მოგცათ?**

— მხოლოდ დროებითი. ალბათ ეს მხოლოდ შთაგონების მომენტი იყო. რამდენი ქალია ქმრის გვერდით დაუკმაყოფილებელი, ხშირად ამას არც აღიარებენ, მალავენ. ქმართან ისე ცხოვრობენ, რომ ამას არც აგრძნობინებენ. მე კი არ შემეძლო ტყუილში ცხოვრება, მით უფრო, საყვარელ მამაკაცთან ვერ ვითვალთმაქცებდი. ჩემმა გულწრფელობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება ქმარსაც გაუჩნდა, რამაც ბიძგი მისცა, დროდადრო სხვა ქალთან წასულიყო.

**— რაც უნდა ედოს სარჩულად, დამეთანხმებით, ეს მაინც ღალატია. ქმრის ასეთ „გვერდით" ურთიერთობებს ეგუებოდით?**

— თავიდან არ ვიცოდი, ქმარი თუ მღალატობდა. ვერც ვხვდებოდი და ვერც წარმოვიდგენდი, ვინაიდან კაკი ბუნებით ერთგული ადამიანია და მოღალატეებს ყოველთვის მკაცრად განიკითხავდა. ერთხელ ჩემმა მეგობარმა, ტატამ, მითხრა, კარგახანია, საგონებელში ვარ, გითხრა — ვაია, არადა უთქმელობაც აღარ შეიძლებაო. ცუდად მენიშნა და გული კინაღამ შემიღონდა, სანამ მეტყოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და გამიმხილა, კაკის ვიღაც ქალთან ერთად ხედავენო. მაშინვე ქმრის დაცვა დავიწყე — ალბათ თანამშრომელია და ერთად უწევთ საქმეებზე სიარული-მეთქი. ბარ-რესტორნებშიც ხედავენო. ალბათ სამსახურიდან სტუმრები დაჰყავთ-მეთქი. ვერაფრით ვიჯერებდი. ბოლოს ისეთი ფაქტები დამისახელა, დავეჭვდი და ძიება დავიწყე. აღმოჩნდა, რომ, ჩემ გარდა, ყველამ ყველაფერი იცოდა. საშინელ დღეში ჩავვარდი. თანამშრომელმა გოგომ მითხრა, ჩემი სახლის მეზობლად ნაქირავებში ხვდებიან ერთმანეთსო. ისე ვიყავი, ყველა და ყველაფერი მაღიზიანებდა. თანამშრომელზეც გავბრაზდი, თუ ეს იცოდა, როგორ დამიმალა-მეთქი.

**— ასეთ დროს დუმილს იმიტომ ამჯობინებენ, რომ ოჯახს ზიანი არ მიაყენონ.**

— ამ თემაზე საუბარს ჩემთან ყველა გაურბოდა. მარტო ტატამ გარისკა, რისთვისაც მისი ძალიან მადლობელი ვარ. ფაქტობრივად ჭურიდან ამოიყვანა. ვინ იცის, რამდენი დამცინოდა ზურგს უკან, ალბათ სულელად მთვლიდნენ, ქმარზე ყველგან აღტაცებით რომ ვსაუბრობდი.

**— ქმართან როდის გაამყლავნეთ, რომ მისი რომანის შესახებ იცოდით?**

— როცა დავრწმუნდი, რომ ეს სიმართლე იყო, კაკის დაველაპარაკე. ვუთხარი, მე და შენ, რაც უნდა იყოს, კარგი მეგობრები ვართ და ასეთი რამ რატომ დამიმალე-მეთქი.

**— ფიქრობდით, რომ ქმარს უნდა მოეყოლა თქვენთვის თავისი გატაცების შესახებ?**

— ერთმანეთთან ისეთი ურთიერთობა გვქონდა, რომ კაკის ეს ფაქტი ჩემთვის

**„საყვარელ კაცთან ვერ ვითვალთმაქცებდი. ჩემმა გულწრფელობამ კი ის ნაყოფი გამოიღო, რომ დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება ქმარსაც გაუჩნდა, რამაც ბიძგი მისცა, დროდადრო სხვა ქალთან წასულიყო".**

არ უნდა დაემალა. მის ცხოვრებაში რაც ხდებოდა, მისგან უნდა გამეგო და არა — სხვისგან. სამასხარაო, დასაცინი და საჭორაო არ უნდა გავეხადე.

**— ანუ დამალვის ფაქტს ღალატზე მნიშვნელოვნად თვლიდით?**

— ყველაფერი რომ ავწონდავწონე და გავაანალიზე, მივედი დასკვნამდე, რომ ჩვენს სიტუაციაში მესამე პირის გაჩენა სრულიად მოსალოდნელი იყო. ამ მხრივ, თავს ვიდანაშაულებდი, მაგრამ არც ტყუილში ყოფნა შემეძლო.

**— ქმარმა რა გიპასუხათ?**

— უარყოფა არ უცდია, რთულად, მაგრამ მაინც დამიდასტურა.

**— ამ ყველაფრის შემდეგ როგორ გააგრძელეთ ცხოვრება?**

— ძალიან გამიჭირდა, უმძიმეს მდგომარეობაში ჩავვარდი. კაკის მოვთხოვე, არჩევანი გაეკეთებინა — ან იმ ქალთან



Cyan Magenta Yellow Black

დაესრულებინა ურთიერთობა, ან ჩემთან. დარწმუნებული ვიყავი, ქმარს ვუყვარდი, მაგრამ ვერც იმ ქალს თმობდა. მართალი გითხრათ, კაკი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ძალიან მიყვარდა და იოლად ვერც დავემშვიდობებოდი, თანაც უკვე შვილები გვყავდა. ბავშვები მამას ეთაყვანებოდნენ. არ მინდოდა, მათაც ჩემი ბავშვობის ხვედრი გაეზიარებინათ.

**— შვილებმა ეს ამბავი შეიტყვეს?**

— ვცდილობდით, მათთან არაფერი შეგვემჩნია. ჩემი მთავარი საზრუნავი მაინც ბავშვები იყვნენ, სულიერ ტრავმას ვერ მივაყენებდი. ერთხელ მეზობლის ქალმა, ენაჭარტალა ვერიკომ, ჩემს გოგონას ჰკითხა, მამაშენი რაღაც აღარ ჩანს, იმ ქალთან ხომ არ წავიდა, ეგ ვინ ყოფილა, დედაშენისთანა ანგელოზს გული ატკინაო. ბავშვი დაზაფრული მოვიდა და ჩამეკითხა — ის ქალი ვინ არის, ვისზე მეკითხებოდა ვერიკო დეიდა ან როდის იყო, მამა გულს გტკენდაო (შვილებს ჩვენი დაპირისპირება არასდროს უნახავთ). ხუმრობით ვუთხარი, ქალბატონი ვერიკო სერიალების ყურებაში ისეა ჩართული, რომ ფილმი რეალობაში ერევა-მეთქი. საუბარი სხვა თემაზე გადავუტანე. ვერიკოს კი ამ საკითხზე ჩემს შვილებთან საუბარი ავუკრძალე.

**— ამასობაში ქმართან ურთიერთობა როგორ გრძელდებოდა?**

— ვეცადე, ოჯახი შემენარჩუნებინა. სამწუხაროდ, ეს ჩემი თავმოყვარეობისა და ნერვების ფასად დამიჯდა, მაგრამ ვფიქრობ, ნამდვილად მიღირდა.

**— კაკი საყვარელს ჩამოშორდა?**

— როგორც ჩანს, მაინც არ ამთავრებდა ურთიერთობას. იმ ქალს კაკისთან მიმართებაში სერიოზული მიზნები ჰქონდა.

**— გულისხმობთ, რომ მისი ცოლობა უნდოდა?**

— თავის საახლობლოში ხმას ავრცელებდა, კაკი ცოლს გაშორდა და ჩემი შერთვა უნდაო. ჩემზე ცუდ რაღაცეებს ლაპარაკობდა. მე კი ამ თემაზე არავისთან არაფერს ვამბობდი, ის ქალი არასდროს მიძაგებია, ვფიქრობდი, თავისი ცოდვაც ეყოფა, წიხლი რატომ უნდა ჩავარტყა-მეთქი.

**„ქმრის საყვარლის ნათესავები სამსახურში მომივარდნენ და ერთი ამბავი დამაწიეს. ისე გამოვიდა, თითქოს ის კი არ მდგარა ჩემს გზაზე, ის კი არ მინგრევდა ოჯახს და ცხოვრებას, არამედ პირიქით — მის ბედნიერებას ვამსხვრევდი. მისი სიცოცხლის ხელყოფაშიც რომ დამადანაშაულეს...“.**

ნაცნობები მოდიოდნენ და ჭორ-მართალს მეუბნებოდნენ. ზოგს მართლა გული შესტკიოდა, ზოგს კი უბრალოდ სეირის ყურება უნდოდა. ყველა და ყველაფერი მაღიზიანებდა.

ერთ დღეს უბედური შემთხვევა მოხდა. მოულოდნელად იმ ქალს ქუჩაში მანქანა დაეჯახა და დაიღუპა. ამაზე არანაკლებ საშინელი იყო ის, რომ მისმა ნათესავებმა და ოჯახის წევრებმა ეს მე დამაბრალეს.

**— მკვლელობას ვდებდნენ ბრალად?**

— ირწმუნებოდნენ, თითქოს იმ ქალს მომაკვდინებელ ჯადოს ვუკეთებდი და მის დაღუპვას ვცდილობდი, არადა არც მკითხავების მწამდა და არც ჯადოს გაკეთების. ჩემდა სამწუხაროდ, არც ეკლესიურად ვცხოვრობდი. ქალის ნათესავები სამსახურში მომივარდნენ და ერთი ამბავი დამაწიეს. ისე გამოვიდა, თითქოს ის ქალი კი არ მდგარა ჩემს გზაზე, ის კი არ მინგრევდა ოჯახს და ცხოვრებას, არამედ პირიქით — მის ბედნიერებას ვამსხვრევდი. მისი სიცოცხლის ხელყოფაშიც რომ დამადანაშაულეს, ამაზე ხომ საერთოდ გავგიჟდი. ისეთ დღეში ჩავვარდი, ბავშვების მოვლის თავიც აღარ მქონდა. სულ მესიზმრებოდა, თითქოს იმ ქალის ნათესავები სახლში თავს მესხმოდნენ და შვილებს მიკლავდნენ. ერთი სიტყვით, კოშმარში ვიყავი.

**— თქვენი ქმარიც დაადანაშაულეს მომხდარში თუ ამ სიტუაციიდან „მშრალად“ გამოვიდა?**

— ჩემს ქმარს რატომღაც არ ეხებოდნენ, პირიქით, სასიძოდ და ჭირისუფლადაც თვლიდნენ.

**— კაკი არ შეეცადა, ეს ძძიმე სიტუაცია თქვენთვის აეცილებინა?**

— იმ ქაჯებთან რას გახდებოდა?! მიკვირს, მათთან ურთიერთობა რომ ჰქონდა. სახლში ვერ ვჩერდებოდი, მეშინოდა, სულ ქაჯები და ეშმაკები მელანდებოდა. ამიტომ ბინა გამოვიცვალეთ.

**— ახლა როგორ ცხოვრობთ?**

— ღვთის მადლით, ეკლესიური გავხდი. ქმართანაც ურთიერთობა ყოველმხრივ დავალაგე. კაკიმ დანაშაული მოინანია.

საშინელებაა, მაგრამ სულ ვფიქრობ, ნუთუ იმ ქალის სიკვდილი იყო საჭირო, რომ ჩვენს ოჯახს თავისი სახე დაებრუნებინა? ის პრობლემაც მოგვეხსნა, რამაც თავის დროზე ღალატი გამოიწვია. ჩვენს ურთიერთობაში ახალი ეტაპი დადგა — ჰარმონიის და იდილიის. შეიძლება ითქვას, შეყვარებულებივით ვართ. არ ვნანობ, ქმრის ღალატის გამო ოჯახი რომ არ დავანგრიე. ღმერთმა არ გამწირა და დიდი სიყვარული დამიფასა.

✓ **ნანა კობახიძე**

## ეს იცოდით?

❖ ძველი ბერძნების აზრით, იმისათვის, რომ გაიგო, როგორ ცხოვრობს ხალხი, ორი ადგილი უნდა ნახო — ბაზარი და სასაფლაო.

❖ „პედაგოგი“ ბერძნული სიტყვაა. ასე ერქვა ძველ საბერძნეთში მონას, რომელსაც ბავშვის სკოლაში მიყვანა-წამოყვანა ევალებოდა.

❖ პლუტოსი ბერძნულ მითოლოგიაში სიმდიდრის ღმერთი იყო. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, პლუტოსი ბრმა იყო.

❖ ძველი ბერძენი ქალები ასაკს არა — დაბადებიდან, არამედ გათხოვებიდან ითვლიდნენ.

❖ მსოფლიოში პირველი ქალაქი იერიქონი იყო, რომელიც ძვ.წ. აღ-ის 8000 წელს დაარსდა.

❖ რომის კოლიზეუმი 50.000 კაცს იტევდა.

❖ ეიფელის კოშკი დაახლოებით 9441 ტონას იწონის.

❖ სახელმწიფო ბოტსვანას გერბს ამშვენებს წარწერა: „დაე, იყოს წყალი“.

❖ 1933 წლამდე ამერიკულ რუკებზე საბჭოთა კავშირი თეთრი ფერით იყო აღნიშნული.

❖ ბოშები წარმოშობით ინდოეთიდან არიან.

❖ რუსეთის ბელად ლენინს განსაკუთრებით უყვარდა მწერალ ჯეკ ლონდონის მოთხრობა „სიცოცხლის სიყვარული“.

❖ ცნობილი მოგზაურის, ქრისტეფორე კოლუმბის ნამდვილი სახელი და გვარი კრისტობალ კოლონია იყო.

❖ ამერიკის ოცდამეჩვიდმეტე პრეზიდენტს, რიჩარდ ნიქსონს, ძალიან უყვარდა ხაჭოს ჭამა კეტჩუპთან ერთად.

❖ როცა ამერიკის მე-17 პრეზიდენტმა, ენდრიუ ჯონსონმა, საპრეზიდენტო ფიცი დადო, იმდენად მთვრალი იყო, რომ კინაღამ ტრიბუნიდან ჩამოვარდა.

❖ ანგლიკანები მხოლოდ ორ საეკლესიო საიდუმლოებას აღიარებენ: ნათლისღებას და ზიარებას.

❖ მუსლიმები, ქრისტიანებისგან განსხვავებით, არასოდეს წვავდნენ დამნაშავეს კოცონზე, რადგან ყურანში წერია: „ცეცხლით დასჯის უფლება მხოლოდ ალაჰს აქვს“.

❖ ჟანა დ,არკის ბრალმდებელი ეპისკოპოსი კუშონი, მოგვიანებით თავად აღიარეს ერეტიკოსად და ეკლესიიდან განდევნეს.

❖ შუმერებმა კაცობრიობას ასწავლეს წერა-კითხვა, გეომეტრია, რიცხვები და ასტრონომია.

❖ პირველი იმპერია დედამიწაზე ასურეთის იმპერია გახლდათ.

❖ ტიტიკაკა ვულკანური წარმოშობის ტბაა ანდებში, რომელიც მსოფლიოში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეობს.

❖ „დუბაი“ ქართულად „კალიას“ ნიშნავს. ამ ქალაქს დუბაი სწორედ კალიების შემოსევის შედეგად დაარქვეს.

❖ ჰემოფობია სიახლის შიშია.

❖ ობობების 35.000 სახეობა არსებობს და ყველა მტაცებელია.

❖ ამერიკაში, ორეგონის შტატში, არსებობს გიგანტური სოკო, რომელიც 2400-ზე მეტი წლისაა, იგი 3.4 კვადრატულ მეტრს მოიცავს და ზრდას კვლავ აგრძელებს.

❖ ფიჭვი, სახელად მეთუშელაში, რომელიც სამხრეთ ამერიკაშია, ყველაზე „ბებერი“ ცოცხალი ორგანიზმია პლანეტაზე. იგი 4843 წლისაა. ის გაიზარდა თესლისგან, რომელიც ამ მიწაზე ძვ.წ.აღ-ით 2832 წელს დაეცა.



Cyan Magenta Yellow Black

# მარწყვი — ლამაზმანების საიდუმლო იარაღი

**ერც ერთი მზა ნიღაბი არ შეედრება ქორფა კენკრის შინაურ ნიღბებს. ასეთი ნიღბები ვიტამინების, მინერალებისა და ანტიმჟანგავების ნამდვილი ჭაა. ისინი სახის კანს ატონიზირებს და მის ახალგაზრდობას ახანგრძლივებს. მარწყვი უნივერსალური კოსმეტიკური საშუალებაა ნებისმიერი კანისთვის.**

## მარწყვის ნიღბები

თუ კანი ნორმალურია, ნიღაბი შეგიძლიათ კვირაში 2-3-ჯერ წვენისგან გაიკეთოთ. ცხიმიანი კანისთვის გაფართოებული ფორებით, დასრესილ მარწყვს ათქვეფილ ცილაში ურევენ. თუ კანი მშრალია, მარწყვში თაფლს ან ნაღებს უმატებენ.

წვრილი ნაოჭების გაჩენა თავიდან რომ აიცილოთ, ასეთი ნიღაბი მოამზადეთ: 1/4 ჭიქა რძეს 1/4 მარწყვის წვენი დაუმატეთ. მარლის ფენა ამ ნარევში დაასველეთ და სახეზე 15-20 წუთი დაიდეთ. შემდეგ ჩამოიბანეთ და თქვენი კრემი წაისვით.

მარწყვის ნაყოფი ნებისმიერ გამწმენდს ცვლის. გარეცხილი კენკრა დასრისეთ და რამდენიმე წუთი მასაჟის მოძრაობებით სახეზე წაისვით.

## მარწყვის დიეტა

წვნიანი და არომატული მარწყვი ორგანიზმისთვის უდაოდ სასარგებლოა, ამავდროულად გახდომას ეხმარება. 4 დღეში შეგიძლიათ 3 კგ დაიკლოთ. რაში მდგომარეობს წარმატების საიდუმლო?

1. მარწყვი ორგანიზმში გაცვლითი პროცესების ნორმალიზაციას ეხმარება.

2. საჭმლის მონელებას აუმჯობესებს, ნაწლავების პერისტალტიკას (ნაწლავის კედლების ტალღისებური, რიტმული შეკუმშვა-გაფართოება) აძლიერებს.

3. დიეტა ხანგრძლივი არ არის, ფსიქოლოგიურად მისი ატანა ადვილია.

4. ნაყოფში არსებულ კალიუმის ნაერთებს შარდმდენი მოქმედება აქვს, რაც წონაში დაკლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, მარწყვი წყალ-მარილის ბალანსის დარღვევას არ იწვევს. მისი ხანგრძლივად მიღების შემთხვევაშიც კი ორგანიზმის გაუწყლოება არ ხდება.

5. ამ კენკრის არომატი უარყოფით ემოციებს ანეიტრალებს. ამიტომ დიეტის დროს კარგი განწყობა გარანტირებულია.

6. მიუხედავად იმისა, რომ მარწყვი ერთ-ერთ ყველაზე ტკბილ კენკრად ითვლება, სხვა კენკრებთან შედარებით (მაგალითად, ქაცვი, შტოში), მასში შაქრის შემცველობა მინიმალურია. ამიტომ ეს დიეტა ყველაზე ეფექტური და სასარგებლოა.

**შენიშვნა:** ალერგიისკენ მიდრეკილების მქონე ადამიანები ფრთხილად უნდა იყვნენ — მარწყვი ამ დაავადების ძლიერი პროვოკატორია.

## ოთხი დამკვრელური დღე

### პირველი დღე

**პირველი საუზმე:** 250 გრამი ხილის (მარწყვი, ვაშლი, ბანანი) სალათა, 50 მლ იოგურტი, ჩაი.

**მეორე საუზმე:** მარწყვის კოქტეილი 100 გრამი მარწყვისა და 100 მლ უცხიმო რძისგან მომზადებული, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი.

**სადილი:** 2 პომიდვრისა და 2 კიტრის სალათა, ნაჭერი ჭვავის პური, 150 გრამი მარწყვი, ჩაი.

**სამხარი:** 100 მლ უცხიმო იოგურტი და 100 გრამი მარწყვი.

**ვახშამი:** 200 გრამი მოშუშული ბოსტნეული, 100 გრამი მარწყვი, 1 ჭიქა ფორთოხლის წვენი.

### მეორე დღე

**პირველი საუზმე:** შავი პურის ნაჭერი, 50 გრამი ყველი, 200 გრამი მარწყვი, ჩაი.

**მეორე საუზმე:** კოქტეილი 100 გარმი მარწყვის, 100 მლ უცხიმო რძისა და 1 ჩაის კოვზი თაფლისგან მომზადებული.

**სადილი:** 300 გრამი მოხარშული თევზი, მოხარშული კარტოფილი, 100 გრამი მარწყვი. 1 ჭიქა ნებისმიერი წვენი.

**სამხარი:** 200 მლ იოგურტი, 100 გრამი მარწყვი.

**ვახშამი:** ბოსტნეულის სალათა, 100 გრამი მარწყვი და 1 ჭიქა გრეიპფრუტის წვენი.

### მესამე დღე

პირველი საუზმე: 2 სუფრის კოვზი შვრიის ფანტელის, 50 მლ რძისა და 100 გრამი მარწყვის მიუსლი, ჩაი.

მეორე საუზმე: 200 გრამი მარწყვი, 1 ჭიქა ნებისმიერი წვენი.

სადილი: 200 გრამი მოხარშული ქათმის ხორცი, ბოსტნეულის სალათა 1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთით შეკაზმული, 100 გრამი მარწყვი, ჩაი.

სამხარი: 200 გრამი მარწყვი და 1 ჭმქა ფორთოხლის წვენი.

ვახშამი: 250 გრამი ხილის (მარწყვი, მსხალი, ბანანი) სალათა, 50 მლ იოგურტი, ჩაი.

### მეოთხე დღე

**პირველი საუზმე**: შავი პურის ნაჭერი, 50 გრამი ყველი, 200 გრამი მარწყვი, ჩაი.

**მეორე საუზმე**: მარწყვის კოქტეილი 100 გრამი მარწყვით, 100 მლ უცხიმო რძითა და 1 ჩაის კოვზი თაფლით მომზადებული.

**სადილი**: 200 გრამი მოშუშული ბოსტნეული, 200 გრამი მარწყვი, 1 ჭიქა ფორთოხლის წვენი.

**სამხარი**: 200 გრამი მარწყვი, ჩაი.

**ვახშამი**: სალათის ფოთლები. 100 გრამი მარწყვი და 1 ჭიქა ვაშლის წვენი.

## მოვიშოროთ ღაბაბი

ღაბაბი გამხდრებსაც აქვთ. აქ დამნაშავეა ასაკი, რომელიც კუნთებს ასუსტებს, ადუნებს და კანს მოშვებულ-მოჩვარულს ხდის. არსებობს ფართოდ გავრცელებული ჩინური მასაჟი, რომლის ათვისება ყველას შეუძლია. მასაჟისთვის გამოიყენეთ ტალკი ან ბავშვის ფხვნილი. მასაჟი სწრაფ ტემპში ცერა და საჩვენებელი თითებით ჩქმეტით კეთდება.

1. იწყებთ ნიკაპის ცენტრიდან და სახის ოვალის ნაპირისკენ მოძრაობთ. შემდეგ ხშირი ჩქმეტით თანდათან ყურის ბიბილოსკენ მიიწევთ.

2. ნიკაპის ქვედა ზონას გულმოდგინედ ამუშავებთ, ნიკაპის ცენტრიდან იწყებთ და თანდათან ყურის ბიბილოსკენ მოძრაობთ.

3. ახლა ყველა ზონას „ვაუთოებთ“, რომელზეც ჩქმეტა ჩატარდა. ხელისგულით (ზურგის მხრიდან) ნიკაპის შუა ნაწილიდან ყურებისკენ მსუბუქად ვაწვებით.

4. ყელზე მასაჟს ვიკეთებთ ზევიდან ქვევით მსუბუქი ჩქმეტით. ვიწყებთ ყელის წინა ნაწილიდან და განაპირა მხარეს გადავდივართ. სადაც მასაჟს ვიკეთებთ, კანი დაჭიმული უნდა იყოს. ამისთვის თავს საწინააღმდეგო მხარეს გადავწევთ. ვინაიდან ყელის კანი ნაზია, ჩქმეტის ძალას ვამცირებთ.

5. ბოლოს, მასაჟს ვამთავრებთ მსუბუქი ხელის გადასმით ყელზე, ნიკაპიდან ლავიწისკენ.

მასაჟი სისხლის დინებას აუმჯობესებს, ქსოვილების კვებას აქტიურებს და უჯრედებს განაახლებს. მასაჟი უნდა შეასრულოთ ყოველდღიურად. 2 კვირის შემდეგ დადებით ცვლილებებს შეამჩნევთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# როგორ ავარიდოთ ბავშვი საბავშვო ბაღში ჩასაფრებულ საფრთხეს

**ტატომაა, რომ საბავშვო ბაღში სიცხელის დროს ბავშვების უმეტესობა ხშირად ავადმყოფობს? განსაკუთრებით დიდია ავადობის მაჩვენებელი, თუ პატარა საბავშვო ბაღში ახალი მისულია. რა შეიძლება გააკეთონ მშობლებმა პროფილაქტიკისთვის, რომ შვილი დაიცვან?**

ხშირია შემთხვევა, როცა სრულებით ჯანმრთელი ბავშვი ბაღში მისვლიდან რამდენიმე დღეში სურდოს და ხველას უჩივის. ექიმები ირწმუნებიან, რომ პატარების ავადობა აბსოლუტურად ნორმალურია და სწორედ ასე ხდება მათი „ნაცნობობა“ სამყაროში არსებულ მიკრობებთან. ამავე დროს მიჩნეულია, რომ, თუ ბავშვი წელიწადში 6-8-ჯერ ავადმყოფობს მწვავე რესპირატორული, ვირუსული ინფექციით, უკვე პათოლოგიაა. ბავშვების ნაწილს გამოჯანმრთელებისთვის მინიმალური დრო — 3-4 დღე ჰყოფნის, მაგრამ ზოგისთვის ეს პროცესი ხანგრძლივია და შეიძლება კვირაზე მეტსაც გაჭიანურდეს. ამის მიზეზი მდგომარეობის გაუარესება და სხვადასხვა დაავადების ან პათოლოგიების განვითარებაა.

საინტერესოა, რაზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ გადააქვს ბავშვს სხვადასხვა ინფექცია. ეს არის მრავალი ფაქტორი: გენეტიკა, გაუკაჟებლობა, სავალდებულო აცრების ჩაუტარებლობა, ალერგიული რეაქციებისადმი მიდრეკილება, დე ვიტამინის დეფიციტი, გარემო ფაქტორები — სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობა.

## გზა გამოჯანმრთელებისკენ

საჭიროა მშობლებმა გაითავისონ, რომ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორება არ არის დამოკიდებული მხოლოდ პრეპარატებზე, რადგან, თუ არ მოხდა იმუნური სისტემის გამოწრთობა, სხვაგვარად სასურველი შედეგის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია. ყველა მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ ვირუსების მკურნალობა წამლებით, განსაკუთრებით კი ანტიბიოტიკებით, უშედეგოა. ამ შემთხვევაში მთავარია, ყველაფერი გაკეთდეს პატარას იმუნიტეტის გასაძლიერებლად. ეს პრობლემასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური სასშუალებაა.

გაკაჟება — ამაზე ზრუნვა ჩვილობიდან უნდა დაიწყოთ. გაკაჟებული ბავშვისთვის ნაკლებად საშიშია ქარიანი, წვიმიანი ამინდი, სიცივე. სავალდებულოა ბავშვის ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე სეირნობა და თამაში. სწორედ ამიტომაა აუცილებელი ბაღში მყოფი პატარების დღეში 2 საათი მაინც ეზოში სათამაშოდ გაყვანა. ასევე აუცილებელია საბავშვო ბაღში რეგულარულად ნიავდებოდეს ოთახები და სველი წესით ლაგდებოდეს.

## ახა თვითმკურნალობას!

ბევრი დედა შვილის სწრაფი გამოჯანმრთელებისთვის ანტიბიოტიკებს მიმართავს, რაც დაუშვებელია. არ შეიძლება ანტიბიოტიკის თვითნებურად დანიშვნა, ეს კვალიფიციური პედიატრის გადასაწყვეტია. ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ ანტიბიოტიკებს ორგანიზმი ეჩვევა და, როცა მართლა საჭირო ხდება მათი დანიშვნა, უკვე ეფექტს კარგავს და შედეგს არ იძლევა.

## დავიცვათ ჰიგიენა

პატარა ასაკიდანვე უნდა მიაჩვიოთ შვილები ხელების ხშირად დაბანას ყოველი ჭამის წინ და საჭირო ოთახიდან გამოსვლის შემდეგ. ასევე უნდა მიაჩვიოთ ისინი ხველისა და ცემინების დროს პირზე ხელის აფარებას. საბავშვო ბაღში სიარულისას აუცილებელია გამოიყენოს მხოლოდ თავისი პირსახოცი, კბილის ჯაგრისი, ცხვირსახოცი, კოვზი, არ ჭამოს საჭმელი სხვისი თეფშიდან.

დაბოლოს, სასურველი არაა შვილის საბავშვო ბაღში მიყვანა 3 წლამდე. ის ჯერ პატარაა და, რაც მთავარია, მისი იმუნიტეტი ჩამოუყალიბებელი და აბსოლუტურად გამოუწთრობია. შესაბამისად ავადობის სიხშირე ამ პერიოდში ბევრად მეტია, ვიდრე 4-5 წლიდან.

## შაკიკი პაპარეგსაც ემუქრებათ!

ეს ალბათ ბევრისათვის გასაკვირი იყოს, მაგრამ შაკიკი ბავშვებსაც აწუხებთ. სამწუხაროდ, ეს ის შემთხვევაა, როცა ბავშვს ამ დაავადებით მემკვიდრეობითობა „ასაჩუქრებს“. ეს ისეთი ჩივილია, რომლის დროსაც პატარას უჭირს დაასახელოს ტკივილის ლოკალიზაციის ადგილი, ხშირად ჰგონია, რომ ორგანიზმში ყველგან სტკივა.

თავის ტვინში პულსირებული ტკივილის პროვოცირებას იწვევს სისხლძარღვების გაფართოება-შევიწროება. შეტევები შეიძლება დაკავშირებული იყოს ამინდის ცვლილებებთან, გადაღლასთან, აღგზნებასთან, მზეზე დიდიხნით ყოფნასთან, ტელევიზორთან და კომპიუტერთან ხანგრძლივად გატარებულ დროსთან, სტრესთან, კვებით ალერგიასთან.

ბავშვებში თავის ტკივილის ლოკალიზაციის ადგილი ძირითადად საფეთქელია. ტკივილს შეიძლება ახლდეს გულისრევა, თავბრუ, ზოგადი მდგომარეობის გაურესება, ხასიათის რადიკალური ცვლილება, მომატებული მგრძნობელობა სინათლისა და ხმაურის მიმართ.

შაკიკისადმი მიდრეკილი პატარების ნერვული სისტემა ტკივილისა და სხვადასხვა გამაღიზიანებლების მიმართ განსხვავებულად რეაგირებს, მაგალითად, ტელევიზორის ყურებისას კადრების ცვლილებამ შესაძლოა თავის ტკივილის პროვოცირება მოახდინოს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთი ბავშვების რაციონის სწორად დაგეგმვას. საჭიროა ისეთი პროდუქტების ამოღება, რომლებიც ტკივილის პროვოცირებას ახდენს, მაგალითად, ძეხვეულის, ყველის, შოკოლადის, ციტრუსების.

თუ თქვენს შვილს შაკიკი აწუხებს, არ ინერვიულოთ. მთავარია, დროულად მიიყვანოთ ექიმთან, ჩაუტაროთ სრულფასოვანი მკურნალობა და ზედმიწევნით გაითვალისწინოთ სპეციალისტის რეკომენდაციები.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# ზურაბ მანაგაძე სცენაზე ბუკას დაბრუნებას აპირებს

## „მე და ჩემს შვილს მეფის კარზე სიმღერა არ გვინდოდა“



კომპოზიტორ ზურაბ მანაგაძესთან აღიარება პირველად სიმღერით „ტირიფები“ მივიდა. ეს გასული საუკუნის 70-იან წლებში იყო. მას შემდეგ მისი შემოქმედება ხალხმა შეიყვარა. ხშირად არ წერს, თუმცა მისი ყველა სიმღერა ჰიტდება. ანსამბლ „75“-ის თაობის პოპულარული ბიჭი დღეს შვიდი შვილიშვილის პაპაა, თუმცა, როგორც თავად აცხადებს, ეს მისთვის სიბერეს სულაც არ ნიშნავს. ასაკი არც ეტყობა და ეს მისი ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ახალგაზრდული გულის „ბრალია“.

მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად აღარ ჩანს, თვლის, რომ შოუბიზნესიდან არ წასულა, ნაბოლარა ქალიშვილის, ბუკას სცენაზე დაბრუნებასაც აპირებს, უფრო მეტიც, მისი ქმარი, ზურა კანდელაკიც უნდა აამღეროს. სიძე-სიმამრმა მუსიკალურადაც გაუგეს ერთმანეთს.

**— ბატონო ზურაბ, დიდხანაა ჩვენი ჟურნალის სტუმარი არ ყოფილხართ, აღარც კონცერტებზე ვამჩნევდითართ. რა ხდებოდა ამ პერიოდში თქვენს ცხოვრებაში?**

— ქვეყანაში პასიური პერიოდი იყო, ყოველ შემთხვევაში, ხელოვნების სფეროზე ეს განსაკუთრებით აისახა. მეც ამიტომ აღარ ვჩანდი. ჩემი ცხოვრების წესით ძალიან აქტიური ვარ, რამდენიმე საქმეს ერთად ვარ ჩაჭიდებული. შემოქმედებითად პაუზა არასდროს ამიღია, სულ ვმუშაობ. შარშანწინ, მაისში, ნიუ იორკშიც გახლდით. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნაზე მიმიწვიეს. თავიდან ვერ მივხვდი, რატომ, მაგრამ დამსწრე საზოგადოებას რომ გადავხედე, ძირითადად ის თაობა იყო, ვინც ანსამბლ „75“-ის სიმღერებზე გაიზარდა. ჩემთან ერთად „შინ“-იც იყო და „კომედი შოუს“ ბიჭებიც. მანამდე ამერიკიდან ჩემი მეგობრებისგან ორჯერ მივიღე მოწვევა, მაგრამ საკონსულოში მითხრეს, იქ დარჩებიო და ორივეჯერ უარი მტკიცეს. არ დამიჯერეს, რომ დაბადების დღეზე მივდიოდი.

ამერიკამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, იქ კიდევ წავიდოდი სიამოვნებით. ბოლო პერიოდში ჩვენმა ესტრადამ უკან დაიხია. გაჩნდა ჯგუფი, სადაც სხვა მომღერლებს არ იღებდნენ.

**— მომღერლების შავსა და თეთრ სიებს ვულისხმობთ?**

— კი, ბატონო. ალბათ მეც ამ სიაში მოვყევი, არადა პოლიტიკურად აქტიური არასდროს ყოფილვარ. ბოლო პერიოდში ქართულ სატელევიზიო არხებსაც არ ვუყურებდი. ეს ჩემი მხრიდან ალბათ ერთგვარი პროტესტი იყო. ბევრი კონცერტი ტარდებოდა, სადაც არც მე და არც ჩემი სიმღერების შემსრულებლებს არ გვეძახდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი რეაქცია არ მქონია, რადგან ჩემს საქმეს ყოველთვის ვაკეთებ. სიმღერებს შეკვეთით არასდროს ვწერ. ვზივარ ჩემთვის და ველოდები მუზას, რომელიც თემატურ სიმღერას დამაწერინებს. უკვე დიდი ხანია, რაც ჯერ სიმღერის ტექსტებს ვწერ და შემდეგ მუსიკა თავისით მოდის.

**— მეზა რიდის მოფრანდება ხოლმე თქვენთან?**

— შეიძლება ახლაც დავწერო, ეს სიტუაციამ და ურთიერთობამ უნდა მოიტანოს. „ბათუმო ჩემო“ შევასრულე და ცოტა ხანს გავჩერდი. ბათუმი ჩემი ოცნების ქალაქია. ამ სიმღერაში ის გრძნობა ჩავდე, რომელიც იქ ჩასვლისას მეუფლება. იქ სახლი მაქვს და თბილისისკენ წამოვალ თუ არა, უკვე ცუდად ვარ.

**— საქართველოს მთავრობა შეიცვალა, ამან თქვენს შემოქმედებაშიც შეიტანა ცვლილება?**

— რამდენიმე საღამოზე უკვე ვიყავი და ვიმღერე. მთავრობაც შეიცვალა და თან გაზაფხულია. გაზაფხულს სულ სხვანაირად განვიცდი, ალბათ ყველა ასეა. ამ დროს ემოციების მოზღვავებას ვგრძნობ.

**— განვლილი წლებიდან ყველაზე მეტად რა გაგახარებთ?**

— ძალიან ბევრი ჩემთვის საყვარელი ადამიანი დავკარგე. დედა რომ გარდამეცვალა, ძალიან პატარა ვიყავი. რთული ყოფილა ცხოვრება... ყველაზე მეტად კი ჩემი სტუდენტობის

**„ამას წინათ მუსიკალური ახალგაზრდა, მომიკითხა და მითხა, თქვენი სიმღერებით ეთმანეთს სიყვარულს ვუხსნიდით და ვთხოვდებოდითო“.**

პერიოდის ნოსტალგია მაქვს. ხშირად ვიხსენებ იმ წლებს, როცა ყველაფერს ვარდისფერი სათვალით ვუყურებდი და ყველაფრის მჯეროდა. სამხატვრო აკადემიაში ავთო შარვაძესთან, გია ფერაძესთან, მერაბ ანდრონიკაშვილთან ერთად ვსწავლობდი. თეატრალური ინსტიტუტი, სახელმწიფო კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია ქალაქში ერთ დიდ სამკუთხედს ქმნიდა. ქუჩაში რომ გამოვდიოდით, თითით საჩვენებლები ვიყავით. სამხატვრო აკადემიით მაშინაც ვამაყობდი და დღესაც ასეა. ძალიან დიდი ხალხი მასწავლიდა, რომლებიც დღემდე არქიტექტურის კორიფეებად რჩებიან. ისინი ძალიან მენატრება.

ადამიანი ფიქრისთვისაა გაჩენილი და მეც წარსულს ხშირად გადავავლებ ხოლმე თვალს. მეკითხებიან, ამდენს რატომ ფიქრობ და სულ

ბუკა და ზურა

მინორისკენ რატომ ხარო. სიმღერაში სევდაც უნდა იყოს. ახლახან ზურა კობეშავიძესთან და ზურა დოიჯაშვილთან ერთად ჩემი სიმღერა „გატეხილი გული“ ჩავწერეთ. მის ტექსტს სამი წელი ვწერდი. რადიოში ძალიან მოთხოვნადი გახდა. სამი ზურას სიმღერა გაუშვითო, მსმენელი ითხოვს. კობეშავიძე მთხოვს, კლიპი გადავიღოთო... რა გითხრათ, ყველა და ყველაფერი მენატრება, ხვალ შეიძლება თქვენც მომენატროთ.

**— მუსიკა რიდის შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში?**

— სკოლაშიც არ დავდიოდი, როცა ხაზის რადიო არსებობდა და გამუდმებით ქართული სიმღერა მესმოდა. დედაჩემი ძალიან მუსიკალური ქალი იყო, რადიოს ხმას აუწევდა, მღეროდა და მეც მამღერებდა. სიმღერის სურვილი ჩემში აქედან გაჩნდა. სკოლის პერიოდში ერთმა ჩემზე შეყვარებულმა გოგომ სასიყვარულო ლექსების კრებული მომცა, საიდანაც რამდენიმე შევარჩიე და სიმღერები დავწერე. გიტარაზე დაკვრა ძალიან ადრე დავიწყე, ჩემით ვისწავლე. ამ გოგონას ნაჩუქარი ლექსები ავამღერე, მაგრამ მრცხვენოდა, მეთქვა, რომ ის სიმღერები ჩემი დაწერილი იყო. გვარი მოვიგონე და ვიღაცას ვაბრალებდი, იმან დაწერა-მეთქი. სკოლას რომ ვამთავრებდი, მხოლოდ მაშინ გავამხილე, რომ სიმღერებს ვწერდი.

**— მაგრამ მერე პროფესიად არქიტექტურა აირჩიეთ.**

— მეათე კლასში ვიყავი, როდესაც სამხატვრო აკადემიაში ჩემი მეგობრის ძმას გავყევი, მომეწონა იქაური სიტუაცია, ამიტომაც არქიტექტურის განხრით ჩავაბარე. კარგად ვხატავდი, ვცეკვავდი და ვმღეროდი კიდეც.

**— არქიტექტურა და მუსიკა ერთმანეთთან ახლოს დგას?**

— ერთმა ბრძენმა თქვა, არქიტექტურა გაყინული მუსიკაა და ამ აზრს სრულიად ვეთანხმები. როცა ვხაზავ, დრო ძალიან სწრაფად გადის. ცოტა დაღლას თუ ვიგრძნობ, გიტარას ვიღებ, ჩემთვის ავღიღინდები და ვისვენებ. პოლიტიკური ვითარების რთული პერიოდი არქიტექტურაშიც ვიგრძენი. მარტივად რომ გითხრათ, ხალხს ფული აღარ ჰქონდა და ვერც დაპროექტების შეკვეთას ვღებულობდი.

**— თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად რომელს მიიჩნევთ?**

— 1978-85 წლებში რობერტ ბარძიმაშვილს შევხვდი. ეს იყო ძალიან დიდი ადამიანი, რომელსაც დღესაც ვერ ვაფასებთ. რობერტს ანსამბლ „75“-ის შექმნამდეც ვიცნობდი, მაგრამ ახლო ურთიერთობა არ მქონია. 1978 წლამდე ანსამბლი ევროპულ მუსიკაზე, ჯაზსა და როკზე იყო კონცენტრირებული. 1978 წელს კი ქართულ მუსიკაზე გადაერთო. რობერტ ბარძიმაშვილმა სწორედ ამ პერიოდში მომძებნა. მას ჩემი სიმღერები მოვასმენინე, 5-6 სიმღერა ვიმღერე და გადაირია. „ტირიფებით“ გავხდი პოპულარული. შემდეგ იყო „ყვავილები თოვდა, თოვდა“, „თეთრი ღამე“... რომელი ერთი გითხრათ? ზურა დოიჯაშვილი რომ გავიცანი, ისე მომეწონა, „მელიქიშვილის გამზირი“ დაუფიქრებლად ვაჩუქე და მისი სავიზიტო ბარათიც გახდა.

არ მახსოვს, ვინმეს თბილისში იმდენი კონცერტი ჩაეტარებინოს, რამდენიც ჩვენს ანსამბლს ჰქონდა. 6 თვის განმავლობაში დღეში 3 კონცერტს ვატარებდით. ეს საქართველოსთვის შოკი იყო. სცენიდან რომ ვიყურებოდი, სკამებზე კი არა, ადგილები კიბეებზეც არ იყო,



Cyan Magenta Yellow Black

ყველგან ვიღაც იჯდა. ახლაც ქუჩაში ხალხი რომ მხვდება, დიდ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავს. ამას წინათ მუსიკალური არქივის თანამშრომელი შემხვდა, მომიკითხა და მითხრა, თქვენი სიმღერებით ერთმანეთს სიყვარულს ვუხსნიდით და ვთხოვდებოდითო. ეს ხომ დიდი ბედნიერებაა! ჩვენ ქართულ ესტრადაში გადატრიალება მოვახდინეთ, ახალი რიტმი და მუხტი შემოვიტანეთ. ამას ტრაბახში ნუ ჩამითვლით.

**— თქვენს სიმღერებს თქვენი შვილი ბუკა მანაგძეც აქტიურად ასრულებდა. ახლა ისიც ადარ ჩანს მის ცხოვრებაში რა ხდება?**

— რამდენიმე წელი კვიპროსზე ვცხოვრობდით. როცა ჩემს ქვეყანაში დავბრუნდი, ბუკა 13-14 წლის იყო. ცეკვა ძალიან უყვარდა, დადიოდა კიდეც. სახლში სულ მღეროდა და ცეკვავდა. ბუკა, როგორც მომღერალი, ისე ჩუმად შემომეპარა, ვერც კი გავიგე. მაია კაჭკაჭიშვილთან მეგობრობდა. ერთ დღესაც მითხრა, მამა, დიდ სცენაზე, მინდა, დავდგეო. რა თქმა უნდა, გამიხარდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ სიმღერა ქალისთვის საკმაოდ რთული პროფესიაა და ვიცოდი, ბევრ კონცერტზე წოწიალი მოუწევდა, მაგრამ ხელი არ შემიშლია. ვოკალში მაია კაჭკაჭიშვილი ამეცადინებდა. პირველად „ყვავილები თოვდა, თოვდა“ შეასრულა და მალევე გახდა პოპულარული. რამდენი ხანია, ბუკა არ გამოჩენილა და სრულიად უცნობი ხალხი მეკითხება, სად არისო.

■ ლუკა და ნიკოლოზი

**— ბუკამ სცენაზე უარი რომ თქვა, გული არ დაგწყდათ? მასში საკმაოდ დიდი შრომა ჩადეთ.**

— ბუკა გათხოვდა და უკვე ორი ბიჭის, 5 წლის ლუკას და 2 წლის ნიკოლოზის დედაა, ოჯახზეა გადართული. მახსოვს, როგორ ვმუშაობდით, მისი სიმღერები ჰიტდებოდა. გული ახლაც მტკივა, რადგან ბევრი ვიშრომეთ, დიდი ენერგიაც დავხარჯეთ. ბუკას ამ საქმიდან თავისი შემოსავალიც ჰქონდა. კონცერტებზე ყველგან მე ხომ ვერ გავყვებოდი, ამიტომ ეს საქმე დედამისს მივანდე. გასტროლებზე თვეობით მიდიოდნენ. მოსკოვიდან და კიევიდან შემოთავაზებებიც ჰქონდა. პროდიუსერები ჩამოდიოდნენ, ჩემთან მიმოსვლაც ჰქონდათ. მთხოვდნენ, ბუკა მოსკოვში გამეშვა, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან სკოლის მოსწავლე იყო. მარტო რომ არ გავუშვი, ოჯახით მეპატიჟებოდნენ, მაგრამ ვერ გავრისკე. სიმართლე გითხრათ, ეს არც ბუკას უნდოდა. ეს იმ პერიოდზე გიყვებით, როცა ქეთა თოფურია მოსკოვში წავიდა.

**— ესე იგი ბუკამ სიმღერა ოჯახის გამო მიატოვა?**

— რა თქმა უნდა. ბუკა სცენას მხოლოდ იმიტომ ჩამოშორდა, რომ ის დედაა და შვილებს ზრდის. ძალიან მომწონს, რომ ბავშვებს თვითონ უვლის, ჩვენც კი ვეხმარებით, მაგრამ ძირითადად მაინც თვითონ უვლის. ფეხზე დააყენებს ორივეს და მერე ალბათ იმღერებს კიდეც, რადგან უკვე ვატყობ, ამის მოთხოვნილება აქვს. ამას დედამისს უფრო უმხელს. ამ ხნის განმავლობაში კი ეძახდნენ კონცერტებზე, მაგრამ მე არ ვუშვებდი. იმ პერიოდში „მეფის კარზე“ ხალხის შერჩევა მიმდინარეობდა. პარტიებიდან მირეკავდნენ, ჩვენი პარტიის საღამოზე იმღეროსო. ყველამ ბუკას თავისკენ გაეჩვა დაინყო. ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც ბევრი მეგობარი მყავდა და არ მინდოდა, ჩემი შვილი რომელიმე მხარეს აღმოჩენილიყო; არ მინდოდა, ბუკას ვინმესთვის ემღერა. მიხვდნენ, რომ პოლიტიკაში არ ვერეოდით და მისი კონცერტებზე დაპატიჟებაც შეწყვიტეს.

**— ქრისტეგანაც ხომ არ ჰქონდა თხოვნა ან აკრძალვა, რომ სცენისთვის თავი დაენებებინა?**

— არა, პირიქით. ჩემი სიძე, ზურა კანდელაკი, ძალიან კარგად მღერის, ყველა ჩემს სიმღერას გიტარაზე უკრავს. ჩემი სიმღერები ისე კარგად აითვისა, იდეა მაქვს, რომ ბუკასთან დუეტიც ჩავაწერინო. ჩემი სიმღერები დასაკრავად და სამღერლად იოლი არ არის, ყველა ვერ იმღერებს, ჩემი სიძე კი გადასარევად არ-თმევს თავს. ზურა შესანიშნავი პიროვნებაა.

ბუკა სიმღერას აუცილებლად გააგრძელებს, თუმცა გამორიცხულია, ქალაქგარეთ კონცერტებზე თვეობით იაროს. ეს საკმაოდ რთული საკითხია. წინ და უკან წოწიალის გამო მე მეორე ოჯახი მაქვს.

**— შვილიშვილებისთვის იცლით?**

— შვილიშვილები ჩემთან რომ მოდიან, სახლებში ტირილით მიჰყავთ, ძალიან ვუყვარვარ. შვიდი შვილიშვილი მყავს. ჩემს ბიჭს, დათოს, ქალ-ვაჟი ჰყავს და უფროს ქალიშვილს, თამუნას, 15 აპრილს უკვე მესამე შვილი შეეძინა. ამდენი შვილიშვილის ბაბუა რომ ვარ, ხანდახან არც მე მჯერა.

**— ცხოვრებაში რას ნანობთ ყველაზე მეტად?**

— იმ წლებს, როცა კვიპროსზე ვცხოვრობდი. მგონია, რომ ის დრო ფუჭად მაქვს დაკარგული, უფრო მეტი შემეძლო მემუშავა. იმ წლებში ჩვენს ქვეყანაში დიდი არეულობა იყო და და არაფერი დამიწერია. რთული პერიოდი მქონდა და მუსიკასთან ცოტა მწყარალად ვიყავი. იქიდან რომ დავბრუნდი, თან სიმღერაც „დავბრუნდები“ ჩამოვიყოლე. ჩამოვედი, ვიმღერე და ჩემი თაყვანისმცემლებიც ამ სიმღერამ გამოაღვიძა.

✓ სოფიო ბოჭორიძე

# ფრანგ ფეხბურთელს გაუპატიურება ბრალდება



■ ლოიკ რემი

ლონდონის პოლიციამ საფრანგეთის ნაკრებისა და ინგლისური კლუბის „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მოთამაშე ლოიკ რემი ჯგუფური გაუპატიურების ბრალდებით დაკავა. ფეხბურთელთან ერთად დაკავებული არიან მისი ბიძაშვილი და მეგობარი.

პოლიციას განცხადებით მიმართა 34 წლის ქალმა, რომლის ვინაობას სამართალდამცავი ორგანოები არ ახმაურებენ. მისი თქმით, ის 6 მაისს რემის ბინაში იმყოფებოდა, სადაც ასევე იყვნენ ფეხბურთელის ბიძაშვილი და მეგობარი. შემდეგ მას რომელიღაცამ ალკოჰოლის დალევა შესთავაზა, რის შემდეგაც გონება დაკარგა. სავარაუდოდ, ქალი მაშინ გააუპატიურეს, როდესაც ის უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, განცხადება გაუპატიურების შესახებ 8 მაისს შევიდა პოლიციაში, თუმცა დანაშაულში ეჭვმიტანილთა დაკავება მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მოხდა. ამჟამად 26 წლის რემი, ასევე მისი ბიძაშვილი და მეგობარი პოლიციის განყოფილებაში იმყოფებიან.

შეგახსენებთ, რომ ფრანგი ფეხბურთელი „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ 2013 წლის იანვარში ფრანგულ კლუბ „მარსელიდან“ გადავიდა. სეზონის შედეგების მიხედვით, ინგლისური კლუბი პრემიერლიგიდან გავარდა და ამის გამო რემი კლუბის დატოვებას და სხვა კლუბში გადასვლას აპირებდა. საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში რემიმ 17 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

# მაიკლ ოუენის მანქანას კვერცხები დაუშინეს

ინგლისური კლუბის „სტოკ სიტის“ მოთამაშეებმა კვერცხები და ფქვილიანი პარკები დაუშინეს თანაგუნდელის, მაიკლ ოუენის მანქანას. მაიკლმა მოგვიანებით თავისი დასვრილი მანქანის სურათი ტვიტერში გამოაქვეყნა.

■ მაიკლ ოუენის მანქანა

გავრცელებული ინფორმაციით, ფეხბურთელებს ასე სურდათ 33 წლის ოუენის „პენსიაზე“ გაცილების მოწყობა. 12 მაისს ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ბოლოსწინა მატჩი ჩაატარა თავის სპორტულ კარიერაში. „სტოკ სიტი“ საკუთარ მოედანზე ლონდონის „ტოტენჰემთან“ დამარცხდა (1:2), მაგრამ თავად ოუენმა მთელი თამაში სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

ფეხბურთელმა თავის ტვიტერში იმ მოთამაშეების სახელებიც ჩამოთვალა, რომლებიც ვანდალიზმში ეჭვმიტანილებად მიიჩნია. ესენი არიან: რობერტ ჰუტი, დინ უალტჰედი, ჯონათან უოლტერსი, პიტერ კრაუჩი და მეთიუ ეტერინგტონი.

თავად ფეხბურთელის თქმით, სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ მუშაობას სპორტულ კომენტატორად გააგრძელებს.

კარიერის განმავლობაში მაიკლ ოუენმა ისეთ ინგლისურ კლუბებში ითამაშა, როგორებიცაა „ლივერპული“, „ნიუკასლი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „სტოკ სიტი“. ასევე ის გარკვეული დროის მანძილზე მადრიდის „რეალის“ ღირსებასაც იცავდა. ინგლისის ეროვნულ ნაკრებში მაიკლ ოუენმა, რომელიც ერთ დროს „ოქროს ბიჭუნად“ იყო შერაცხული, 89 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 40 გოლი გაიტანა.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# როგორ გავდევნოთ ნაღველი

ყოველ ადამიანს აქვს პერიოდები, როდესაც ეჩვენება, რომ სამყარო მისი ბედნიერებისთვის არ არის მოწყობილი, ყველაფერს შავ ფერებში ხედავს, არაფერი ახარებს. თუ ასეთი მომენტები შემთხვევიდან შემთხვევამდეა და არა — უმიზეზოდ, მას მშვიდად უნდა მიუდგეთ: ბოლოს და ბოლოს ადამიანი რობოტი არ არის, სრული უფლება აქვს ცოტა ინაღვლოს.

თუ სევდა ხშირად და ხანგრძლივი დროით გეუფლებათ, ასეთ მდგომარეობასთან ბრძოლა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოთ!

## გულღია საუბარი

წარმოიდგინეთ, ფსიქოლოგთან მიღებაზე მიხვედით და დარწმუნებული ხართ, თქვენი ყველა პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათ. მხოლოდ იმ პირობით, თუ მასთან აბსოლუტურად გულწრფელი იქნებით. ხმამაღლა მოყევით ყველაფერი და თავს ჩაუღრმავდით. ალბათ უეცრად თქვენი დეპრესიული მდგომარეობის მიზეზს აღმოაჩენთ და მაშინ უკვე შეგიძლიათ, უშუალოდ მასზე მუშაობას შეუდგეთ.

## ისჩების წესი

წინ დაიდეთ საათი წამების აღმნიშვნელი ისრით და ყურადღებით დააკვირდით, როგორ გარბის. ეცადეთ, შეიგრძნოთ დროის სრბოლა. გაიხსენეთ, ისრის ყოველი ნაბიჯი — ეს არის წამი, რომელმაც ჩაიარა და მეტად არასდროს დაბრუნდება. წარმოიდგინეთ, რამდენმა ასეთმა წამმა ჩაიარა თქვენი ცხოვრებიდან, სანამ სევდას ეძლეოდით.

## თვალსაჩინო მაგალითი

გაიხსენეთ, სერიოზული პრობლემების დაძლევით, რომელმა ცნობილმა ადამიანმა მიაღწია წარმატებას, კეთილდღეობას, ჰარმონიას. წაიკითხეთ მათი ბიოგრაფიები. ჩაუფიქრდით ყოველ ეპიზოდს. ეცადეთ, შეიგრძნოთ განცდების მთელი გამა, რომელიც მან გადაიტანა. წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა, სულიერად რომ დაცემულიყო, ტკივილი და პრობლემები არ დაეძლია და დასახული მიზნისკენ არ ევლო.

## საკუთარი გამოცდილება

ეს სავარჯიშო მათთვისაა, ვინც დღიურს აწარმოებდა და შეინახა. დაიწყეთ თქვენი დღიურის კითხვა, უმჯობესია იმ ადგილიდან, სადაც თქვენი ცხოვრების მძიმე პერიოდს აღწერთ. გაიხსენეთ, როგორი ნაღვლიანი იყავით მაშინ და იმ სიტუაციიდან როგორი ბრწყინვალებით გამოხვედით. სასიხარულო მოვლენები, რომლებსაც მეხსიერებაში აღადგენთ, ოპტიმიზმს შეგმატებთ.

**ყურადღება:** მეთოდის გამოყენება რეკომენდებული არ არის ადამიანებისთვის, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ წარსულში „ჩარჩენა-გაჭედვისკენ“ — კიდევ უფრო ღრმა დეპრესიაში ჩავარდებიან.

## საშინელი ჯაღენდარი

ეს მეთოდი არ მიესადაგება ძლიერ შთაბეჭდილებიან ადამიანებს.

დაგჭირდებათ უჯრედებიანი რვეული. განსაზღვრეთ, კიდევ რამდენი წელი გსურთ იცოცხლოთ. მიღებული მნიშვნელობა 365-ზე გაამრავლეთ. მაგალითად, თუ ახლა 80 წლის ხართ და განსაზღვრული გაქვთ 100 წლამდე იცოცხლოთ, მაშასადამე, 7300 უჯრედი დაგჭირდებათ. რვეულში 7300 უჯრედი დაითვალეთ და ყოველთვის, როდესაც ნაღველი შეგიპყრობთ, ერთი უჯრედი შავი ფანქრით გადახაზეთ. მალე მიხვდებით, რამდენ დღეს პარავთ საკუთარ თავს საბაბით თუ მის გარეშე და ნაღველში ჩაძირვას შეწყვეტთ.

## ეძებეთ განძი

ბარით ხელში უახლოეს ტყეს ნუ მიაშურებთ. განძის ქვეშ სულ სხვა რამეს ვგულისხმობთ.

ქუჩაში ირგვლივ მიმოიხედეთ და ეცადეთ, რაღაც შენიშნოთ. დიახ, შენიშნოთ და არა უბრალოდ დაინახთ — სახლი, ადამიანები, ავტომობილები. მაგალითად, ბეღურა გუბეში როგორ სასაცილოდ ისუფთავებს ბუმბულს ან პატარა ბავშვი, რომელმაც ცხოვრებაში პირველად დაინახა თოვლი. იპოვეთ თქვენთვის სასიამოვნო სურათი და დაიწყეთ ფიქრი: „საინტერესოა, პატარას პირველი თოვლი მოეწონა თუ არა? რა გაიფიქრა, როდესაც ირგვლივ ყველაფერი თეთრში დაინახა? მე როგორ აღვიქვი ჩემს ცხოვრებაში პირველი ზამთარი?“ და ა.შ. ასეთ ფიქრებს გაყევით, სანამ არ იგრძნობთ, რომ გულზე მოგეშვათ და სიხარული დაგეუფლათ.

შეარჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება, რომელსაც სრულად ეთანხმებით. წარმოთქვით გულში ან ხმამაღლა, როდესაც ამის აუცილებლობა აღმოცენდება.

- ცხოვრება არ შეიძლება მხოლოდ სიამოვნებებისგან შედგებოდეს.
- ნაღველი, მოწყენილობა, იმედის გაცრუება — ეს ბუნებრივ შეგრძნებებია, მაგრამ მათ ცხოვრებიდან ყველა დანარჩენი არ უნდა გამოაძევონ.
- ცხოვრება მიდის და უსაფუძვლო განცდებზე დროს არ დავხარჯავ.
- საკუთარ ემოციებს თავად ვმართავ: მოწყენა მინდოდა? მოვიწყინე. ახლა სიხარული მსურს!

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

## იუმორის გრძნობის გამომუშავება შესაძლებელია

ადამიანი, რომელსაც იუმორის გრძნობა არ გააჩნია, ცხოვრებას მეტისმეტად რაციონალურად უყურებს. ასეთი სერიოზულობა ხელს უშლის სიცოცხლით დატკბეს, სტრესები ძნელად გადააქვს, ნერვიულობს იქ, სადაც სხვები იღიმიან. შეიძლება თუ არა იუმორის გრძნობის განვითარება?

ყველაზე თავგამოდებული ხუმარაც კი ვერ გასწავლით ხუმრობას, თუ ცხოვრების მიმართ დამოკიდებულებას არ შეიცვლით. არსებობს შინაგანი და გარეგანი იუმორის გრძნობა. შინაგანი — ეს არის განსაკუთრებული უნარი, ნიჭი ნებისმიერ სიტუაციაში რაღაც კარგი დაინახო. სწორედ ის ითვლება საფუძვლად. თუ ასეთი ნიჭი ადამიანს აქვს, გამოვლინდება.

მეტი ურთიერთობა გქონდეთ ადამიანებთან, რომლებსაც პოზიტიურად აზროვნება შეუძლიათ. სხვათა შორის, ყველაზე უკეთესად ასეთ როლში ბავშვები გამოდიან. თუ შვილები არ გყავთ, დასვენების დღეს ნათესავის ან მეგობრის შვილი წაიყვანეთ, მაგალითად, ზოოპარკში. დააკვირდით, ბევრ წვრილმანზე ბავშვი როგორ ცოცხლად და ხალისიანად რეაგირებს. მისგან ისწავლეთ გაოცება, სიცილი. ხალხის რეაქციას ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

შეწყვიტეთ თავის აღქმა ძალიან სერიოზულად. გაიხსენეთ სასაცილო სიტუაციები, რომლებშიც მოხვდით და იუმორისტულ სერიალებში სცენის სახით წარმოიდგინეთ. ახლობლებს, მეგობრებს სთხოვეთ, თქვენი ნატურის სასაცილო მხარეების შესახებ მოყვნენ.

იუმორის გრძნობა რომ გამოვლინდეს, მნიშვნელოვანია ერუდიციაც და ლექსიკური მარაგიც. მოსინჯეთ, სახლში კალამბურებზე იმუშაოთ. უბრალოდ სიტყვების თამაშით დატკბით. მახვილგონიერებაში ვარჯიში ფარული პოტენციალის გაღვიძებაში დაგეხმარებათ.



Cyan Magenta Yellow Black

# სილამაზის რეცეპტები

## გლუვი ქუსლები

გარქოვანებული კანი, ნახეთქები და აქერცვლა ქუსლებზე ბევრი ქალის პრობლემაა, მაგრამ მისი გადაჭრა ადვილად შეიძლება სილამაზის ხალხური რეცეპტებით.

3 საშუალო ზომის კარტოფილი ცივ წყალში კანიანად მოხარშეთ. შემდეგ ნახარშში კარტოფილი დასრისეთ. მიღებული ცხელი ფაფა თასში ჩაუშვით, 1 სუფრის კოვზი სოდა და ცივი წყალი დაუმატეთ, კანი რომ არ დაიწვათ. თასში ფეხები 5-7 წუთი ჩაყავით, შემდეგ ქუსლები პემზით გაიხეხეთ. პროცედურის შემდეგ ფეხებზე წყალი გადაივლეთ და კარგად გაიმშრალეთ. ფეხებისთვის განკუთვნილი ცხიმიანი კრემი წაისვით. 5-7 წუთის შემდეგ ნარჩენები ხელსახოცით მოიცილეთ.

## კანი ფერიმჭამელების გარეშე

100 გრამი თაფლი და 1 ლიმონის წვენი შეურიეთ. მარლის ხელსახოცი ამ ნარევით გაჟღინთეთ და ფერიმჭამელებიან ადგილზე 15-20 წუთი დაიდეთ. რეგულარული გამოყენებისას (15-20 ნიღაბი) შედეგს დაინახავთ.

## მბრწყინავი ფრჩხილები

თქვენმა ფრჩხილებმა ბრწყინვა და სიმაგრე რომ არ დაკარგოს, ლიმონის წვენისა და მცენარეული ზეთის ნარევი (თანაფარდობა 1:1) რეგულარულად წაისვით.

## არა ქერტლს!

4 ლიმონის კანი 1 ლიტრ წყალში 15 წუთი ხარშეთ. ოთახის ტემპერატურამდე გააგრილეთ, გაწურეთ. წყალი თმაზე კვირაში 2-ჯერ გადაივლეთ. მკურნალობის კურსი 1 თვე.

# წარმატების საიდუმლო ადამიანებთან სწორ ურთიერთობაშია

წარმატების მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია ურთიერთობის ხელოვნების ცოდნა. ურთიერთობამ სიამოვნება უნდა მოგანიჭოთ თქვენც და იმასაც, ვისთანაც ურთიერთობთ. წარმატებული ადამიანი ისაა,

ვისაც გაცნობა, მოწონება, საუბრის წარმართვა, კითხვების დასმა შეუძლია.

თავდაჯერებულობის არქონა წინსვლაში ხელისშემშლელია. როგორ გადავლახოთ ის? დასაწყისში გაარკვიეთ, რით არის გამოწვეული და რაიმე ობიექტური მიზეზები არსებობს თუ არა. თუ შესაძლებლობა არ არის საკონსულტაციოდ ფსიქოლოგს მიმართოთ, მაშინ თქვენი პრობლემები კეთილმოსურნე ნაცნობს ან მეგობარს გაუზიარეთ. გულს ნუ გადაუშლით მას, ვინც თქვენს ყველა გადაწყვეტილებს იწონებს.

თუ გსურთ შეიცვალოთ, ენერგიულ, საქმიან ადამიანებთან იქონიეთ ურთიერთობა და ეცადეთ, მათ მიბაძოთ. მათი სიარულის მანერა, ჟესტები, ურთიერთობის წესები და ფორმები ისწავლეთ.

# პოზიტიურად აზროვნებას ვსწავლობთ

პოზიტიური აზროვნება ნებისმიერ საქმიანობაში წარმატების მიღწევის აუცილებელი პირობაა. მაგრამ ზოგჯერ სურვილი არ გვაქვს ან არ შეგვიძლია პოზიტიურად ვიფიქროთ. როგორ ვაიძულოთ თავი ამ ტალღაზე გადავერთოთ? ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ერთერთი პრინციპი — ეს არის კარგი ჩვევების ათვისება და მათი ავტომატურობამდე დაყვანა. მთელი საიდუმლო ხშირად განმეორებულ მოქმედებებშია. ორი კვირის განმავლობაში ყველა ნეგატიური აზრები დადებითში გადაიყვანეთ. მოქმედებას ახლავე შეუდექით.

# ერთად უფრო მხიარულად ვართ

კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევრებმა დაამტკიცეს, რომ მარტოობა, ისევე როგორც ჩვეულებრივი გრიპი, გადამდებია. ერთი ადამიანიდან მეორეზე ვრცელდება და ყველაზე ხშირად „ასნებოვნებს“ ქალებს, ვიდრე მამაკაცებს. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მარტოხელა ადამიანი სხვების მიმართ ნაკლებად მიმნდობი ხდება. ეს კი მეგობრული ურთიერთობების ფორმირების შესაძლებლობას კიდევ უფრო ავიწროებს. მეცნიერები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ამ „სენის“ ნიშნების გამოცნობის შესწავლას და სხვა ადამიანების დახმარებას, სანამ ისინი საზოგადოებრივი ცხოვრებისგან გარიყულები აღმოჩნდებიან.

# ძილი სასიამოვნო რომ იყოს

როგორ განვეწყოთ იმისთვის, რომ ძილი სასიამოვნო იყოს? გთავაზობთ რამდენიმე რჩევას.

ღამის დასვენებისთვის ყველაზე ძვირფასი საათები 22 სთ-დან 24 სთ-მდეა.

საძინებელი საკმაოდ კომფორტული უნდა იყოს და ნიავდებოდეს.

ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ემოციურ მდგომარეობას. დაძინებამდე ერთი საათით ადრე, არავითარი ნეგატიური ინფორმაცია არ უნდა იყოს. არ ღირს, ღამით ზოგიერთ ტელეგადაცემას უყუროთ და არასასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობა გქონდეთ. ბევრი სიზმარი პირდაპირ კავშირშია განვლილი დღის განცდებთან.

შეიმუშავეთ ძილის საკუთარი რიტუალი: დაძინებამდე ერთი საათით ადრე მშვიდ მუსიკას მოუსმინეთ; აუჩქარებლად შეადგინეთ გეგმა მეორე დღისთვის; მიიღეთ თბილი მომადუნებელი აბაზანა ან შხაპი; თავის კანზე, ტერფებსა და ხელებზე მასაჟი გაიკეთეთ.

ძირითადი რეკომენდაციები: საწოლში დაწოლისას განვლილი დღიდან 5 სასიამოვნო მომენტი თუნდაც წვრილმანი (ბავშვის სასაცილო რეპლიკა, კოლეგის კომპლიმენტი, უმნიშვნელო ახალი შენაძენი და სხვა) გაიხსენეთ. ამ სავარჯიშოს ყოველდღიურად შესრულება ძილის გაუმჯობესებისა და სასიამოვნო სიზმრების ხილვის უტყუარი გარანტია.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

## 4 წლის ბიჭი ქალაქის მმართველი გახდა

აშშ-ში მინესოტას შტატის დორსეტის რაიონის მმართველი 4 წლის ბავშვი გახდა. ეს პირველი შემთხვევა არ არის. გასულ წელს მისი ადგილი 5 წლის ბიჭუნას ეკავა.

საქმე ის გახლავთ, რომ დორსეტის რაიონში მმართველის არჩევნებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და მას წელიწადში ერთხელ ადგილობრივი მოსახლეობა ატარებს. მოსახლეობა ქაღალდებს, სადაც სასურველი მმართველის სახელი წერია, ქუდში ყრის. ვისი სახელიც მოაგროვებს ხმათა უმრავლესობას, მმართველიც ის გახდება. ამ თანამდებობის დაკავება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. ამჯერად რობერტ ტაფტის გაუმართლა, მისმა სახელმა „საარჩევნო ქუდში“ ხმათა რეკორდული რაოდენობა დააგროვა. როგორც გაირკვა, ახალ მმართველს ფეხით სეირნობა უყვარს, მღერის, ცეკვავს და მშობლებთან ერთად ხშირად დადის სათევზაოდ.

## კაცმა საპონი საკუთარი ცხიმით დაამზადა

მაიამელმა ორესტეს დე ლა პაზმა ლიპოსაქციის შედეგად საკუთარი სხეულიდან ამოღებული ცხიმით 20 ცალი საპონი დაამზადა. პროფესიით კოსმეტოლოგმა ორესტესმა დეკემბერში ლიპოსაქციის ოპერაცია გაიკეთა და მოცილებული ცხიმით საპონი საკუთარი ხელით დაამზადა. ორესტეს დე ლა პაზმა საპონი უკვე გასაყიდად გამოუშვა, რომლის ღირებულება 1.000 დოლარია და მისი შეძენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

## ჰამბურგერი 120 დოლარად

სიდნეის ერთ-ერთი რესტორნის მენიუში 120 დოლარად შეფასებული ჰამბურგერი გამოჩნდა. რესტორნის მფლობელის განცხადებით, აქცია ერთ კვირას გაგრძელდება და ის ბეკონის კვირეულს მიეძღვნება.

120 დოლარად შეფასებული ჰამბურგერის შემადგენლობაში ავსტრალიური ბეკონი, შემწვარი იხვის კვერცხი, ყველი, შებოლილი პომიდორი და ხიზილალა შედის. მისი მომზადების იდეა რესტორნის შეფმზარეულს, კარლა ჯონს ეკუთვნის, რომელმაც განაცხადა, რომ თავად მსგავს ჰამბურგერს არასოდეს იყიდდა. რესტორნის მფლობელი იმედს იტოვებს, რომ 120 დოლარიანი ჰამბურგერით ბევრი ადამიანი დაინტერესდება.

## ვიტრინაში მჯდარი უმუშევრები

ევროპაში უმუშევრობა ბოლო დროს სერიოზულ პრობლემად იქცა. რა თქმა უნდა, არც დანიაა გამონაკლისი, თუმცა ეს საკითხი იქ ორიგინალური გზით გადაჭრეს.

ერთ-ერთმა მარკეტინგულმა კომპანიამ სამსახურის მაძიებელი ადამიანები კომპანიის შენობის ვიტრინებში დასვა და ფანჯარაზე მათი განათლებისა და გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია განათავსა. მეორე დღესვე რამდენიმე უმუშევარმა სასურველი სამსახური იშოვა.

კომპანიის ადმინისტრაციის განცხადებით, ამ გზით დანიაში უმუშევართა რაოდენობა გარკვეულწილად მაინც შემცირდება.

## ავარია უსაფრთხოების ბალიშების გამოსაცდელად

გერმანიის ქალაქ გოსლარში მცხოვრებ უვე შრაგერს სურვილი გაუჩნდა, თავისი მანქანის, „ფორდ მონდეოს“ უსაფრთხოების ბალიშები გამოეცადა. ამისათვის მან სპეციალურად დააჯახა მანქანა ხეს. საბედნიეროდ, თავად არ დაშავებულა. პოლიციის მისვლისას კი უვე უკვე კრეფდა და საბარგულში აწყობდა მანქანიდან ჩამოცვენილ დეტალებს.

შემოწმების შედეგად 45 წლის კაცის სისხლში არ აღმოჩნდა ალკოჰოლისა და ნარკოტიკის არანაირი კვალი. პოლიციელთა კითხვაზე, თუ რატომ ჩაიდინა ასეთი საქციელი, უვემ უპასუხა, რომ მას მხოლოდ თეორიული ინფორმაცია ჰქონდა უსაფრთხოების ბალიშების შესახებ, ამიტომ მათი პრაქტიკულად გამოცდა გადაწყვიტა, თუ რამდენად კარგად მუშაობდნენ ისინი დარტყმის დროს. ადგილობრივმა პოლიციამ მას მართვის მოწმობა ჩამორთვა და ფსიქიატრიული ექსპერტიზის გავლაც მიუსაჯა.



Cyan Magenta Yellow Black

## ჯონ ლენონის გიტარა აუქციონზე გაიტანეს

გიტარას, რომელზეც ჯონ ლენონი და ჯორჯ ჰარისონი უკრავდნენ ნიუ იორკში, ჰარდ როკკაფეში გამართულ აუქციონზე გასაყიდად გამოიტანენ. გიტარის საწყისი ფასი 300 ათასი დოლარია. აუქციონის ორგანიზატორის, მარტინ ჯეი ნოლანის თქმით, ეს გიტარა 1966 წელს სპეციალურად ჯონ ლენონისთვის დამზადდა და მასზე ლენონი და ჰარისონი უკრავდნენ. ერთ-ერთი კონცერტის რეპეტიციაზე კი ელვის პრესლი-საც უცდია მასზე დაკვრა. აღსანიშნავია, რომ აუქციონზე, ლენონის გიტარის გარდა, მაიკლ ჯექსონის ქურთუკსაც გაიტანენ.

## ტალახიანი მარათონი

ინგლისის ქალაქ მელდონში ტრადიციული ტალახიანი მარათონი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 200-მდე ადამიანმა მიიღო. მარათონის დროს ისინი ერთმანეთს ტალახიანი მდინარის გადალახვაში ეჯიბრებიან. ამჯერად მონაწილეები სხვადასხვა სასაცილო კოსტიუმებში გამოწყობილები გამოჩნდნენ.

ტალახიანი მარათონი ერთგვარი საქველმოქმედო აქციაცაა. მასზე დასასწრები ბილეთი 1 ფუნტი ღირს, ხოლო შემოსული თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციებში ირიცხება.

წლევანდელმა გამარჯვებულმა ახალი რეკორდი დაამყარა. მან ტალახიანი მდინარე 3 წუთსა და 15 წამში გადალახა. ტალახიანი მარათონის ბოლოს მონაწილეებს ცივი შხაპი ელოდათ.

## ქალმა თხუთმეტივე შვილს ერთი და იგივე სახელი დაარქვა

ბრაზილიაში, პარაიბაის შტატში მცხოვრებმა ეროტიდე ბრანდაომ ქმრისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად თხუთმეტივე შვილს მისი სახელი — უოლტერი დაარქვა.

წყვილს 15 შვილი — 9 გოგო და 6 ბიჭი შეეძინა. ბიჭებს ყოველთვის ეამაყებოდათ მამის სახელის ტარება, გოგონები კი მუდამ სირთულეებს აწყდებოდნენ. ამის გამო დედამ გადაწყვიტა, გოგონებს დამატებით სახელად მარია რქმეოდათ. ბავშვების მამა უოლტერ ბრანდაო 2003 წელს 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას და მის ცოლს 33 შვილიშვილი ჰყავთ, რომელთაგან ოთხს უოლტერი ჰქვია.

## აუტისტი ხელოვანი ჰეიზაჟებს მეხსიერებით ხატავს

აუტიზმით დაავადებული ბრიტანელი მხატვარი სტეფან უილტშაირი ქალაქების პეიზაჟებს მხოლოდ მეხსიერებაში ჩაბეჭდილი მოგონებებით ხატავს. სტეფანს 3 წლის ასაკში აუტიზმის დიაგნოზი დაუსვეს. მას ერთი არჩვეულებრივი უნარი აქვს — ხელოვანი სწრაფად იმახსოვრებს დეტალებს და ისინი ფურცელზე გადააქვს. ნიუ იორკი, ლონდონი და სხვა ქალაქები მას მეხსიერებით აქვს დახატული. ნიუ იორკის თავზე ვერტმფრენით 20 წუთიანი ფრენის შემდეგ სტეფანმა 6 მეტრი სიგრძის ნახატი შექმნა და მასზე საოცარი სიზუსტით გადაიტანა ყველა დეტალი.

აღსანიშნავია, რომ ხატვისას ის აუცილებლად უსმენს მუსიკას და მხოლოდ შავი ფერის ფანქარს იყენებს.

## ბიბლიის ხელნაწერის შექმნას 4 წელიწადი დასჭირდა

პენსიაზე გასული 63 წლის დიზაინერი ფილიპ პატერსონი ბოლო 4 წელიწადი ბიბლიის ხელით გადაწერით იყო დაკავებული. ფილიპი ეკლესიაში რეგულარულად დადის. ბიბლიის ხელით გადაწერა მისი უკეთ შეცნობის მიზნით სულაც არ დაუწყია. საქმე ის გახლავთ, რომ 2009 წელს მუსლიმმა მეგობარმა უთხრა, რომ მათ ყურანის ხელით გადაწერის წესი აქვთ. პეტერსონმა ბიბლიის ხელით გადაწერა მეორე დღესვე დაიწყო და 4 წლის განმავლობაში ის ყოველდღიურად 14 საათს მუშაობდა. ბოლო რამდენიმე გვერდი 11 მაისს ეკლესიაში მესის მსვლელობის დროს დაწერა. საბოლოო ჯამში, ფილიპ პეტერსონმა ბიბლია 2.400 გვერდზე დაატია. თითო გვერდი სიგრძით — 19 დიუმი, ხოლო სიგანეში 13 დიუმია.



Cyan Magenta Yellow Black

# ყავის მანიაკი ხომ არ გახდით?

**1. რამდენ ფინჯან ყავას სვამთ დღეში?**
ა) არც ერთს — 0
ბ) 1-3 ფინჯანს — 3
გ) 4-7 ფინჯანს — 5
დ) რამდენი ვარსკვლავიცაა ცაზე — 10

**2. რას ამბობენ გარშემომყოფები, როცა ყავის ფინჯნით ხელში გხედავენ?**
ა) არაფერს — 0
ბ) „არც კი ვიცოდი, თუ ყავას სვამდი“ — 2
გ) „იქნებ ამ ფინჯნის დალევა აუცილებელი არაა?“ — 3
დ) „ყავის მანიაკი ხარ“ — 5

**3. ოდესმე გიგრძვნიათ, რომ ყავა თქვენზე ნარკოტიკივით მოქმედებს?**
ა) ამას მუდმივად ვგრძნობ — 5
ბ) არასოდეს — 1
გ) ნარკოტიკი არასოდეს გამისინჯავს, მაგრამ ყავა ნამდვილად აღმაგზნებს — 4
დ) ხანდახან ასეც ხდება — 3

**4. რამდენ ფინჯან ყავას სვამთ დღეში სიამოვნებით?**
ა) არც ერთს — 0
ბ) 1-5 ფინჯანს — 2
გ) 6-9 ფინჯანს — 5
დ) მეშვიდე ფინჯნის შემდეგ აღარ ვითვლი — 8

**5. რა აზრის ხართ მოსაზრებაზე, რომ ყავა და თამბაქო ადამიანის ბოროტი მეგობრები არიან?**
ა) ყავა და მტერი?! ის ხომ ნეტარებაა! — 5
ბ) მე მგონი, მარილი უფრო საზიანოა — 3
გ) სწორია, კოფეინი მართლაც საზიანოა — 1
დ) ეს სიმართლეც რომ იყოს, ყავაზე უარს მაინც ვერ ვიტყვი — 4

**6. დილით სამსახურში გაგვიანდებათ, აღმოაჩინეთ, რომ ყავა აღარ გაქვთ, რას იზამთ?**
ა) ჩაის დავლევ — 0
ბ) სამსახურში გამწარებული და თავატკიებული წავალ — 3
გ) როგორც უნდა მაგვიანდებოდეს, გზად კაფეში შევივლი და ყავას დავლევ — 6
დ) მაღაზიაში წავალ, ვიყიდი ყავას, დავბრუნდები სახლში, მოვიდულებ, დავლევ და მერე წავალ სამსახურში — 10

**7. როგორი ყავა გიყვართ?**
ა) შაქრითა და ნაღებით — 1
ბ) შაქრითა და რძით — 3
გ) შაქრიანი — 5
დ) უშაქროდ და ურძეოდ, მიყვარს, როცა ყავის გემოსა და არომატს მაქსიმალურად შევიგრძნობ — 7

**8. დღის განმავლობაში იმდენ ყავას სვამთ, ღამით დაძინება გიჭირთ?**
ა) არა — 1
ბ) ასეც ხდება — 3 ქულა
გ) მუდმივად — 6
დ) ხანდახან, როცა ეს მჭირდება — 4

**9. ჩამოთვლილთაგან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?**
ა) „ესპრესოს“ — 7
ბ) „კაპუჩინოს“ — 5
გ) უკოფეინო ყავას — 3
დ) მწვანე ჩაის — 0

**10. ყავა იწვევს...**
ა) გუნება-განწყობის ამაღლებას — 5
ბ) ძალების დაქვეითებას — 4
გ) თავის ტკივილს — 2
დ) კბილების გაყვითლებას, გულისცემის აჩქარებას, შეჩვევას — 2

**შედეგები:**

**0-15 ქულა** — ყავის მონა არ ხართ. სახეზე ნაოჭიც კი არ შეგერხვავთ, თუ ახალდაფქული ყავის მადისაღმძვრელი სურნელი შეიგრძენით. ვერ გაგიგიათ, რატომ ჯობს ახალდაფქული მარცვლოვანი ყავა უნალექოს. შესაძლოა, ჯანსაღი ცხოვრებისა და ჯანმრთელობის თვალსაზრისით ასეთი მიდგომა გამართლებული იყოს, მაგრამ სიამოვნებაზე და არაჩვეულებრივ გემოზე რაღას იტყვით?

**15-30 ქულა** — ყავას ისევე მიირთმევთ, როგორც პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობა. დღეში 3 ფინჯანი თქვენი აბსოლუტური მაქსიმუმია. დღის განმავლობაში შესაძლოა ყავა არც გაგახსენდეთ, მაგრამ საკმარისია, კოლეგამ თავისთვის მოიდუღოს, რომ ინსტინქტურად თქვენც იმავეს აკეთებთ. როგორც წესი, ყავას დილაობით სვამთ. საღამოს ამის გაკეთებას ერიდებით, რადგან რამდენჯერმე ასეთმა ექსპერიმენტმა თავბედი გაწყევლინათ — ძილი გაგიკრთათ და დილით სამსახურში თავატკიებული წახვედით.

**31-45 ქულა** — თქვენი შრომისუნარიანობა პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული დალეული ყავის რაოდენობასთან. ვერც კი წარმოგიდგენიათ, დღე ყავის გარეშე დაიწყოთ. ამ სასმელმა ნამდვილად ბორკილები დაგადოთ. ვერ ხვდებით, როგორ შეიძლება დანამატებით ყავის გემოს გაფუჭება. ყავის მიმართ გულგრილი ნამდვილად არ ხართ და, რა დასამალია, ხშირად ზედმეტიც მოგდით.

**45 ქულაზე მეტი** — უსაჭმელოდ 20 დღეც გაძლებთ, უწყლოდ — 3, ყავის გარეშე კი მაქსიმუმი 2-3 საათი, უფრო მეტი შუალედის შემთხვევაში ცხოვრების ხარისხი ნულამდე დაგივათ. უსაყვარლეს სასმელს აღმერთებთ და მასზე ყველაფერი იცით — როგორ მოადუღოთ, რასთან ერთად მიირთვათ, რომელია უკეთესი.... შავ, მაგარ, უშაქრო ყავას ანიჭებთ უპირატესობას. გირჩევთ, მონობის ბორკილები გაარღვიოთ, ყავის დღიური მოხმარება შეზღუდოთ, თორემ შესაძლოა ამ სიყვარულმა საავადმყოფომდე და ექიმებამდე მიგიყვანოთ!

## 40 ქულა და შორს ჭარბი წონა

გთავაზობთ პროდუქტების ჩამონათვალს, რომელთაც შესაბამისი ქულები აქვთ მინიჭებული (გათვლა 100 გ პროდუქტზეა). თუ დღეში მხოლოდ ისეთ საკვებს მიიღებთ, რომ 40 ქულას არ გადააჭარბოთ, წონაშიც დაიკლებთ. რაციონის შერჩევა კი თქვენი გემოვნებისთვის მოგვინდია.

- მოხარშული კვერცხი, მოხარშული ხორცი, თევზი, ქათმის ხორცი, სოკო, ზღვის პროდუქტები — 1 ქულა
- 300 გ ნებისმიერი ბოსტნეული (მოთუთქული, მოთუშული), 100 გ მოხარშული ლობიო, პარკოსნები, ნებისმიერი სუპი (ბოსტნეულის), გაუცხიმოებული ყველი, 200 გ ხაჭო — 5 ქულა
- შავი პური, ერთი ცალი ორცხობილა, საშუალო ზომის ნებისმიერი ხილი, 100 გ გარნირი (კარტოფილის პიურე, მოხარშული მაკარონი, ფაფა), ბოკალი წითელი ღვინო, ნატურალური წვენი, კოქტეილი — 10 ქულა
- 100 გ კანფეტი, 100 გ ტორტი, 2 ნატეხი შოკოლადი, 2 ს.კ. მურაბა, ხილფაფა, თაფლი, 2 ჩ.კ. რაფინირებული შაქარი, 1 ს.კ. კარაქი, მაიონეზი, მცენარეული ზეთი — 20 ქულა

**შენიშვნა:** ჩამოთვლილთაგან შეგიძლიათ მიირთვათ ყველაფერი, რაც მოგესურვებათ, ოღონდ რაციონი სწორად შეადგინეთ, ისე, რომ მასში შედიოდეს ხორცეულიც და ბოსტნეულიც. წონაში სწრაფად დაიკლებთ — 2 კვირაში დაახლოებით 7-8 კგ-ს.

## სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | 3 | | | | 5 | |
| 6 | | | 5 | | | | | 7 |
| | | 1 | | | 9 | 4 | | |
| | | | 2 | | | | 1 | 8 |
| 2 | | | | 6 | | 5 | | |
| | | 7 | | 5 | 3 | | | |
| | 5 | 6 | 8 | | | 7 | | |
| 9 | | | | | 4 | | 3 | |
| 4 | | | | 1 | | | | 2 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | 4 | | | | 3 | 6 |
| 2 | | | | | 9 | 5 | | |
| | | 9 | 7 | | | | 1 | |
| | 6 | | | 3 | 1 | | | 8 |
| 8 | | 2 | | 7 | | | | |
| | | 4 | | | 5 | | 9 | |
| | 1 | | 8 | | | | | |
| 3 | | | | 1 | | 4 | | 9 |
| | 5 | | | | 6 | | 2 | |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# ნამდვილად ის გიყვართ, ვინც მედნიერს გაგხდით?

**1. სამსახურში რეკავთ და გათავისუფლებას ითხოვთ, რადგან გაცივდით და თავს საშინლად გრძნობთ. ამ დროს თქვენი რჩეული:**

ა) აფთიაქში მიდის და წამლებს ყიდულობს, გიმზადებთ სადილს და სამსახურიდან სახლში ადრე ბრუნდება, რომ მოგიაროთ.

ბ) დარწმუნებულია, რომ წამლები გაქვთ და სამსახურიდან ხშირად გირეკავთ, რათა გკითხოთ, როგორ გრძნობთ თავს.

გ) სამსახურში გვიანობამდე რჩება, მაგრამ სამსახურის შემდეგ საკუთარ გეგმებს თქვენ გამო ცვლის.

დ) რაც შეიძლება შორს უჭირავს თავი, ეშინია, ავადმყოფობა არ გადაედოს.

**2. საყვარელი ადამიანი თქვენთან ერთად აპირებს სადილობას, ამ დროს კი თქვენ მეგობრებთან გსურთ შეხვედრა, რას გეტყვით?**

ა) „მოგეწონება, შენს თავს მეგობრები რომ ვარჩიო?“

ბ) „ამ კვირაში ეს ჩვენი ერთად ყოფნის ერთადერთი შესაძლებლობა იყო, მომავალ კვირამდე ვეღარ შევხვდებით“.

გ) „ქალებს განმარტოება გიყვართ, მაგრამ ეს სწორი ნაბიჯი არაა“.

დ) „კარგი დრო გაატარე, ერთად სხვა დროს ვისადილოთ“.

**3. თქვენი რჩეული რომანტიკული და ნაირ-ნაირი საჩუქრებით განებივრებთ?**

ა) დიახ.

ბ) არა.

**4. სადილად მეგობრებს ელოდებით, სახლი კი დაულაგებელი გაქვთ. ამ დროს თქვენი შეყვარებული...**

ა) ცდილობს, ხელი არ შეგიშალოთ

სახლის მოწესრიგებაში.

ბ) ბრაზობს არეული სახლის გამო.

გ) გეკითხებათ, რითი დაგეხმაროთ, როდესაც ერთ საქმეს დაასრულებს, გეკითხებათ, კიდევ რა გააკეთოს.

დ) არც კი გეკითხებათ, თვითონვე იწყებს სახლის მოწესრიგებას.

**5. საყვარელ ადამიანს ეუბნებით, რომ მძიმე დღე გქონდათ, ის...**

ა) თვითონ იწყებს ამბების მოყოლას, როგორ ჩაიარა მისმა დღემ.

ბ) გაგრძნობინებთ, რომ თქვენი წუწუნის მოსმენა არ სიამოვნებს.

გ) გისმენთ, მაგრამ ორ წუთში ეყვინთება.

დ) ყურადღებით გისმენთ, თან სასმელს გთავაზობთ.

**6. გეუბნებათ, რომ ძალიან უყვარხართ და გაუმართლა, თქვენ რომ შეგხვდათ და ამას კვირაში ერთხელ მაინც გიმეორებთ?**

ა) დიახ.

ბ) არა.

**7. როდესაც გეალერსებათ...**

ა) თქვენს გრძნობებსაც ითვალისწინებს.

ბ) ყოველთვის გეუბნებათ, რომ უყვარხართ.

გ) გადაბრუნდება და იძინებს.

დ) არც გახსოვთ, რა ხდება, რადგან დიდი ხანია, ღამე ერთად არ გაგიტარებიათ.

**ქულები ასე დაიწერეთ: 1) ა, 2) დ, 3) ა, 4) გ, 5) დ, 6) ა, 7) ბ 1 ქულა, ხოლო დანარჩენებში — 0.**

**შედეგები:**

**0-3 ქულა** — გასაკვირია, რატომ ხვდებით მას. იგი საკუთარ თავსა და გრძნობებს ყოველთვის წინ აყენებს. იმასაც კი არ გეკითხებათ, თქვენთვის რისი გაკეთება შეუძლია. მხოლოდ ის აინტერესებს, თქვენ რა შეიძლება გაუკეთოთ მას. მერე რა, რომ არასოდეს ავიწყდება დაბადების დღეზე საჩუქრების მორთმევა. ყოველდღიურად უნდა ცდილობდეს, რაღაც სასიამოვნო გაგიკეთოთ. იქნებ ჯობს, მოძებნოთ ადამიანი, რომელიც მართლაც ბედნიერს გაგხდით.

**4-5 ქულა** — შესანიშნავად გეპყრობათ, მაგრამ უფრო დიდხანს უნდა იყოთ ერთად, რომ თავი ბედნიერად იგრძნოთ. თქვენ მგრძნობიარე ადამიანი შეგხვდათ. მასზე ზრუნვა ნამდვილად ღირს, თუმცა მხოლოდ დრო გაარკვევს, ეს ურთიერთობა დიდხანს გაგრძელდება თუ არა. მოითხოვეთ უფრო მეტი, მეტიც გაეცით და ეს ურთიერთობა მართლაც გასაოცარი გახდება.

**6-7 ქულა** — მისთვის საოცნებო ადამიანი ხართ. პატივისცემა და სიყვარული აგრძნობინეთ და შეეცადეთ, მისი ღირსი გახდეთ. ამ სიყვარულის შესანარჩუნებლად ყველაფერი გააკეთეთ.

# შეგიძლიათ უსიამოვნებებთან გამკლავება?

**1. გარშემომყოფებს თქვენი პრობლემებისა და უსიამოვნებების შესახებ უყვებით თუ არა?**

ა) არა, რადგან ეს პრობლემებს არ წყვეტს — 3

ბ) რა თქმა უნდა, თუ მოსაუბრეს ვენდობი — 1

გ) ვცდილობ, სხვები ჩემი პრობლემებით არ დავტვირთო — 2

**2. უსიამოვნებებს ავადმყოფურად განიცდით?**

ა) თითოეული ცხოვრებისეული უსიამოვნება ჩემთვის მძიმე გადასატანია — 4

ბ) ყველაფერი გარემოებებზეა დამოკიდებული — 0

გ) ადვილად ვეგუები, რადგან ვიცი, ყველანაირი უსიამოვნება ადრე თუ გვიან დასრულდება — 2

**3. როდესაც იმედგაცრუებული ხართ...**

ა) აუცილებლად იმას გავაკეთებ, რაზეც ვოცნებობდი — 0

ბ) საუკეთესო მეგობრებთან მივდივარ — 2

გ) ყველაფერში საკუთარ თავს ვადანაშაულებ და სახლში ვიკეტები — 4

**4. საყვარელმა ადამიანმა გული გატკინათ, როგორ მოიქცევით?**

ა) საკუთარ თავში ჩავიკეტები — 3

ბ) მოვსთხოვ ახსნა-განმარტებას — 0

გ) ყველას მოვუყვები ამის შესახებ — 1

**5. როდესაც ძალიან ბედნიერი ხართ...**

ა) იმ მომენტში არ ვფიქრობ უბედურებებზე — 1

ბ) არ მტოვებს შიში, რომ ეს ყველაფერი მალე გაივლის — 3

გ) არ ვივიწყებ, რომ ცხოვრება მხოლოდ ბედნიერი წუთებისგან არ შედგება — 5

**6. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ფსიქიატრებთან?**

ა) არ მინდა, მათი პაციენტი ვიყო — 4

ბ) ბევრს ეხმარებიან — 2

გ) ადამიანი მხოლოდ თავად თუ შეძლებს საკუთარი თავის დახმარებას — 3

**7. ბედი...**

ა) მუდმივ გამოცდებს მიწყობს — 5

ბ) უსამართლოა ჩემ მიმართ — 2

გ) კეთილგანწყობილია ჩემ მიმართ — 1

**8. რაზე ფიქრობთ, როდესაც საყვარელ ადამიანთან კონფლიქტის შემდეგ მრისხანება ცხრება?**

ა) მხოლოდ კარგზე, რაც ამ ადამიანთან მაკავშირებდა — 1

ბ) შურისძიებაზე ვოცნებობ — 2

გ) იმაზე, თუ რამდენი რამ მოვითმინე მისგან — 3

**შედეგები:**

**8-15: ქულა** — უსიამოვნებებს მალე ურიგდებით. საკუთარ თავს არასოდეს აკრიტიკებთ. თქვენ გარშემო წარმოქმნილ პრობლემებში საკუთარ თავს კი არა, გარემოებებს ადანაშაულებთ. თქვენი სულიერი წონასწორობა შესაშურია.

**16-26 ქულა** — არ მოგწონთ სიურპრიზები. პრობლემების მიზეზებს სხვა ადამიანებში ეძებთ. მძიმე წუთებში მეგობრების თანაგრძნობა გჭირდებათ. კარგი იქნება, თუ ისწავლით საკუთარი თავის ფლობის ხელოვნებას.

**27-36 ქულა** — პრობლემებთან გამკლავება გიჭირთ. ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებთ. არც სხვა ადამიანების შეწუხება გინდათ და ყოველთვის საკუთარ თავში იკეტებით. ეცადეთ, თქვენს ხასიათში ძლიერი მხარეები იპოვოთ. მაშინ ყველანაირი პრობლემა ადვილად მოგვარდება.



Cyan Magenta Yellow Black

# მუცელი — სიცოცხლის ცენტრი

მუცლის ღრუში დიდ ადგილს იჭერს საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოები — კუჭი, ნაწლავები, ღვიძლი და კუჭქვეშა ჯირკვალი. მათ მუშაობაში უთანხმოება ყველაზე ხშირად მუცლის მიდამოში ტკივილსა და სხვა უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევს.

ღვიძლი საჭმლის მონელებაში მონაწილეობს და სისხლს ტოქსინებისგან ასუფთავებს. გარდა ამისა, მასში ინახება ჩვენი ენერგიის მარაგი (გლიკოგენის ნახშირწყალი) ყოველი შემთხვევისათვის.

ელენთა სისხლის წარმოქმნის მნიშვნელოვანი ორგანო და სისხლის ძირითადი დეპოა.

შარდსასქესო სისტემა — თირკმლები, შარდის ბუშტი წყალ-მარილის ბალანსს იცავს და ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის მავნე პროდუქტები გამოაქვს.

ქალის ორგანიზმში რეპროდუქტიული ორგანოები თავმოყრილია მუცელში, მამაკაცში — ეს არის წინამდებარე ჯირკვალი.

ამიტომ ნებისმიერ უსიამოვნო შეგრძნებებს მუცლის არეში ყურადღებით მიუდექით. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების საგანგაშო სიგნალებს ნუ უგულებელყოფთ.

## სად გვტკივა და ჰატომ?

მუცელში ტკივილის დროს ზუსტ დიაგნოზს ექიმი სვამს გამოკვლევების შემდეგ, მაგრამ დაახლოებით რომ მიხვდეთ, სახელდობრ, რომელ ორგანოში აღმოცენდა პრობლემა, ამის განსაზღვრა თავად შეგიძლიათ.

პერიოდული ტკივილი გულის კოვზთან, რომელიც დაკავშირებულია საჭმლის მიღებასთან, გასტრიტის ან კუჭის წყლულის ნიშანია. მას ხშირად თან ახლავს გულძმარვა ან ბოყინი.

მუცლის შუაში (არაზუსტი ადგილმდებარეობა) მუდმივი ტკივილი დიარეით და საერთო სისუსტით ნაწლავური ინფექციის მაჩვენებელია.

თუ ტკივილი ჭიპის მოდამოში შეიგრძნობა, დაზიანებულია წვრილი ნაწლავი.

მუცლის მარჯვენა მხარეს უეცრად აღმოცენებული აუტანელი მწვავე ტკივილი, რომელიც შემდეგ მთელ მუცელზე ვრცელდება, აპენდიციტის ძირითადი სიმპტომია. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

ცხიმიანი საჭმლის მიღების შემდეგ, მარჯვენა ფერდქვეშ მწვავე ან ყრუ ტკივილი, ნაღვლის ბუშტის, ღვიძლის პრობლემებზე მიგვანიშნებს.

მუცლის მარცხენა მხარეს მეტად ძლიერი ტკივილი, რომელიც ზურგს გადაეცემა, პანკრეატიტის ნიშანია.

ჭიპის ქვემოთ ტკივილის შეგრძნება სასქესო ორგანოებთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიუთითებს. შეიძლება ასევე დაკავშირებული იყოს თირკმლებთან ან შარდის ბუშტთან. ასეთ შემთხვევაში შარდის გამოყოფა დარღვეულია.

## სწორი პირველადი დახმარება

პირველი, რაც უნდა გააკეთოთ მუცელში ტკივილის დროს, გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება. განსაკუთრებით, თუ ტკივილს თან ახლავს მაღალი ტემპერატურა, ღებინება, თავის ტკივილი.

ექიმის მოლოდინში თვითმკურნალობას არ შეუდგეთ. დაიცავით შემდეგი წესები, რომლებიც ჯანმრთელობისთვის სერიოზული შედეგების თავიდან აცილებაში დაგეხმარებათ (ზოგჯერ სიცოცხლესაც კი გადაარჩენს):

აუცილებლად უარი თქვით ნებისმიერი საჭმლის მიღებაზე. ზოგჯერ რჩევას იძლევიან, ცოტა თხევადი ფაფა ან ჭიქა რძე დალიოთ. აუცილებელი არ არის ტკივილი უშუალოდ კუჭთან იყოს დაკავშირებული. თუ აპენდიციტი, პანკრეატიტი ან ნაღვლის ჭვალები გაქვთ, ნებისმიერი საჭმელი მას მხოლოდ გააძლიერებს.

დაწექით და მაქსიმალურად მოხერხებული პოზა მიიღეთ, რომელიც ტკივილს შეამსუბუქებს. ყველაზე ხშირად ეს არის ემბრიონის პოზა — მოკუნტულად წოლა, მუხლები მუცელთან. ნებისმიერ მოძრაობას მოერიდეთ.

არ მიიღოთ არავითარი წამალი, მათ შორის ტკივილგამაყუჩებელი, სპაზმის მოსახსნელი. ისინი დიაგნოზის დასმას აძნელებს და შეიძლება უფრო მძიმე შედეგები გამოიწვიოს, როგორიცაა, მაგალითად, შინაგანი სისხლდენა ან ნაღვლის სადინარების დახშობა.

მუცელზე არავითარ შემთხვევაში არ დაიდოთ თბილი. ამან შეიძლება ანთება გააძლიეროს და ინფექციების სწრაფად გავრცელებას ხელი შეუწყოს. ტკივილის შესამსუბუქებლად დასაშვებია ცივი კომპრესების გამოყენება.

## მარტივი და ხელმისაწვდომი საშუალებები

როდესაც მუცელში უსიამოვნო შეგრძნებების მიზეზი უკვე გასაგებია, მწვავე ტკივილი აღარ არის, ხოლო ხელთ წამალი არ გაქვთ, ამ შემთხვევაში მარტივი შინაური საშუალებები დაგეხმარებათ.

### ჯუჭის მსუბუქი ტკივილი გულძმარვით, გასტრიტის დროს

დალიეთ ჭიქა სუფთა წყალი ან რძე; მოწუწნეთ მარილი და ნერწყვი ჩაყლაპეთ; დალიეთ ახალგამოწურული კარტოფილის წვენი ან 1 ჭიქა ცხელ წყალში 1 სუფრის კოვზი სელის თესლები ჩაყარეთ, 20 წუთი დადგით, კარგად აურიეთ და მიღებული ლორწოვანი ნაყენი დალიეთ.

### მოწამვლა უხარისხო პროდუქტებით

2-3 ჭიქა მარილიანი წყლით კუჭი ამოირეცხეთ. დალიეთ 6-8 აბი აქტიური ნახშირი ან სხვა სორბენტი მიიღეთ; დალიეთ რაც შეიძლება მეტი წყალი, მწვანე ჩაი, ჩირის კომპოტი. ჭამეთ მხოლოდ უმარილო მოხარშული ბრინჯი ან ცოტა ჭვავის ორცხობილა. სხვა საკვების მიღებისგან ერთი დღე-ღამე თავი შეიკავეთ.

### აირების წარმოქმნა და ნაწლავებში ბუყბუყი

ჩაყლაპეთ კოჭას მშრალი ფხვნილი ჩაის კოვზის წვერის ოდენობით; დალიეთ კამის, კვლიავის, ანისის ან ქინძის თესლების ნაყენი: 1 ჩაის კოვზ თესლებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 1 საათი დადგით; 0,5 ჭიქა წყალში 1 ჩაის კოვზი მშრალი თიხა (თეთრი ან ცისფერი) გახსენით. დღეში 2-ჯერ, ჭამის წინ მიიღეთ.

### მუცლის ქვევით ტკივილი და ხშირი შარდვა ცისტიტის დროს

ყოველ ნახევარ საათში 0,5 ჭიქა შტოშის წვენი ან მორსი დალიეთ. საერთოდ მიიღეთ ბევრი წყალი (მაგრამ არა — ყავა და გაზიანი სასმელი); მოამზადეთ ქორფა ოხრახუშის ნახარში: 5 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ მწვანილს 0,5 ლიტრი წყალი დაასხით, წყლის აბაზანაზე 15 წუთი ხარშეთ, 1 საათი დადგით და გაწურეთ. ერთი საათის განმავლობაში მცირე ყლუპებით დალიეთ.

## 7 რჩევა სლოკინისგან გასათავისუფლებლად

1. ღრმად ჩაისუნთქეთ, სუნთქვა 10-15 წამი შეიკავეთ.
2. 30-40 წამი ხელი ძლიერ დაიჭირეთ დიაფრაგმაზე (წელის ცოტა ზევით მდებარეობს).
3. მუხლები მკერდზე მიიბჯინეთ და 2 წუთი ამ პოზაში დაყავით.
4. კარგად ეხმარება გულის კოვზის მიდამოში (სადაც მთავრდება მკერდი და მუცელი იწყება) რაიმე თბილის (მაგალითად, სათბურას) დადება რამდენიმე წუთით.
5. ლიმონის ნაჭერი მოწუწნეთ. ზოგჯერ საკმარისია პირში შაქრის ნატეხის ჩადება.
6. ეცადეთ, დააცემინოთ (ამ დროს დიაფრაგმის მკვეთრად შეკუმშვა ხდება).
7. მჯდომარემ 6-7-ჯერ ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— ვარ 21 წლის, მაქვს თავის ტკივილები, ოდნავ ჩაჯდომისასაც მაქვს თავბრუსხვევა, მიბნელდება თვალები. რისი ბრალია?**

— პირველ რიგში, აკონტროლეთ წნევა, ყოველ დილით გაიზომეთ, რადგან წნევა დილის საათებში უფრო მაღალია. თავბრუსხვევა და თავის ტკივილი როგორც მაღალი, ასევე დაბალი წნევისთვისაც დამახასიათებელია. წნევის ერთკვირიანი კონტროლის შემდეგ აუცილებლად მიმართეთ ნევროპათოლოგს, თუნდაც წნევა ნორმის ფარგლებში გქონდეთ, არ არის გამორიცხული, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია დაგჭირდეთ.

**— ჰერპესზე როგორ ვიკურნალო სახლის პირობებში?**

— ჰერპესი ვირუსული დაავადებაა, ამიტომ საჭიროა როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი ანტივირუსული პრეპარატების მიღება. მკურნალობა, მინიმუმი, 7 დღე მაინც უნდა გაგრძელდეს. სახლის პირობებში შეგიძლიათ ჩაიტაროთ შემდეგი პროცედურა: თუ კანზე იგრძენით წვა და შეგიწითლდათ, სასწრაფოდ დაიდეთ სპირტში დასველებული ბამბის ტამპონი და რამდენიმე წუთი ხელი მიაჭირეთ, ოღონდ ძალიან არა, თორემ კანის ჯანმრთელი უბანიც დაგეწვებათ. აფთიაქში ურეცეპტოდ შეგიძლიათ შეიძინოთ ანტიჰერპესული მალამოები. მკაცრად დაიცავით ინსტრუქციაში მითითებული მოხმარების წესი.

**— რა ასაკიდან უნდა მიიღოს ბავშვმა ხორცი? ჩემი შვილი 10 თვისაა და არ უყვარს ხორცი და არ ჭამს.**

— ბავშვის შერეულ კვებაზე გადაყვანას პედიატრი განსაზღვრავს. 6-7 თვიდან უნდა მისცეთ ხორცი ბოსტნეულთთან და პიურესთან ერთად. ერთ კვებაზე მთლიანი კვების მოცულობა 200 გრამი უნდა იყოს.

**— სახეზე მაქვს ფერმეჭამლები და ზოგჯერ გამოსაყარიც. რა ნიღაბი გაკეთებთ?**

— საუკეთესო შედეგი აქვს თაფლისა და ხახვის წვენის ნიღაბს. ხახვი გახეხეთ და გაწურეთ. აიღეთ თანაბარი რაოდენობით ხახვის წვენი და თაფლი, კარგად აურიეთ და სახეზე წაისვით. 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ და დამატენიანებელი კრემი წაისვით. ეს ნიღაბი გამოიყენება როგორც დაბინძურებული კანის გამწმენდი.

**— გულის არეში მაქვს ტკივილები. გადავიღე კარდიოგრამა. მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მაქვს. რის გამო შეიძლება მქონდეს ტკივილები?**

— გულის არეში ტკივილი გულის დაავადების მაჩვენებელი შეიძლება არ იყოს. მიმართეთ ნერვოპათოლოგს, რადგან ტკივილს შეიძლება ვეგეტონევროზი იწვევს.

**— ჩემს ახლობელს მუნჯ-ბარძაყის არეში აქვს ნეკროზი. არის 34 წლის. რამდენად სასურველია ამ ასაკში ოპერაცია და დაექვემდებარება თუ არა მკურნალობას?**

— ბუნებრივია, ოპერაციული ჩარევა მარტივი და სასურველი არ არის, მაგრამ არის შემთხვევები, როცა გამოუვალი მდგომარეობაა და მხოლოდ ოპერაციული ჩარევით არის შესაძლებელი სრული განკურნება. თქვენს შემთხვევაში, ეს ექიმის გადასაწყვეტია, რა თქმა უნდა, პაციენტის თანხმობით. რაც შეეხება ასაკს, მას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ პაციენტის კარდიოლოგიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, რომელსაც ოპერაციის წინა პერიოდში კარდიოლოგი აუცილებლად გააკონტროლებს.

**— მაქვს ტერფის სოკო. ახლა შეკამჩნიე, რომ მაქვს ფრჩხილის სოკოც. სახლში როგორ ვიმკურნალო?**

— სასურველია დერმატოლოგს მიმართოთ, მაგრამ სახლის პირობებში შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი სახის სითხე: 100 გრამ ძმრის ესენციაში ჩაასხით 1 გრამი იოდი და ჩაყარეთ ნახევარი ჩაის კოვზი ბორის მჟავა. კარგად შეანჯღრიეთ. ეს სითხე დღეში 2-ჯერ დაისხით დაავადებულ ფრჩხილზე. სასურველია, შინაგანადაც მიიღოთ ანტიმიკოზური პრეპარატები.

**— ვარ 14 კვირის ორსული. შარდში აღმოჩენდა ბაქტერია. დამინაშნეს უნაზინი, ნემსები 5 დღის განმავლობაში. რამდენად უსაფრთხოა ბავშვისთვის?**

— მკურნალობა აუცილებელია. ნაყოფს საფრთხე არ დამუქრება.

## მობილურის ზარი და ადამიანის ხასიათი



მობილური ტელეფონის მუსიკალური ზარი გვამცნობს, თუ რას წარმოადგენს მისი მფლობელი. მამაკაცები, რომელთა მობილურები ცხოველების ხმებს გამოსცემენ, ბავშვობასთან განშორებისთვის ჯერ მზად არ არიან. თუ თქვენი ნაცნობი მობილურის მუსიკალურ ზარს ხშირად ცვლის, ფხიზლად იყავით — მისი ნდობა არ შეიძლება. ვინც ძველ კლასიკას ირჩევს, თავი ინტელექტუალი ჰგონია, სინამდვილეში პატივმოყვარე და ქედმაღალი ტიპია. მკვლევრები ამტკიცებენ, ვინც მობილურის ზარისთვის პარტნიორის, ბავშვის ან საკუთარ ხმას იწერს, მიდრეკილია რეფლექსიისკენ, ე.ი. საკუთარი აზრებისა და განცდების ანალიზი უყვარს.

## მრისხანე წიწაკა

იცით თუ არა, რომ კერძში წიწაკის დამატებით ძველად ადამიანები ცდილობდნენ, ორგანიზმი უწმინდური ძალებისაგან დაეცვათ? თუ ძველ გრძნეულებს დავუჯერებთ, წიწაკას შეუძლია, ბოროტი სულები დააფრთხოს და საცხოვრებელი მათგან დაიცვას. ამისათვის საჭიროა, სურნელოვანი სანელებელი ზღურბლზე, ფანჯრის რაფებსა და ღუმელის საკვამურ მილში მოვაფრქვიოთ ან წიწაკის ასხმულა ჭერში დაკიდოთ.

## მარილი წნევას მაღლა სწევს

კვების რაციონი ჩვენს თვითშეგრძნებაზე უშუალოდ აისახება. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ერთი პროდუქტის მოხმარების შემცირება ჰიპერტონიას ძლევს. ექიმებმა ოფიციალური განცხადება გააკეთეს: მარილი წნევას მაღლა სწევს. ადამიანს, რომელიც საკვებში ბევრ მარილს მოიხმარს, მით მეტი რისკი აქვს ხდძარღვთა დაავადებები განუვითარდეს. ნიზაციის მონაცემებით, მარილის ნორმა ჰიპერტონია და გულ-სისმსოფლიო ჯანდაცვის ორგადღეში არაუმეტეს 5 გრამისაა, მაშინ როცა ადამიანთა უმეტესობა 10 გრამამდე მოიხმარს. ხოლო წნევის ნორმალიზაციისთვის აუცილებელია მარილის 1,5 გრამამდე შემცირება.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**



Cyan Magenta Yellow Black



**სიტყვა-კოდი**

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

ჰატარა ელექტროორღანი

1. მუშაობის საზომი ერთეული; 2. თხების ჯოგი; 3. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 4. ერთგვარი გომბეშო; 5. ხანა, ეპოქა; 6. 3.14; 7. ნორჩი დასარგავი მცენარე; 8. ქალაქმი აშშ-ში; 9. სოფელი საგარეჯოს რ-ნში; 1?. პატარა მზვერავი გემი; 11. პატარა საწნახელი; 12. ფულადი ჯილდო; 13. ქალაქი ჩინეთში; 145. საზამთრო სპორტის სახეობა; 15. გეომეტრიული სხეული; 16. ...-ფასო? 17. კომში; 18. ყურძნის ხე; 19. ამერიკული ავტომარკა; 20. ... ივანიშვილი; 21. ბილაირდის ჯოხი; 22. მსხვილი მახრჩობელა გველი; 23. ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ქოხი; 24. პიგმალიონის სატრფო; 25. მტაცებელი ფრინველი; 26. ქალიშვილი (ინგლისურად); 27. ქალაქის გარკვეული დასახლება; 28. „ყველაზე...“; 29. ბუნებრივი საღებავი; 30. პოლონელი მწერალი (XVI ს.); 31. პროტესტანტების მღვდელი; 32. სამელექტროდიანი ელექტრომილაკი; 33. ძვირფასი ლითონი; 34. სოფელი სენაკის რ-ნში; 35. ... პუგაჩოვა; 36. ავადმყოფური სწრაფვა რაიმესადმი; 37. მუქი ლურჯი საღებავი; 38. ერთეული ვექტორი; 39. ძველებური თამაში ბურთით; 40. ჯაშუში; 41. ნუსხა; 42. ... პარი; 43. ვაშლის ღვინო; 44. შტატი აშშ-ში; 45. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 46. მატიანე ანუ...; 47. თავაშვებული ღრეობა; 48. ... ეცა (ძლიერ შეწუხდა); 49. ჟურნალისტი... სტურუა; 50. ფირნიში; 51. ... ამოს კომენსკი; 52. მდინარე აფრიკაში; 53. საოჯახო ელექტროხელსაწყო; 54. თვითნასწავლი მხატვრობა; 55. საჯინიბო; 56. მდინარის შესართავთან გაჩენილი უბე; 57. რასაც ყური აღიქვამს; 58. მსხვილი თევზი გემრიელი ხორცით; 59. ეკლესიიდან განდევნა; 60. საავიაციოს აღმნიშვნელი წინსართი; 61. დიდი ზომის ქვეწარმავალი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. სათლი; 2. თემიდა; 3. რო; 4. ლამარია; 5. ორლი; 6. „ორასი“; 7. კვართი; 8. ალთაი; 9. რომბი; 10. ონჭო; 11. რას; 12. საარი; 13. სილიო; 14. ჭარ; 15. მჭამელა; 16. კვირა; 17. მძივი; 18. კამარილია; 19. ხნიერი; 20. ივარ; 21. მიტრა; 22. როყინი; 23. ოლიმპიადა; 24. იელი; 25. ქტიტორი; 26. მორევი; 27. ლალუმი; 28. ოდა; 29. პატრული; 30. ჰერა; 31. არკა; 32. ჰალეი; 33. აღდგომა; 34. ლარნაკა; 35. აგავა; 36. ფარსი; 37. ამიაკი; 38. კუ; 39. კანი; 40. კიი; 41. რკო; 42. გაროტე; 43. ოთარ; 44. სერ; 45. ბალთაზარი; 46. ბუ; 47. თეზისი; 48. კოფთა; 49. რაცია; 50. პელიკანი; 51. ისრიმი; 52. ამბორი; 53. იღბალი; 54. იო; 55. პა; 56. კოდაი; 57. ნესვი; 58. რაიონი; 59. ბაასი; 60. სე; 61. ევა; 62. კივი. **სურათებზე:** ილია ჭავჭავაძე; ექვთიმე თაყაიშვილი; ზვიად გამსახურდია; მერაბ კოსტავა.

**ჯოდი: თავაზი**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი

1. ნაბიჯი ბალეტში
2. მეექვსე ნოტი
3. რისამე შესატყვისი
4. ... კაკა
5. ჭრილობა
6. სისხლძარღვი
7. გემის კიბე
8. საბავშვო თამაში ქამრებით
9. ალბანეთის ფული
10. ბერძნული ანბანის ასო
11. მტაცებელი ცხოველი
12. კორეული ავტო
13. გერმანელი ასტრონომი
14. ესკიმოსთა ქოხი
15. მხარე დას. საქართველოში
16. ვკრძალავ (ლათინურად)
17. ნაკურთხი წყალი
18. ... — დიდება
19. ჭეშმარიტად
20. ინტუიცია
21. რისამე ნარევი
22. ... მილერი
23. „... დაიდარდო!“
24. ... მონტანი

## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ღრანჭი; 2. ღუ; 3. კროსი; 4. აბგა; 5. ჭოტი; 6. კაა; 7. აბრა; 8. ლაბა; 9. ურიკა; 10. კატამარანი; 11. რუალ; 12. ფანდური; 13. ნივა; 14. რახი; 15. ამალა; 16. ბლოკნოტი; 17. დალაი; 18. არ; 19. ბილ; 20. „ასია“; 21. მარსი; 22. პინა; 23. რუ; 24. ია. **სურათებზე:** თბილისი; ბათუმი; სოხუმი; ცხინვალი.



Cyan Magenta Yellow Black

# როგორ გააღიმოთ ქალი

## ინსტრუქცია მამაკაცებისათვის

1. უთხარით, რომ ის ყველაზე ლამაზია.
2. როგორც კი მოახერხებთ, მოჰკიდეთ ხელი ხელზე, თუნდაც წამიერად.
3. აკოცეთ კისერზე ან ყელზე.
4. დაუტოვეთ ხმოვანი შეტყობინება ალერსიანი ხმით.
5. მუდმივად უმეორეთ, რომ გიყვართ.
6. როცა გაბრაზებულია, მოიმწყვდიეთ მკლავებში და აუხსენით, რა ბევრს ნიშნავს იგი თქვენთვის.
7. მისი გარეგნობის მცირე დეტალებსაც კი მიაქციეთ ყურადღება და კომპლიმენტები უთხარით.
8. უმღერეთ მას, რა საშინელი ხმაც უნდა გქონდეთ.
9. უთხარით, რომ მას ნებისმიერ ქალზე წინ აყენებთ.
10. დაუწერეთ ნიშნები კოცნაში (ეს საკმაოდ აზარტულია).
11. ეალერსეთ თმაზე.
12. დაჯექით პარკში მასთან ერთად და ელაპარაკეთ, თუნდაც სისულელეზე.
13. ესროლეთ მის ფანჯარას შუაღამისას კენჭები და თუ გამოიხედავს, უთხარით, რომ გენატრებათ.
14. შეისვით ზურგზე და ირბინეთ (ხუმრობის გარეშე, ქალებს ეს ძალიან მოსწონთ).
15. აჩუქეთ ყვავილები.
16. შეხედეთ თვალებში და გაიღიმეთ.

# სიყვარული მუდმივია?

მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ტრფობის მდგომარეობა არაუმეტეს 4 წლისა გრძელდება, მაგრამ ბევრი დარწმუნებულია, სიყვარული შეიძლება მუდმივი იყოს,

უბრალოდ საჭიროა საკუთარი მეორე ნახევრის პოვნა. მაშინ წლების მატებასთან ერთად ეს ნაზი და ლამაზი გრძნობა კი არ ჩაქრება, არამედ განმტკიცდება.

ყველას გვსურს დავიჯეროთ, რომ სიყვარული სამუდამოა, თუმცა ეს იშვიათი გამოვლენაა და მაინც, თითოეული ესწრაფის ეს სასნაული მის თავს მოხდეს.

რა თქმა უნდა, სიყვარული მუდმივი რომ გახდეს, ხელშეწყობა ესაჭიროება. როგორც წესი, ნებისმიერი ურთიერთობა მოითხოვს მუდამ აგებას, მასში გრძნობების, ემოციური რესურსების ჩადებას. მაშინ ის არსად გაქრება, უფრო განმტკიცდება.

სამწუხაროდ ახალგაზრდებს ერთმანეთის მიმართ დათმობაზე წასვლა არ სურთ. თითოეული დარწმუნებულია, რომ მეორე მოვალეა, მისი რაღაც მართებს (ფულის შოვნა, სამზარეულოში ტრიალი და ა.შ). ამიტომ, როგორც კი ურთიერთობაში სირთულეები იწყება, ახალგაზრდებს ჰგონიათ, რომ სხვა ადამიანის პოვნა უფრო ადვილია, ვიდრე წინანდელი ურთიერთობის მოწესრიგება-დალაგების მცდელობა. თუ ურთიერთობაში ცოტა ძალისხმევას ჩადებთ, თქვენი სიყვარული თქვენთან დარჩება მთელი ცხოვრება.

ტესტი

# მზად ხართ, საყვარელი ადამიანის მშობლებს შეხვდეთ?

**1. როგორ შეფასებას მისცემდით თქვენს ურთიერთობას?**
ა) ვხვდებით ერთმანეთს ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე — 0
ბ) უბრალოდ, ვმეგობრობთ — 1
გ) გვიყვარს ერთმანეთი — 3

**2. საყვარელ ადამიანს თქვენი მშობლები უკვე გააცანით?**
ა) არა — 0
ბ) დიახ — 3
გ) ჯერ არ ვაპირებ — 1

**3. რა გრძნობა გეუფლებათ, როცა საყვარელი ადამიანის მშობლების გაცნობაზე ფიქრობთ?**
ა) შიში — 0
ბ) სიხარული — 3
გ) გაკვირვება — 1

**4. როგორ გამოეწყობოდით მის მშობლებთან შეხვედრაზე წასვლის წინ?**
ა) ეპატაჟურად — 1
ბ) უბრალოდ — 0
გ) სადღესასწაულოდ — 3

**5. მის მშობლებთან პირველი შეხვედრისას რაზე ისაუბრებდით?**
ა) საკუთარ თავზე მოვუყვებოდი — 1
ბ) მათ ოჯახურ ისტორიებს მოვისმენდი — 0
გ) მათ შვილზე ვილაპარაკებდი — 3

**6. როგორ მოიქცეოდით, თუ საუბრის დროს საყვარელი ადამიანის მშობლები უხერხულ შეკითხვებს დაგისვამდნენ?**
ა) შევეცდებოდი, მეპასუხა — 3
ბ) საშინლად დავირცხვენდი — 0
გ) იგნორირებას გავუკეთებდი — 1

**7. დავუშვათ, ამ ადამიანთან უკვე დაქორწინებული ხართ, როგორი ურთიერთობა გექნებოდათ მის მშობლებთან?**
ა) როგორიც საკუთარ მშობლებთან — 1
ბ) საკუთარ წესებს დავამკვიდრებდი — 0
გ) ვეცდებოდი, შვილივით შევეყვარებინეთ — 3

**8. ამჟამად საყვარელი ადამიანი გყავთ?**
ა) დიახ — 3
ბ) მეგობარი მყავს — 1
გ) არა — 0

**შედეგები:**

**0-8 ქულა** — საყვარელი ადამიანის მშობლებთან შესახვედრად მზად არ ხართ, რადგან ამ ნაცნობობის ძალიან გეშინიათ.

**9-17 ქულა** — საყვარელი ადამიანის მშობლების გაცნობის დიდი სურვილი არ გაქვთ, მაგრამ, თუ სხვა გამოსავალი არ გექნებათ, გაიცნობთ. რა შთაბეჭდილებას მოახდენთ მათზე, ეს კიდევ საკითხავია.

**18-24 ქულა** — თქვენი ურთიერთობები უკვე იმ სტადიაზეა, როცა თქვენც მზად ხართ მისი მშობლების გასაცნობად და ამის დროც უკვე მოვიდა.



Cyan Magenta Yellow Black

## ქართული ანეკდოტები

— ბევიბე, ცოლი მოგიყვანია, — ეუბნება ეთთი ქუთაისელი მეოხეს.

— ჯი, მევიყვანე.

— ღამაზია?

— ღამაზი ქეა, მახა ხელები ახ აქვს და თვაღებიც ჩაცხა ძაან საეჭვოდ თეთრი აქ.

— მახინჯია, ბეჯო?

— მახინჯი შენ ხახ, ჩა გესმის შენ პიჯასოსი!

ზესტაფონელმა ნაშა დაითრია და შეიყვანა სასტუმროს ნომერში.

— ქუდი მოიხადე! — ეუბნება ქალი.

კაცმა მოიხადა.

— ტუფლები გაიხადე!

გაიხადა.

— შარვალიც გაიხადე!

გაიხადა.

— ნასკებიც გაიხადე!

კაცს მოთმინება დაელია:

— ქალო, მე აქ შენ მოგიყვანე საქმიზა და შენ ახლა სტრიპტიზი გინდა ჩემგან?!

❖ ❖ ❖

ცოლ-ქმარი თეატრის შესასვლელთან დგანან.

— ახალი შარვალი ჩეიცვი, ახალი... აი, შენი ახალი შარვალი! — აღშფოთებულია ქმარი, — არ ჯობდა ძველი მცმოდა?

— რაშია საქმე?

— ბილეთები დამრჩა ძველ შარვალში!

❖ ❖ ❖

მატარებლის კუპეში ქუთაისელი ზემო „კოიკაზე“ მოთავსდა. ჰა, ჰა, უნდა ჩაიძინოს და ქვემოთ „სეკა“ გახურდა. რაღა დააძინებდა, კუსავით გამოყო თავი „პრასტინიდან“ და უყურებს სეირს.

ქვემოთ კი აპოგეაა...

— ორი მილიონი ჩემი!

— სამი მილიონი ჩემი და გახსენი!

— ოთხი მილიონი ჩემი და ვხსნი...

გადაირია ქუთაისელი, ვეღარ მოითმინა და აყვირდა:

— პენიციილინზე თამაშობთ, თქვე შობელძაღლებო, აქანა?

❖ ❖ ❖

— ჩემს სიდედრს არასდროს ვეჩხუბები.

— რეიზა, სიმონ, გერევა?!

❖ ❖ ❖

— ერთხელ მაკოცნე, თამილიკო, ერთხელ და ა, შენ 30 ლარი.

— კაი, მაკოცე!

— ერთი, ტიტველი დამენახვე და ა, შენ 50 ლარი.

— ა, ბატონო.

— ხო, გამეიმუშავე 80 ლარი, ახლა ცოტა მომესიყვარულე და ა, შენ 100 ლარი.

— კი, ბატონო!

— რადგან ამდენი ფული გააკეთე, 100 ლარსაც დაგიადებ და ბოლომდე მივიყვანოთ ეს საქმე.

— კარგი, დავწვეთ...

ცოტა ხანში:

— პავლეია, თუ მოგინდეს, კიდო გევიმეოროთ სხვა დროს.

— რა ვიცი, მაგი რაფრა იქნება... შენი ქმარი კიდო გამომატანს თავის ხელფასს, ჩემს ცოლს გადეეცინო?

❖ ❖ ❖

ორადგილიან კუპეში ქალი და კაცი მგზავრობენ. ქალი მოულოდნელად შიშვლდება.

— რას შვრებით, ქალბატონო?! — შეცბუნდა კაცი.

— რას... რას... აგერ უკვე ორი თვეა, მამაკაცი არ მინახავს.

კაცი ფანჯარაზე ფარდას გასწევს.

— მოიწიეთ აქეთ... ე, ეგერ, ბაქანზე რომ სიგარეტს ეწევა, ისაა.

❖ ❖ ❖

რესტორანში ცოლი ეუბნება ქმარს:

— ხელის დასაბანად მივდივარო და რომ მობრუნდი, ყველა ოფიციანტს ხელებს უსვამდი უკანალზე, გგონია, ვერ დაგინახე?

ქმარი:

— პირსახოცი არ იყო, ქალო და გზადაგზა ვიმშრალებდი...

❖ ❖ ❖

ცოლი დაბადების დღიდან ბრუნდება და ქმარს ეტიკეტიკებ:

— მაგარი დრო ვატარე. ორი სირჩა ჯინი დავლიე და სულ ვმღეროდი და ვცეკვავდი.

— დედა ვატირე მაგათი! მეტის ღირსები არიან, კიდევ დაგპატიჟებენ?!

❖ ❖ ❖

— როგორ მოგწონს ჩემი საცოლე, გამომადგება?

— გამოდგომით, რა მოგახსენო, ღალატის შანსი ნამდვილად არ აქვს...

❖ ❖ ❖

ტიპი მკითხავთან მივიდა:

— ცოლი მინდა დამიბრუნდეს.

— მაგას 5000 დოლარი უნდა.

— ძვირია, არ მაწყობს.

— რატომ, კაცო, რატომ?

— 3000 დოლარად სულ ცინცხალ ცოლს ვიყიდი.

❖ ❖ ❖

სახლმმართველობაში:

— რა გქვიათ, მოქალაქევ?

**სვეჩიანიჩი ადჩიანად დაბჩენდა მივლინებიდან.**

**ხედავს, ჩომ მის ღოგინში ვიღაც ღიპიანი ჯაკი ჯოტიალობს. გადაიჩია, ეკა გაჩდეჩობს, გამოგლიჯა ჯაჩი და... მისი აჯანჯალებული, შიშველი ღეილიჯო ახ ზის მოჯენტული!**

**— დებილი ხახ, ქალო, შენ? ჭკეა ეჯელმა გიდევს თავში? გამეეთჩიე გაჩეთ და შეაგდე მაგ შჯაფში ის შენი დეგენეჩატი!**

**— თინიჯო, შენ დაბადების დღეზე ყველაზე ღამაზი იყავი.**

**— ძალიან შევეცადე და...**

**— მაღადეც! სად იშოვნე ამდენი მახინჯი სტუმარი?**

— ქიიი...შვვვ...ვარდი.

— თქვენ ენა ხომ არ გებმევათ?

— მე არა, მამაჩემს ებმეოდა და მეტრიკაში ასე ჩააწერინა.

❖ ❖ ❖

რაჭველი რაჟდენა ბაქანზე დგას და ამაყად უყურებს უკვე გასული მატარებლის ბოლო ვაგონს. მივიდა „ნასილჩიკი“ და თანაგრძნობით ეუბნება:

— ვაა, ჯიგარჯან, გაგასწრო მატარებელმა?

— არა, ქვე შენი ჭირიმე, შევაშინე და გარბის.

❖ ❖ ❖

კაცს ასაფლავებენ. ცოლი ცრემლებად იღვრება. მასთან მიდის მღვდელი და ჩუმად ეკითხება:

— ქალბატონო ნაზიკო, ხომ არ გახსოვთ თქვენი ქმრის ბოლო სიტყვები?

— რავა არა, უნეტარესო, ასე თქვა, ნაზიკია, ნუ მიშვერ მაგ თოფს, მაინც ვერ მომარტყამო...

❖ ❖ ❖

რედაქტორი ჟურნალისტს:

— თქვენი ბოლო ინტერვიუ არაფრად ვარგა. ვერ გამოსტყუე რესპონდენტს მასალა?

— საინტერესო მხოლოდ სამი სიტყვა თქვა.

— ხო და სადაა, ბატონო, ის სამი სიტყვა?

— ოჰ! იმის დაბეჭვდვა რავა შეიძლება, პატივცემულო!

✓ შეკრიბა
ბერძენ ბერკეილიშვილმა,

ქეთი ხარატიშვილის ნახატები



Cyan Magenta Yellow Black

ჯონ ბოინტონ პრისტლი

# ჰენდელი და ჯანჯაფერები

ლონდონი სიტი უამრავი უთავბოლო და უაზრო კამათის მომსწრეა, მაგრამ დავა, რომელიც იმ დღეს ორ ჯენტლმენს შორის გაიმართა, მართლაც რომ უცნაური და სასაცილო იყო. დავიწყოთ იქიდან, რომ ისინი საერთოდ არ იცნობდნენ ერთმანეთს, კამათი კი იმ ლიფტის კაბინაში დაიწყეს, რომელიც ლონდონის სავაჭრო ცენტრ ჩიპსაიდის მახლობლად მდებარე ერთი უზარმაზარი შენობის სართულებს შორის გაიჭედა.

ბოლო სართულზე, ვიდრე ლიფტი დაიძვრებოდა, კაბინაში გამხდარი, აწოწილი კაცი შევიდა. ის პროვინციულ კომპანია „ლადენსტოლის კოოპერაციას“ წარმოადგენდა და სულ ახლახან დადო კონტრაქტი საპერანგე ქსოვილის მიწოდების თაობაზე. ლიფტი ქვევით წავიდა, თუმცა მომდევნო სართულზე გაჩერდა და კაბინაში მეორე მგზავრი შევიდა. ეს მეორე მგზავრი არც სიგამხდრით გამოირჩეოდა და არც — სიმაღლით. მას მრგვალი, პირწმინდად გაპარსული სახე ჰქონდა, გარეგნობაზე კი ეტყობოდა, რომ მჯდომარე ცხოვრებას ეწეოდა და რომ მდიდარი ამერიკელი იყო. ლიფტში შევიდა თუ არა, თავისი ხმელი თანამგზავრისთვის არც კი შეუხედავს, ისე დააჭირა თითი პირველი სართულის ღილაკს.

ლიფტი რამდენიმე მეტრით დაეშვა, წამით შეჩერდა, ცოტა კიდევ გაიარა და ადგილზე გაქვავდა, რომელიღაცა სართულებს შორის. ამერიკელმა კუშტად შეხედა პირველი სართულის ღილაკს და მეორედ მიაჭირა თითი. ლიფტი ოდნავადაც არ შენძრეულა.

— კარგად დააჭირეთ? — შეეკითხა ახმახი შესამჩნევი იორქშირული აქცენტით და თავადაც სცადა ბედი, თუმცა უშედეგოდ.

— დარწმუნდით? — ამერიკელის ხმაში დაუფარავი ირონია გამოსჭვიოდა.

— დავრწმუნდი, — მიუგო ინგლისელმა, — იქნებ ჯერ ისევ ზევით გვეცადა, მერე კი ქვევით წასულიყო?

ამერიკელმა თავი დააქნია და ბოლო სართულის ღილაკს მიაჭირა თითი, მაგრამ ლიფტი ადგილიდან არ იძვროდა.

— თქვენ, ეი! — მოისმა ამ დროს ქვემოდან მამაკაცის ყვირილი, — გესმით ჩემი? ლიფტი გაიჭედა, მაგრამ არ ინერვიულოთ! მალე შევაკეთებთ და დაგიძახებთ! მანამდე ხელი არაფერს ახლოთ! გაიგონეთ?

— გავიგონეთ! გავიგონეთ! — ერთხმად ჩასძახეს გაჭედილებმა.

— კარგი! ყველაფერი რიგზეა! — ამოიძახა ხმამ.

— ჩემი აზრით, პირიქითაა, — შენიშნა ამერიკელმა, — ყველაფერი ურიგოდაა ანუ უწესრიგოდ.

— სამწუხაროდ, რეალობაა, — დაეთანხმა იორქშირელი და დაამატა: — რას იზამთ. ლიფტი ძველია.

— თქვენ, ინგლისელებს, ყველაფერი ძველი გიტაცებთ, — დამცინავი ტონით შენიშნა ამერიკელმა, — კიდევ კარგი, ეს ნიუ იორკის ცათამბჯენი არ არის.

— მაშინვე მივხვდი, ამერიკელი რომ ხართ.

— არც შემცდარხართ, ჩემი გვარი კი ონგარია, მისტერ ონგარი.

— სასიამოვნოა. მე ტომ ჰებლთუეითი ვარ.

— მიხარია, რომ გაგიცანით, — ღიმილით მიუგო მისტერ ონგარმა, მერე მოიღუშა, უბის წიგნაკი ამოიღო და რაღაც ჩანაწერებს დაუწყო თვალიერება.

ამ საქმემ ისე გაიტაცა, რომ ცოტა ხნის შემდეგ სტვენაც ააყოლა.

მისტერ ჰებლთუეითი სმენად იქცა, მერე კი მხიარულად შესძახა:

— გინდათ, გითხრათ, რას უსტვენდით?

— მე ვუსტვენდი? — გაკვირვებით შეხედა მისტერ ონგარმა.

— ჰო და გეტყვით, რასაც.

— აბა?

— ეს იყო მელოდია ჰენდელის ორატორიიდან „იუდა მაკაბელი“!

მისტერ ონგარი ჩაფიქრდა, მერე სახე გაუნათდა და შესძახა:

— იცით, თქვენ მართალი ხართ! ჰენდელის ეს მელოდია ზოგჯერ ამეკვიატება და ისე ვუსტვენ, ვერც კი ვაცნობიერებ! ჩემთვის რომ ვინმეს ეთქვა, ამას ლონდონის სიტიში იოლად გამოიცნობენო, არაფრით დავიჯერებდი. მაშ, თქვენ ჰენდელს იცნობთ? შესანიშნავია! ჩემი აზრით, ჰენდელი უდიდესია მსოფლიოს მუსიკოსებს შორის. დიახ, სერ, უ-დი-დე-სი!

— გეთანხმებით.

— თქვენ მის ორატორიებს კარგად იცნობთ?

— რა თქმა უნდა, სერ. უკვე რამდენი წელია, რაც მე ლანდესტროლის საგუნდო სიმღერის მოყვარულთა საზოგადოების წევრი ვარ, ხოლო, ვინც ჩვენთან მღერის, ბევრი კომპოზიტორი ზეპირად იცის. ასეა ამ შემთხვევაშიც. ჰენდელი ჩვენ მთელი სიგრძე-სიგანით ჩავაბულბულეთ.

— ჩინებულია! — ღიმილით მოუწონა მისტერ ონგარმა.

— ოღონდ უნდა გითხრათ, რომ... — განაგრძო მისტერ ჰებლთუეითმა მშვიდი, მაგრამ დამრიგებლური ტონით, — თქვენ მცდარად სტვენდით.

— ის, რითაც ვამაყობ, ჩემი სმენაა, — ეწყინა ამერიკელს, — თუ ჰენდელს ვუსტვენდი, სიყალბე გამორიცხულია.

— არადა მართლა გეშლებათ. შემიძლია გითხრათ, სად, — აქ ინგლისელმა მელოდიის თავისი ვარიანტი ააღერა, ხმადაბალი, სასიამოვნო ბარიტონით.

— თქვენი მოსმენა სასიამოვნოა, მაგრამ ეს „იუდა მაკაბელი-დან“ არ არის. აი, როგორაა, — თქვა და თავისი ვარიანტი წარმოადგინა, ცხადია, სტვენით.

ახლა უკვე ინგლისელმა გააქნია ენერგიულად თავი და ამ ორ ჯენტლმენს შორის, ცისა და დედამიწის შუაში გამოკიდებულ კაბინაში, ცხარე კამათი გაიმართა იმის თაობაზე, თუ რომელი ვარიანტი იყო ჭეშმარიტი ჰენდელის. ისინი აღარ აქცევდნენ ყურადღებას, თუ სად იმყოფებოდნენ, ერთმანეთის გაოცებას საკუთარი ერუდიციით ცდილობდნენ და რაკი თავმდაბლობით ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ, კამათს ისე შეჰყვნენ, რომ სხვა აღარაფერი ახსოვდათ.

— ჩვენი ქალაქი ლადენსტოლი პატარაა, მაგრამ მომღერალთა გუნდი შესანიშნავია! — ამტკიცებდა მისტერ ჰებლთუეითი, — „იუდა მაკაბელი“, რომ იტყვიან, გადაღეჭილი გვაქვს. სამჯერ შევასრულეთ, სამჯერ!

— მე კი ჯეიმს სტარკ ონგარი ვარ, კომპანია „ონგარ ტროპიკალ პროდაქთსის“ მეთაური, ოღონდ ეს არავისთან წამოგცდეთ, ჩემს გამოჩენას ხმაური რომ არ მოჰყვეს. უკანასკნელი 10 წლის მნაძილზე ჰენდელის ფესტივალების მოსაწყობად ბევრ თანხას ვიღებთ...

— როცა ჩვენ ორატორიას ვასრულებთ, ჰაიჰარაზე კი არ ვმღერით, მთელ სულსა და გულს ვაქსოვთ, რადგან ყოველი ნოტი ხუთი თითივით ვიცით.

— მე ჰენდელის ხელნაწერებისა და წერილების საუკეთესო კოლექცია მაქვს, თან მთელ მსოფლიოში და არა მარტო ამერიკაში! თქვენ ესაუბრებთი ადამიანს, რომელიც მთელ თავის თავისუფალ დროს და ათასობით დოლარს ჰენდელის მუსიკას ახმარს. ადამიანს, რომლის სახლშიც მსოფლიოს უდიდესი დირიჟორები იყრიან თავს, ჰენდელზე რომ ისაუბრონ და თუ მე მის რომელიმე მელოდიას ვუსტვენ, ის ზუსტად ასე ჟღერს!

კამათში გართულებმა, ვერც კი შენიშნეს, როგორ დაიძრა ლიფტი, როგორ გამოვიდნენ კაბინიდან და როგორ მიაშურეს ქუჩას. მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, სუფთა ჰაერი რომ ეცათ.

— მისტერ ჰებლთუეით, — დაიწყო ამერიკელმა, — ვიდრე სიმართლეს არ გავარკვევთ, ვერ მოვისვენებ. ჩემს ნომერში „იუდა მაკაბელის“ პარტიტურა მაქვს, მეთვრამეტე საუკუნის ფოლიანტი, გუშინ ვიყიდე. მოდით, ჩემი „როლს-როისით“ წავიდეთ და ვნახოთ, ვინაა მართალი.

— სიამოვნებით, — მიუგო ინგლისელმა, — თუ მტყუანი გამოვდექი, შეგიძლიათ გამლანძღოთ.

◆ ◆ ◆

ჯისტერ ონგარი სტუმარს მდიდრულ სასტუმრო ოთახში შეუძღვა და მოოქროვილ სავარძელზე მიუთითა:

— დაბრძანდით. ახლავე დაგიმტკიცებთ, რომ ცდებო-



Cyan Magenta Yellow Black

დით. აი, პარტიტურა.

— ხელები მაღლა! — მოისმა უცებ უცნობი ხმა.

გვერდითა ოთახიდან ორნი გამოცვივდნენ. ახალგაზრდები იყვნენ. ერთი, პისტოლეტმომარჯვებული, ჩვენს ჯენტლმენებს მიეჭრა და ჩხრეკა დაუწყო, მეორე კი, გაცილებით ზორბა, დერეფნის კართან დადგა, ალბათ სადარაჯოდ.

პირველი ჩხრეკას მორჩა და ამერიკელს მიმართა:

— მისტერ ჯეიმს სტარკ ონგარ, არ მელოდით?

— არაფერი მესმის! — შეჰყვირა ამერიკელმა, — ვინ ხართ?

— პატარა საიდუმლოს გაგიმხელთ, — ჩაიქირქილა ახალგაზრდამ, — ბანეტი ვარ, ჩარლი ბანეტი.

— ბანეტი! — აღმოხდა ონგარს, — აქ რა გინდათ?

— გამოვისეირნეთ, რა, — თეატრალური ტონით წარმოთქვა ბანეტიმ, — თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ ჩემზე ბევრი რამე იცით, მე კი თბვენზე ყველაფერი ვიცი! მაგალითად, ის, რომ დიდი ბიზნესის განგსტერებისგან გაწმენდა გადაწყვიტეთ, მაგრამ მე ფეხებსაც ვერ მომჭამ. გაიგე? ბებერო რეგვენო?

— მისმინეთ, — ჩაერთო ინგლისელი, — თუ მაგ სათამაშოს მაქედან არ მოაშორებთ, შეიძლება გაისროლოს, თქვენ კი სახრჩობელაზე მოხვდეთ.

ბანეტი მას მიუბრანდა:

— რა თქვი? სახრჩობელაზეო? ნუ გამაცინე, რა... აბა, აქედან მოუსვი! ახლავე! საძინებელში!

◆ ◆ ◆

საძინებელიც ისეთივე მდიდრული აღმოჩნდა, როგორიც სასტუმრო ოთახი. მისი ფანჯარა შიგა ეზოში გადიოდა, თეთრი ფილებით რომ იყო მოკირწყლული. გვერდით ასევე ძვირფასი საბაზანო იყო, ჰერმეტულად დახურული. ინგლისელი, რომც ეცადა, გაქცევას ვერ მოახერხებდა — საძინებლიდან სახანძრო კიბე არსად ჩანდა, სააბაზანოდან გაქცევა კი ფიქრადაც შეუძლებელი იყო.

მისტერ ჰებლთუეითმა იქვე ქაღალდის ნაგლეჯი მოძებნა, ზედ რაღაცა დაჯღაბნა და სააბაზანოდან გამოტანილ საპნის ნაჭერთან ერთად ჯიბეში ჩაიდო, მერე სასტუმრო ოთახის კართან მივიდა და ბრახუნი ატეხა:

— გამომიშვით! გამომიშვით!

ბანეტი კართან მივიდა:

— შენი ბედი, გაგრია რომ ხარ, თორემ აქამდე ჩაგაძაღლებდი! სოფლელებს არაფერს ვერჩი. თავისი გაჭირვებაც ყოფნით. თქვი, რა გინდა.

— მე და მისტერ ონგარმა სანაძლეო დავდეთ, შემომიშვით, გადავამოწმებ, რომ დავმშვიდდე, მერე კი, თუ გინდათ, ისევ აქ შემომაწყვდიეთ.

— რა სანაძლეო? — შეეკითა ბანეტი ამერიკელს.

— ჰენდელის ერთი მოტივია. მაგას ეშლება და ვერ ხვდება.

— ქაღალდზე ჩემი ვერსია დავწერე, — ალაპარაკდა ინგლისელი, — თუ ჩემი გამართლდა, ხომ კარგი თუ არადა ამ ფურცელს ფანჯრიდან ვისვრი.

— შემოდი, — კარი გაუღო განგსტერმა.

მისტერ ჰებლთუეითი ოთახში შემოიძურწა, მაგიდასთან მივიდა, პარტიტურა გადაშალა და ჯიბიდან ამოღებულ თავის ნაჯღაბნს შეადარა.

— ჯანდაბას! — შესძახა მცირე ხნის შემდეგ ნაწყენი ხმით, — თქვენ მართალი აღმოჩნდით, მისტერ ონგარ! ჩემი ვარიანტი რომ არ ნახოთ და არ დამცინოთ, ფანჯრიდან მოვისვრი!

ამ სიტყვებით იორქშირელი ფანჯარასთან მივიდა და ქაღალდი ეზოში ისროლა. ქვემოდან ისეთი ხმა მოისმა, თითქოს ფილაზე ფურცელი კი არა, რაღაცა მძიმე დაეცა...

◆ ◆ ◆

მისტერ ჰებლთუეითმა გაშლილი პარტიტურა ხელში აიღო და ბანეტის მიუახლოვდა.

— ბატონო ჩემო, არ ვიცი, მუსიკა გიტაცებთ თუ არა, მაგრამ ჰენდელი მართლაც რომ შესანიშნავი კომპოზიტორია და...

ამ სიტყვებს მოქმედება მოჰყვა, მძლავრი და მყისიერი: ინგლისელმა ისეთი ძალით სდრუზა ფოლიანტი განგსტერს თავში, რომ ეს უკანასკნელი ერთ მხარეს გადავარდა, მისი პისტოლეტი კი — მეორე მხარეს...

განგსტერებისა და ჰენდელმცოდნეების ორთაბრძოლა იქნებ მეტხანსაც გაგრძელებულიყო, კარი რომ არ გაღებულიყო და ოთახში რამდენიმე სამართალდამცავი არ შემოჭრილიყო...

◆ ◆ ◆

სინი სავარძლებში ისხდნენ და უჩვეულო სიგრძის არომატულ სიგარებს ახრჩოლებდნენ.

— მაინც ვერ ვხვდები, ამ ტიპებს აქ რა უნდოდათ, — შენიშნა მისტერ ჰებლთუეითმა.

— ჩემი აზრით, ეს განგსტერიზმის ახალი სახეობაა, — თქვა მისტერ ონგარმა, — თქვენ რომ არა, მზა ჩეკზე ხელს მომაწერინებდნენ, ბანკში ფულს აიღებდნენ და ახლა ან პარიზში იქნებოდნენ, ან ბერლინში. მოყევით, პოლიციელებს როგორ შეატყობინეთ.

— კარგად გამოვიდა, — ჩაიცინა იორქშირელმა, — თუმცა წარმატების იმედი ნაკლებად მქონდა. მოკლედ, საძინებელში დავზწერე, აქ რომ საშიში რაღაცა ხდებოდა და, როგორც მიხვდით, საპონთან ერთად ფანჯრიდან გადავაგდე. საბედნიეროდ, ამ განგსტერებს საპნის დავარდნის ხმა არ გაუგონიათ ან არაფრად ჩააგდეს, ქვევით კი, როგორც აღმოჩნდა, ნახეს და შედეგმაც არ დააყოვნა.

— თქვენი მოხერხებულობა მაოცებს! — შესძახა ამერიკელმა, — ჩვენს კომპანიას სწორედ თქვენნაირი ადამიანი სჭირდება. სიამოვნებით მიგიღებთ. პირობები დამისახელეთ.

— გმადლობთ, მისტერ ონგარ, მაგრამ ჩემს კოოპერაციას ვერ ვუღალატებ. ისე, თუ ჩემთვის მადლობის გადახდა გინდათ, ერთ იდეას შემოგთავაზებთ.

— აბა?

— ჩვენს კონცერტს დაესწარით. გპირდებით, რომ ნამდვილ ჰენდელს მოგასმენინებთ და, თუ მართლა მოგეწონებათ, ქველმოქმედების სახით ჩვენს ხაზინას სოლიდური თანხა შემოსწირეთ. მპირდებით?

— აუცილებლად, — შეჰპირდა მისტერ ონგარი და უცებ ექიდნურად გაიღიმა: — ოღონდ არ დაგავიწყდეთ, „იუდა მაკაბელი“ რომ თქვენ გააყალბეთ და არა — მე. ეს ხომ თავადაც აღიარეთ, საძინებლიდან რომ გამოხვედით და პარტიტურას შეადარეთ, ასე რომ...

— მანდ კი ცდებით! — მოუჭრა იორქშირელმა, — ეს განზრახ ვთქვი, ქაღალდი რომ გადამეგდო და მასთან ერთად საპონიც, — მან იატაკიდან პარტიტურა აიღო, — აი, დახედეთ და კიდევ ერთხელ ვნახოთ, ვინაა მართალი და ვინ — არა.

ორივემ სტვენა დაიწყო.

ამ მეცადინეობის დროს შემოუსწრო მათ ოტელის მეპატრონემ, ბოდიში რომ მოეხადა მილიონერი ამერიკელისთვის.

◆ ◆ ◆

გონი, დროა, განგსტერთა რისხვას და ჰენდელის მოყვარულთ ჩვენც დავემშვიდობოთ.

**დასასრული**

✓ **თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი**



Cyan Magenta Yellow Black

www.facebook.com/Tinatinbonney
თინათინ ბონი

# ეიფორია

დასაწყისი №7-20

## მესამე ნაწილი

### ჰალუცინაციური ბოდვა

ცივ ოფლში მეღვიძება. სანდროს მშვიდად სძინავს. ვიღებ უჯრიდან აიპოდს და ყურსასმენებს ვიკეთებ. „Imagine Dragons — it's Time“ იწყება და ბალიშში ვრგავ თავს. გული ამოვარდნაზე მაქვს და მეტირება. რას განვიცდი ასე? ნუთუ ვიღაც ქალზე ვფიქრობ, რომელზეც თითქმის არაფერი ვიცი? როგორ მესმის ახლა სანდროსი. მე არასდროს მიეჭვიანია მის ქალებზე, მაგრამ გულს მიკლავს ის, რომ შესაძლებელია მას ნატალია უფრო უყვარდა, ვიდრე მე. სანამ მეტს არ გავიგებ მის შესახებ, ვერ მოვისვენებ. მაგრამ როგორ? ინტერნეტში ყველა სანდროს მეგობარი ნატალია მოვძებნო? თუ დაოჯახებულია და მათი რომანი დრამატული იყო, არც ეყოლება მეგობრებში. თამილას რომ ვკითხო? „Passenger — Let Her Go“ იწყება და სოლისტის ტკბილ ხმაზე ძილი მერევა.

ვხედავ სანდროს. ის ჩემ წინ ზის და თითქოს ვერ მხედავს. მის უკან ქალი დგას. მხოლოდ მის სილუეტს ვხედავ. მინდა, კარგად შევათვალიერო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ის უახლოვდება სანდროს და ხელებს ადებს ბეჭებზე. სანდრო მის ხელს იღებს და შუშის თვალებით მიყურებს. ისეთი ლამაზია და სხვისია.

ახლა უკვე წამოხტომით მეღვიძება. აიპოდში „Quenn — You Don't Fool Me“ უკრავს. ვეყუდები ბალიშს და ღრმად ვსუნთქავ. რა მემართება? მგონი, მეშინია იმის, რომ მივხვდი, რატომ ვუყვარვარ სანდროს. მე ნატალიას მიერ შექმნილ სიცარიელეს ვუვსებდი პირველივე დღიდან. ამიტომაც მაპატია ამდენი. ჩუმად ვდგები საწოლიდან. აიპოდს ვიმაგრებ პერანგზე და თითის წვერებზე გავდივარ გარდერობის ოთახში. ვხსნი ყუთს, სადაც წერილი იდო. წერილი აღარ დევს. გადამალა! ესე იგი აქ აღარ ექნება არაფერი. ძალიან ფრთხილად ვაბრუნებ ყუთს თავის ადგილზე. მოჩვენებასავით გავდივარ სანდროს კაბინეტში. ვჯდები სავარძელში და ვცდილობ, გამოვიცნო, სად ექნება სანუკვარი წერილი შენახული. სიმღერა გადადის და იწყება „The XX — infinity“. მე რომ ვიყო სანდრო, წერილს სადმე ჩავკეტავდი. ვცდილობ, გავაღო უჯრები. იღება ყველა, ერთის გარდა. აჰა! ახლა მინდა გასაღები. ვდგები და ვიწყებ ფურცლებში ქექვას.

— ამას ეძებ? — ძლივს ვიგებ სიმღერით გადაფარულ სანდროს ხმას.

ვკრთები და ძირს ვყრი მთელ ფურცლებს. სანდრო სინათლეს ანთებს და ვხედავ, რომ ხელში გასაღები უჭირავს. და რა უნდა ვუთხრა? რომ შიზოფრენიკი ვარ და თვითონ არ ვიცი, რა ჯანდაბას ვეძებ? სანდრო მიახლოვდება და გასაღებს მაძლევს.

— მიდი, ნახე.

უნამუსოდ ვხსნი უჯრას და ვხედავ, რომ შიგნით დევს ბლოკნოტი, ფულით სავსე კონვერტი და პატარა ბოთლი კონიაკი. ძალიან მრცხვენია.

— ძილის დროა, — სანდრო შუქს აქრობს და გადის.

თავჩახრილი შევდივარ საძინებელში და კართან ვიტუზები.

— დაწექი, — მიბრძანებს სანდრო.

ვწვები საწოლზე და აიპოდს ვდებ ტუმბოზე. სანდრო ზურგზე წევს. მეც ზურგზე ვწვები.

— წერილი გადავაგდე, აქამდეც უნდა გადამეგდო, — ამბობს სანდრო.

— სანდრო, არ ვიცი, რა დამეტაკა.

— შენ არასდროს არ იცი არაფერი.

— გაბრაზდი? — ვისაწყლებ თავს.

— არა, მაგრამ იმდენს ნუ იზამ, რომ გავბრაზდე, — სანდრო თავისკენ მწევს, მკოცნის და ყურში მიჩურჩულებს, — რატომ ვერ ისვენებ?

— ეგ რომ ვიცოდე, მოსვენებული ვიქნებოდი.

სანდრო მიღიტინებს და ისტერიკულად ვიცინი. ვცდილობ, ხელიდან დავუსხლტე და საწოლიდან ვგორდები. სანდრო იგუდება სიცილით. მეც ვხარხარებ იატაკზე. ვძვრები უკან საწოლზე და ახლა სანდროს ვუღიტინებ.

— ღენა, გაჩერდი, გული გამისკდება! — ბოლო ხმაზე ღრიალებს სანდრო.

ვიწყალებ და საწოლის ჩემს მხარეზე ვბრუნდები.

— შეიძლება კი შევეჩვიოთ ერთად ცხოვრებას. რას იტყვი? — მეკითხება სანდრო.

— რა ვი... — ვამბობ კისკისით.

— იმედი მქონდეს, რომ სადილსაც გამიკეთებ? — სანდრო იდაყვებზე იწევა.

— სულ ტყუილად, მარანძანა! შანსი ნული! — ვეუბნები და ვხვდები, რომ ძალიან მინდა მოწევა, — სიგარეტი მინდა.

— როდიდან?

— ახლა მინდა.

— ადე, წამო, ტერასაზე, — სანდრო ლოგინიდან ხტება და სამზარეულოში გარბის.

გავდივარ ტერასაზე. ძალიან თბილი საღამოა. ხედი ხომ საერთოდ შეუდარებელია. მესმის მუსიკის ხმა, სანდრო რისი სანდროა, ტერასაზე რომ სფიქერები არ ჰქონდეს. „Simply Red — Picture Book“ ისე უხდება ღამეს. სანდრო გამოდის კონიაკის ორი ჭიქით ხელში. პირში მოკიდებული სიგარა აქვს გაჩრილი. მაწვდის ჭიქას. კმაყოფილი სახით ვართმევ. სიმღერა მეორდება. გამეორებაზე დაუყენებია. ეს ღამე საინტერესო იქნება. სანდრო მოაჯირს ეყუდება.

— ჩინ ცინ! — ამბობს სანდრო და ჭიქას მიჭახუნებს.

ძალიან სასიამოვნო კონიაკია. სანდრო სიგარასაც მიზიარებს, შოკოლადისაა. რა კარგია ცხოვრება და კარგად ცხოვრება ხომ საერთოდ გადასარევია! ვდგავართ, ვტკბებით ხედით, ვწრუპავთ კონიაკს, ვეწევით სიგარას. სასიამოვნო ნიავია. სანდრო წელზე მხვევს ხელს და კისერში მკოცნის.

— არასდროს დავკმაყოფილდები შენი სხეულით. რაც უფრო მეტ დროს ატარებ ჩემთან, მით უფრო მეტად მიზიდავ.

სანდროს სიტყვების გაგონებაზე სულ მბურძგლავს.

— გცივა? — სანდრო მიხუტებს.

— არა, — ვეუბნები და ტუჩებში ვკოცნი.

ჭიქას მოაჯირზე ვდებ, სანდროს ჭიქის გვერდით. მაისურს ვხდი. მისი დაკუნთული სხეული მთვარის შუქზე კიდევ უფრო ლამაზია. მოაჯირთან მდგარ მაგიდაზე ვჯდები და მოაჯირს ვეყუდები. სანდროს ცინიკურად ეღიმება.

— ერთი გოგო გამახსენდა, ჩემი შიშველი სხეულის დანახვაზე რომ თვალებზე ხელს იფარებდა, — ჩემი უმანკოების პერიოდს მახსენებს სანდრო.

— კი, იყო ერთი ეგეთი. მოდი აქ! — ვეუბნები ისე, რომ ხმას აღარ იღებს და მიახლოვდება.

საოცარი მუსიკა, საოცარი მამაკაცის სხეული და ულამაზესი მშვიდი ცა. ვტკბები თითო წამით, თითო ჰანგით, თითო შეხებით. შეგრძნებების პიკზე ვარ და მინდა, ასე ვიყო მუდამ...

სანდროს კოცნა მაღვიძებს. ვიზმორები და ბალიშს ვიფარებ თავზე. არ მინდა ადგომა. მოთენთილი ვარ.

— მე უნდა გავიდე საქმეზე, მალე მოვალ და, რაც გინდა, ის გავაკეთოთ.

— კარგია.

სანდრო ბეჭზე მკოცნის და საბანს მაძრობს.

— მინდა წასვლის წინ კიდევ ერთხელ დავტკბე ამ სილამაზით.

კმაყოფილს მეღიმება. სანდრო საბანს მაფარებს და მიდის. რა კარგი დილაა, მაგრამ რამდენიმე დღეში სახლში დავბრუნდები და არ ვიცი, როგორ გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა. ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. ამ დილას სჭირდება მუსიკა. ვდგები საწოლიდან და გავდივარ დიდ ოთახში. ბოლო ხმაზე ვრთავ „Mozez — Feel Free“. მე ბედნიერი ვარ. ვიქნევ ხელ-ფეხს უაზროდ. რა კარგია! უცებ ვატყობ, რომ ჩემ წინ ძალიან გამხდარი და ძალიან მაღალი, ჭაღარა ქალბატონი დგას. შიშისგან ადგილზე ვიყინები.

— დილა მშვიდობის, — მეუბნება ქალი.

ოღონდ ესეც სანდროს საყვარელი არ იყოს, თორემ პირდაპირ ტერასის მოაჯირიდან ვიფრენ. და საერთოდ, ამ სახლში კარი ან არ იკეტება, ან მთელ თბილისს აქვს გასაღები.

— სალამი, — ვეუბნები და პერანგს ვიწევ დაბლა.

— ჩემი ნუ მოგერიდებათ. მივალაგებ და მალევე წავალ.

დამლაგებელია! როგორ არ გამაფრთხილა სანდრომ?

— პირიქით, ვეცდები, ხელი არ შეგიშალოთ, — გავდივარ საძინებელში.

ვიცვამ ტანსაცმელს და ვბრუნდები დიდ ოთახში. დამლაგებელი, რომლის სახელის კითხვაც დამავიწყდა, სერიოზული სახით ხვეტავს იატაკს.

— თქვენი სახელი? — ვეკითხები.



Cyan Magenta Yellow Black

— ჟანეტი.
— ჩემი — ლენა.
— მე ვიცი, თქვენ ვინც ხართ, — მეუბნება უკმეხად.
აშკარად არ ვეხატები გულზე.
— სასიამოვნოა, — ვეუბნები.
თვითონ დუმს. ახლა არ დამიწყოს, რომ გული ვატკინე სანდროს და ამიტომ უნდა დამწვან კოცონზე ან ტუფის ქვით გამიჩეჩქონ თავი. სრულ იგნორში ვყავარ და აგრძელებს დალაგებას.
— დიდი ხანია, იცნობთ მარანძანებს?
— ძალიან, — მეუბნება მშრალად.
— მე არ მოგწონვართ, როგორც ვხვდები, — აღარ ვერიდები.
— მე არავინ მომწონს, ვინც ალეს ტანჯავს.
ალე? არავინ ეძახის მას ალეს. ეს ქალი ალბათ მისი ძიძაც იყო ერთ დროს.
— მე არავის ვტანჯავ. ნუ, ახლა აღარ ვტანჯავ.
— კარგია, — ამბობს ისე, რომ ზედაც არ მიყურებს.
— მე მართლაც ვცდილობ, რომ ჩვენი ურთიერთობა დალაგდეს, — რატომ გადავწყვიტე, რომ ამ ქალს გადავუშალო გული?
— გადასარევი, — ჟანეტი ახლა მტვერს წმენდს.
— ისე, არც თქვენი სანდროა ანგელოზი, — ვამბობ და ჟანეტის ცეცხლოვანი გამოხედვის მერე ვნანობ, რომ ეს ვთქვი. ახლა მტვრის ტილოს ჩამჩრის ხახაში და გადამკიდებს ფანჯრიდან.

— სცდებით, — მეუბნება და ისევ თავის საქმეს უბრუნდება.
— მე არ ვარ ნატალიასნაირი! — აი, ახლა ვიცი, რომ დამაჭედებს.
ჟანეტი კრთება, მაგრამ საქმეს აგრძელებს.
— ვიცი, რომ არაფერს მეტყვით, თუმცა მთელი გულით მინდა, რომ ვიცოდე, რა მოხდა.
— თუ საჭიროა, რომ რამე იცოდეთ, სანდრო თვითონ გიამბობთ, — ჟანეტი მტვერსასრუტს რთავს და იძულებული ვარ, დავბრუნდე საძინებელში.
მთავარია, ახლა ვიცი, რომ ბევრად დიდი ისტორიაა ნატალიას უკან, ვიდრე მე ვიცი. ჟანეტი უნდა დავიდაქალო და მოვაყოლო ყველაფერი. იქნებ ჯობია, დავივიწყო? სანდრომ გასაგებად მითხრა, რომ არაფერი ისეთი მათ შორის არ ყოფილა, თუმცა რიგითი რომანი რომ ყოფილიყო, ჟანეტს არ ეცოდინებოდა მისი არსებობის შესახებ. სერიოზული ფსიქოზი მაქვს. ნეტა ამ სახლში თუა ნამყოფი? არაა! ასი წლის წინ იყო ეგ ამბავი. ან იქნებ ახლა საქართველოში დაბრუნდა? იქნებ დღემდე აქვთ ურთიერთობა? ჰაერზე უნდა გავიდე.
მივსეირნობ ქუჩაში. მობილური არ წამოვიღე, რომ არავინ შემაწუხოს. უნდა დავმშვიდდე ცოტა. აიპოდი ყურებში და უბრალოდ მივუყვები გზას. ვუსმენ „George Michael— True Faith“. მე უნდა დავალაგო ჩემი გონება ან გავრეკავ.
ვრეკავ ზარს და სანდრო კარს მიღებს. სახე აქვს წაშლილი.
— სად იყავი? — მეკითხება მკაცრად.
— სასეირნოდ, — შევდივარ ოთახში და ფეხზე ვიხდი.
— და მობილური ვერ წაიღე?
— არ მინდოდა. რა პრობლემაა?
— არაფერი, — სანდრო სამზარეულოში გადის და წყალს ისხამს.
უკნიდან ვეხუტები და ზურგზე ვკოცნი.
— არ მითხრა, რომ გეგონა, გავიქეცი.
ხმას არ იღებს.
— სანდრო, მე არსად აღარ წავალ! — ვეუბნები და სახით ჩემკენ ვატრიალებ, — და არც შენ არსად არ გაგიშვებ! არასდროს!
ვეხუტები და მკერდზე ვადებ თავს. ხელებს მხვევს და თავზე მკოცნის.
— კარგი აზრი მაქვს. გინდა, პოპკორნი გავაკეთოთ და რამე სერიალს ჩავუსხდეთ? — ვთავაზობ მე.
— მოდი, — სანდროს სახე ცოტა წყნარდება.
— სად გიდევს პოპკორნი?
— მე გავაკეთებ, შენ სერიალი შეარჩიე.

გავდივარ დიდ ოთახში. ვუერთებ ლეპტოპს ტელევიზორს და ვიწყებ სერიალების თვალიერებას. მძიმე, არ მინდა, რომ იყოს და არც ბანალური. ვრთავ „Breaking Bad“-ს. ნაწყვეტები მაქვს ნანახი და ვიცი, რომ მაგარია. სანდრო შემოდის და პოპკორნით სავსე ჯამს დებს მაგიდაზე. ვსხდებით სავარძელში და ვრთავთ სერიალს. თვალს ვაპარებ სანდროსკენ. ამჩნევს ამას და თეძოზე მჩქმეტს.
— ყველაფერი კარგადაა, — მეუბნება ღიმილით.
ვიხრები მისკენ და ლოყაზე ვკოცნი.
— იცი, მიყვარხარ, — ვეუბნები მშვიდად.
თვალები უნათდება და მიღიმის.
— მე უფრო მიყვარხარ.
ბეჭზე ვადებ თავს და განვაგრძობთ სერიალის ყურებას.
ოთხი სერიის მერე ტვინგამოლაყებულები ვდგებით და ტერასაზე გავდივართ.
— ამდენი ხანი ტელევიზორთვის არ მიყურებია, მგონი, ბავშვობის მერე, — ამბობს სანდრო და თვალებს ისრესს.
— წამო, წავიდეთ სადმე.
— მაინც?
— სუზანასთან, — რატომ მომინდა ახლა იქ წასვლა?
სანდრო იძაბება.
— სანდრო, დათოს ნახვა არ მინდა, იქ არც იქნება.
— კი, მაგრამ ისინი დაგეხმარნენ თქვენ გაქცევაში და, დიდი სურვილი მაქვს-მეთქი მაგათი ნახვის, მოგატყუებ.
— წამო, მაშინ შენებთან გავიდეთ.
— ჩემებთან? — მეკითხება სანდრო გაოცებული.
— ხო, რა გაგიკვირდა?
— დედაჩემთან?
— ხო.
— ლენა, რა ხდება?
— უნდა ხდებოდეს რამე?
— კითხვაზე კითხვით ნუ მპასუხობ!
— სულელურ კითხვებს ნუ მისვამ მაშინ.
— დედაჩემს გინდა, რომ დაელაპარაკო ნატალიაზე?
ტუჩებს ვპრუწავ. პრუწვა არის ბრუცვას და ქათმის ტაკოს შორის არსებული მსგავსება.
— მითხარი, რომ ჟანეტს არ ჰკითხე არაფერი! — სანდრო ხელს მკიდებს.
— სანდრო, მანიაკი ნუ გამოგყავარ.
— მანიაკივით იქცევი, ლენა!
— კარგი, მაშინ მომიყევი ყველაფერი.
— შენთვის ასეთი აუცილებელია, რომ ეს მიჩუმებული ტკივილი ამომიტივტივო?
— ანუ ახლაც გრძნობ რაღაცას!
— ღმერთო! — სანდრო ოხრავს და შიგნით შედის.
მანიაკივით მივდევ უკან. სამზარეულოში კარადას აღებს და წამლების პარკის ქვემოდან იღებს კარტს.
— გინდა, ბურა ვითამაშოთ? — მშვიდად მეკითხება.
იმისდა მიუხედავად, რომ მინდა, ვიწივლო და ვაჭამო კარტი, მშვიდად ვპასუხობ:
— მოდი.
ვსხდებით სამზარეულოს მაგიდასთან და ვიწყებთ თამაშს. სანდრო მშვენიერ ხასიათზეა. ეტყობა, იმდენად არ უნდა ნატალიას გახსენება, რომ ასეთი არაადეკვატური რეაქცია ჰქონდა ჩემს გამოკითხვებზე.

■

ცივ ოფლში მეღვიძება.ისევ სანდრო და ნატალია დამესიზმრენ. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ მოწიწებით ეჭირა სანდროს მისი ხელი. ნატალიას სახეს ისევ ვერ ვხედავდი. სანდროს კი ისეთი თვალები ჰქონდა, გული კინაღამ გამისკდა. რა უქნა ამისთანა იმ არაადამიანმა? არა და წერილის საფუძველზე სულაც არ ჩავთვალე, რომ ცუდი ადამიანი იყო. ვიხრები სანდროსკენ და შუბლზე ვკოცნი.
— მიყვარხარ, — ვეჩურჩულები ყურში.
სანდრო იშმუშნება და გვერდზე ტრიალდება. უკნიდან ვეხუტები, კისერზე ვადებ ცხვირს და ვიძინებ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

# მანიავა

„ამქვეყნად ისე რაფერი აახლოებს ადამიანებს, როგორც საერთო ინტერესები“, — გადმომივარდა თავიდან ჭეშმარიტება და, მიუხედავად იმისა, რომ ათასგზის მომისმენია მსგავსი ფრაზები, მაინც პირველადმომჩენივით ამაყად შევხედე გვენს.

მას დღეს პირველად შევხდი კაფეში, მაგრამ იმდენი ვექაქანე, რომ ყავაც ვერ დავლიე წესიერად — გაცივდა. მე კი არ მიყვარს ცივი ყავა, სიცხეშიც კი. საერთოდ, ცივი არაფერი მიყვარს, არც საკვები, არც ამინდი, ადამიანები ხომ — საერთოდ. სულ ვამბობ ხოლმე, სიცივე მერეც მეყოფა, სამარეში-მეთქი, თუმცა ახლა სამარე რა მოსატანია, ჯერჯერობით ცოცხალი ვარ, სიკვდილს ერთი სამოცი წელი არ ვაპირებ, მერე ვნახოთ. ახლა კი დღევანდელი დღით და კალორიებით დახუნძლული ფაჰლავით ვტკბები...

ჰო, საერთო ინტერესებზე ვამბობდი:

მე და გვენს სწორედ ეს საერთო ინტერესი გვქონდა, ჩვენ ვიყავით ქალები, „რომლებსაც ლიტერატურა უყვარდათ“, უფრო სწორად კი, ზოგადად ხელოვნება. ერთმანეთი ინტერნეტში აღმოვაჩინეთ და რაღაცნაირად მოვერგეთ ერთმანეთს, თითქოს დიდიხნის მეგობრები ვიყავით, ძალიან დიდი ხნის მეგობრები, რომლებიც წლების მერე შემთხვევით ისევ შეხვდნენ ერთმანეთს და ახლა, ამ შემთხვევითობის წყალობით, დიდ ტკბობასა და სწორედ ისეთ ნეტარებას განვიცდიდი, რომელიც ხშირად ჩნდება ასეთ დროს.

ვისხედით ერთ პატარა, თურქულ კაფეში, გაპრიალებულ, საგულდაგულოდ გაკრეჭილ აღმაშენებლის გამზირზე, შინაურულად მაინც პლეხანოვად რომ დარჩა და ახლა თოჯინების თეატრის დეკორაციას ჰგავდა — კარგად განათებულს, მაგრამ უჩრდილოს.

მე კი, მიუხედავად იმისა, რომ სიახლე ძალიანაც მიყვარს, ამ გამზირის ჭადრების და სიმწვანის ნოსტალგია მქონდა: ნეტავ რას ერჩოდნენ, რა უნდოდათ, ყოფილიყვნენ ეს ხეებიც...

მოკლედ, ვისხედით მე და გვენი, ვსვამდით ყავას, ვეწეოდით, არც თურქულ ნუგბარზე გვითქვამს უარი, მერე თითქოს გამჭვირვალე ფარდა ჩამოვაფარეთ მაგიდასთან — ვერავის ვხედავდით ირგვლივ, არავის საუბარი არ გვესმოდა, მიუხედავად იმისა, რომ კაფე ფუსფუსებდა, ვიღაცები შემოდიოდნენ და გადიოდნენ, დგებოდნენ და სხდებოდნენ, ცვლიდნენ ერთმანეთს... ეს ყველაფერი სადღაც, კადრმიღმა ხდებოდა, ჩვენ კი ვსაუბრობდით ხელოვნებაზე და, რა თქმა უნდა, ერთმანეთზე და კიდევ უფრო ვრწმუნდებოდი, რა ახლობელი იყო ეს გოგო ჩემთვის.

როგორც ჩანს, დრო იმდენად აჩქარდა, რომ ადამიანები მოვლენების დაჩქარებასაც ცდილობენ. თუ ადრე ერთი ფუთი მარილის ჭამა იყო საჭირო მეგობრის ამოსაცნობად, ახლა ერთი მწიკვიც საკმარისია. სად არის იმის დრო, ქვამარილი ლოკო და ელოდო, როდის გაილევა. როცა გაილევა, იქნებ სულაც აღმოაჩინო, რომ რასაც ელოდი, ის ან არის, ან — არა?

მოგწონს ადამიანი? იმეგობრე, არ მოგწონს? ნუ იმეგობრებ. ცხოვრება დიდ არჩევანს გაძლევს ამისთვის. იმის თქმა მინდა, რომ გვენთან ერთი ფუთი მარილი არ მიჭამია, სხვათა შორის, არც ერთი მწიკვი, მაგრამ, აი, ჩემიანი კი იყო, ნამდვილად ჩემიანი.

ისე, გვენი სულაც არ ერქვა, აბა, რომელ ქართველს ჰქვია გვენი? უბრალოდ, ამ ფსევდონიმით, ანუ „ნიკით“ იყო ყველგან დარეგისტრირებული, მე კი ეს „ნიკი“ ბევრად უფრო მომწონდა, ვიდრე მისი ნამდვილი სახელი — მაია, ამიტომ ახლაც, რეალურად გაცნობის მერეც, გვენს ვეძახდი.

— და რატომ გვენი? — ეს კი ვკითხე.

— ოჰ, სრულიად შემთხვევით, — გაეცინა, — დარეგისტრირების დროს აგატა კრისტის „მივიწყებულ მკვლელობას“ ვკითხულობდი, იქ არის ეს პერსონაჟი — გვენი, თავის ბავშვობაში მომხდარ მკვლელობას რომ იძიებს.

— აჰ, ეგ ხომ ვიცი, — გამახსენდა, — მის მარპლზე ვგიჟდები. რომ იცოდე, რამდენჯერ მინატრია მის ადგილზე ყოფნა.

— მის მარპლის ადგილზე? — ყავა ლამის გადასცდა გვენს, კარგად შემათვალიერა, — ისე, გარეგნულად კი ჰგავხარ, ხომ იცი, შენნაირი პერსონაჟია. და, ესე იგი ძალიან ცნობისმოყვარე ყოფილხარ, არა?

— რა თქმა უნდა, — მაშინვე დავეთანხმე, — რომელი ქალი არაა ცნობისმოყვარე?

— მე, — დაბეჯითებით მითხრა გვენმა, — ისიც კი არ ვიცი, გვერდით ბინაში ვინ ცხოვრობს. არ მაინტერესებს.

— ძლივს არ ვიპოვე ჩვენ შორის ერთი განსხვავება?! — „შვებით“ ამოვისუნთქე, — მე კი, სულ ვნატრობ, რა მოხდება, ერთი სულ პაწაწინა, უგვამო და უმტკივნეულო დანაშაული ჩამივარდეს ხელში, ავფუსფუსდებოდი და გავხსნიდი. რომ იცოდე, დიდ პოტენციას ვგრძნობ ჩემში, მაგრამ რად გინდა, სადაა ეგეთი დანაშაული — პაწაწინა და უმტკივნეულო?

— მე ვიცი ერთი! — წამოიძახა გვენმა.

— ოჰ, თქვი, რა, — ირონიულად ჩამეცინა, — ერთი კი არა, ასი ვიცი, მაგრამ ისეთები — გვამებით და ტრილერებით. მე კი ეგეთ ფილმსაც ვერ ვუყურებ, საკმაოდ მშიშარა ვარ სამაგისოდ.

— ვერ ყოფილხარ კარგი მის მარპლი, — „ჩამომაქვეითა“ გვენმა, აშკარად დამცინა, — არადა მინდოდა, პატარა გამოძიება ჩაგეტარებინა.

— ჰოო? — მაშინვე ვცქვიტე ჯერ ერთი, მერე მეორე ყური, — და რა საქმე? და რამდენს გადამიხდიან? და რა ხდება? და შენ შეგემთხვა თუ სხვას? და...

— მოიცადე, მოიცადე, თავბრუ დამეხვა, — გამაჩერა გვენმა, — ახლა კარგად მომისმინე...

სასწრაფოდ გადავყლაპე ფაჰლავის კიდევ ერთი ნაჭერი, მაგიდაზე ჩამოვეყრდენი, გვენისკენ გადავიხარე და იდუმალი ხმით ვუთხარი:

— გისმენ.

— გახსოვს, ამას წინათ ფორუმზე ერთი ტიპი რომ გამოჩნდა? — უფრო იდუმალი ხმით მითხრა გვენმა.

— ეე, იქ იმდენი ტიპი ჩანს... — გამიცრუვდა იმედი, — სულ ეგაა?

— არა, მომისმინე, კ.დ.-ზე ვამბობ, — დამიკონკრეტა გვენმა.

— უი, იმ გარეკილზე ამბობ? — როგორ არ ვიცი, ცოტა ხნის წინ გამოჩნდა ერთ-ერთ ფორუმზე, სწორედ ასეთი „ნიკით“ — კ.დ.

მგონი, არავინ იცის, რეალურად ვინაა. გვენის ყველა პოსტს და ფოტოს „ალაიქებს“, მის მიმართ ზედმეტ სიმპათიას იჩენს, ყველა მის კომენტარს კუდში დასდევს და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამოჩემებული ჰყავს.

— და რა, რეალურად გამოჩნდა? ვინაა? როგორია? ქალია თუ კაცი? ასაკით? — მივაყარე ისევ კითხვები.

— არა, რას ამბობ, რა გამოჩნდა! ღმერთმა დამიფაროს! — შეიცხადა გვენმა, — კიდევ კარგი, არც ჩემი სახელი იცის, არც გვარი, არც მისამართი, მოკლედ, არაფერი — გვენი ვარ და მორჩა, ისევე, როგორც თავადაა კ.დ. მაგრამ, იცი რა, რაღაცნაირად მაფიქრებს. რომ იცოდე, როგორ წერილებს მწერს მეილზე...

— როგორ წერილებს? — ვიგრძენი, რომ ველარ ვითმენდი.

— როგორს და... რა ვიცი, როგორ გითხრა, მე მგონი, სერიოზული პრობლემები აქვს ფსიქიკასთან, — ჩაფიქრებით თქვა გვენმა, — არ მიცნობს, წარმოდგენა არ აქვს, ვინ ვარ, რამდენი წლის, როგორი და ა.შ. და ჯერ სიყვარულს მიხსნის, მერე მემუქრება, მერე ისევ სიყვარულს მიხსნის, მერე ისევ მემუქრება... ერთიორჯერ ვუპასუხე, მივახვედრე, რომ ჩემთან დროს ტყუილად კარგავდა, მაგრამ მანამდე თუ დღეში ერთხელ მწერდა, ახლა დღეში ორჯერ მწერს. უცნაური რა არის, იცი? და, ჩემი აზრით, ყველაზე უცნაურიც: წერილებს ზუსტად ერთსა და იმავე დროს აგზავნის, ზუსტად დილის რვა საათზე და ზუსტად საღამოს რვა საათზე. ეტყობა, მერე იძინებს „ბავშვი“.

— აჰა, — ჩავფიქრდი, ოღონდ მართლა და ოღონდ სერიოზულად. გვენს შევატყვე, რომ ცოტა დაფრთხა.

— კი არ იძინებს, ზუსტად თორმეტსაათიან შუალედებს აკეთებს. ვერ გავიგე, თორმეტსაათიან ანტიბიოტიკს სვამს თუ წერილს მიგზავნის? — მაინც არ გაიტეხა იხტიბარი გვენმა და გაიხუმრასავით.

— არა, ეგ პედანტიზმიც ერთგვარი გადახრაა, დამატებით. მგონი, მართლა სერიოზულადაა საქმე.

— კარგი ერთი, რა, — ხელი ჩაიქნია გვენმა, — ესეც იმიტომ გითხარი, მის მარპლობაზე რომ გქონდა პრეტენზია, თორემ მაინცდამაინც არ მაღელვებს ეგ საკითხი. ერთი პერიოდი მაღელვებდა, მაგრამ ახლა... — და თვალები აუციმციმდა.

— რა ახლა? — ესეც მაინტერესებდა, აბა, რა! აზარტში ვიყავი შესული.



Cyan Magenta Yellow Black

— მისმინე, მგონი, შეყვარებული ვარ, — თვალები უფრო მეტად აუციმციმდა გვენს.

— მართლა? — ავცმუკდი სკამზე, სულ დამავიწყდა, ცოტა ხნის წინ ერთი პაწაწინა, უგვამო და უმტკივნეულო დანაშაულის გახსნაზე რომ ვოცნებობდი.

— ჰო, მართლა, — გვენმა ღრმად ამოისუნთქა, — მოკლედ, არის ერთი ძალიან კარგი ადამიანი, არცთუ ისე დიდი ხანია, ვხვდებით ერთმანეთს. ისე კარგად ვარ, მიკვირს კიდეც და, ცოტა არ იყოს, მეშინია.

— დიდი ხანია იცნობ? — ვკითხე, ცოტა არ იყოს, დაეჭვებულმა.

— ორი თვე იქნება, მაგრამ ასე მგონია, წლებია, რაც ვიცნობ, — გვენს ახლა მარტო თვალები კი არა, მთელი სახე აუციმციმდა, — უცნაურია, ძალიან უცნაური.

თავი შევიკავე, რომ რაიმე მეთქვა, თუნდაც ის, რაც გავიფიქრე. გვენი უჭკუო გოგო არ არის, არც მიამტი, წესით, მაშინვე უნდა მიმხვდარიყო.

აი, როგორი ამბავია... ჰგონია, არაჩვეულებრივ ადამიანს ხვდება, ბედნიერია და ამ დროს... არა, უნდა ვუთხრა, რომ ფრთხილად იყოს...

— გვენ, — დავიწყე, — არ გიფიქრია, რომ ის, ვირტუალური დ.კ. და ეს, შენი რეალური, ერთი და იგივე პიროვნებაა?

— რაა?! — თვალები გაუფართოვდა გვენს, მერე სიცილი აუტყდა, — ვაიმე, მართლა მის მარპლი ხარ, ნამდვილი... და უფრო ნამდვილი, ვიდრე თავად აგატა კრისტის პერსონაჟი.

— მე ჩემი მითქვამს და შენი საქმისა შენ იცი, — ვუთხარი და საუბარი სხვა თემაზე გადავიტანე, ხელოვნებას დავუბრუნდი.

ბოლოს და ბოლოს რა ჩემი საქმე იყო გვენის პირად ცხოვრებაში ჩარევა? ან მე რა ვიცოდი, ვინ ვინ იყო, ის ვიღაც კ.დ. — მით უმეტეს. ასეთები გამოჩენილან ვირტუალურ სამყაროში? შეიძლება გოგოცაა და ასე ხუმრობს, მე რა ვიცი... მოკლედ, არ ღირდა ნერვების მოშლად, მეორე დღეს ერთი პროექტის პრეზენტაციაზე მივდიოდით და ახლა იმაზე გადავერთეთ.

...არა, მართლა რა კარგია, როცა ზიხარ ისეთ ადამიანთან, ვისთანაც საერთო ინტერესები გაქვს და ათას საკითხზე მსჯელობ და ეს სულაც არაა მომაბეზრებელი პოლიტიკა, რომელიც პირადად მე ყელში ამომივიდა.

პოლიტიკის შესახებ ოჯახშიც აღარ ვსაუბრობ, ჩემებს რამდენჯერ ვუთხარი, დაანებეთ თავი ამ პოლიტიკაზე ლაპარაკს-მეთქი, მაგრამ რად გინდა. მალე ალბათ სარეკლამო ბანერს დავკიდებ კარზე: „ყველაფერი პოლიტიკის შესახებ“, რადგან დედაჩემი და მამაჩემი ოცდაოთხსაათიანი პოლიტიკური დისკუსიის რეჟიმში ცხოვრობენ ტელევიზორთან ერთად. არ ვიცი, არ ვიცი... ქვეყნები გაქრნენ ამ სამყაროში, დინოზავრები გადაშენდნენ, ქალაქები, სოფლები აღიგავენ პირისაგან მიწისა და ერთი ამ ბოლო ოცწლიან პოლიტიკას არ მოეღო ბოლო. რა გახდა ამისთანა ცხრათავიანი გველეშაპი? ერთ თავს წააცლი, მეორე ამოვა, მეორეს წააცლი, მესამე და ა.შ. ან რა უკვდავების წყალი დალია ამ ქართულმა პოლიტიკამ ბოლოს და ბოლოს? ჩემები რომ არა, უკვე საზღვარგარეთ ვიქნებოდი გადაკარგული, მაგრამ ვერ ვტოვებ, არადა ისეთ ასაკში არიან, ვერც წავიყვან, ტურისტული საგზურითაც კი. აი, აგარაკზე ძლივს წავიყვანე ერთი კვირის წინ. აგარაკზე პატარა ბაღი გვაქვს, ბოსტანი... ჰოდა, უყვართ იქ ყოფნა, სიმწვანეში და შედარებით სუფთა ჰაერზე, ჩიჩქნიან მიწას და არიან ასე.

...უკვე გვიანი იყო, გვენი სახლში რომ გავიყვანე ჩემი, ანტიკვარობამდე რომ აღარაფერი უკლია, ისეთი მანქანით. მეხვეწა, ამოდიო და ავიდოდი კიდეც, მაგრამ მომერიდა, ისედაც მთელი საღამო ერთად ვიყავით, ამიტომ სახლში წამოვედი. თუმცა ჯერ ისევ ძლივს მორგებულ გასაღებს ვატრიალებდი კარში და ჩემს წუწურაქ მეზობლებს ვლანძღავდი გულში იმისთვის, რომ სენსორული განათების დაყენებას ვერ მოაბეს თავი, მობილურმა დარეკა. გვენი რეკავდა.

— რა მოხდა, გვენ, რამე დაგრჩა? — ჩავძახე სიცილით, შეჩვეული ვიყავი, რომ ყველგან რაღაც რჩებოდა.

— მე მგონი, ცუდადაა ჩემი საქმე, მეჩვენება, რომ ჩემს ეზოში ვიღაც დადის, — მომესმა მისი შეშფოთებული ჩურჩული.

— რაა?! — ღამის მობილური გამივარდა ხელიდან, — მოიცა, იქნებ გეჩვენება?

— არა, არასდროს არაფერი მომჩვენებია. ახლა კი... შენ იმ დ.კ.-ზე რამე ხომ არ იცი და მიმალავ?

— არა, რა უნდა ვიცოდე? — ძალაუნებურად მეც ჩურჩულზე გადავედი.

— ცოტა არ იყოს, შევშინდი დღევანდელი ჩვენი საუბრის მერე... — ძლივს მესმოდა გვენის ხმა, — ვიფიქრე, იქნებ დამიმალა რამე-მეთქი. იმიტომ დაგირეკე. კარგი, რამეს მოვიფიქრებ, შეიძლება, მეჩვენება კიდეც.

— ნუ გეშინია, ახლავე გამოვალ, — ვუთხარი და საკეტიდან გასაღები კი არ გამოვიღე, გამოვგლიჯე.

არა, სად მივდიოდი, რომელი რემბო ან ტერმინატორი მე ვიყავი, ვინმე დამეცვა, მაგრამ შეიძლება ჩვენი საუბრიდან გამომდინარე იყო: საკუთარი თავი დამნაშავედ ვიგრძენი გვენის წინაშე, ჩემი გადაკრული საუბარი რომ არა, გვენს არაფერი მოეჩვენებოდა... ან ვინ იცის, იქნებ არც მოეჩვენა. მოკლედ, ძალიან ავირიე, კარგი არაფერი მიფიქრია: წარმოვიდგინე, რომ გვენის ეზოში მანიაკი შეიპარა, აი, სწორედ ის დ.კ. აშკარად ფსიქიკური პრობლემები რომ ჰქონდა და ახლა გვენს იქნებ გუდავდა კიდეც... ხუთიოდე წუთში უკვე გვენის სახლთან ვიყავი, მანქანიდან გადავედი, ყოველი შემთხვევისთვის ხელს ბორჯომის მინის ბოთლი გავაყოლე, რა ვიცი, რა ხდებოდა და სახლს მივადექი. კარი შეღებული დამხვდა და ისეთი შემზარავი სიჩუმე იდგა ირგვლივ...

„მოკლეს, ნამდვილად მოკლეს!“ — გავიფიქრე და მუხლები მომეკვეთა, როგორ მეშინოდა სისხლის და გვამის... მაგრამ ჩემს სულში აფუსფუსებულ მის მარპლსაც ვერაფერი მოვუხერხე. კარი ფრთხილად შევაღე და შევდგი თუ არა ფეხი, იქვე, ჩემს ცხვირწინ, მამაკაცის ზურგი დავინახე. შიში რა უცნაური რამეა, შეიძლება ყვირილი კი არ დაიწყო, არამედ სრულიად საპირისპირო მოქმედება ჩაიდინო: სწორედ შიშით და არა იმის გამო, რომ „გმირი“ ვიყავი, ხელში უაზროდ ჩაბღუჯული ბოთლი ზურგით მდგომს თავში დავუშვი...

— ესე იგი მანიაკი გეგონეთ, არა? — ეს თემო მეუბნება, აი, ის, გვენი რომ ხვდება.

დივანზე წევს, გვენთან, თავი საგულდაგულოდ აქვს შეხვეული, გვენი თავზე დასტრიალებს, მე მოშორებით, სკამზე ვზივარ გამოცდაზე ჩაჭრილი სკოლის მოსწავლესავით.

— დიახ, — ვეუბნები და ვწითლდები, აბა, რა მომივა, ადამიანი ღამის საიქიოს გავისტუმრე.

— ყველაფერი ჩემი ბრალია, — ამბობს გვენი, — არ უნდა დამერეკა ასე შეშინებულს და არაფერი მოხდებოდა.

— არა, შენ რა შუაში ხარ, — თემოს თავისკენ თვალს ვაპარებ. მაინც როგორ გავუტეხე? ყოჩაღ მე, რა ძალა მქონია! — ჩემი ბრალია, მაგრამ კარგად ვერ დავინახე, ბნელოდა შემოსასვლელში და ჩავთვალე, რომ...

— ჩათვალეთ, რომ ვახრჩობდი, არა? — ეცინება თემოს.

— დიახ, — ბრალდებულივით ვპასუხობ. რა, არ ვარ?

მოვიდა ეს ადამიანი ქალთან, რომელიც მოსწონს, შეიძლება უყვარს კიდეც. სიურპრიზი უნდოდა გაეკეთებინა, მთელი ეზო ყვავილებით აუვსო, სახლის კიბეებსაც ყვავილებით აუყვა, კართანაც ყვავილები დაულაგა... ამ დროს გააღო კარი გვენმა... მერე ის იყო, რომ მეც მოვედი და ბოთლი დავუშვი თემოს თავზე, რომელსაც გვენი ჰყავდა კისერზე ჩამოკიდებული და... ხომ მიხვდით...

— არა უშავს, ყველაფერი ხდება, — ისევ ეცინება თემოს, — მე ის მომეწონა, მეგობრის დასახმარებლად რომ მოხვედით, ძაან მაგარია ეგ ამბავი, რა.

— ჰო, რა ვიცი, — ვბურტყუნებ. ყველას ხომ არ ვეტყვი, მის მარპლობა რომ მინდოდა ცოტა ხნის წინ.



Cyan Magenta Yellow Black

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადა **ორშაბათი, 25 მაისი 17 საათი.**

## გავიცნობ, ვეძებ

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ მიმზიდველ, 25-40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 593365034. გია

2. გავიცნობ 38 წლამდე თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის. 555519283

3. ვარ 35 წლის მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში, შეხვედრებისთვის გავიცნობ 20-დან 50 წლამდე ქალს. 557634122

4. გავიცნობ 39 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, პროფესიით ვარ მასაჟისტი. 593625513. ლაშა

5. ვარ 37 წლის, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში, გავიცნობ თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. 599471938

6. ვარ 25 წლის, თბილისელი ბიჭი, სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ გოგოს ახლო ურთიერთობისთვის, მაქვს ბინა შეხვედრებისთვის. 555005224

7. ვარ 38 წლის, თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ 45 წლამდე თბილისელ ქალს. 593908100. ზურა

8. ვარ 28/175/75, სიმპათიური ბიჭი, უცოლშვილო. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში ან ახლოს მცხოვრებ 20-დან 35 წლამდე გოგოს. 593383099. გელა

9. გავიცნობ რუსთავში მცხოვრებ გასათხოვარ ან განათხოვარ, 30 წლამდე ქალს. ვარ 26 წლის. 577 474753. ლევანი

10. გავიცნობ სიმპათიურ ქალს სერიოზული ურთიერთობისთვის. ახლახანჩამოვედი საზღვარგარეთიდან. ვარ 27 წლის, თბილისელი. 555582290. გიო

11. გავიცნობ ქუთაისელ, სტუდენტ გოგოს შეხვედრებისთვის. მაქვს ბინა და სამსახური ქუთაისში. 598188013

12. გავიცნობ თბილისელ 30 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. 599801018

13. ვარ 35 წლის მამაკაცი, სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ კარგი გარეგნობის ქალს. 514197722. ლაშა

14. ვარ ქუთაისელი, სიმპათიური, ცოლიანი ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 555272506

15. სამეგობროდ გავიცნობ ქალს, ვარ დასაქმებული, თბილისელი. 598007242

16. სამეგობროდ გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ქალს, რომელსაც დავეხმარები მატერიალურადაც. 598211803. მერაბი

17. გავიცნობ ქალს, ვისაც სითბო და ალერსი აკლია, ვარ 49 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 599396580

18. გავიცნობ 25-დან 35 წლამდე თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ 29 წლის, დასაქმებული, თბილისელი ბიჭი. 551202579. იკა

19. ვარ 32 წლის, თბილისელი მამაკაცი, ცოლშვილიანი, სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე ქალს. 557544027

20. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ ქალს. ვარ თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ მარტო. 557491234

21. ვარ მაღალი და სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, შეხვედრებისთვის გავიცნობ ლამაზ გოგოს და ზაფხულში ვეპატიჟები ბათუმში. 591989507. ლუკა

22. ვარ სიმპათიური, თბილისელი, გავიცნობ სიმპათიურ გოგოს შეხვედრებისთვის. 593135572. დათო

23. ვარ 37 წლის, თბილისელი, განქორწინებული, სერიოზული მამაკაცი. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს სერიოზული ურთიერთობისთვის. 557589090

24. გავიცნობ 25-დან 30 წლამდე ლამაზ და სიმპათიურ გოგოს შეხვედრებისთვის, მხოლოდ თბილისელს. 555669960

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე, კახელ, კარგი გარეგნობის, ჭკვიან, გასათხოვარ ქალს. ვარ 48 წლის კახელი მამაკაცი. 557753503

2. ვარ 29/194/92, განქორწინებული, ვცხოვრობ მარტო. გავიცნობ პატიოსან, განათლებულ ქალს ოჯახის შესაქმნელად. 555280256. გიგა

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე, დედისერთა ქალიშვილს. ვარ 46 წლის, მხოლოდ დარეკვით საღამოს 9-საათის მერე. 591275695

### გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. გავიცნობ სიმპათიურ, წესიერ, თბილისელ მამაკაცს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 55 წლის ქალი. 551133650

2. გავიცნობ შეგნებულ, თბილისში მცხოვრებ, 35-დან 40 წლამდე, დასაქმებულ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად, მყავს შვილი. 555239671. მაია

## ბილოცავ

ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს ამქვეყანაზე, და-ძმას ეკა და თემურ მანთიძეებს ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარეთ, დედი, თქვენი ლამაზი ოჯახებით, ჯანმრთელი და ბედნიერი ყოფილიყავით.

ნატალია რუხაძეს! დიდი სიყვარულით გილოცავ დაბადების დღეს 29 მაისს. ბედნიერებას, წარმატებებს გისურვებ!

## მიყვახხარ, მენატრები

დათუნა, როგორ ხარ, საყვარელო? ძალიან მენატრები. ცოტაც გაუძელი, ჩემო ლამაზო, თავს გაუფრთხილდი. შენ გელოდები ავეჯის ყიდვაზე. შენ და მე, რომელიც მოგვეწონება, ის ვიყიდოთ. გკოცნი ბევრს. ელზა და კუკუშა

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჰაიმე ან გაუმხიდოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 25 მაისის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნებისმიერ, ჩამოთვლილ 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისადმი მინერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

10 **გამოცხადდა და ფავორიტი საქართველო ძლიერდებოდა მე-6 ადგილზე გავედ?**

— ყველა გაკვირვებული გვიყურებდა, რა დაგემართათო. ჩვენი სიმღერის ავტორი, შვედი კომპოზიტორი, საოცარი სახით კითხულობდა, რა ხდებაო. არავინ იცის, რეალურად რა მოხდა.

**— უკვე მრავალი წელია საქართველო ევროვიზიაზე ამ შედეგებს ვერ იღებს, რისი მოლოდინიც ყოველთვის არსებობს. თქვენი დაკვირვებით, რა გვაკლია და რას ვერ ვითვალისწინებთ ამ კონკურსის მზადებისას?**

— ევროვიზიის ისტორიის განმავლობაში საქართველო ცუდად არასოდეს გამოსულა, უბრალოდ ძნელია მიზეზი იპოვო, რატომ არ

**ნოდიკო ტატიშვილი: „სხვადასხვა დელეგაციებიდან მოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ, ჩვენი ქვეყნის ჟიური მაღალ ქულას თქვენ გაძლევთო, ხმის მიცემის დროს კი ქულა არ მოგვცეს. ვხვდებოდი, რომ რაღაც პროცესები მიდიოდა, მაგრამ კონკრეტულად რა, დღემდე გაურკვეველი დარჩა ჩემთვის".**

გვიჭერს ევროპა მხარს. გეოპოლიტიკა მაინც ყველაზე დიდ როლს თამაშობს, არ გვყავს დიდი დიასპორა.

**— არა მგონია, აზერბაიჯანს დიდი დასპორა ჰყავდეს სკანდინავიურ ქვეყნებში, რომლებმაც მას მაღალი ქულები მისცეს.**

— ამიტომაც ვამბობ, რომ ძნელია ზუსტად ილაპარაკო მიზეზებზე. ფაქტია, რომ ევროვიზიისთვის მზადების დროს საჭიროა ბევრი ფული, რათა მომღერლები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართული ევროპულ პრომოაქციებში.

**— ამჯერად რა ისწავლეთ, მომავალ წელს რას გათვალისწინებთ?**

— ვისწავლე ის, რომ არ უნდა აჰყვე ემოციებს, არ უნდა დაუჯერო არავის, რასაც ფინალის წინ გეუბნებიან. დიდ მოლოდინს დიდი იმედგაცრუებაც მოჰყვება. მაინც ვერ ვისწავლე, რომ ევროვიზია ხანდახან უსიამოვნო სიურპრიზების კონკურსია.

**— თუ ვერ გავრკვეულიყავთ, რის მიზეზით აფასებენ ამ კონკურსზე სიმღერებს, იქნებ საერთოდაც უარი გვთქვა მონაწილეობაზე?**

— ეს ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს. ამ ეტაპზე პირადად მე, რაც მჭირდება, ეს დასვენებაა, რადგან თითოეული ევროვიზია დიდი სტრესის ფასად მიჯდება.

■

**ნოდიკო ტატიშვილი:**

— მთელი ევროვიზიის განმავლობაში ემოციებს არ ავყოლილვარ. მოვლენებს ყოველთვის რეალურად აღვიქვამდი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიმართ აშკარა იყო განსაკუთრებული სიმპათიები. კონკურსის ორგანიზატორები ღიად გამოხატავდნენ მხარდაჭერას, რაც ამ კონკურსზე იშვიათობას წარმოადგენს. ევროვიზიაზე მე და სოფიმ ძალიან დიდი გამოცდილება მივიღეთ. ყველა ჩემს კოლეგას ვუსურვებ, რომ ერთხელ მაინც მოხვდნენ ამ კონკურსზე, რათა დარწმუნდნენ, რამხელა სიამოვნებაა ევროპულ სცენაზე სიმღერა.

**— რითი ხსნით, რომ წლევანდელი ევროვიზიის ფავორიტები აუტსაიდერებში აღმოჩნდით?**

— გულწრფელად გეტყვით, ეს იყო შოკი, რომ ფავორიტობიდან მე-15 ადგილზე აღმოვჩნდით. ვინც თვლის, რომ ჩვენ რაღაც დავაკელით ამ კონკურსს, მაშინ ის წავიდეს და პირველი ადგილით დაბრუნდეს. ყველაზე ძვირფასი ჩემთვის ისაა, რომ კონკურსის შემდეგ ჩვენ შესახებ „ფეისბუქზე" ერთი უარყოფითი კომენტარიც კი არ დაწერილა. ყველა ძალიან გახარებული იყო ჩვენი გამოსვლით, ამაყობდნენ. სვამდნენ კითხვას — „რატომ?". ამაზე კი პასუხი არავის აქვს. დღეში უამრავი ინტერვიუ გვქონდა და ყველგან ვცდილობდით, ჩვენს ქვეყანაზე მაქსიმალურად დადებითი შთაბეჭდილება შეგვექმნა.

**— რიგორ ფიქრობთ, რა ნიშნით ირჩევენ ევროვიზაზე გამარჯვებულებს?**

— ევროპას რომ არ მოსწონებოდა ჩვენი სიმღერა, ფინალში ვერ გადავიდოდით, თანაც ძალიან მაღალი ქულებით. კაცმა არ იცის, რა მოქმედებს ევროვიზიის შედეგებზე. რაღაც მომენტში ალბათ პოლიტიკაც თავის როლს თამაშობს. ჩემდა გასაკვირად, სხვადასხვა დელეგაციებიდან მოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ, ჩვენი ქვეყნის ჟიური მაღალ ქულას თქვენ გაძლევთო, ხმის მიცემის დროს კი ქულა არ მოგვცეს. ვხვდებოდი, რომ რაღაც პროცესები

**ნათია უზნაძე: „იმ პერიოდში ისეც გამოკითხვები ჯეთდებოდა, ყველგან ათეულში ვხვდებოდით. ჟურნალისტები იმასაც ჯი გვეკითხებოდნენ, ხამდენად ახის საქართველო მზად, ხომ მომავალ წელს ევროვიზიას უმასპინძლოსო".**

მიდიოდა, მაგრამ კონკრეტულად რა, დღემდე გაურკვეველი დარჩა ჩემთვის.

მე და სოფი კმაყოფილები ვართ იმით, რომ საქართველო მართლაც ღირსეულად წარვადგინეთ. თუ გაიხსენებთ, წასვლამდე არასოდეს გვითქვამს, რომ იქიდან აუცილებლად გამარჯვებულები დავბრუნდებოდით. მთავარი ამოცანა იყო, ჩვენი გამოსვლით ყველა ქართველს ეამაყა და ეს მოვახერხეთ.

✓ **აკო ჩიტიე**

# ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი

**თუ ერთდროულად ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა და მასთან გამკლავება მარტოს არ შეგიძლიათ, მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს.**

**ქალბატონი ნელი ბიჩიკაშვილი ნათელხილვის უნარით დაჯილდოებულთა შორის ნამდვილად განსაკუთრებულია. ამაზე მეტყველებს მის მიერ გადარჩენილი და განკურნებული ადამიანების გრძელი ნუსხა.**

**ქალბატონი ნელი სწორედ ის ადამიანია, ვისაც აქვს უნარი, აღმოაჩინოს და სწორად შეაფასოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს. ნელი ბიჩიკაშვილს არაერთი ოჯახისთვის დაუბრუნებია მთლიანობა და სიმშვიდე. ჩვენ პირადად შევხვდით ადამიანებს, რომლებიც, გასაგები მიზეზებით, ინტერვიუზე მხოლოდ იმ პირობით დავითანხმეთ, რომ მათ ვინაობას არ გავამჟღავნებდით.**

**გორელი ქ-ნი ქეთევანი გვიამბობს:**

— მე და ჩემს მეუღლეს თემურს ნორმალური და მშვიდი ოჯახი გვქონდა. მართალია, ძალიან მდიდრები არ ვყოფილვართ, მაგრამ არც გვიჭირდა და ცხოვრებას არ ვემდუროდით. მოულოდნელად კი დაგვეწყო პრობლემები და აღარც დასრულდა. ჯერ ჩემი მეუღლე დაითხოვეს სამსახურიდან სრულიად უმიზეზოდ და კაცი ღამის ლოგინად ჩავარდა ნერვიულობისგან, მერე კი ისეთი უცნაურობები დაიწყო, ჩვენ რომ არ გადაგვხდენოდა თავს, არც დავიჯერებდი.

ეზოში პატარა ბოსტანი გვაქვს, სადაც მწვანილი და ბოსტნეული მოგვყავს, გვაქვს აგრეთვე ხეხილიც. ერთ დღესაც ამ ყველაფერმა ხმობა დაიწყო. გადახმა ყვავილებიც, ვერაფერს ვშველოდით. თითქოს რაღაც მისტიკური ძალები იყვნენ ჩართული ჩვენ წინააღმდეგ.

ჩვენი პრობლემები რომ აღარ დასრულდა, მეგობარმა მირჩია, ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს დავკავშირებოდი. აღმოჩნდა, რომ ჩემს ოჯახს ჯადო ჰქონდა გაკეთებული. ჯადო იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ქ-ნი ნელის ჩვენთან, გორში ჩამოსვლა გახდა საჭირო. ჩვენი ბოსტნის დათვალიერების დროს მან მიწაში ჩამარხული კვერცხები იპოვა და აღმოჩნდა, რომ ჯადო სწორედ ამ კვერცხების საშუალებით ჰქონდა გაკეთებული ჩემს ოჯახს. მიწაში ჩამარხული კვერცხების დანახვა იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ მთელი ოჯახი გავოგნდით.

მოკლედ გეტყვით, რომ სწორედ ქ-ნი ნელი იქცა ჩემი ოჯახის თილისმად. მისი წყალობით ისევ გადაბიბინდა ჩვენი კარ-მიდამო. რაც მთავარია, ჩემი მეუღლე სამსახურში დააბრუნეს და ის დრო უკვე კოშმარივით გვახსოვს...

ისიც მინდა ვთქვა, რომ იმ მეგობარს, ქ-ნ ნელისთან რომ მირჩია მისვლა, უფრო დიდი და მძიმე პრობლემები მოუგვარა ნელიმ. ჩემს მეგობარს შვილი ჰყავდა ნარკომანი და კაზინოდამოკიდებული. მისმა ვაჟმა ცხოვრების საუკეთესო წლები და ჯანმრთელობა ნარკოტიკებს და კაზინოს გადააყოლა და აღარ მოვყვები, მათ ოჯახში რა ჯოჯოხეთიც ტრიალებდა, ამის წარმოდგენა ძნელი არ არის. რომ არა ქ-ნი ნელის დიდი ძალისხმევა, ალბათ დღეს ცოცხალიც აღარ იქნებოდა. ნელის დახმარებით კი ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა და უკვე პატარა, ძალიან ლამაზი და ჯანმრთელი გოგონა ჰყავს.

• • •

**ნარკომანები და კაზინოდამოკიდებულები ხშირად თავს არიდებენ ნათელმხილველთან მისვლას, მაგრამ ოჯახის წევრსაც შეუძლია ასეთი შეპყრობილი ადამიანის შველა, მთავარია, მოინდომოს და დანარჩენს ქ-ნი ნელი მოუვლის. დაუჯერეთ მის რჩევებს და თქვენს ოჯახებში ყველაფერი კარგად იქნება.**

**ნელი ბიჩიკაშვილი წინასწარი ჩაწერის გარეშე არავის იღებს. მასთან დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51.**



Cyan Magenta Yellow Black

# თუ სხვები მიენდნენ სამყაროს შემოქმედს და სძლიეს ამქვეყნიურ ბოროტებას, მაშინ ჩვენც ძალგვიძს

## ცხოვრება და მოღვაწეობა წმინდისა მღვდელმოწამისა ვასილი ამასიელისა

ღ ღეს ვისაუბრებთ წმინდა მღვდელმოწამე ვასილი ამასიელზე, რომელიც ცხოვრობდა მეფე ლიკინიუსის დროს (308-323). ცნობისთვის, ლიკინიუსი ყოფილა წმინდა კონსტანტინე დიდის სიძე, დის ქმარი, ამიტომაც ამასია, რომელიც პონტოს სამეფოში მდებარეობდა, სწორედ ლიკინიუსის სამეფო ყოფილა. ეს იყო მიზეზი, რის გამოც გადაიკვეთა მათი გზები.

წმინდანი ვერაფრით შეეგუებოდა წარმართობის, ცრუ ღმერთების თაყვანისცემას, რომლის თავგამოდებით დამცველი გახლდათ თვით ლიკინიუსი. ვიდრე ამ ყველაფერზე ვისაუბრებდეთ, აღსანიშნავია ის, რომ ლიკინიუსი თავდაპირველად ქრისტიანი ყოფილა, ამიტომაც შეურთავს კონსტანტინე დიდის და ცოლად და ძალაუფლებაც ამ გზით ჩაუგდია ხელში.

ცნობილი არ არის წმინდა მამის ბავშვობა, ან როგორ გაიზარდა, მაგრამ საიდანა ციწყება წმინდა მღვდელმთავრის ცხოვრება-მოღვაწეობა, სწორედ რომ ის არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო. წმინდანს სულიერად გაპარტახებული ეპარქია ერგო სამწყსოდ, თუმცა ღმერთს მინდობილი რუდუნებით შეუდგა გაპარტახებული, სულიერ სიბნელეში მყოფი ეპარქიის აღმშენებლობას, რაც ადვილი ნამდვილად არ იყო.

ადგილობრივები, ამასიის მცხოვრებლები ისეთი მსხვერპლშეწირვის ხერხებს იყენებდნენ, დანარჩენი წარმართების მსხვერპლშეწირვისგან სრულიად რომ განსხვავდებოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ იწყო წმინდა მამამ ადგილობრივების ჭეშმარიტებისკენ შემობრუნება, თავისი ღვთივსათნო ცხოვრებით მოახერხა იმდენი, რომ ხალხისთვის შთაენერგა ჭეშმარიტების სიყვარული. არაერთმა წარმართმა მიატოვა კერპების თაყვანისცემა და ადიდებდნენ ცოცხალ ღმერთს, რომელსაც შვენის დიდებაც, თაყვანისცემაც, პატივიც და აღიარებაც.

ლიკინიუსისთვის მიუღებელი იყო წმინდა მამის მოღვაწეობა, მაგრამ იმის გამბედაობა არ ჰყოფნიდა, რომ წმინდა მღვდელმთავარს დაპირისპირებოდა. ამისთვის მარჯვე შემთხვევას ეძებდა და თუ შესაძლებლობა მიეცემოდა, აუცილებლად სისრულეში მოიყვანდა თავის ბოროტ გულის ზრახვას.

ლიკინიუსის ცოლს, კონსტანტიას ჰყავდა მსახური ქალი, სახელად გლაფირა, რომელიც იყო ღვთისმოსავი და ცდილობდა, ქალწულებას გაფრთხილებოდა, რათა ამ ფორმით ესიამოვნებინა ღვთისთვის. ქალწულება ხომ მაშინაც და დღესაც უდიდესი სათნოებაა. გლაფირას მიმართ ლიკინიუსს ავხორცული ჟინი ამოძრავებდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა ლიკინიუსის ცოლისთვის, რომელმაც თვითონვე ურჩია გლაფირას, გასცლოდა იქაურობას, რის შემდგომაც ხმებს გაავრცელებდნენ მისი გარდაცვალების შესახებ და ამით დასრულდებოდა ეს უსიამოვნო ისტორია.

გლაფირამ მიაშურა ამასიას, სადაც, გაგონილი ჰქონდა, რომ მადლმოსილი მწყემსმთავარი მოღვაწეობდა. გლაფირას მისვლამდე ამასიაში არ არსებობდა ქრისტიანული ტაძარი, სადაც ქრისტიანებს შეეძლებოდათ, დაუბრკოლებლად აღევლინათ ერთობლივი ლოცვა. სწორედ გლაფირას ძალისხმევით ამასიაში აშენდა ქრისტიანთა სამლოცველო, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ქრისტიანების სარწმუნოება მთელ ამასიაში. გლაფირას ასეთი თავდადება კი იყო წმინდა ვასილის დამსახურება, რომელმაც მას ღვთის სიყვარული და ჭეშმარიტებისადმი ლტოლვა შთაუნერგა.

როცა ლიკინიუსმა გლაფირას ამასიაში ყოფნის ამბავი შეიტყო, მის მოსაყვანად გაგზავნა მსახურები, მაგრამ გლაფირა უკვე გარდაცვლილი დაუხვდათ, ამიტომაც მიიღეს გადაწყვეტილება, წმინდა მღვდელმთავარი ვასილი წაეყვანათ ნიკომიდიაში იქ, სადაც იმყოფებოდა ლიკინიუსი. მართლაც შეიპყრეს წმინდა მღვდელმთავარი თავის დიაკვნებთან თეოტიმოსთან და პართენიოსთან ერთად. წმინდა ვასილი ნიკომიდიაში დააპატიმრეს ლიკინიუსის ბრძანებით, ვიდრე მოიფიქრებდნენ, რა ფორმით დაესაჯათ ან რა საბაბით.

ნიკომიდიაში ცხოვრობდა ღვთისნიერი ქრისტიანი ელპიდოფოროსი, რომელსაც ხელეწიფებოდა ციხის ზედამხედველებთან კავშირი. მისი დამსახურება იყო, რომ თეოტიმოსი და პართენიოსი გამოიხსნა საპყრობილიდან და სახლში უმასპინძლდებოდა განაჩენის გამოტანამდე, წმინდა მღვდელმთავარს კი საპყრობილეში პატრონობდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.

რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ლიკინიუსის წინაშე წარდგომა მოუხდებოდა, წმინდანმა ჩვენება იხილა და მოესმა ხმა, რომელიც ამცნობდა: „რაჟამს მზე დაიპირებს ამოსვლას, მოგიწევს ლიკინიუსის წინაშე წარდგომა, მაშინ კი, როცა უკვე ღირსი შეიქნები და გახდები მსხვერპლი ამ ბოროტების, შეგიძლია ითხოვო და ზღვის ტალღები შთანთქავს მტარვალ ხელმწიფესაც და ყველა მის თანამოაზრესაც, შენი ღვთივგონიერი მიძინების შემდგომ კი ეპისკოპოსის ტახტს ჩაიბარებს ღირსი და ღვთის მოსაწონი ევტიხიოსი“.

ამის შემდეგ, რაც მოწამე ვასილიმ იხილა ჩვენება, მოითხოვა, ეჩვენებინათ თავისი დიაკვნები და ღვთისმოსავი ელპიდოფოროსი. როგორც კი მოვიდნენ საპყრობილეში, შემოესმათ გალობა, რომელსაც გალობდა წმინდა მღვდელმთავარი ბედნიერი და თვალცრემლიანი, აღეპყრო ხელები ზეცად და ბედნიერებისგან ცრემლი სცვიოდა: „აღ-თუ-ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად, და დავემკვიდრო მე დასასრულსა ზღვისასა და რამეთუ მუნცა ხელი შენი მიძღოდის მე, და მარჯუენამან შენმან შემიწყნაროს მე“ (ფს. 138, 9-10).

ამის მნახველი დიაკვნებიც და ელპიდოფოროსიც შეწუხდნენ, მაგრამ ისევ წმინდა მამამ ანუგეშა და მოუწოდა: „ნუ წუხართ, შვილებო, ყველაფერი, რაც ხდება, უფლის განგებით ხდება, ნურც იმისთვის შემწუხრდებით, რაც მომელის, რადგან თვით უფალი მიხმობს თავისთან. თქვენ მტკიცედ უნდა შეინახოთ ჭეშმარიტი სარწმუნოება, გზამკვლევად გექნებათ ღვთის მადლი და ჩემი ლოცვა-კურთხევა. როგორც კი დაბრუნდებით ამასიაში, გაამხნევეთ ქრისტიანები, რათა არ წალეკოს და მიმოფანტოს წარმართობის და ურჯულოების ქარიშხალმა. ჩემს ტახტს ჩაიბარებს ქრისტეს ჭეშმარიტი მხედარი ევტიხიოსი, რადგან ეს არის თვით უფლის ნება-სურვილი“.

ამ საუბარში დაათენდათ კიდეც თავზე, როცა მოვიდნენ ჯალათები წმინდა მამის წასაყვანად ლიკინიუსთან. ლიკინიუსს არ სურდა იმის აღიარება, რომ გლაფირას გამო უნდოდა წმინდა მამის დასჯა და ამიტომაც მოიმიზეზა სასჯელის ფორმა, ვითომდაც იმიტომ უნდა დაისაჯო, რომ ჩვენს მამა-პაპათა ღმერთებს შეურაცხყოფდი, ღმერთად იუდეველი მდაბიო გამოაცხადეო.

წმინდანმა უპასუხა: „იესო ქრისტე მდაბიო იუდეველი როდი იყო, არამედ იგი არის უმამაკაცოდ შობილი, განკაცებული, ხორცშესხმული ღმერთი, რომელმაც შექმნა ცაც და მიწაც, ზღვაც და ხმელეთიც. ის არის ერთადერთი სამართლიანი ღმერთი, სხვა დანარჩენი ყველაფერი არის ტყუილი. თქვენ უსმენთ მიწიერ ისტორიებს, რასაც გადმოგცემთ მწერალი ისიდიოსი, რომელიც ასწავლის: ღმერთმა კრონოსმა მოკლა საკუთარი მამა ურანოსი და გამეფდა, თვითონ გახდა ღმერთი. ამის შემდეგ შეჭამა თავისი შვილებიც, რათა ტახტის მემკვიდრეობაში არ შესცილებოდნენ. ზევსი, რომელიც მიგაჩნიათ კრონოსის შვილად, მამის სისასტიკეს მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ კრონოსის ცოლმა რეამ მოატყუა საკუთარი ქმარი, შეაჭამა მოჯადოებული ქვა და დაუძლურებული კრონოსი გამოკეტეს კრიტზე ღმერთების გამოქვაბულში. ასე გახდა ზევსი მთავარი ღმერთი და ეს თქვენი ღმერთი დაქორწინდა უამრავ ქალღმერთზე, ბოლოს კი საკუთარ დაზე ირაზე. ასე გაივსო ზეცა ზევსის შვილებით. ახლა მე გეკითხებით, ნორმალურ ადამიანს შეიძლება სჯეროდეს ამ ზღაპრების? როგორც თქვენი უფლებაა, გწამდეთ ამგვარი სისულელეების, ისეთივე უფლება მაქვს, მწამდეს, რაც მსურს, თუმცა, თქვენგან განსხვავებით, მე არ ვარ უგუნური, რომ ვირწმუნო უსულო, უმოქმედო ღმერთების, არამედ მწამს ცოცხალი ღმერთი, რომელზეც უკვე მოგახსენეთ. თქვენც გირჩევთ, შეინანოთ თქვენი ცდომილება და ჩემთან ერთად აღიაროთ ჭეშმარიტება. ჩემი წამება მოგეტევებათ, რადგან მეც მაქვს ამის უფლება, რომ მოგიტევოთ, ხოლო ცოცხალი ღმერთის უარყოფა და უსულო კერპების გაღმერთება არავითარ შემთხვევაში არ მოგეტევებათ“.

ამის გამგონე ლიკინიუსმაც და იქ შეკრებილმა წარმართებმაც ერთხმად მოითხოვეს წმინდა მამის სასტიკად დასჯა მათი ღმერთების შეურაცხყოფისთვის, მაგრამ ლიკინიუსი არ ჩქარობდა, იმედოვნებდა, რომ ტკბილი სიტყვით, ტყუილით ან დაპირებით შესაძლებელი იქნებოდა წმინდა მამის დაყოლიება, რის შემდგომაც სურდა, რომ კიდევ უფრო მეტი მომხრე ჰყოლოდა საკუთარ სამეფოში. იხმო თავისთან ეპარხოსი და გაანდო, რასაც ფიქრობდა. რასაკვირველია, ეპარხოსისგან მიიღო თანხმობა და ახლა უკვე კმაყოფილებით ელოდა შედეგს, რადგან უარის შემთხვევაში რჩე-



Cyan Magenta Yellow Black

ბოდა ერთადერთი გზა — უკვალოდ გაექრო წმინდა ვასილის სხეული. ამით წარმართეთ-ბის წინაშე გამართლდებოდა და ვეღარც ქრისტიანები მოახერხებდნენ წმინდა მამის განდიდებას.

მტარვალის მზაკვრულ გეგმას რამდენად ეწერა აღსრულება, ამაზე თანდათან გვექ-ნება საუბარი უფრო ქვემოთ. წმინდა მღვდელმოწამე, წმინდა სულის ძალით და მადლით აღვსილი ვასილი განაგრძობდა უწყვეტ ლოცვას თავისი ღმერთის, იესო ქრისტეს წინაშე. უზომოდ ბედნიერი, რომ უფალმა მოწამეობრივი გვირგვინი არგუნა, განუწყვეტლივ ილოცვიდა: „უფალო ღმერ-თო ჩემო, სიტყვითა შენითა სამყაროს შემოქმედო, ხილულთა და უხილავთა ყოვე-ლივეს სიბრძნითა და გონიერებით განმგე-ბელო, შეისმინე ჩემი, ცოდვილისა ლოცვა და ვედრება, რათა მიჰხედო მოწყალითა თვალითა ჩემ საეპისკოპოსოს, რომელსაცა ზედა დამადგინე. განამრავლე მას შინა რიცხვი ქრისტიანთა და შემუსრე კერპთა იგი ძალი, განწმინდენ ყოველნი წარმართნი და ურჯულონი უსამართლობათაგან მათ-თა, რათა ხალხიცა ესე ადიდებდნენ ყოვ-ლადწმინდასა სახელსა შენსა, რათა მხო-ლოსა ღმერთსა შვენის დიდება და პატივი აწ და უკუნისამდე, ამინ“.

როგორც კი ღირსმა ვასილიმ ლოცვა დაამთავრა, მოვიდნენ ჯალათები ბრძანების აღსასრულებლად. წმინდანმა კი გაბარე-ბულმა მიუგო: „ჰქმენით, მეგობარნო, ბრძა-ნებისაებრ თქვენისა“. აღასრულეს, რო-გორც ნაბრძანები ჰქონდათ და წმინდანის თავმოჭრილი სხეული წამების ადგილიდან მოშორებით ზღვაში მოისროლეს, რათა ქრისტიანებს არ ჩავარდნოდათ ხელში, თავი კი სულ სხვა მიმართულებით გადააგ-დეს ზღვაში იმ იმედით, რომ თევზები შეჭამდნენ და ამით გააქრობდნენ წმინდა მამის კვალს. ის კი გამორჩათ, რომ უფალი მეფობს და არასდროს ტოვებს თავის შვილებს უნუგეშოდ.

წმინდა მამის სიკვდილით უნუგეშოდ დარჩენილ მონაფეებს მეორე დღესვე გამო-ეცხადათ უფლის ანგელოზი, ჯერ ელპიდო-ფოროსს და ცოტა მოგვიანებით უკვე დიაკონ პართენიოსს და უთხრა, მოძღვარი სინოპში იმყოფება და გელოდებათო. ჯერ მოჩვენება ეგონათ მოწაფეებს, მაგრამ როცა ელპიდოფოროსმა გაანდო თავისი ხილვა პართენიოსს და იმისგანაც იგივე მოისმინა, მაშინვე მადლობა შესწირეს უფალს და სინოპისკენ გაემართნენ, სადაც, ანგელოზის ბრძანებით, მათ ელოდებოდათ წმინდა მღვდელმოწამე ვასილი, ამასიის ღირსეუ-ლი მწყემსი და მღვდელმთავარი.

სინოპში მისულებმა იმ ადგილას, სადაც ანგელოზმა მიუთითა, ბადე გაშალეს და ღმერთს მინდობილნი ჩავიდნენ ზღვაში. საოცარია ღვთის განგება — უხრწნელს და უცვალებელს მწოლიარე მდგომარეობაში მიაგნეს წმინდა მამის სრულყოფილ სხე-ულს თავთან ერთად, ისე, თითქოს ეძინა, ამიტომ წმინდა ვასილის ნაწილის პოვნა-საც დღესასწაულობს ეკლესია ახალი სტი-ლით 13 მაისს.

წმინდანმა თავისი ცხოვრებით და მოწა-მეობით ორივე ქალაქი განწმინდა და ცნობილი გახადა, როგორც ამასია, ასევე სინოპიც. იმის შემდეგ მთელი საქრისტია-ნოსთვის არის ცნობილი ეს ქალაქები, ერთი, როგორც მისი სამოღვაწეო ქალაქი, ხოლო მეორე, როგორც მისი წმინდა სხე-ულის პოვნის ადგილი.

გვეწეოდეს და მეოხ გვეყოს წმინდა მღვდელმოწამე ვასილი ამასიელი, რათა ვაქებდეთ და ვაკურთხებდეთ სახელსა ყოვ-ლადწმინდისა სამებისასა!

**ქრისტესმიერი სიყვარულით**
**პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

# „მამათმავალი ღუპავს როგორც სულს, ისე სხეულს“

ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა მეოცე საუკუნიდან აქტიურად დაიწყო. ადრე თუ ის სამარცხვინო ჩვევად, ავადმყოფობად და გადახრად ითვლებოდა, დღეს სურთ, ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობად წარმოაჩინონ. მედიცინა და მეცნიერება ამ შემთხვევაში ორმაგ პოზიციას იკავებს — ჰომოსექსუალიზმს არც გადახრას უწოდებენ, მაგრამ მისი წარმოშობის მიზეზებს ზუსტად ვერ ასახელებენ და მას ვერც ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებას უწოდებენ. ამასობაში მსოფლიოში გამალებულად მიმდინარეობს ერთსქესიანი სიყვარულისა და ქორწინების დაკანონების მცდელობა, რომლის ერთ-ერთ მთავარ შემაკავებელ ძალად რელიგია რჩება. ყველა სარწმუნოება ჰომოსექსუალიზმს არათუ მხარს არ უჭერს, არამედ გმობს. ქრისტიანული ეკლესიის დამოკიდებულება ჰომოსექსუალიზმის მიმართ მკაცრი და ერთხაზოვანია — ეს არის მომაკვდინებელი ცოდვა, რომელთან შეგუებაც ადამიანის ზნეობრივ და ფიზიკურ სიკვდილს იწვევს. ამ მტკივნეული თემის შესახებ გვესაუბრება იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე).

■ მამა გიორგი

**— მამაო, როგორ განმარტებას აძლევს მართლმადიდებლური ეკლესია ჰომოსექსუალიზმს — ცოდვად მიიჩნევს თუ აყადმყოფურ ვადასრად?**

— ჰომოსექუალიზმის შესახებ ეკლესიის პოზიცია მკვეთრად უარყოფითია. უპირველეს ყოვლისა, ეს რელიგიური პრობლემაა და მხოლოდ ამის შემდეგ იძენს იგი სოციალურ, სამედიცინო და ა.შ. მნიშვნელობას. უკვე გასული საუკუნიდან იყო მცდელობა, ჰომოსექუალიზმი თავისებურ, „ფიზიოლოგიურ არასრულფასოვნებად“ გამოეცხადებინათ. უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით გაძლიერდა ამ მოვლენის ბიოლოგიური საფუძვლის მოძიების გზები, მაგრამ არა მისი პათოლოგიური ბუნების გამოსააშკარავებლად, არამედ პირიქით — იმის დასამტკიცებლად, რომ ჰომოსექუალიზმი სავსებით ნორმალური რამ არის. მის ბიოლოგიურ საფუძველს ერთნი თავის ტვინის თავისებურებებში ეძებდნენ, მეორენი — ჰორმონულ სისტემაში, მესამენი — გენებში, მაგრამ გამოკვლევებმა არ დაამტკიცა ჰომოსექუალიზმის ბიოლოგიური კანონზომიერება. ჰომოსექუალისტებს არც რაიმე განსაკუთრებული ჰორმონები აქვთ და არც რომელიმე ჩვეულებრივი ჰორმონის დეფიციტს განიცდიან. ისინი ბიოლოგიურად ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც ყველა დანარჩენი.

**„გამოკვლევებმა ახ დაამტკიცა ჰომოსექუალიზმის ბიოლოგიური კანონზომიერება. ჰომოსექუალისტებს ახც ჰაიმე განსაკუთრებული ჰორმონები აქვთ და ახც ჰომეიმე ჩვეულებრივი ჰორმონის დეფიციტს განიცდიან. ისინი ბიოლოგიურად ისეთივე ადამიანები ახიან, ჩოგორიც ყველა დანარჩენი“.**

ადამიანები, რომლებიც ჰომოსექუალიზმს ბუნებრივად მიიჩნევენ, მცდარ წინამძღვარს ეყრდნობიან, რაც განაპირობებს კიდეც უმართებულო დასკვნებს. საქმე ისაა, რომ მათ თავი ვერ დაუღწევიათ მატერიალისტური მენტალიტეტისათვის და პიროვნება ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე წარმოქმნილ არსებად მიაჩნიათ, რომელიც სოციალურ-კულტურულ განვითარებას განიცდის, ხოლო მისი თვისებები პრინციპულად უცვლელია. ცხადია, რომ ამგვარი „თეორია“ ადამიანის შექმნის ბიბლიური აქტის სრულ იგნორირებას ახდენს და წინააღმდეგობაში მოდის ქრისტიანულ ანთროპოლოგიასთან, რომელიც, თავის მხრივ, მკვეთრად განარჩევს ადამიანის ცოდვით დაცემამდე და მის შემდგომ მდგომარეობას.

სწორედ ცოდვით დაცემული ადამიანური ბუნების გაუკულმართებულ, ბოროტებისკენ მიდრეკილ მისწრაფებათა ერთ-ერთი სახეა სექსუალური გარყვნილების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის ჰომოსექუალიზმი. ჰომოსექუალებს არწმუნებენ, რომ ეს ნორმაა და სთავაზობენ, განივითარონ ეს მიდრეკილებები, რაც მათთვის პიროვნული კატასტროფის ტოლფასია, რადგან პიროვნება ვერ იტანს ძალადობას საკუთარ თავზე. ეს იგივეა, რომ ვთქვათ — დიაბეტი ნორმაა. თუკი დიაბეტით დაავადებული არ შეებრძოლება საკუთარ ავადმყოფობას, მას გარდაუვალი ფიზიკური სიკვდილი მოელის. მამათმავალს კი ამ შემთხვევაში ზნეობრივი სიკვდილი ემუქრება.

**— თუკი ჰომოსექუალიზმიც სიყვარულზეა დაფუძნებული, ისე როგორც ქალისა და კაცის ურთიერთობა, რატომ ითვლება ის ცოდვად? ამ კითხვის დასმით ამართლებს სექსუალური უმცირესობა თავის ორიენტაციას და ცხოვრების წესს. გვანვიმარტეთ, რატომ მიიჩნევს მას ეკლესია ცოდვად.**

— ადამიანის სექსუალურობა მხოლოდ ორი სახით შეიძლება განხორციელდეს — ესაა ქორწინება და ქალწულობა. ორივე მათგანი ეკლესიის მიერ მაცხოვნებლადაა მიჩნეული. სქესობრივი ცხოვრების ნებისმიერი სხვა ფორმა ცოდვაა. ერთ-ერთი მათგანია ჰომოსექუალიზმი. ბიბლია ამ ცოდვის შესახებ საკმაოდ მწირად, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავად და მკაცრად მოგვითხრობს. ჰომოსექუალიზმი იმგვარი ცოდვა, ანუ დაცემული ადამიანური ბუნების იმგვარი გამოვლინებაა, როდესაც შემოქმედის მიერ ჩაფიქრებულ მოვლენათა მსვლელობა კარგავს საწყის მიზან-მიმართულებას და თვითნებურად, მის საპირისპირო მიმართულებით ვითარდება.

ძველი აღთქმის რელიგია მკვეთრად აღუდგა წინ ყოველგვარ სქესობრივ გარყვნილებას და მათ შორის ჰომოსექუალიზმსაც. როგორც ვიცით, არც ერთი ხალხი დაუსჯია უფალს იმგვარად, როგორც სოდომისა და გომორის მოსახლეობა დასაჯა, რომელთა შორისაც ეს ცოდვა განსაკუთრებულად იყო გავრცელებული (დაბ. 19, 24). მოგვიანებით, მოსეს სჯულის მიღების შემდეგ, ებრაელ ერს ეკრძალებოდა ყოველგვარი გაუკულმართებული სექსუალური ცხოვრება, მათ შორის ჰომოსექუალიზმი. ლევიტელთა წიგნის მე-18 თავში (მუხლი 22) ვკითხულობთ: „არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წოლით, ეს სისაძაგლეა“. ხოლო მე-20 თავის მე-13 მუხლში წერია: „ვინც მამაკაცთან დაწვება ისე, როგორც ქალთან წვებიან, სიბილწეს ჩაიდენენ, ორივენი უნდა მოკვდნენ. მათზეა მათი სისხლი“. რაც შეეხება ახალ აღთქმას, ჰომოსექუალიზმის წინა- →74



Cyan Magenta Yellow Black

აღმდეგ კატეგორიულად ილაშქრებს პავლე მოციქული (რომ. 1, 25-28; 1 კორ. 6, 7).

**— როგორ სჯის ეკლესია მამათმავლებს?**

— ეკლესია მამათმავლების მიმართ ყველაზე მკაცრ ეპიტიმიას აწესებდა. კერძოდ, წმიდა ბასილი დიდის ამფილოქე იკონიელისადმი მიწერილი მესამე კანონიკური ეპისტოლის 62-ე წესის მიხედვით, მამათმავლები წმინდა ზიარებიდან 15 წლით განიკვეთებოდნენ, ეს ეპიტიმია უფრო მკაცრია, ვიდრე მრუშობის ეპიტიმია, რომელიც 7,5 წლით განკვეთას ითვალისწინებს, რადგან სოდომია ორმაგ ცოდვას წარმოადგენს. ცოდვას, რომელიც მიმართულია როგორც მეორე პიროვნების, ისე თვით ბუნების წინააღმდეგ.

წმინდა იოანე ოქროპირი სოდომურ ცოდვას ღვთის წინაშე ჩადენილ უმძიმეს ცოდვად მიიჩნევს. წმინდა მამა მკვეთრად განარჩევს სქესობრივი ცხოვრების ორ — ბუნებრივ და არაბუნებრივ მხარეს. პირველ მათგანში, თუ იგი ეკლესიის მიერ აღსრულებული ქორწინების ფარგლებში თავსდება, არაფერი ცოდვისმიერი არ არის, რადგან სქესობრივი ცხოვრება ღვთის მიერ დადგენილ წესად მიიჩნევა. იგი წერს: „სოდომია უფრო საშინელია, ვიდრე მრუშობა, რომელიც, მართალია, უკანონოა, მაგრამ ბუნებრივია, მამათმავლობა კი უსჯულოებაცაა და ამავე დროს, ბუნების წინააღმდეგ მიმართული ცოდვაც. რომ არ ყოფილიყო გეენა, მაშინ მამათმავლობა იქნებოდა ყველაზე დიდი სასჯელი“. იოანე ოქროპირის აზრით, სოდომური ცოდვა უფრო მძიმეა, ვიდრე მკვლელობა, რადგან „უკეთესია სიკვდილი, ვიდრე ასეთი სიბილწით ცხოვრება. მკვლელი სულსა და ხორცს გაჰყრის ერთმანეთისგან, მამათმავალი კი ღუპავს როგორც სულს, ისე სხეულს. არ არსებობს ცოდვა, რომელიც ამ უსჯულოებას შეედრება და მასში მყოფნი რომ ამ ცოდვის სიმძიმეს აცნობიერებდნენ, ამ სისაძაგლეში ჩავარდნას მრავალგზის სიკვდილს არჩევდნენ“.

**— როგორ შეიძლება დაეხმაროს მოძღვარი ჰომოსექსუალს?**

— ჰომოსექსუალიზმი უმრავლეს შემთხვევაში ადამიანის აღვირახსნილობის, დაცემის, გარყვნილების გამოვლინებაა, რომელსაც იგი საკუთარი ვნებების ამგვარი არაბუნებრივი გზით დაკმაყოფილებისკენ მიჰყავს. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს ამგვარი ლტოლვა შესაძლოა გაუჩნდეთ, როგორც მათგან დამოუკიდებელი რამ. სექსუალური ორიენტაციის გაუკუღმართება ბავშვობის ასაკიდან უამრავ მიზეზს შეუძლია. პირველ ყოვლისა, მოძღვარი უნდა შეეცადოს, შეასმინოს ამ ცოდვისაკენ მიდრეკილს, რომ მისი ლტოლვა ადამიანური ბუნების ნაკლოვანების შედეგია, რომლითაც იგი გაჩნდა ამ სამყაროში.

ყოველი ჩვენგანი ატარებს თავის თავში გარკვეული სახის ნაკლოვანებას. ზოგიერთს ის მკვეთრად აქვს გამოხატული, ზოგს — ნაკლებად. მავანი ფსიქიკურ ავადმყოფად იბადება: ერთს შიზოფრენია აქვს, მეორე დეპრესიისკენაა მიდრეკილი. ისეთებიც არიან, ვისაც დაბადებიდანვე აქვთ ალკოჰოლისადმი განსაკუთრებული ლტოლვა. არსებობენ დიაბეტისკენ მიდრეკილი ადამიანები... ეს ყოველივე ნაკლოვანების შედეგია. აუცილებელია გვესმოდეს, რომ ამგვარი ადამიანის შველა შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. ჰომოსექსუალიზმისკენ მიდრეკილ ადამიანს ისევე სჭირდება დახმარება, როგორც მრუშობის ვნებით შეპყრობილთ ეხმარება ეკლესია: უნდა დავეხმაროთ უმანკოების დაცვით და უწესო ოცნებებისაგან თავის შეკავებით. თუმცა ფსიქიატრიის დახმარების გარეშე ვერაფერს გავხდებით. მოძღვარმა ამ შემთხვევაში გამოცდილ ფსიქოლოგებთან, ფსიქოთერაპევტებთან უნდა იმუშაოს, რომლებიც შეძლებენ ადამიანის ორიენტაციის შეცვლას.

**— ადამიანს ძალუძს ამ ცოდვისგან, ნაკლოვანებისგან თავის დაღწევა?**

— ამ ცოდვისაგან გათავისუფლების ერთადერთი საშუალება კვლავ ღმერთთან დაბრუნებაა, რაც სინანულით მიიღწევა. თუ ადამიანი დაგმობს ცოდვილ ცხოვრებას და სინანულით შესთხოვს უფალს ცოდვების მიტევებას, შენდობას მიიღებს, რადგან არ არსებობს ცოდვა, რომელიც ღვთის სიყვარულსა და მოწყალებას აღემატება. ღვთის და მისი ეკლესიის მიერ დადგენილი წესიდან ყოველგვარი გადახვევა ცოდვაა და ამ ცოდვას ვერც ის თანამედროვე ტერმინები ფარავს, რომლებითაც მას ახალმოვლენილი რეფორმატორები ნიღბავენ.

✓ **მანანა ნოდია**

← 8

ვინც უშუალოდ იყო ჩართული გეების აქციაში, კერძოდ, ლგბტ-სა და „იდენტობის“ წარმომადგენლებს.

■

სექსოპათოლოგი არჩილ ბაქრაძე ამბობს, რომ ჰომოსექსუალობა ქცევითი გადახრაა და სრულიად შესაძლებელია, მისი პროპაგანდით სხვასაც იმავე ქმედების ჩადენა მოუნდეს.

**არჩილ ბაქრაძე:** ლგბტ-ებმა ამ აქციით თავიანთ წინაშე დასმული ამოცანა ფრიადზე შეასრულეს. პროვოკაცია მოაწყვეს და შესაძლებელი გახადეს საუბრები ქსენოფობიის და ა.შ. მიუღებლობაზე. მათმა მოწინააღმდეგეებმაც ფრიადზე შეასრულეს თავიანთი ამოცანა. მათ დაანახეს, რომ პროვოკაციის არ ეშინიათ და ხმამაღლა განაცხადეს, დასავლურს ყველაფერს არ მივიღებთო. წააგო მხოლოდ მთავრობამ, რადგან ეს პირველი და მეორე შედეგი ვერ აიცილა. შეცდომა დაუშვეს. მარტივი გადაწყვეტილება იყო საჭირო. სადღაც, თუნდაც კიკვიძის ბაღში, გამოეყოთ ადგილი და ეს ღრიანცელი არ მოხდებოდა. როცა სისხლით მორწყულ ადგილას — რუსთაველზე, ატარებ მსგავს აქციას, უკვე სხვა რამეა. ყოველთვის არსებობს ალტერნატიული ფართების შესაძლებლობა.

**ახჩიე ბაქრაძე: „ჩემი ჯატეგორიული მოთხოვნაა, შეიცვალოს ჰომოფობინისტის მრჩეველი სოციალურ საკითხებში, რადგან ამ სიტუაციაში მომგებიანი გამოსავალი ვერ მოიძებნა“.**

ერთი თვის წინ დააანონსეს ეს აქცია და სამსჯელო თემად რომ გაეხადათ, ყველას უფლება დაცული იქნებოდა. ამ ლგბტ-ების უფლება აბსოლუტურად ყველგან დაცულია. მათ არსად არავინ ჩაგრავს, არ სცემს და არც სახლში უვარდებიან. ყველაფერი იმისთვისაა მოგონილი, რომ გრანტები გამოიმუშაონ.

არ შეიძლება არ გაითვალისწინო არე, გეოგრაფიული მდებარეობა. პარიზში ხალხმა ისეთი ამბავი ჩაიდინა, გააქციეს ლგბტ-ები. გერმანიაში გეიაღლუმები მოსწონთ. ვინც იქ არის ნაცხოვრები, იცის, რომ იქ არსებობს ბუდიზმის კულტურა და შიშვლებს უყვართ სიარული. მათთვის ეს მისაღებია. ისტორიულ-კულტურალურ ჩამოყალიბებულ არეს აქვს მნიშვნელობა. როდესაც არეში ვიღაც ხელოვნურად ცდილობს ამბოხების შეტანას, არ არის მიზანშეწონილი. ამბოხებას ყოველთვის მოჰყვება არეულობა. ეს არის დაკრეფილი თემები იმისათვის, რომ ახალ მთავრობას პრობლემა შეექმნას. ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა, შეიცვალოს პრემიერმინისტრის მრჩეველი სოციალურ საკითხებში, რადგან ამ სიტუაციაში მომგებიანი გამოსავალი ვერ მოიძებნა.

გეიაღლუმებს ფლეშმობს ეძახიან. ფლეშმობი სრულიად სარეკლამო აქციაა, რომელიც ემსახურება რაღაცის პოპულარიზაციას, პროპაგანდას. სწორედ პროპაგანდისტული ქმედება არ მომწონს ამ ლგბტ-ების.

**— ბატონო არჩილ, რამდენად შეიძლება ასეთმა პროპაგანდამ გავლენა იქონიოს მთელ საზოგადოებაზე, მოზარდებზე?**

— ჰომოსექსუალიზმი ქცევითი გადახრაა. არც ერთ ლგბტ-ს არ უნდა, მისი შვილიც ასეთი იყოს. 30 წელია ამ სფეროში ვარ და არც ერთ ასეთი ქცევის ადამიანს არ უთქვამს, მინდა, ჩემი შვილი ასეთი გამოვიდესო. ასე რომ, აშკარად ნეგატიურთან გვაქვს საქმე. ეს არ არის ნორმა. ასეთ დროს თავის ტვინის ნერვული მოქმედების ცვლილება ხდება. ნებისმიერ ფორმაციაში, ნებისმიერ საზოგადოებაში ეს ქცევითი გადახრა 3-4%-ია. შესაძლებელია ასეთი გადახრა მოხდეს იძულებით, წამხედურებით და ა.შ. მაგალითად, რაც ციხეებში ხდებოდა, იძულებითი ქცევითი გადახრები იყო. ეს ამ შემთხვევაში დაკავშირებულია დასჯასთან და წამებასთან. არსებობს წამხედურობით, სიტუაციის გამო გაჩენილი გადახრა. საბჭოეთში ახალგაზრდა დიპლომატებს ამის გაკეთებას აიძულებდნენ, მერე ასეთები გავლენის ქვეშ ჰყავდათ და აკეთებინებდნენ, რაც უნდოდათ.

ჰომოსექსუალიზმის პროცენტი გაცილებით მეტია ხელოვნების სფეროში, მასმედიაში, დიზაინერებში და ა.შ. ანუ იქ, სადაც ემოციური მხარე დიდია. იქმნება ხელოვნური სიტუაციები. ასე რომ, სოციუმს გავლენა აქვს. პროპაგანდა, რა თქმა უნდა, კარდინალურად ვერ შეცვლის პროცენტს, მაგრამ, რა თქმა უნდა, გავლენა აქვს. შეჩვევასაც იწვევს. როცა ბავშვს მოუხდება ამის გაკეთება, მერე გინდა-არ გინდა, ეჩვევა და ამით აგრძელებს ცხოვრებას. ამიტომაა კატეგორიულად აკრძალული პედოფილია, რომ ამ დროს ბავშვის ფსიქიკის დეფორმირება ხდება. არატრადიციული სექსუალური ქცევა არ არის ის მოვლენა, რომელიც ფართო მასებში პროპაგანდას საჭიროებს. პრემიერმა თქვა, ჩვენი საზოგადოება არ არის მზად ერთსქესიანთა ქორწინებისთვისო. არც ამის პროპაგანდისთვის არის ჩვენი საზოგადოება მზად!

**— ჰომოსექსუალისტებს თქვენთან დახმარებისთვის თუ მოუმართავთ ან რამდენად შესაძლებელია მათი ქცევითი გადახრის მკურნალობა?**

— გეებსაც სჭირდებათ ერექცია, ვეხმარებით ამაში. ჩვენ, სექსოპათოლოგები, ყველას ვჭირდებით. ჩემი საქმე არ არის, მერე ვინ სად შეაღწევს. როგორც წესი, არ უნდათ, რომ შეიცვალონ. ამბობენ ხოლმე, მე ჰო-



Cyan Magenta Yellow Black

მოსექსუალი ვარ, მაგრამ ცოლის მოყვანა მინდა, რომ სოციუმში მისაღები ვიყოო.

**ახჩიდ ბაქრაძე: „ჩვენს ე.წ. უფლებადამცველებს „რამსები" აშკარად დასალაგებელი აქვთ. მათ აქვთ გავლენა მასმედიაში და პროპაგანდას ახერხებენ. საფრთხე სწორედ მასმედიის არაადეკვატური დამოკიდებულებაა ელემენტარული საკითხების მიმართ".**

ამიტომ ცდილობენ, იმკურნალონ, რომ ქალთან სექსუალური ურთიერთობა შეძლონ.

17 მაისის აქციაზე თავად ლგბტ-ები არც მინახავს. მხოლოდ უფლებადამცველები იყვნენ, რომლებიც აშკარად პროვოკაციებით გამოიმუშავებენ გრანტებს. დამიჯერეთ, ჩემზე დიდი გულშემატკივარი ჰომოსექსუალებს არ ჰყავთ. ჩემი პროფესიით მათი ცხოვრების კომფორტს ვზრდი. ისინი ქართველები, ჩემი მოქალაქეები არიან და გაგებას საჭიროებენ, მაგრამ როცა ვიღაც იმისთვის იწყებს არეულობას, რომ საზღვარგარეთიდან ფული მიიღოს და ყვირის, არიქა, ქართველებს ქსენოფობია სჭირთო...

ვაპირებ, ქსენოფილიის წინააღმდეგ დავსვა საკითხი. ქსენოფილია ყველაფერი უცხოურის სიყვარულია, როცა სიტყვა „უცხოური" კარგს ნიშნავს. ჩვენს ე.წ. უფლებადამცველებს „რამსები" აშკარად დასალაგებელი აქვთ. მათ აქვთ გავლენა მასმედიაში და პროპაგანდას ახერხებენ. საფრთხე სწორედ მასმედიის არაადეკვატური დამოკიდებულებაა ელემენტარული საკითხების მიმართ. არსებობენ ჰომოსექსუალები, მათი უფლებები დაცულია. შეეშვან სხვებს და იყვნენ თავიანთთვის. მორჩა და გათავდა!

■

წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **მამა ტარიელ კერესელიძე** განმარტავს, რომ ეკლესიის, სამღვდელოების ვალი არის არა ამხედრებულის წაქეზება, არამედ მისი დაწყნარება. ამავე დროს, როცა საფრთხე ემუქრება ერის ზნეობას, როცა საქმე გვაქვს უკიდურეს შემთხვევასთან, ასეთ დროს ეკლესიაც აღმართავს ხელს. სწორედ ამის გამო გამოჩნდნენ სასულიერო პირები რუსთაველზე.

**მამა ტარიელ კერესელიძე**: მოძღვარი უკიდურეს შემთხვევაში აღმართავს ხელს. ადამიანის სულიერ სამყაროს ეხებიან. რაღაცნაირად ხომ უნდა გამოხატო პროტესტი?! სიტყვით არ ეყურებათ, საქმით არ უნდათ, გაიგონ. როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა მოვიქცეთ?! კი, ბატონო, იყვნენ, არსებობდნენ, მაგრამ ბავშვებს არ უნდა აყურებინონ, რომ ასეთები არიან! იყავი, ბატონო, ვინ გიშლის, მაგრამ რა აღლუმებს აწყობ, რატომ აწყობ?! ქალსა და მამაკაცს შორის მრუშობაც კი დიდ ცოდვად ითვლება და ერთსქესიანებს შორის ხომ საერთოდ უბედურებაა! ამის აფიშირებას და საქვეყნოდ გამოტანას თავისი მიზანი აქვს. ამით ისეთი ადამიანები არიან დაინტერესებული, რომლებსაც ზნეობა არ გააჩნიათ. მათ ოღონდ ფული აკეთონ და არც ათი მცნება აინტერესებთ და არც მორალური ცხოვრება. კი, ბატონო, ვერ დავიცავით მათი, ე.წ. უმცირესობის უფლებები, მაგრამ ჩვენი უფლებები ვიღამ დაიცვას?! ჩვენ რა დავაშავეთ?! ჰომოსექსუალიზმი თუ რაღაც უბედურება სოდომ-გომორის ცოდვაა.

იცით, მოძღვარს სკამი რატომ ჰქონდა? ხერხემლის ტკივილი მღვდლების დაავადებაა და სკამი იმისთვის უნდა, რომ ჩამოჯდეს და დაისვენოს ხოლმე. ამ დროს კი ხმები გაავრცელეს, რომ იმ „ტაბურეტს" ვიღაცას ურტყამდა. მეც დასაკეცი სკამით დავდივარ ყველგან, რადგან წელი მტკივა. დაინახა ვინმემ, რომ სხვას თავში ურტყამდა?

**— ვნახე კადრები, სადაც ჩანს, რომ მოძღვარი იმ „ტაბურეტს" ავტობუსს ურტყამს.**

— მე არ მინახავს, მაგრამ, რადგან ამბობთ, რომ ასე იყო, არ დაგავიწყდეთ, რომ მოძღვარი ჯერ კაცია, ადამიანი და მერე — მღვდელი. მღვდელს ეშმაკი უფრო მეტად ებრძვის. კი, ბატონო, მოძღვარმა თუ ეს გააკეთა, შეცდა. არც სულიერს უნდა დაარტყა და არც უსულო საგანს, მაგრამ ხდება ხოლმე, როცა ეშმაკი შეუჩნდება და ჯაბნის.

**— ძალიან მძიმე საყურებელია ისიც, თუ როგორ იგინებიან მღვდლები ამ აქციაზე.**

— სამწუხაროა. მათაც თავიანთი მოეთხოვებათ და უფრო მეტად, ვიდრე საერო პირებს. ზოგი უძლებს ეშმაკთან ბრძოლას, ზოგი — ვერა. მაინც ყველას ვურჩევ, განკითხვისგან თავი შეიკავონ. ეშმაკის განდევნის ლოცვას მხოლოდ ცალკეული მოძღვრები კითხულობენ. ყველა

**მამა ტარიელი: „არ დაგავიწყდეთ, რომ მოძღვარი მახვილით ხელში გარეთ მაშინ გამოდის, როცა ერს წაბილწვა ემუქრება. ერს უზნეობას უკიჟინებენ და დიდი განსაცდელი გვიდგას. გეიაღლუმების ჩატარებით დაინტერესებული პირები დიდ ფულს, გრანტებს იღებენ, რომ ევროპის წინაშე წარმოაჩინონ თავი. რაც მათთვის ზნეობას წარმოადგენს, ჩვენთვის უზნეობაა. ამ დროს თუ დედაეკლესიამ ხმა არ ამოიღო, მართლმადიდებელი ერი არ აღდგა ამ უზნეობის წინააღმდეგ, მაშინ რაღას წარმოვადგენთ?! ღირსების დაკარგვაა ეს! თუ ღირსება დაკარგე, რატომ ცოცხლობ, რაღა გინდა ამქვეყნად?!**

**— ბოლო დღეებში ეკლესიის წინააღმდეგ ისმის ბრალდება, თუ რატომ დუმდა ის, როცა ციხეებში საშინელება ხდებოდა, მამაკაცებს აუპატიურებდნენ.**

— არ დუმდა, ბატონო! მუდმივად დავდიოდი ციხეებში, მაგრამ მაშინ ვის შეეძლო ხმის ამოღება?! რომ არა ახალი მთავრობა...

**— შეეძლო ეკლესიას, მთელი ერი ერთად შეეკრიბა. მასის წინააღმდეგ წასვლა კი ყველაზე დიდ ტირანსაც გაუჭირდებოდა.**

— რა თქმა უნდა, შეეძლო, მაგრამ კარგად იცით, რა ხდებოდა. სისხლი დაიღვრებოდა, ამას კი ვერ დავუშვებდით, ერთმანეთის წინააღმდეგ ვერ ავამხედრებდით. პირიქით, ამხედრებული უნდა დააწყნარო. ამაშია მართლმადიდებლობის არსი. მადლობა ღმერთს, რომ სისხლი არ დაიღვარა და ხოცვა-ჟლეტა არ მოხდა. როცა მსგავსი რამ ხდება ქვეყანაში, ყველას ვერ გააკონტროლებ, ვიღაც შეიძ-

**მამა ტარიელი: „იცით, მოძღვარს სკამი რატომ ჰქონდა? ხერხემლის ტკივილი მღვდლების დაავადებაა და სკამი იმისთვის უნდა, რომ დაისვენოს ხოლმე... დაინახა ვინმემ, რომ სხვას თავში ურტყამდა?".**

ლება ცუდად მოიქცეს. ამ აქციაზე ჩემს მოძღვარს, მამა შალვა როსტიაშვილს სისხლი ადინეს ცხვირიდან, დაარტყეს. ჩვენ არავის მივხტომივართ.

**— ჰომოსექსუალებსაც მიიჩნევს მართლმადიდებლური ეკლესია თავის შვილებად, ისე როგორც დანარჩენ ცოდვილებს?**

— როგორ არა?! მყოლია მსგავსი ორიენტაციის სულიერი შვილები. მოძღვარმა იცის, როგორ დააყენოს უფლის გზაზე. მას უფრო უნდა გვერდში დგომა. ვინც ეკლესიაში დადის, ლოცულობს, სწორ გზასაც ადგება. ლოცვას ყველაფერი შეუძლია. ვინც აღლუმზე წავა და ამ უზნეობას აფიშირებას გაუკეთებს, იმას რაღა გამოასწორებს?! ვინც ჩუმად არის, სირცხვილის გრძნობაც გააჩნია ამის გამო და ნანობს, რასაც ჩადის, აუცილებლად გამოსწორდება. ზოგიერთებს ეკლესია და მოძღვარი არ სურთ და უნდათ, სხვაც ზურგშექცეული ამყოფონ ტაძრისგან.

არასამთავრობო ორგანიზაციები დედაეკლესიის ლანძღვით არიან დაკავებული და თუ რამე შეეშალა მოძღვარს, მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენ. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რაც მოხდებოდა. ეს ყველაფერი ერის, დედაეკლესიის ძირგამოსათხრელად იყო მოწყობილი. გათვლილია, ვის რომელ ბებერაზე უნდა დაჭირონ ფეხი. ხორცშესხმული ეშმაკები არიან და მათი ჭკუაზე მოყვანა, როგორც გითხარით, ყველა მოძღვარს არ შეუძლია. მოძღვრებთან ერთად ვინც იდგა, ყველა კი არ იყო მართლმადიდებელი. სპეციალურად იყვნენ მოსულნი, რომ უბედურება და ქვების სროლა გამოეწვიათ, ეს დედაეკლესიას დაბრალებოდა და მისი სახელი შეებღალათ.

■

**დიმიტრი ჯაიანი: „პოლიციამ მიშველი ხელით გმიჰობა ჩაიდინა. ჩეჩგოლეიშვილი ამბობდა, პოლიციამ ბოლომდე ახ გამოიყენა შანსიო. იცით, ხას გელისხმობდა? შაშხანა ჰომ ახ იხმახა და თვალი ახ დასთხახა ვიღაცას!".**

მსახიობ დიმიტრი ჯაიანს, როგორც თავად ამბობს, ახალგაზრდობაში არტისტულ წრეში განსხვავებული ორიენტაციის ბევრ ადამიანთან უხდებოდა ურთიერთობა და მოწმეა იმისა, რომ მათი უფლებები არასოდეს არავის დაურღვევია. მსახიობის აზრით, გეები არც ახლა არიან შევიწროებულ მდგომარეობაში, ამიტომ მათი პროტესტი გაუმარ-

→76



Cyan Magenta Yellow Black

თლებელია.

**დიმიტრი ჯაიანი:** ჩემს საახლობლოში ბევრნი იყვნენ მსგავსი ორიენტაციის ადამიანები და მეც ვიცნობდი ასეთებს, მაგრამ მათი დაჩაგვრის, დევნის მაგალითები არ მახსოვს. ზოგი მათგანი მასწავლიდა, ზოგი ცეკვას გვიდგამდა, ზოგი — სპექტაკლს. მათ თავიანთი ცხოვრება ჰქონდათ და არ გვაინტერესებდა, თავის თუ სხვის სახლში რას აკეთებდნენ. პედარასტობით არასოდეს უქიათ თავი, თავიანთი შემოქმედებით იყვნენ განთქმულნი.

ქვეყანაში ყველაზე დიდი, 95%-იანი რეიტინგი აქვს ჩვენს პატრიარქს. როცა ასეთი რეიტინგის მქონე პიროვნება გაფრთხილებს, არ გინდათ, არ ჩაატაროთ ეს აქციაო და მაინც არ იშლი, ეს ბოკერიას, მერაბიშვილის და ჩერგოლეიშვილის ჩანაფიქრი იყო. თუ ამ აქციას რუსთაველზე ჩაატარებდნენ, 17 მილიონიანი გრანტი უნდა მიეღოთ, მსოფლიოს რომ აზანზარებს, ისეთი კლანისგან. ესენი საქართველოს გადაშენებისთვის იბრძვიან.

7 წლის შვილიშვილი მყავს. ვაჟია და არ მინდა, ბიჭი მოიყვანოს ცოლად! ამის პროპაგანდას ვერ ავიტან! ვიღაც იტყვის, ეს რქიანი კაცი რას ამბობსო. დიახ, მე რქიანი კაცი ვარ, რომელსაც ვაჟა-ფშაველა უყვარს. ჩინეთში თუ 100 მილიონი პედარასტი იქნება, იმათ არაფერი დააკლდებათ, მაგრამ ჩვენ ძალიან ცოტანი ვართ. ორმა პროცენტმაც რომ მიბაძოს მაგათ, ეს ერის გადაშენებას ნიშნავს. საჯიშე ბიჭები ჩამოასვენეს ავღანეთიდან და როცა მათ პანაშვიდს ვიხდით, ამ მიტინგის ჩატარებას აქვს აზრი?! ეს არის პროვოკაცია. ვისაც ჰომოსექსუალიზმი სჭირს, ისინი კი არა, ვინც ფულს აკეთებენ, ისინი იყვნენ იქ. რომ არ ყოფილიყო ქართული პოლიცია, რომელსაც წყალიც კი არ შეუსხია ვინმესთვის და შიშველი ხელით გააშველა ხალხი, მერე გენახათ, რა მოხდებოდა, ყველას ამოხოცავდნენ. პოლიციამ შიშველი ხელით გმირობა ჩაიდინა. ჩერგოლეიშვილი კი ამბობდა, პოლიციამ ბოლომდე არ გამოიყენა შანსიო. იცით, რას გულისხმობდა? შაშხანა რომ არ იხმარა და თვალი არ დასთხარა ვიღაცას!

**— სოციალურ ქსელებს თუ გადავხედავთ, სამღვდელოების აგრესიამ ბევრს ნდობა დაუკარგა. გამოუვიდათ ის, რომ ვინც ორქოფობდა, სათ წასულიყო, მღვდლის გინებამ თუ სკამის სროლამ ჩამოაცილა ეკლესიას.**

— პატრიარქი რომ გვეუბნება, ეს ცოდვა დასწყევლის საქართველოს და ძვირად დაგვიჯდებაო, შეიძლება ეკამათო?! ჩემი თვალით ვნახე, თავისუფლების მოედნიდან გაიყვანეს ის ხალხი და ისევ უკან მობრუნდნენ. თქვენ კარგად თქვით: გამოუვიდათ! მაგრამ ბევრი რამ არ გამოუვიდათ. იციან, რომ მსგავსი აქციები აღარ უნდა ჩაატარონ!

ვიღაცეებს წამოსცდათ, თუ ასეთ რამეს არ დავუჭერთ მხარს, ნატო-ში არ მიგვიღებენო. პედარასტები რად უნდა ნატო-ს, რაში გამოიყენებენ?! ხორვატია ნატო-ში ახლა მიიღეს. მათზე ეროვნული ქვეყანა მსოფლიოში არ არის და არც გეიაღლუმებს მართავენ. საქართველო ეკლესიამ მოიტანა აქამდე! როცა ერს უჭირდა, ბერი ჯვარს იხსნიდა და ხმალს იღებდა ხელში. ამითაა განსხვავებული ჩვენი ქვეყანა სხვისგან. თორნიკე ერისთავი გაიხსენეთ! ის საელჩოები, ახლა რომ ბევრს ლაპარაკობენ, სად იყვნენ 7 ნოემბერს თუ 26 მაისს, როცა ქვეყანა სისხლში იხრჩობოდა?! რატომ არ გამოთქვეს პრეტენზია?! აღარ გაგრძელდება მერაბიშვილის, ბოკერიას და მისი ცოლის მმართველობა ქვეყანაში. მერაბიშვილმა ქვეყანა დააცია და ახლა ცდილობს, რაც დარჩა, ასეთი პროვოკაციებით გაანადგუროს!

■

მუსიკოსი დავით ევგენიძე თვლის, რომ ჰომოსექსუალების საკითხი არ არის ის პრობლემა, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში აქტუალური უნდა იყოს, რადგან გაცილებით მძიმე პრობლემებია მოსაგვარებელი. ზოგადად კი მუსიკოსი ნებისმიერი სახის აგრესიის წინააღმდეგია.

**დავით ევგენიძე:** ყოველგვარი აგრესიის წინააღმდეგი ვარ. მნიშვნელობა არ აქვს, ვისგან მოდის და რა მიმართულებით. თუ ქრისტიანობაზე ვლაპარაკობთ, მგონი, მთავარი პრინციპი მიმტევებლობა უნდა იყოს. მე ვერავის განვსჯი და, მით უმეტეს, სასულიერო პირებს. მაქსიმალურად ვცდილობ, ადამიანებს გავუგო, ასე რატომ იქცევიან და არ ვიწყებ მათ კრიტიკას. არავინ იცის, ვინ რატომ ჩაიდინა ესა თუ ის საქციელი და შენს თავს უფლება არ უნდა მისცე, ვინმე განსაჯო. ჰომოსექსუალიზმი კი პროპაგანდას არ საჭიროებს, რადგან მგონია, რომ მათ ხელს არავინ უშლით. ვფიქრობ, ეს გამოხატვის ძალიან მძაფრი და უტრირებული ფორმა იყო. ამაზე ბევრად მეტი პრობლემაა ქვეყანაში — დაკარგული ტერიტორიები, ამდენი გაჭირვებული და მშიერი ხალხი...

**დავით ევგენიძე: „ჰომოსექსუალიზმი პროპაგანდას არ საჭიროებს, რადგან მგონია, რომ მათ ხელს არავინ უშლით. ვფიქრობ, ეს გამოხატვის ძალიან მძაფრი და უტრირებული ფორმა იყო".**

მგონია, რომ მასმედიის საშუალებებიც უკეთებენ პროვოცირებას გარკვეულ თემებს. ალბათ უფრო მეტი მაყურებელი თუ მკითხველი ჰყავს სკანდალურ თემებს და იმიტომ. გამჭვირვალობაა ყველაზე კარგი, თუ გამჭვირვალე ხარ, შეიძლება შპაგაც ვერ მოგარტყან.

■

ორგანიზაცია „ლგბტ საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი, დავით შუბლაძე ხაზს უსვამს, რომ აქცია არ იყო გეიაღლუმი. ისინი მდუმარე მშვიდობიანი აქციის მოწყობით აპირებდნენ ჰომოფობიის დღის აღნიშვნას. შუბლაძის თქმით, პუშკინის სკვერში შეიკრიბნენ, სადაც სასულიერო პირების გვერდით მდომი მასა მიუვარდათ დასარბევად, ქვები ესროლეს. არადა თვითმხილველები სხვა რამეს ყვებიან — ლგბტ-ს წარმომადგენლები სწორედ ეკლესიის სახელით გამართულ აქციის მონაწილეთა შორის იყვნენ გაფანტული და სწორედ რომ პროვოკაციული ქმედებებით გამოირჩეოდნენ.

**დავით შუბლაძე:** 2011 წლიდან ვაწყობთ აქციებს. ორჯერ ჩავატარეთ, სამჯერ ფიასკოთი დასრულდა. ეკლესია და სხვა მძლავრი ინსტიტუტები რომ არ ჩარეულიყვნენ, არაფერი მოხდებოდა. ჰომოფობიის დღე 160 ქვეყანაში აღინიშნება გაერო-ს ეგიდით. ეს არის დღე, როცა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თავისი უფლებების დარღვევა გააპროტესტოს. ეს არ არის გეიაღლუმი. ჩვენ გვინდა, საზოგადოების ყურამდე მივიტანოთ ის, რომ შესაძლოა თქვენი შვილების, ძმების და ა.შ. უფლებებს ვიღაც ლახავს. მათ უწევთ ფარული, ორმაგი ცხოვრება, რადგან სხვა მოქალაქეები მათ ვერ მიიღებენ ისეთებს, როგორებიც არიან.

მთავრობისთვისაც ერთგვარი შეტყობინებაა, რომ თავის მოქალაქეებს მიხედოს. აქციის მიზანია, თანასწორობის პრინციპი იყოს დაცული, თორემ, მაგალითად, თუ ვინმეს რამე დასჭირდა პოლიციაში — რამე მოპარეს თუ რაღაცით დაზარალდა და იმის დაფიქსირება მოუწია, რომ ის სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია, დამცინავად ეხუმრებიან და არაფორმალური გარემო იქმნება. პოლიცია უგულებელყოფს თანასწორობის კანონს და აბუჩად იგდებს მოქალაქეებს, ოჯახის წევრებს ატყობინებს, რომ მათი შვილი თუ ძმა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისაა. ამიტომ, რაც უნდა გაუჭირდეთ, ასეთი ადამიანები აღარ აკითხავენ პოლიციელებს.

**— ჩვენსა და ჩვენ უკან მდგომ ბევრ თაობას არ ახსოვს, სასულიერო პირებს მსგავსი აქცია გაემართათ. როგორ ფიქრობთ, რამ აიძულა ისინი, ეს ნაბიჯი გადაედგათ?**

— ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მღვდლები ასეთი აგრესიით გამოირჩევიან თავიანთი მოქალაქეების მიმართ. მამა ბასილ მკალავიშვილი ფიზიკურად უსწორდებოდა იეღოვას მოწმეებს. თავს ესხმოდა საროსკიპოებს და რომ არა პოლიცია, იმ ადამიანებს ცოცხლად დაწვავდნენ. ეს არაა ახალი მოვლენა.

**— ერთეულებზე არ გეუბნებით. ახლა ყველა მღვდელი ერთად იდგა რუსთაველზე. ჰომოსექსუალიზმი დიდ ცოდვად ითვლება. ნორმალური მდგომარეობა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაა და არა ორი ქალის თუ ორი მამაკაცის.**

— მხოლოდ ვიწრო წრის გადმოსახედიდან ჩანს, რომ ეგ ნორმაა. შეიძლება თქვენთვის ცივი ჩაის დალევაა ნორმა და ჩემთვის — არა. მთელი პროგრესული სამყარო შეთანხმდა, რომ ჰომოსექსუალობა, ლესბოსელობა, ჰეტერო თუ ტრანსსექსუალობა ერთნაირი ორიენტაციებია. ეს არის ბუნებრივი მდგომარეობა. თუ ვინმეს რამე შიშები აქვს, მისი პრობლემაა და ნუ მოგვახვევენ თავზე. რაც შეეხება ცოდვას, მე განათლებით ღვთისმეტყველი ვარ, იტალიაში თეოლოგიურ სასწავლებელში ვსწავლობდი და მცირე პასაჟს მოგიყვანთ ბიბლიიდან. გასაგებია, რომ ეს



Cyan Magenta Yellow Black

ცოდვაა და არ ვამბობ, ეკლესიამ ხმა არ ამოიღოს-მეთქი, რადგან ეს მისი კონსტიტუციური უფლებაა, მაგრამ ადამიანების დარაზმვა და სიძულვილის აღლუმის მოწყობა გაუმართლებელია. წმინდა წერილში 300-ზე მეტი შემთხვევაა, როცა ჰეტეროსექსუალებისთვის არის აკრძალვა. აქედან მხოლოდ 6 ეხება ჰომოსექსუალებს და არსად წერია, რომ ეს არის ცოდვა. ყველგან ნათქვამია, რომ ეს არის საზიზღრობა.

**— და დიდი სხვაობაა ამ ორ სიტყვას შორის? ყფიქრობ, საზიზღრობაა სწორედ ცოდვა.**

— შეიძლება თქვენთვის მაწონია საზიზღრობა და ჩემთვის — არა. იქ წერია, რომ ხამანწკების ჭამაც საზიზღრობაა. იქ ასეთი რამეც წერია, თუ თქვენი ქალიშვილი ცუდად მოიქცევა ან არ დაგიჯერებთ, შეგიძლიათ მონად გაყიდოთო. 21-ე საუკუნეში შვილს ვინმე ჰყიდის მონად? ორმაგი სტანდარტები გვაქვს. კი, ბატონო, პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში ამბობს, ჰომოსექსუალისტები, მემთვრალენი, ჩუკენნი ვერ შევლენ ცათა სასუფეველშიო, მაგრამ მე ხომ შემიძლია, არ მივიღო ეკლესიის მოწოდება? მას არ აქვს უფლება, თავს რამე ძალით მომახვიოს. რატომ არ გამოდის ეკლესია მემთვრალეთა წინააღმდეგ?

**— ისინი აქციებს არ აწყობენ და არ აცხადებენ, რომ ლოთობა ბუნებრივი მდგომარეობაა. ჰომოსექსუალების მომრავლება ერს, მით უმეტეს მცირერიცხოვანს, გადაშენების საფრთხეს უქმნის.**

— ყველა კვლევითი ცენტრი, ვინც ამ პრობლემებზე მუშაობს, ამბობს, რომ ლგბტ მოქალაქეები მთელი მოსახლეობის 4-დან 14%-მდე არიან. ჩვენ რადგან ცოტანი ვართ, ეს სადღაც 4-5%-ია. გაცილებით მეტნი არიან უშვილო წყვილები.

**— მერე ბატარა ერს ამდენი უშვილო წყვილი არ ეყოფა?**

— ჰოდა, რატომ მათ წინააღმდეგ არ გამოვდივართ?

**— რას მეუბნებით, ოჯახს რომ უნდა შვილი და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ აჩენენ, პროტესტი უნდა გამოუცხადოთ?**

— ეგეც ხომ ბუნებრივი მდგომარეობაა?! ჩვენი ბრალი ხომ არ არის დემოგრაფიული პრობლემა?! თქვენ ჰეტეროსექსუალი ხართ. ვიღაცამ რომ გითხრათ, აუცილებლად გაიხედე ქალისკენო, გაიხედავთ? მამაკაცი მოგწონთ და მორჩა! შეუძლებელია ვინმეს კაცი არ მოსწონდეს და მისკენ გაახედო. ეს ბუნების კანონია და ვერავინ შეცვლის. ხშირად ამბობენ, რომ ჰომოსექსუალობა ნარკომანიის, პედოფილიის, ზოოფილიის თანასწორია. ნარკომანია არჩევანია. მას ადამიანი თავად ირჩევს და მისი განკურნებაც შესაძლებელია. ჰომოსექსუალობის განკურნება ვინ და რომელმა კლინიკამ არ სცადა, მაგრამ შეუძლებელია.

**— მოძღვრები ამბობენ, რომ მისი განკურნება ლოცვით შეიძლება.**

— ჰოდა, ილოცონ, მუშტები კი არ იქნიონ! პედოფილია და ზოოფილია პათოლოგიაა, გადახრაა. პედოფილიის შემთხვევაში ბავშვის უმწეობით სარგებლობენ, ზოოფილიის შემთხვევაში — პირუტყვის უუნარობით და ამიტომაც არის ეს გადახრა. რაც შეეხება ჰომოსექსუალობას, ბევრ ცხოველს აქვს ასეთი ქცევები — ძაღლებს, პინგვინებს...

**— ადრე აბანოთუბანში გაგიმართავთ აქცია და ხელი არავის შეუშლია. სადმე მორიდებულ ადგილას ხომ არ ჯობდა ასეთი აქციის გამართვა და არა — რუსთაველზე?**

— სკვერში დავდექით, ისინი კი მაინც მოვიდნენ ჩვენამდე. რუსთაველზე დავგეგ-

**დავით შუბლაძე: „მთელი ჰოგჩესელი სამყაროო შეთანხმდა, რომ ჰომოსექსუალობა, ლესბოსელობა, ჰეტეროო თუ ტრანსსექსუალობა ეროთნაირი ორიენტაციებია. ეს ერის ბუნებრივი მდგომარეობა. თუ ვინმეს ოამე შიშები აქვს, მისი ჰრობლემაა და ნუ მოგვახვევენ თავზე".**

მეთ, მაგრამ რადგან სხვებმა დაიკავეს პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია, ჩვენ პუშკინის სკვერში გადავინაცვლეთ. კამიკაძეები ხომ არ ვართ, ასეთ აგრესიულ მასაში გავსულიყავით? ხალხი ჯებირებით იყო შეჩერებული ეროვნულ მუზეუმთან. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ პოლიციამ კორდონი გაუხსნა და ჩვენკენ დაიძრნენ. ხარისთვის წითელი ნაჭრის დანახვებას არ ვაპირებდით და გვქონდა ილუზია, რომ პოლიცია ჩვენამდე არავის მოუშვებდა. პოლიციამ მოგვცა გარანტია, რომ საფრთხე არ არსებობდა.

**— ცნობილია, რომ ასეთი აქციები უცხოური გრანტებით ფინანსდება. ვინ აფინანსებს თქვენს ორგანიზაციას?**

— რა თქმა უნდა, განვითარებული ქვეყნები არის ევროპა და ამერიკა. დანარჩენი მსოფლიო მათ ნელ-ნელა ეწევა. ვინმემ რომ თქვას, ირანი აფინანსებს ადამიანის უფლებების დაცვასო, არავინ დაიჯერებს. იქ ჰომოსექსუალებს სიკვდილით სჯიან. ამერიკა და ევროპა ცდილობს, ადამიანის უფლებები იქნეს დაცული. ჩვენს ორგანიზაციას არც ერთი თეთრი არ მიუღია უცხოელებისგან. ჩვენს წევრებს შეუძლიათ წელიწადში 10-20 ლარი გადმოგვირიცხონ და ასე გროვდება. 400-მდე წევრი გვყავს და პატარ-პატარა აქციების დასაგეგმად საკმარისია. „იდენტობამ" გამოგვიყო 2000 ლარი მაისურებისა და სხვა დეტალებისთვის. გრანტი იყო გამოყოფილი, რომელზეც პასუხს აგებდა „იდენტობა", რომ ეს ფული სწორად განკარგულიყო. შეიძლება ეს უცხოურიც არ იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრი ქართველი აფინანსებს ასეთ საქმიანობას.

■

„თუ შენ ხარ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი ადამიანი და გესაჭიროება ექიმის ან ფსიქოლოგის დახმარება შენს სექსუალობასა და იდენტობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, სანამ რომელიმე ასეთ სპეციალისტს მიმართავ, დაუკავშირდი ადგილობრივ ლგბტ ორგანიზაციას — „იდენტობას" ან ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს. ლგბტ ადამიანების მომსახურება შენი სურვილისამებრ ანონიმურად გადაგამისამართებს გეი მეგობრულ სპეციალისტთან" — ეს განცხადება არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის" ვებგვერდზე ამოვიკითხე. „იდენტობის" აღმასრულებელ დირექტორს, ირაკლი ვაჭარაძეს, „ფეისბუქით" დავუკავშირდი და ინტერვიუ ვთხოვე.

**ირაკლი ვაჭარაძე:** ამ ეტაპზე ინტერვიუს არავის ვაძლევთ. ერთ-ერთ გამოცემას მივეცით მხოლოდ, ვიდეო დაიდება და იქ ყველაფერს ვყვები, რაც კი ვიცი. ჩვენი პოსტები ნახეთ და გამოიყენეთ, როგორც საჭიროდ ჩათვალოთ.

**— კითხვები გვაქვს, რომლებზეც პასუხი გვჭირდება.**

— გადაწყვეტილება არ შეიცვლება. ვწუხვარ. სანამ გემუდარებოდით, ვორკშოპი გვაქვს უფასოდ და მოდით-მეთქი, არავის გინდოდათ. ასევე მღვდლების მუქარას არავინ აპროტესტებდით და ახლა რაც მოხდა, ყველამ ნახა. ეს ძალადობა ჩვენი კომენტარის გარეშეც კარგად ჩანს. დასამატებელი არაფერი გვაქვს.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ წაიდნენ მღვდლები ამ ნაბიჯზე. ასე მოქცევა რამ აიძულათ?**

— არ ვიცი, მათ ჰკითხეთ.

**— მათ ხომ ამ ფორმით აქამდე არაფერი გაუპროტესტებიათ?**

— არაა ეგ მართალი. არ ხართ ინფორმირებული. საპატრიარქო მუდამ იმუქრებოდა ძალადობით. ნახვამდის.

**— რა ფორმით იმუქრებოდა?**

— არ მინდა ინტერვიუ.

**— ვინ არიან თქვენი დამფინანსებლები?**

— აშკარად ცუდად ხართ განწყობილი. პირდაპირ დაწერეთ, რაც გინდათ, რა საჭიროა ზედმეტი შრომა? დისკრიმინაციაზე არაფერს მეკითხებით და დაფინანსება არ დაგავიწყდათ. საიტზე დევს!

**— დამელაპარაკეთ და ყველა კითხვას დაგისვამთ.**

— არ უნდა მაგას კითხვა. ამ საუბარს გამოვაქვეყნებ და დაგბლოკავთ. სკანდალის თემაც გაგიჩნდებათ.

■

„იდენტობის" საიტზე წერია, რომ 2013 წელს კიდევ ერთ პროექტს განახორციელებს და ეს სამუშაოები ამჯერად ქართული ფონდის „ღია საზოგადოება საქართველოს" მიერ ფინანსდება, ბიუჯეტი კი 20 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს. პროექტი ხელს შეუწყობს ლგბტ პირთა ხილვადობის გაზრდას. პროექტის მიზანი გეი-სთრეიტ ალიანსების ორგანიზება და მისი მეშვეობით საზოგადოების წევრების ჰომოფობიასთან ბრძოლაში უშუალო ჩართვაა.

✓ **რუსუდან ადვაძე**



Cyan Magenta Yellow Black

# ბუმბული ძაფით

ასეთი დეკორატიული ბუმბულები მარტივად შეგვიძლია დავამზადოთ. დაგვჭირდება, სხვადასხვაფერი ძაფის ნაკუწები, წვრილი მავთული, წებო ან სახამებელი.

ძაფი წვრილად დავახვიოთ მავთულზე. დავჭრათ სასურველი ფერის ძაფები და სათითაოდ გავკვანძოთ ძაფდახვეულ მავთულზე. ძაფები ერთმანეთთან ძალიან ახლოს, მჭიდროდ უნდა იყოს გაკვანძული.

როცა მთლიანად შევავსებთ მავთულს, წინასწარ მომზადებულ წყლიან წებოში ან წყლიან სახამებელში ამოვავლოთ მზა „ბუმბული“, დავდოთ რაიმე ზედაპირზე, მივცეთ ფორმა და ვაცადოთ, რომ კარგად გამოშრეს. როცა გაშრება, შევუსწოროთ გვერდები.

ასეთი ბუმბულების გამოყენება უამრავ ნივთზე შეიძლება. სულ ესაა.

**გისურვებთ წარმატებას!**

✓ ლელა ცუცქირიძე

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 7 | 1 | 6 | 3 | 4 | 9 | 8 |
| 4 | 1 | 6 | 9 | 8 | 2 | 5 | 3 | 7 |
| 3 | 8 | 9 | 7 | 4 | 5 | 6 | 2 | 1 |
| 1 | 6 | 4 | 5 | 9 | 8 | 2 | 7 | 3 |
| 9 | 2 | 3 | 4 | 7 | 6 | 8 | 1 | 5 |
| 8 | 7 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 4 | 6 |
| 5 | 4 | 1 | 8 | 3 | 9 | 7 | 6 | 2 |
| 6 | 9 | 8 | 2 | 1 | 7 | 3 | 5 | 4 |
| 7 | 3 | 2 | 6 | 5 | 4 | 1 | 8 | 9 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 7 | 3 | 4 |
| 5 | 9 | 3 | 7 | 4 | 8 | 1 | 6 | 2 |
| 4 | 7 | 2 | 6 | 1 | 3 | 8 | 5 | 9 |
| 6 | 5 | 9 | 2 | 3 | 1 | 4 | 8 | 7 |
| 7 | 3 | 1 | 4 | 8 | 6 | 9 | 2 | 5 |
| 2 | 8 | 4 | 9 | 5 | 7 | 6 | 1 | 3 |
| 9 | 6 | 8 | 3 | 7 | 2 | 5 | 4 | 1 |
| 3 | 4 | 7 | 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 8 |
| 1 | 2 | 5 | 8 | 9 | 4 | 3 | 7 | 6 |

## ეს იცოდით?

- ადამიანის თვალი 576 მეგაპიქსელს აღიქვამს.
- ადამიანის თვალის კაკალი დაახლოებით 28 გრამს იწონის.
- დალტონიზმი მამაკაცებში 10-ჯერ მეტია, ვიდრე ქალებში.

- ახლახან კალიფორნიაში ახალი ტელეარხი შექმნეს, რომელიც განკუთვნილია ძაღლებისთვის. ეს ფასიანი არხია, მაგრამ თითქმის ყველა ყიდულობს თავისი ოთხფეხა მეგობრისთვის, რათა, როდესაც პატრონი სამსახურშია, ძაღლმა არ მოიწყინოს.
- ამერიკელი ბავშვების 80% სჯერა, რომ თავისუფლების ქანდაკებას ხელში მაკდონალდსის ნაყინი უკავია.
- ბამბის ნაყინი პირველად საზოგადოებისთვის 1904 წლის სენტ ლუისის მსოფლიო ექსპოზიციაზე გაიყიდა.
- ყველაზე დიდი გამარჯვება პოკერის ისტორიაში ანტონიო ესფანდიარს ერგო, რომელიც ტურნირში 1 მილიონით ჩაერთო, ხოლო, როცა პირველი ადგილი დაიკავა, 18 მილიონი ხვდა წილად.

- იუდეველთა მმართველმა პილატე პონტოელმა (მის დროს აცვეს ჯვარს ქრისტე) სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.
- ისააკ ნიუტონი 23 წლის იყო, როდესაც გრავიტაციის კანონი აღმოაჩინა.
- დრამატურგი მოლიერი 1673 წლის 17 თებერვალს გარდაიცვალა, როცა მთავარ როლს ასრულებდა საკუთარ კომედიაში „ძალით ავადმყოფი“.

- პოპვარსკვლავ ელვის პრესლის მეორე სახელი აარონი იყო.
- პოპვარსკვლავები მადონა და მაიკლ ჯექსონი 1958 წელს დაიბადნენ.
- სამსახიობო კარიერის დაწყებამდე ჰოლივუდის ვარსკვლავი კიანუ რივზი კანადაში მაკარონის მაღაზიის მენეჯერი იყო.



Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავთსიახლენი

# საუკეთესოები მუსიკალურ შოუბიზნესში

ჯენიფერ ლოპესი

ტეილორ სვიფტი

მადონა

სელინ დიონი

სელენა გომესი

ჯასტინ ბიბერი

ბევრ ვეგასში მუსიკალურ შოუბიზნესში პრესტიჟული დაჯილდოება „ბილბორდ ევერდსი“ ჩატარდა. ყოველწლიურად მუსიკალური ჟურნალი „ბილბორდი“ შოუბიზნესის ვარსკვლავებს თავიანთი მიღწევებისთვის აჯილდოებს. ცერემონიალზე ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იყო, წითელ ხალიჩაზე პოზირებდნენ მადონა, ჯენიფერ ლოპესი, სელინ დიონი, ტეილორ სვიფტი, სელენა გომესი, ჯასტინ ბიბერი და სხვა.

შოუბიზნესის ვარსკვლავებმა წითელი ხალიჩისთვის განსაკუთრებული კაბები წარმოადგინეს. სელენა გომესმა ვერსაჩეს კაბა არჩია, ჯენიფერ ლოპესმა კი ზუჰაირ მურადის ოქროსფერი კაბა ჩაიცვა, რომელსაც ქალთევზას ფორმა ჰქონდა. მოდის კრიტიკოსებმა ჯენიფერს ეს არჩევანი არ მოუწონეს, რადგან გასუქებულს აჩენდა. ვარსკვლავს გვერდით, რა თქმა უნდა, თავისი ბოიფრენდი კასპერ სმარტი ჰყავდა, რომელზეც მალე გათხოვებას აპირებს.

დიდი ფურორი მოახდინა 54 წლის მადონამ, რომელიც დაახლოებით იმავე სტილში იყო ჩაცმული, როგორითაც რამდენიმე დღის წინ კოსტიუმების ინსტიტუტის გალა ცერემონიალზე მივიდა. როგორც ჩანს, მას აშკარად ენატრება გასული საუკუნის 80-იანი წლების სტილი.

წითელი ხალიჩის შემდეგ გრანდიოზული შოუ გაიმართა, სადაც ბოლო პერიოდის ყველა ჰიტი შესრულდა. სელენა გომესის მუსიკალურმა ნომერმა საზოგადოებაში მოწონების ნაცვლად უფრო სიცილი გამოიწვია. მომღერლის სასცენო კოსტიუმი ტუალეტის ქაღალდადაც კი მოიხსენიეს. ცერემონიალის ტრიუმფატორი ქანთრის სტილის მომღერალი, 23 წლის ტეილორ სვიფტი აღმოჩნდა, რომელმაც 11 ნომინაციიდან 8-ში გაიმარჯვა.

ამ ცერემონიალზე გამარჯვებულად აცხადებენ იმ მომღერლებს, რომლებიც სტატისტიკურად ყველაზე მეტ დისკს და ბილეთს ყიდიან, ასევე, ვისაც ყველაზე ხშირად უსმენენ რადიოში და ინტერნეტში.

ცერემონიალის ტრიუმფატორთა შორის მოხვდა 19 წლის ჯასტინ ბიბერი, რომელმაც 3 ჯილდო მოიპოვა და საუკეთესო მომღერალი მამაკაცის ნომინაციაში ბრუნო მარსს აჯობა. ჟურნალისტების აზრით, ჯასტინი ბოლო დროს შესამჩნევად დაკაცდა, ამაზე მისი კომენტარიც მეტყველებს:

— მე მუსიკოსი ვარ და მინდა, ყველამ სერიოზულ მუსიკოსად აღმიქვას. აღარასოდეს მკითხოთ უაზრო თემებზე, ვისაუბროთ მხოლოდ მუსიკაზე, — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

მადონამ პრიზი მიიღო საუკეთესო საგასტროლო ტურნესათვის, რიანა კი საუკეთესო რითმ ენდ ბლუზის შემსრულებლად აღიარეს. აღმოჩნდა, რომ სწორედ მისი სიმღერები ისმინება ყველაზე ხშირად რადიოეთერის საშუალებით.

 პერსკინდოლი – იმოძრავე შეუფერხებლად!

PERSKINDOL

- თუ სახსრებმა შეგაწუხათ
- ივარჯიშეთ და კუნთები დაგეჭიმათ
- უეცრად წელი ან კისერი გაგიკავდათ
- ძველმა ტრავმამ ტკივილით შეგახსენათ თავი

ᲡᲞᲠᲔᲘ 150  მლ

ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲡ

ᲒᲔᲚᲘ 100 მლ

პერსკინდოლი

სიახლე

დაგიბრუნებთ ბუნებრივ მოძრაობას

უფრო მოსახერხებელი და ეკონომიური ფორმა (სპრეი 150მლ)

მხოლოდ გარეგანი გამოყენებისთვის!

მწარმოებელი ქვეყანა – შვეიცარია

Vifor International

ᲮᲘᲕᲘᲡᲘ GPC

მხოლოდ სილქნეტის
ინტერნეტ აბონენტებისთვის

# ნოუთბუქები

უპრეცედენტოდ დაბალ ფასად!

699 ~~ლარი~~
579 ლარი
დანაზოგი: 120 ლარი
acer

640 ~~ლარი~~
550 ლარი
დანაზოგი: 90 ლარი
ASUS

• ყველა ნოუთბუქზე ვრცელდება 1 წლიანი გარანტია
• ისარგებლეთ სილქნეტის ანტივირუსით სპეციალურ ფასად

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია "კამარა სისტემს"
ალ. ყაზბეგის გამზ. 19

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია "ულტრა"
ღვინის აღმართი 23, ალ.ყაზბეგის.9

2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები